

ივანე ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორია

თემურაზ ჯოჯუა

XII საშპუნის ქართული ხელნაწერი
პრებული (Ven.4) და მისი ანდერპ-მინაჭერები
(ისტორიულ-დარღოთმცოდნეობითი გამოკვლევა)

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

თბილისი

2009

შესაგალი - - - - - 3

**თავი I. გარეჯული კრებულისა (Ven.4) და მისი ანდერძ-მინაწერების სამეცნიერო
კვლევის ისტორია, ხელნაწერის აღწერილობა და მისი კოდიკოლოგიური
ანალიზი - - - - - 10**

- §1. გარეჯული კრებულისა (Ven.4) და მისი ანდერძ-მინაწერების სამეცნიერო
კვლევის ისტორია - - - - - 10
§2. გარეჯული კრებულის (Ven.4) აღწერილობა და მისი კოდიკოლოგიური
ანალიზი - - - - - 45

**თავი II. გარეჯული კრებულის ანდერძ-მინაწერები, როგორც
საისტორიო წყარო - - - - - 85**

- §1. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი - - - - - 85
§2. მოქვის ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის ხუთი მინაწერი (1363 წ.) - - - - 98
§3. არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის მინაწერი (XV ს.) - - - 116
§4. აფხაზეთის კათოლიკოსის ბართლომეს
მინაწერი (დაახლ. 1488-1519 წწ.) - - - - - 129
§5. გელათელი მონაზონის, ლევან IV დადიანის თანამეცხედრის, თინათინ-
ყოფილი ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სამი
მინაწერი (XVIII ს-ის I ნახ.) - - - - - 150

**თავი III. გარეჯულ კრებულში (Ven.4) შეტანილი თხზულებები, როგორც
საისტორიო წყარო - - - - - 179**

- §1. დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატი „წვალებისა წინამძღვართა
შეჩუნება“ - - - - - 179

დასკვნა - - - - - 196

დამოწმებული ლიტერატურა - - - - - 203

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საპატიო პრობლემის აქტუალობა.

ხელნაწერი წიგნების აშიებზე შესრულებული ანდერძ-მინაწერები (კოლოფონები) ისტორიული წყაროების ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო სახეს წარმოადგენს. ანდერძ-მინაწერები შინაარსობლივი თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს მემორიალური, იურიდიული და სხვა ხასიათის ძეგლებად.

ანდერძ-მინაწერებს, უმრავლეს შემთხვევაში, ახასიათებს სამი ძირითადი ნიშანი: 1. რაიმე სახის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმ ხელნაწერთან, რომლის აშიაზეც შესრულებულია ესა თუ ის კოლოფონი; 2. ანდერძ-მინაწერის ლაპონური ხასიათი და ამით გამოწვეული ინფორმაციული შეზღუდულობა; და 3. კოლოფონის ავთენტურობა ანუ მისი შესრულების ქრონოლოგიური სიახლოვე ტექსტში გადმოცემულ მოვლენებთან.

ჩამოთვლილი მახასიათებელი ნიშნების გამო ანდერძ-მინაწერები, მართალია, მოკლე, მაგრამ სანდო და მრავალფეროვან ცნობებს გვაწვდიან საქართველოს საერო თუ საეკლესიო ისტორიის შესახებ.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ტექსტებით ქართველი ისტორიკოსები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდნენ. მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თედო ქორდანია, რომელმაც მის მიერ გამოცემული „ქრონიკების“ I-II ტომებში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დააღაგა საქართველოს ისტორიის მრავალრიცხოვანი წერილობითი ცნობები. აღნიშნულ გამოცემაში, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა სპეციალისტებისათვის, მრავალი ისტორიული მოვლენა და ფაქტი სწორედ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების დახმარებით არის გადმოცემული (ჟორდანია 1892; ჟორდანია 1897).

მოგვიანებით, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართულმა ისტორიოგრაფიამ ერთგვარად დახვეწა ანდერძ-მინაწერების შესწავლისა და პუბლიკაციის მეთოდი. ამ პერიოდში სპეციალისტთა ძალისხმევა, ძირითადად, მიმართული იყო რომელიმე კონკრეტული ხელნაწერის აშიებზე შესრულებული სხვადასხვა კოლოფონების ერთად თავმოყრისა და მათი ერთობლივად გამოქვეყნების მიმართულებით.

აღნიშნული საქმიანობის გააქტიურებას ხელი დიდად შეუწყო იმხანად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციების აკადემიური „აღწერილობების“ შედგენისა და გამოცემის

პროცესმა. დადგენილი წესის თანახმად, „აღწერილობაზე“ მომუშავე სპეციალისტებს ყოველ გამოცემულ ტომში შექმნდათ თითოეული ხელნაწერის არქეოგრაფიული დახასიათება, აქ წარმოდგენილ თხზულებათა ჩამონათვალი და ამ ხელნაწერის აშიებზე შესრულებული მეტნაკლებად ყველა ანდერძ-მინაწერის ტექსტი (შარაშიძე 1948; მეფარიშვილი 1949; მეტრეველი 1950 და სხვ.).

XX საუკუნის II ნახევარში ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების შესწავლისა და გამოცემის საქმემ კიდევ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო. ამ პერიოდში შეიქმნა და გამოქვეყნდა მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, სადაც, წარმოდგენილი იყო არამხოლოდ რომელიმე კონკრეტული ხელნაწერის ანდერძ-მინაწერების ტექსტები, არამედ ამ კოლოფონებისადმი მიძღვნილი შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევებიც. ამ რიგის პუბლიკაციებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ვალერი სილოგავას მიერ გამოცემული „კორიდეთის საბუთები“ (სილოგავა 1989), დარეჯან კლდიაშვილის მიერ გამოქვეყნებული „თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები“ (კლდიაშვილი 1986) და სხვ.

დასახელებულ გამოცემებსა და მსგავს სამეცნიერო პუბლიკაციებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქართველი ისტორიკოსების კვლევის საგანს, ძირითადად, იმ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს სიძველეთსაცავებში ინახება. ერთგვარად განსხვავებული სურათი გვაქვს ევროპის უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა თუ სამონასტრო ცენტრებში დაცულ ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებით, რომელთა ანდერძ-მინაწერებიც, დღემდე არ არის საფუძვლიანად შესწავლელი.

ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ავსტრიის (ვენის) ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხუთი უძვირფასესი ქართული ხელნაწერი წიგნი, რომელთა ანდერძ-მინაწერებიც აქამდე არასოდეს გამხდარა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საგანი (თუ, რასაკვირველია, ასეთად არ ჩავთვლით გრიგოლ ფერაძის კოდიკოლოგიური ხასიათის ნაშრომს, რომელზეც ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი).

მოკლედ დავახასიათებთ ამ ხელნაწერებს:

№1 ქართული ხელნაწერი, იგივე Ven.1. წარმოადგენს მცირე ზომის ეტრატის ოთხთავს და დათარიღებულია X-XI საუკუნეებით. ხელნაწერის აშიებზე შესრულებულია სხვადასხვა პერიოდის ათველობით ანდერძ-მინაწერის (კოლოფონის) ტექსტი (ფერაძე 1940: 223; ფერაძე 2004: 161; ჯოჯუა 2005; იმნაიშვილი 2008: 11).

№2 ხელნაწერი, იგივე Ven.2. წარმოადგენს პალიმფსესტს. მისი ქვედა შეკვეთი წმ. კვიპრიანესა და წმ. იუსტინას, აგრეთვე, წმ. ქრისტინას „წამებათა“ ხანძები ტექსტებს და ტარიღდება V საუკუნის I ნახევრით. პალიმფსესტის ზედა ტექსტი წარმოადგენს მაისის „თთვეს“ და დათარიღებულია XIII-XIV საუკუნეებით (ფერაძე 1940: 223-224; ფერაძე 2004: 161-162; ქაჯაია 1981; ქაჯაია 2001; ქაჯაია 2006; იმნაიშვილი 2008: 11).

№3 ხელნაწერი, იგივე Ven.3. ეს არის სახელოვანი ქართველი მწიგნობრის იოანე ხახულელის მიერ გადაწერილი თებერვლის „თთვენი“. ხელნაწერი თარიღდება X-XI საუკუნეებით (ფერაძე 1940: 225-226; ფერაძე 2004: 162-164; იმნაიშვილი 2008: 11).

№4 ხელნაწერი, იგივე Ven.4. წარმოადგენს საკმაოდ დიდი ზომის კრებულს და გადაწერილია 1160 წელს, გარეჯის მრავალმთაში, შესანიშნავი კალიგრაფის ნიკოლოზ ნიკრაის მიერ. კრებულის აშიებზე დაცულია გარეჯის მრავალმთასა და წმიდა მიწაზე მყოფი სხვადასხვა პირების მიერ შესრულებილი XII-XIX საუკუნეების ასზე მეტი ანდერძ-მინაწერის ტექსტი.

№5 ხელნაწერი, იგივე Ven.5. ეს არის მომცრო ტანის ოთხთავი, რომელიც გადაწერილია XII-XIII საუკუნეებში. ხელნაწერს ახლავს მდიდრულად შემკული ვერცხლის ყდა, რომელიც შუა საუკუნეების ქართული ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს (ქაჯაია 1975: 294; იმნაიშვილი 2008: 12)¹.

ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების კოლექციიდან ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო ნუსხას წარმოადგენს 1160 წლის გარეჯული კრებული ანუ Ven.4, რომლის აშიებზეც, როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, დაცულია გარეჯის მრავალმთასა და წმიდა მიწაზე მყოფი სხვადასხვა პირების მიერ შესრულებილი XII-XIX საუკუნეების ასზე მეტი კოლოფონის ტექსტი. აღნიშნული ხელნაწერი და მისი ანდერძ-მინაწერები ყურადღებას ორი ძირითადი მიზეზის გამო იპყრობს:

¹ ამჟამად საქართველოში ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხუთივე ქართული ხელნაწერის შავ-თეთრი ფოტოპირი მოგვეპოვება. ფოტოპირები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტოპირების კოლექციაშია დაცული: Ven.1 – RT XXV-1; Ven.2 – RT XXV-5; Ven.3 – RT XXV-2, I-II; Ven.4 – RT XXV-3, I-II; Ven.5 – RT XXV-4. დასახლებული ხელნაწერებიდან, Ven.1-ის, Ven.3-ის, Ven.4-ისა და Ven.5-ს ფოტოპირები დამზადებულია იმ მიკროფირების საშუალებით, რომელებიც 1970-იანი წლების დასაწყისში ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან ჩამოიტანა და ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა აკადემიკოსება გიორგი წერეთელმა (ქაჯაია 1975: 294). მათგან განსხვავებით, მეხუთე ხელნაწერის – Ven.2-ის ფოტოპირი ოდნავ უფრო ადრე მოიპოვა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ლამარა ქაჯაიამ (ქაჯაია 2006: 37; შდრ.: ქაჯაია 1975: 294).

1. Ven.4 წარმოადგენს გარეჯის სამონასტრო სკრიპტორიუმიდან გამოსულ ჩვენთვის ცნობილ უძველეს ხელნაწერ წიგნს. შესაბამისად, მის შედგენილობასა თუ ცალკეულ ტექსტებზე დაკვირვებას შეუძლია, გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას XII საუკუნის გარეჯელი მამების სამონასტრო ყოფის, ადგილობრივ მონასტრებში მიმდინარე სამწიგნობრე პროცესებისა და ზოგადად, ქვეყანაში არსებული საეკლესიო-კულტურული კონსერვაციების შესახებ.

2. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გარეჯული კრებულის აშიებზე შესრულებული XII-XIX საუკუნეების ათეულობით ანდერძ-მინაწერის ტექსტიც. ამ კოლოფნებზე ზედაპირული დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ მათ ტექსტებში დაცულია უმდიდრესი და პრაქტიკულად, უცნობი წყაროთმცოდნეობითი მასალა გარეჯის მრავალმთის, იერუსალიმის ქართული კოლონისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიის მრავალი სადაცო თუ ბუნდოვანი პრობლემის შესახებ.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს წარმოადგენს ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის №4 ხელნაწერის აშიებზე დაცული ანდერძ-მინაწერების ერთად თავმოყრა, მათი გეგმაზომიერი შესწავლა და ბოლოს, ისეთი სამეცნიერო ნაშრომის შედგენა-გამოცემა, სადაც, ერთის მხრივ, წარმოდგენილი იქნება გარეჯული კრებულის კოლოფნების ტექსტები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ანდერძ-მინაწერებისადმი მიძღვნილი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას ჩვენი უმთავრესი მიზანია, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შევისწავლოთ და სამეცნიერო საზოგადოებას გავაცნოთ Ven.4-ის ის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდე სრულებით უცნობი ფაქტები და მოვლენები, დავაზუსტოთ ან ახლებურად გავაშუქოთ სპეციალურ ლიტერატურაში მყარად დამკვიდრებული დებულებები, დამატებითი არგუმენტებით შევამაგროთ სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებები და სხვ.

დასახული მიზნის მისაღწევად, საჭიროდ მიგვაჩნია, გადავჭრათ სამი ძირითადი ამოცანა:

1. აკადემიური სახით დავადგინოთ, სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური აპარატით აღვჭურვოთ და სამეცნიერო საზოგადოებას მივაწოდოთ საკვლევად შერჩეული თითოეული ანდერძ-მინაწერის ტექსტი.

2. გავაანალიზოთ საკვლევად შერჩეულ ანდერძ-მინაწერებში დაცული სხვადასხვა სახის ცნობები და მიღებული შედეგების საფუძველზე, მოვახდინოთ შესაბამისი ისტორიული სურათის რეკონსტრუქცია.

3. შეძლებისდაგვარად სრულად შევისწავლოთ საკვლევად შერჩეული კოლოფონების სტრუქტურა და თეორიული განზოგადების მიზნით, მოვახდინოთ მათი ტიპოლოგიური კლასიფიცირება.

მოსალოდნელი სამეცნიერო სიახლე.

თუ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში წარმატებით მოვახერხებთ დასახული ამოცანების გადაჭრას, მაშინ სამეცნიერო სიახლის გამოვლენა მოსალოდნელი იქნება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: Ven.4-ის გადამწერის მიერ გადანუსხული სხვა ხელნაწერების მიკვლევა, რომელთა წარმომავლობაც აქამდე არ იყო დადგენილი; ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობების ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა გარეჯულ კრებულში შეტანილი უცნობი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის დახმარებით; Ven.4--ს აშშიებზე დაცული XII-XIX საუკუნეების ოცამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ანდერძ-მინაწერის ტექსტის შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში; საქართველოს მეფის გიორგი III-ის ზეობის ქრონოლოგიის კორექტირება გარეჯული კრებულის ანდერძზე დაყრდნობით; Ven.4-ის კოლოფონებში მოხსენიებული უცნობი ან ნაკლებად ცნობილი თხეთმეტამდე ქართველი პილიგრიმის ბიოგრაფიული პორტრეტების რეკონსტრუირება; გარეჯული კრებულის მინაწერებში მოხსენიებული უცნობი ქართველი საეკლესიო იერარქების ჩართვა შესაბამის მღვდელმთვართა ქრონოლოგიურ რიგებში; აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან ხობის მონასტერში გადატანის აქამდე უცნობ პროცესზე დაკვირვება Ven.4-ის მინაწერზე დაყრდნობით და სხვ.

ნაშრომის სტრუქტურა.

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა აგებულია საკვლევი საკითხების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ნაშრომის I თავი შედგება ორი პარაგრაფისაგან. აქედან, პირველ პარაგრაფში დაწერილებით არის მიმოხილული გარეჯული კრებულისა და მისი ანდერძ-მინაწერების სამეცნიერო კვლევის ასორმოცდათწლიანი ისტორია. აქ შეძლებისდაგვარად სრულადაა დახასიათებული და შეფასებული სხვადასხვა მკვლევართა მიერ ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოები. აქვეა წარმოდგენილი ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების აღწერილობაც.

ნაშრომის I თავის მეორე პარაგრაფი ეთმობა Ven.4-ის დეტალურ აღწერილობასა და მის კოდიკოლოგიურ ანალიზს. აქ, პირველ რიგში, დახასიათებულია გარეჯული კრებულის ტექნიკური პარამეტრები და მოყვანილია Ven.4-ის შედგენილობაში წარმოდგენილი თხზულებების ჩამონათვალი, ვრცელი კომენტარებითურთ. ამავე პარაგრაფში დაწერილებით არის შესწავლილი გარეჯული კრებულის გადაწერის დროსთან და ადგილობრივი აგრეთვე, გადამწერის ვინაობასა და მის სამწიგნობრე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, განხილულ პარაგრაფში გარეჯული კრებულის მინაწერებიდან საგანგებოდ არის გამოყოფილი XV-XIX საუკუნეების რამდენიმე კოლოფონი და მათზე დაყრდნობით, განსაზღვრულია Ven.4-ის წმიდა მიწაზე გადატანის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. აქვე შეძლებისდაგვარად სრულად არის რეკონსტრუირებული ხსენებულ მინაწერებში მოხსენიებულ პირთა ბიოგრაფიული პორტრეტებიც.

ნაშრომის II თავი დაყოფილია ხუთ პარაგრაფად და თითოეული ეს პარაგრაფი ეთმობა გარეჯული კრებულის ანდერძ-მინაწერებიდან გამოყოფილი კოლოფონების თითო ჯგუფს. აქედან, პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია Ven.4-ის ანდერძის ტექსტი და მასზე დაყრდნობით, დაზუსტებულია საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი.

რაც შევხება II თავის მომდევნო ოთხ პარაგრაფს (§2, §3, §4 და §5), აქ წარმოდგენილია სამეცნიერო საზოგადოებისათვის, პრაქტიკულად, უცნობი ოთხი პილიგრიმის მიერ XIV-XVIII საუკუნეებში შესრულებული ათი კოლოფონი და მათი შესწავლის შედეგები. ამ ოთხი პარაგრაფის სტრუქტურა თითქმის იდენტურია: პარაგრაფში თავდაპირველად მოტანილია კოლოფონების არქეოგრაფიული დახასიათება, მათი ტექსტი, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის ჩვენებული წაკითხვა; ამას მოხდევს პარაგრაფის ძირითადი ნაწილი, სადაც ზედმიწევნით სრულად არის შესწავლილი მინაწერებში დაცული

ცნობები და მიღებული დასკვნების საფუძველზე რეკონსტრუირებულია შესაბამისი ისტორიული სურათი.

აქვე, ხაზგასმით შევნიშნავთ იმ ფაქტს, რომ წინამდებარე ნაშრომში, ამ უკანასკნელის შეზღუდული მოცულობის გამო, გარეჯული კრებულის ასზე მეტი ანდერძ-მინაწერიდან გამოყოფილი და შესწავლილია მხოლოდ ოცამდე კოლოფონის ტექსტი. ამასთან, საკვლევად შერჩეულია კონკრეტულად ის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც, ერთი მხრივ, აუცილებელ ცნობებს გვაწვდიან Ven.4-ის კოდიკოლოგიური შესწავლისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, გვთავაზობენ უძვირფასებს ცნობებს სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მოვლებისა თუ ფაქტების შესახებ. დასასრულ, შევნიშნავთ იმასაც, რომ სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა-ძიების გაგრძელება და ისეთი სამეცნიერო მონოგრაფიის შექმნა, სადაც ანალოგიური სისრულით იქნება შესწავლილი გარეჯული კრებულის აშიებზე შესრულებული უკლებლივ ყველა ანდერძ-მინაწერის ტექსტი.

დავუბრუნდეთ წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურას. ამ უკანასკნელის III თავი შეიცავს ერთადერთ პარაგრაფს, რომელიც, თავის მხრივ, უჭირავს Ven.4-ის შედგენილობაში წარმოდგენილ ერთ-ერთ თხზულებას, სამეცნიერო საზოგადოებისათვის სრულებით უცნობ დოგმატიკურ-პოლემიკურ ტრაქტატს, სახელწოდებით „წვალებისა წინამდჟართა შეჩუნებაზ“. მართალია, აღნიშნული ტრაქტატი წმინდად სასულიერო ხასიათის თხზულებაა, მაგრამ მისი ტექსტი საშუალებას გვაძლევს, საბოლოოდ გავარკვიოთ გარეჯის სამონასტრო ძმობისა და მონოფიზიტი სომეხი მომლოცველების ურთიერთობების ერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც აქამდე სადაცოდ იყო ქცეული ქართველ და სომეხ მეცნიერებს შორის. განხილული პარაგრაფის დასაწყისში დაწვრილებით არის დახასიათებული ტრაქტატის სტრუქტურა და შინაარსობლივი მხარე. ამას მოხდეს თავად ტრაქტატის ტექსტი, რომელსაც დართული აქვს მრავალრიცხოვანი კომენტარები.

წინამდებარე ნაშრომის დასკვნას ერთგვარად შემაჯამებელი ხასიათი აქვს. აქ სრულად არის რეზიუმირებულია ყველა ის ძირითადი შედეგი, რომელიც ზემოთ აღწერილი სამეცნიერო კვლევა-ძიების საფუძველზეა მიღებული. ნაშრომს ასრულებს დამოწმებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

თავი I. ბარეჯული კრებულისა (Ven.4) და მისი
ანდერძ-მინაჭერების სამეცნიერო კვლევის ისტორია,
ხელნაწერის აღმერილობა და მისი კოდიკოლობიში ანალიზი

§1. ბარეჯული კრებულისა (Ven.4) და მისი
ანდერძ-მინაჭერების სამეცნიერო კვლევის ისტორია

Ven.4-ისა და მისი ანდერძ-მინაჭერების (კოლოფონების) სამეცნიერო შესწავლის საქმეს თითქმის ას ორმოცდათ წელზე მეტი წელი ისტორია აქვს.

ამ პროცესს საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველმა ლექსიკოგრაფმა და სიძველეთმცოდნემ ნიკო ჩუბინაშვილმა (1788-1845 წწ.). მან 1845 წლის მაისში, წმიდა მიწაზე მოგზაურობის დროს, საკუთარი თვალით მოიხილა და მოკლედ აღწერა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში დაცული თექვსმეტი ქართული ხელნაჭერი (ცაგარელი 1894: 44, 47-52), მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო გარეჯული კრებულიც. ეს უკანასკნელი მკვლევრის მიერ შედგენილ კატალოგში მეათე ნომრითაა აღნიშნული.

თავად კატალოგი ორგზის არის გამოქვეყნებული: პირველად – 1889 წელს, გაზეთ „ივერიის“ 70-ე, 72-ე და 73-ე ნომრებში, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის არისტო ქუთათელიძის მიერ, მცირედ შემოკლებული სახით (ქუთათელაძე 1889), ხოლო მეორედ – 1894 წელს, ქართველი ფილოლოგოსისა და ისტორიკოსის, პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის ავტორობით დაბეჭდილი რუსულენოვანი კრებულის „Сведенія о памятникахъ грузинской письменности“-ს პირველი ტომის მესამე ნაკვეთში, სრული სახით (ცაგარელი 1894: 44-52).

ნიკო ჩუბინაშვილის კატალოგში ვკითხულობთ: „ჯ(ვარ)ის მონასტერსა შ(ინ)ა შენახულთა წიგნთათ(ვი)ს. როს შევედით ეკკლესიასა ტაძრისასა, სადაც არს ბიბლიოტეკა ანუ წიგნთსაცავი, მას შ(ინ)ა მდებარებენ წიგნი. 1. ლათინურნი, 2. არაბულნი და 3. ქართულნი, რომელნიც არიან დაწერილნი ხუცურად ზოგნი ეტრატზედ და ზოგნი სქელს ქაღალდზედ, რიცხვით იქმნება ვიდრე ორასამდინ, როგორც დავსოვალეთ ფიცრის თაროებზედ. რომელნიმე მათგანნი დაშლილან და ვისაც კ(ვალა)დ შეუკრევინებია, ან განუახლებია, მათნი სახელნი ზედ აწერიან; მაგრამ კ(ვალა)დცა არიან დაშლილნი და ჭიისაგან შეჭმულნი. ამ წიგნებიდამ გავსინჯეთ ვიდრე 30 მ-დან და რაცა

მათშინა ვნახეთ დირსსახსოვარი, გამოვსწერეთ ესსეთ: ... 10. მეტაფრასი, რომლისა ზანდუკი არს: შემოსვლისათვის მარხვათასა, ქმნილი ანასტასი მონაზონისა; ცხოვრება შიშველ მართალთა და წ(მიდ)ისა მამისა ზოსიმესი. „ქება ქებათა“ იამბიკონად თქმული. ესე წიგნი არს თორმეტ ნაწილად. შეიკაზმა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სნც, 258-1570 წ.“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ო. ჯ.) (ცაგარელი 1894: 47, 50. შდრ.: ქუთათელაძე 1889: №73, 3)².

როგორც ვხედავთ, 1845 წელს შედგენილ კატალოგში გარეჯული კრებული და მისი ანდერძ-მინაწერები ერთობ ძუნწად არის აღწერილი. სავარაუდოდ, სწორედ ეს ფაქტი გახდა მიზეზი იმისა, რომ შემდგომი დროის მკვლევრებმა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლეს ნიკო ჩუბინაშვილის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღწერილი №10 და ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული №4 ხელნაწერების ერთიმეორესთან გაიგივება (მენაბდე 1980: 1-31, 135-139)³. არადა, ამ ხელნაწერთა იდენტიფიცირება სულაც არ არის ძნელი საქმე.

მართლაც, ნიკო ჩუბინაშვილის კატალოგიდან ჩვენთვის ცნობილია ექვსი ძირითადი ნიშანი, რომელიც ახასიათებს ჯვრის მონასტრის №10 ხელნაწერს:

1. იგი შედგება „თორმეტი ნაწილის“ ანუ თორმეტი სხვადასხვა ტექსტისაგან;
2. ხელნაწერს დართული აქვს „ზანდუკი“; 3. „ზანდუკში“ ერთ-ერთი ტექსტი მითითებულია შემდეგი სახით: „შემოსვლისათვის მარხვათასა, ქმნილი ანასტასი მონაზონისა“; 4. კიდევ ერთი ტექსტი სახელდებულია როგორც: „ცხოვრება შიშველ მართალთა და წ(მიდ)ისა მამისა ზოსიმესი“; 5. „ზანდუკში“ დასათაურებულია მესამე ტექსტიც: „ქება ქებათა“, იამბიკონად თქმული“;
6. ხელნაწერის ერთ-ერთ ფურცელზე მითითებულია მისი შეკაზმვის თარიღი – ქრონიკონი სნც ანუ 1570 წელი: „შეიკაზმა წიგნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს სნც“ (ცაგარელი 1894: 50).

² №10 ხელნაწერის აღწერილობა საგრძნობლად განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი კატალოგის არისტო ქუთათელაძისეულ გამოცემაში: „10. მეტაფრასი რომლისა ზანდუკი არს შემოსვლისათვის მარხვათასა თქმული ანასტასი მონაზონისა. ცხოვრება შიშველ მართალთა და წმინდისა მამისა ზოსიმესი ქება-ქებათა იამბიკონად თქმული. ესე წიგნი არს თორმეტ ნაწილად. შეიკაზმა წიგნი ესე ქორონიკონის. სნც 258-1586“ (ქუთათელაძე 1889: №73, 3).

³ საგულისხმოა, რომ პროფესორმა ლევან მენაბდემ, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერების თავგადასავალს XIX-XX საუკუნეებში, გარეჯული კრებულისაგან განსხვავებით, სავსებით სწორად განსაზღვრა ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სხვა ხელნაწერის – მაისის თვენის (Ven.2) ნომერი ნიკო ჩუბინაშვილისეულ კატალოგში (№5) (მენაბდე 1980: 135. შდრ.: ცაგარელი 1894: 48; ფერაძე 2004: 160-162).

ჩამოთვლილი ექვსი ნიშნიდან უკლებლივ ყველა ახასიათებს ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის №4 ხელნაწერს: 1. გარეჯულ კრებულში წარმოდგენილია თორმეტი სხვადასხვა ტექსტი; 2. ხელნაწერს დასაწყისში დართული აქვს საძიებელი: „ზანდუკი ამა წიგნისა“; 3. ზანდუკში პირველივე ტექსტი სახელდებულია როგორც: „შემოხლევისათვეს მარხვათასა, ოქმული ანახტასი მონაზონისა“; 4. ამავე ზანდუკში რიგით მეექვსე ტექსტი მითითებულია შემდეგი სათაურით: „ცხორებად შოშეელ-მართალთა“. აღნიშნული სათაური საკმაოდ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი ხელნაწერის ძირითად ტექსტში: „შრომად და ცხორებად სანატრელთა მათ შოშეელ-მართალთად და წმიდისა მამისა ზოსიმენისა“; 5. ზანდუკისავე მიხედვით, რიგით მეცხრე ტექსტის სახელწოდებაა: „ქებად ქებათა, იამბიკონად ოქმული“; 6. გარეჯული კრებულის 305r-ზე დაწერილია ხელნაწერის განმაახლებლის მთავარეპისკოპოს ვლასე ურბნელის ვრცელი მინაწერი, რომლის ბოლო ფრაგმენტიც შემდეგი სახით იკითხება: „შეიკაზმად წმიდად ესე წიგნი ქრონიკონსა სხვ (1570 წ.)“.

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოყოფილ სახასიათო ნიშნებში იმდენად დიდი თანხმედრა გვაქვს, რომ, ვვიქრობთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – ნიკო ჩუბინაშვილის მიერ 1845 წელს აღწერილი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის №10 ხელნაწერი ანუ „მეტაფრასი“ და დღეისათვის ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული გარეჯული კრებული „სანატრელი“ ერთსა და იმავე ხელნაწერს წარმოადგენს (შდრ.: ჯოჯუა 2002გ: 104, 129).

Ven.4-ის ნიკო ჩუბინაშვილისეული აღწერილობის 1889 და 1894 წლების გამოცემები, პირველ რიგში, საყურადღებოა როგორც ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო ადრეული პერიოდის პუბლიკაციები, სადაც სამეცნიერო კუთხით არის დახასიათებული გარეჯული კრებული და მისი კოლოფონები: წარმოდგენილია ხელნაწერის შედგენილობა, მითითებულია რამდენიმე ტექსტის სათაური, ციტირებულია ერთ-ერთი მინაწერის ფრაგმენტი და ა. შ.

მეორეს მხრივ, ამ აღწერილობას მთელი რიგი ნაკლოვანებებიც ახლავს: კრებულის შედგენილობა მეტად არასრულად არის დახასიათებული: თორმეტი ტექსტიდან მხოლოდ სამის სათაურია მითითებული; თავად მითითებული ტექსტების სათაურები ერთი საერთო პრინციპით არ არის მოყვანილი – ზოგი მათგანი „ზანდუკიდანაა“ აღებული, ზოგიც უშუალოდ ტექსტიდან; ხელნაწერის მრავალრიცხვანი კოლოფონებიდან რატომდაც მხოლოდ ერთი, 1570 წლის

მინაწერია გამოყოფილი; იმავდროულად, არაფერია ნათქვამი Ven.4-ის გადამწერის 1160 წლის ანდერძის თაობაზე და სხვ.

ნიკო ჩუბინაშვილის მიერ საკუთარი კატალოგისთვის შერჩეული ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები სანახევროდაც ვერ პასუხობს ხელნაწერის აკადემიური აღწერილობის თანამედროვე ნორმებსა და მოთხოვნებს.

ნიკო ჩუბინაშვილის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგის შედგენიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1940 წელს ქალაქ ვენაში გამომავალი ავსტრიული სამეცნიერო ჟურნალის „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“ XLVII ტომში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, პარიზის წმ. ნინოს ქართული ეკლესიის წინამდღვრის, არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის წერილი, სახელწოდებით „Über die georgischen Handschriften in Österreich“ („ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“) (ფერაძე 1940)⁴.

ამ სტატიის დაბეჭდვიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი წელი ხნის შემდეგ, 2004 წელს თბილისში, ალმანახ „მწიგნობარში“ გამოქვეყნდა გრიგოლ ფერაძის დასახელებული ნაშრომის სრული ქართული თარგმანი კომენტარებითურთ. ტექსტი გერმანულიდან თარგმნა ცისია კილაძემ, თარგმანის რედაქტორობა იტვირთა დიმიტრი თუმანიშვილმა, ხოლო სტატიას კომენტარები ჩვენ დავურთეთ (ფერაძე 2004).

ვიდრე დასახელებული წერილის განხილვაზე გადავიდოდეთ, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ წინამდებარე ნაშრომში გრიგოლ ფერაძის მიერ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებები, გასაგები მიზეზების გამო, მოტანილი გვაქს არა უშუალოდ 1940 წლის გერმანულენოვანი პუბლიკაციიდან ანუ გერმანულ ენაზე, არამედ მისი ქართული თარგმანიდან, შესაბამისად, ქართულ ენაზე. ამასთან, ყველა ასეთ შემთხვევაში, 2004 წლის ქართული გამოცემის გვერდით, ვუთითებთ გერმანულენოვანი პუბლიკაციის შესაბამის გვერდებსაც.

აქვე, შევნიშნავთ იმასაც, რომ 1940 წლის პუბლიკაციაში მრავლად გვხვდება გარეჯული ქრებულის ცალკეული თხზულებებიდან და ანდერძინაწერებიდან ციტირებული ტექსტები, რომლებიც გრიგოლ ფერაძეს სტატიაში

⁴ ამ ვენური ჟურნალის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული XLVII ტომის მოძიებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს აწ გარდაცვლილმა მეცნიერმა, პროფესორმა ლევან მენაბდემ, ჩვენმა მასწავლებელმა, ფილოლოგოსმა თამაზ ჯოლოვუამ და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ცისანა ზუგაძიშვილმა, რისთვისაც უდრმეს მადლობას მოვახსენებთ მათ.

გერმანული თარგმანის სახით აქვს შეტანილი. წინამდებარე ნაშრომში მიზანშეუწოდლად მივიჩნიეთ ამ ტექსტების ისევ ქართულად გადმოთარგმნა და ისინი დედნის შესაბამისი ადგილების ჩვენეული წაკითხვებით ჩავანაცვლეთ. ამასთან, რაიმე აღრევის თავიდან აცილების მიზნით, ყველა ასეთი შემთხვევა მივუთითეთ სქოლიოში.

დავუბრუნდეთ საკუთრივ პუბლიკაციას. გრიგოლ ფერაძის წერილის სათაურიდან გამომდინარე, შეიძლება, შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ავტორს სტატიაში შესწავლილი პქონდა ავსტრიის სხვადასხვა სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერები. სინამდვილეში, პუბლიკაცია შეეხება, ძირითადად, ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ანუ ყოფილი ავსტრია-უნგრეთის საიმპერატორო კარის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას და რეალურად, წარმოადგენს 1940 წლისათვის ამ ბიბლიოთეკაში დაცული ოთხი ქართული ხელნაწერი წიგნის მეცნიერულ კატალოგს (ფერაძე 1940: შდრ.: ფერაძე 2004).

როგორც განსახილავ სტატიაზე დაკვირვება აჩვენებს, ბიბლიოთეკის კუთვნილი ოთხი ქართული წიგნიდან გრიგოლ ფერაძემ განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლა №4 ხელნაწერი ანუ ჩვენთვის საინტერესო გარეჯული კრებული და საკუთარი სტატიის დიდი ნაწილიც ხწორედ ამ ხელნაწერთან დაკავშირებულ საკითხებს დაუთმო (ფერაძე 1940: 219-222, 226-232; შდრ.: ფერაძე 2004: 160-161, 164-170, 172-173).

გრიგოლ ფერაძის პუბლიკაციის ძირითად ნაწილს ანუ კატალოგს წინ უძღვის ერთგვარი შესავალი ტექსტი. სტატიის ამ ნაწილში ავტორი საგანგებოდ ეხება გარეჯული კრებულის რაობას და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ Ven.4 პატრისტიკული ხელნაწერია: „№4 მთლიანად პატრისტიკული ხასიათის ხელნაწერია, რომლის მსგავსი, ქართული ხელნაწერებით მდიდარ თბილისის სიძველეთა მუზეუმშიც კი ბევრი როდია“ (ფერაძე 2004: 160. შდრ.: ფერაძე 1940: 220)⁵.

ადნიშნული მოსაზრების გამოთქმის შემდეგ გრიგოლ ფერაძე იქნა, სქოლიოში განმარტავს, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს ტერმინში „პატრისტიკული ხელნაწერი“. მკვლევრის თქმით, „ამგვარ პატრისტიკულ ხელნაწერებს ქართველი მეცნიერები მრავალთავს (დაახლ. πολυχέφαλος Βίβλος)

⁵ აქ ავტორს, სავარაუდოდ, მხედველობაში აქვს ამჟამინდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც, წერილის გამოქვეყნების უამს ანუ 1940 წელს, საქართველოს მუზეუმად იწოდებოდა და ქართულ ხელნაწერთა უმდიდრეს კოლექციებს ფლობდა.

უწოდებენ. ჩემთვის მხოლოდ შვიდი ასეთი ხელნაწერია ცნობილი: 1. ქ. ქ. სვანური ხელნაწერი; X საუკუნე; თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი №19; შეიცავს 73 თხულებას და დაწვრილებით არის აღწერილი სერგი გორგაძის მიერ, „საქართველოს არქივი“, III (ტფ., 1927); 2. პარხლისა; თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი №95; X საუკუნე; მოიცავს 151 თავს. ამ ხელნაწერის ორიგინალური ქართული თხულებები აღწერილია მოსე ჯანაშვილის მიერ, „ივერია“, №267 (ტფ., 1897). თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები ამჟამად თბილისის სიძველეთა მუზეუმშია; 3. ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერი №57 (ა. ცაგარელის მიხედვით); X საუკუნე; შეიცავს 61 თხულებას; დაწვრილებით აღწერილია ნიკო მარის მიერ, „Агіографические материалы по грузинскимъ рукописямъ Ивера“, I-II (Спб., 1900), II (Спб., 1901); 4. ბოდლის ხელნაწერი ოქსფორდში; გადაწერილია 1038-1040 წლებში; შეიცავს 50 თხულებას; საფუძვლიანად არის აღწერილი პაულ პეტერსის მიერ, *De codice hiberico, biblioth. Bodleiana Oxoniensis, „Analecta Bollandiana“*, XXXI (Bruxelles), 301-318; 5. ჯვრის მონასტრის პატრისტიკული ხელნაწერი; 1034-1042 წლები; ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმის საკუთრება – №Add.11281-2764; შეიცავს 12 თხულებას; აღწერილია სერ თლივერ უორდროპის მიერ, „Katologue of Georgian Manuscripts“, 397-405 (London. SA., სამწუხაროდ, თარიღისა და თხულებათა სათაურების მითოთების გარეშე). 6. სინას მონასტრის ხელნაწერი №83; 864 წელი; არასაკმარისად არის აღწერილი ა. ცაგარელის მიერ, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае, „Православный Палестинский сборникъ“* (Спб., 1888), IV, 1, 234-235; 7. ბერძნული საპატრიარქოს ხელნაწერები იერუსალიმში №2 და №3 (ორივე საერთო წარმომავლობისაა); შეიცავს 28 თავს; აღწერილია ნიკო მარის მიერ, „Житіє св. Григорія Хандзтійськаго“, (Спб., 1911), XXXVIII-XLI. ვენის №4 ხელნაწერი ამ ხელნაწერებთან არის ახლოს. ისინი შეიცავენ პატრისტიკული და პაგიოგრაფიული ლიტერატურის რამდენიმე დაკარგულ ძეგლს. ზოგიერთი ამ ტექსტთაგან უკვე გამოცემულია 6. მარისა და კ. კუპელიძის მიერ, მრავალი მათგანი კი მკვლევარს ელოდება. სამომავლოდ, მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება ყველა ამ ხელნაწერის დაწვრილებით აღწერა და მათი ურთიერთმიმართების შესწავლა“ (ფერაძე 2004: 170. შდრ.: ბერკე 1868: 220-221).

სტატიის შესავალი ტექსტის ბოლოს გრიგოლ ფერაძე რამდენიმე წინადადებით ეხება გარეჯული კრებულისა და ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის კიდევ ორი ქართული ხელნაწერის ავსტრიაში მოხვედრის მიზეზებს:

„...ვენის ხელნაწერები იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იყო დაცული. №2 და №3 ხელნაწერები პროფ. ალექსანდრე ცაგარელის 1888 წლის აღწერილობით არის ცნობილი. ამ დროისათვის ხელნაწერები ჯერ კიდევ მონასტერში ინახებოდა. №4 ასევე ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, მაგრამ ა. ცაგარელს ის ადგილზე აღარ დახვედრია. ხელნაწერი მთავარდიაკვან (მოგვიანებით კი მთავარეპოსკოპოს) კლეოპას საკუთრება გამხდარა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კი მის მემკვიდრეებს იგი ალექსანდრიაში გაუყიდიათ. ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობამ ეს სამი ხელნაწერი 1931 წელს ალექსანდრიაში, ვინმე ანტიკვარისაგან შეიძინა. გამგეობამ ხელნაწერები სანიმუშოდ აღადგინა და აკინძა“ (ფერაძე 2004: 161. შდრ.: ფერაძე 1940: 222).

გრიგოლ ფერაძის ნაშრომში შესავალი ტექსტის შემდეგ წარმოდგენილია პუბლიკაციის ძირითადი ნაწილი – ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, სადაც დანარჩენ სამ წიგნთან შედარებით, გაცილებით უფრო სრულყოფილად არის აღწერილი ჩვენთვის საინტერესო გარეჯული კრებული.

Ven.4-ის აღწერილობის დასაწყისში მკვლევარი მოკლედ ახასიათებს ხელნაწერის ტექნიკურ პარამეტრებს: „ქადალდი; 305 ფურცელი; ორ სვეტად; ფურცლები – 30 X 24; ტექსტი – 20,7 X 15; თითოეული სვეტი – 16,4 X 6; 17 მუხლი; ნუსხახუცური“ (ფერაძე 2004: 164. შდრ.: ფერაძე 1940: 226).

გარეჯული კრებულის ტექნიკური პარამეტრების დახასიათების შემდეგ გრიგოლ ფერაძე საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს ხელნაწერთან დაკავშირებულ კოდიკოლოგიურ საკითხებს და ამ მიზნით, Ven.4-ის ანდერძმინაწერებიდან საგანგებოდ გამოყოფს რამდენიმე კოლოფონის ტექსტს:

„ხელნაწერის წარმომავლობას გვამცნობს 304v-ზე ტექსტის ხელითვა, წითელი ფერის მელნით, ნუსხახუცურით შესრულებული საინტერესო ანდერძმი:

„სახელითა დმრთისათა, წიგნსა ამას ეწოდების სანატრელი [სანატრელი]. დაიწერა ქველითა უნდოხსა, შავ ნიკოლოზ ნიკრადხათა [ნ(ი)კ(ოლო)ნიკრადხათა], სანახებსა წმიდისა მამისა დაგითისსა, გარესჯას, კედელსა (?), რომელსა ეწოდების სახელად ბერთავ [სანახებსა წ(მიდ)ისა მამისა დაგითისსა. გარესჯას, კედელსა, რ(ომე)ლსა ეწოდების სოფლად ბერთავ], ქრონიკონსა ტა (1160 წ.), მეფობასა ძიხა დემეტრეს გიორგისაზე, წელსა მეფობისა მიხილასა ბ (3). დაამყარენ დმერთმან მეფობად მიხილა სათნოდ ოჯფლისა ჩუქისა იგებ ქრისტესა, რომლისავ არს დიდებად უკუნითი უკუნისადმდე, ამებ და შავ ნიკრახა

[და შავ ნიკრასა] შრომისათვეს კურთხევად საუკუნო, ამებ. დიდებად ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა, ამებ. მეუფეთ, გუაკურთხევე⁶.

ხელნაწერი 1160 წელსაა გადაწერილი. 1570 წელს იგი მთავარეპისკოპოს ვლასეს აუკინძავს და აღუდგენია. ამის შესახებ 305r-ზე მისივე ხელით, შავი ფერის მელნით, ნუსხახუცურით დაწერილი ანდერძი გვამცნობს:

„დიდებად ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისახა. ღირს ვიქმებ ძე, ურბნელ მთავარებისკოპოსი ვლასი, შეკაზმად წმიდისა ამის წიგნისა „სანატრელისა“ [სანატრელი], რამეთუ უამთა სიგრძისაგან განრყენილ და უკმარ ქმნილიყო და ჩუებ ახლად, ბრძანებითა და ჯერხინებითა მამისა ჩუენისა, ტფილელ მთავარებისკოპოსისა ბარნაბათა მამისათა, კელვავ შეკაზმად სალოცველად ცოდილისა სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შესანდობელად და ყოველთა ჩუენთა თჯეთა და ნათეხავთა მიცვალებულთა შესანდობელად და აწ, გევედრები ყოველთა, რომელნიცა იკითხვდით წმიდასა ამას წიგნისა, რაოთა ჭხენებულ ვიქმნებოდეთ წმიდათა შინა ლოცუათა თქუენთა, რაოთა თქუენცა მოიღოთ სახიდელი უხუვად მიმნიჭებლისა მის ყოველთა ღმრთისაგან და ერთობით ღირს ვიქმნებოდეთ სახუფველსა ცათასა, ამებ. ლოცუა ყავთ მამისა ბარნაბათვეს და ჩუებ სულიერთა ძმათათვეს და ჩემ, ცოდვილისა ვლახეხათვეს, რომელმან წმიდა ესე წიგნი შევჰაზმე. მრავალი ჭირი ვიხილე, ოჯალმან უწყის. შეიკაზმა წმიდა ესე წიგნი ქრონიკონსა სნც [სნც] (1570 წ.)⁷.

როგორც ანდერძი ცხადეყოფს, შესაძლოა, ხელნაწერი ამ თარიღებს შორის (ე. ი. 1160 წლის შემდეგ) გარეჯის მონასტრიდან პალესტინაში ვინმე უცნობმა ბერმა წაიღო, სადაც იგი იერუსალიმის ახლოს მდებარე ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში შეინახეს. ხენებული მთავარებისკოპოსები 1570-1572 წლებში ამ მონასტერში ცხოვრობდნენ და ძველი ხელნაწერების განახლება-აკინძვისათვის იღწვოდნენ.

⁶ ანდერძის ტექსტის წაკითხვა ჩვენია. რაც შეეხება დაკუთხულ ფრჩხილებში ჩასმულ, დაუხრელ, ხაზგასმულ ფრაგმენტებს, ისინი გრიგოლ ფერაძის 1940 წლის პუბლიკაციიდან გვაქვს ამოღებული. აქ ეს ფრაგმენტები ზუსტად ციტირებული სახით, ქართული მხედრული შრიფტით არის ჩართული ანდერძის გერმანული თარგმანის ტექსტში. ხენებულ ფარგმენტებში ქარაგმის გახსნა ჩვენია.

⁷ მინაწერის ტექსტის წაკითხვა ჩვენია. რაც შეეხება კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმულ, დაუხრელ, ხაზგასმულ ფრაგმენტებს, ისინი გრიგოლ ფერაძის 1940 წლის პუბლიკაციიდან გვაქვს ამოღებული. აქ ეს ფრაგმენტები ზუსტად ციტირებული სახით, ქართული მხედრული შრიფტით არის ჩართული მინაწერის გერმანული თარგმანის ტექსტში. ამავე მინაწერს დართული აქვს სქოლიოში ჩატანილი ავტორისეული შენიშვნა: „მთავარებისკოპოსის მიერ (ალბათ, დიდი რაოდენობით) აღდგენილი წიგნებიდან საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დღეისათვის მხოლოდ სამია დაცული – №77, №141 და №145 (იხ.: ა. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., 64, 169, 182, 188)“ (ფერაძე 2004: 172. შდრ.: ფერაძე 1940: 227).

1864 წელს ხელნაწერი კვლავ იქვე იმყოფებოდა და განახლებულ იქნა ბესარიონ ქორტიშვილის მიერ (ჩემდე წელს მხედრულით შესრულებული მინაწერი 8r-ზე).

1864 წლის შემდეგ (1883 წლამდე) ხელნაწერი ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკიდან გაიტანეს. 1883 წელს რუსეთის საიმპერატორო პალესტინური საზოგადოების დავალებით, პროფ. ა. ცაგარელმა შეისწავლა ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერები, მაგრამ ეს ხელნაწერი კატალოგში არ შეუტანია.

როგორც ბერძნული ანდერძი (303r, კლეიპას M. ΑΡΧΙΔΙΑΚΟΝΟC) ცხადყოფს, ეს ხელნაწერი მთავარდიაკვან კლეოპას პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა, რომელიც მოგვიანებით ნაზარეთის ეპისკოპოსი გახდა⁸. მთავარეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი, როგორც ჩანს, მისმა მემკვიდრეებმა მიჰყიდეს ვინმე ანტიკვარს ალექსანდრიაში, სადაც იგი 1931 წელს ვენის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა. იმავე წელს ხელნაწერი თავიდან აიკინძა და სანიმუშოდ იქნა რესტავრირებული ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობის მიერ“ (ფერაძე 2004: 164-165. შდრ.: ფერაძე 1940: 226-227).

Ven.4-ის კოდიკოლოგიური საკითხების მიმოხილვის შემდეგ გრიგოლ ფერაძემ სათითაოდ ჩამოთვლის ხელნაწერის აშიებზე დაცულ გრაფიკულ გამოსახულებებს: „ხელნაწერში გვხვდება რამდენიმე გრაფიკული ჩანახატი: 43r, 68r, 179r და 260r – ღმრთისმშობლის გამოსახულება; 33r – მაცხოვრის გამოსახულება; 71r, 129r და 192v – წმიდა გიორგის გამოსახულება; 94r – უცნობი წმიდანის გამოსახულება; აგრეთვე, 56r და 105r – ჯვრის მონასტრის ბეჭედი და 259v – სეფისკვერის საბეჭდავი (იგივე საბეჭდავი 203v-ზე ხელით არის გამოსახული)“ (ფერაძე 2004: 165-166. შდრ.: ბერჟე 1868: 228).

გრაფიკული გამოსახულებების ჩამოთვლის შემდეგ ავტორმა მოკლედ ახასიათებს ხელნაწერის დეკორატიული მორთულობის ძირითად ელემენტებს: „ყოველი ახალი აბზაცის პირველი ასო წითლად არის დაფერილი, ხოლო თითოეული თხზულების სათაური ყვავილთა მშვენიერი გვირგვინითაა გარშემოწერილი“ (ფერაძე 2004: 166. შდრ.: ფერაძე 1940: 228).

Ven.4-ის დეკორატიულ შემკულობაზე საუბრის შემდეგ გრიგოლ ფერაძე ახლა უკვე გარეჯული კრებულის შედგენილობაზე გადადის და პირველ რიგში,

⁸ იქვე, სქოლიოში: „არქიეპისკოპოსმა კლეოპამ იცოდა ქართული ენა და ბერძნული საპატიორქოს გაზეთში „Nea Sion“ პალესტინის ქართული მონასტრების ისტორიის შესახებ რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნა“ (ფერაძე 2004: 172. შდრ.: ფერაძე 1940: 227).

ხელნაწერის „ზანდუკა“ ახასიათებს: „პირველ გვერდზე ნუსხასუცურით მოცემულია სარჩევი, შინაარსის აღწერილობა.

ხელნაწერი თორმეტი თხზულებისაგან შედგება:

1. „შემოსლვისათვეს მარხვათასა, თქმული ანასტასი მონა ზონისა“.
2. „თარგმანებად მომიხსენეთა, თქმული გრიგოლი ნოსელისა“.
3. „აღდგომასა შემდგომად ამბორის ყოფისა, თქმული წმიდისა იოანე თქოპირისა“.
4. „ხაკითხავი ამაღლებისა“.
5. „კითხვა-მიგებანი წმიდისა ბახილისა და გრიგოლისი“.
6. „ცხორებად შიშველ-მართალთა“.
7. „ხაკითხავი წმიდისა ნისიმახი“.
8. „შეჩუმნებად მწვალებელთავა“.
9. „ქებად ქებავთა, იამბიკონად თქმული“.
10. „ხაკითხავი შობისა ღმრთისა ჩუქნისა იესქ ქრისტესი, დეკუნძერხა პვ (25)“.
11. „ხაკითხავი დიონისიოს არიოპაველისა“.
12. „აღრიცხვა წელთა ადამისითვანთა“ (ფერაძე 2004: 166. შდრ.: ფერაძე 1940: 228)⁹.

„ზანდუკის“ დახასიათების შემდეგ გრიგოლ ფერაძე სათითაოდ ეხება Ven.4-ში შეტანილ პირველ თერთმეტ თხზულებას და თითოეული ამ საკითხავის სათაური მოაქვს იმ სახით, რა სახითაც ისინი წარმოდგენილია Ven.4-ის ძირითად ტექსტში. გარდა ამისა, ავტორი იქვე მიუთითებს თერთმეტივე თხზულების პირველ და ბოლო გვერდებს, ხოლო ზოგიერთ ამ საკითხავს დამატებით ურთავს მათი ტექსტის დასაწყის ფრაგმენტებს:

- „1. 3v-41r. „თქმული ანასტასი მონა ზონისა, სინელისა, შემოსლვისათვეს მარხვათადსა და მეგებუსისათვეს ფსალმუნისა“. Migne, PG. 89, 1077-1116¹⁰.
2. 41v-177v. „თარგმანებად მოძიებებისა, თქმული წმიდისა გრიგოლი ნოსელისად“. Migne, PG. 44, 1193-1302.

⁹ „ზანდუკში“ წარმოდგენილი თორმეტივე თხზულების სათაურის წაკითხვა ჩვენია.

¹⁰ იქვე, სქოლიოოში: „სხვა ხელნაწერების შესახებ, რომლებიც იგივე თხზულებებს შეიცავენ და საქართველოში ინახება იხ.: ჩემი შრომა: Die altchristliche Literatur in der georgischen Überlieferung, „Oriens Christianus“, Jahrgänge, 1929-1933 (Leipzig)“ (ფერაძე 2004: 172. შდრ.: ფერაძე 1940: 228).

3. 178r-180r. „აღვეგბასა შემდგომად ამბორის ყოფისა. ესე საკითხავი ერთა ზედა იკითხევების, თქვემული წმიდისა მამისა ჩუქნისა ითანე თქროპირისად“. Migne, PG. 59, 721-724.

4. 180v-186v. „წმიდათა შორის მამისა ჩუქნისა ითანე თქროპირისა, კოხეგანგინგამლელ მთავარებისკოპოსისა, სიტყვად ამაღლებისათვე რცფლისა ჩუქნისა იქნა ქრისტესა“. Migne, PG. 52, 791-794.

5. 187v-208r. „სიტყვა-გებად კითხვა-მიგებითი დიდისა ბასილისი და გრიგორი ღმრთისმეტყუელისად“. Inc.: „პრქუა გრიგორი: „ვისხა შევავს წოდებად გულის გმისყოფად“.

6. 208v-224r. „შრომად და ცხორებად სანატრელთა მათ შოშუელ-მართალთად და წმიდისა მამისა ზოხიდეს“. Inc.: „ვამსა მას, რომელსა იყო კაცი ერთი უდაბნოს და სახელი მისი ზოხიდე“.

7. 224v-234v. „ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა გვაძტისად და იქმნა მამასახლის უდაბნოს მძუვართა ზედა, რიცხვთოსასთა“¹¹. Inc.: „იყო გვაძტეს დედაკაცი ერთი, რომელსა ერქუა ნისიმე“.

235r-249r. „მოთხოვობად წმიდათა მამათა მძუვართათვეს, რიცხვთოსასთა“. Inc.: „ხოლო ამისა შემდგომად მო-ვინგე-ვიდა მსახურსა გვლეხისასა თანა ალექსანდრიისასა“.

8. 249v-254v. „წვალებისა წინამდღუართა შეჩუქნებად“. Inc.: „არიოზ, უცხო ქმნელი ღმრთისაგან, მწვალებელთა წინამდღუარი“. აქვე განკითხული და დაწყევლილი არიან შემდეგი ერეტიკოსები: არიოზი, ევნომი, ნესტორი, სევერიანე და კვიტე.

9. 255r-266r. „ქებად ქებათად, შესხმად წმიდისა ღმრთისმობელისად ბრძნისა სოლომონისგან“. Inc.: „ამბორის ყოფად პირისად მომეცინ მე“.

10. 266v-292r. „უწყებათაგან პირულთა გამოწულილებით შეკრებული ნეტარისა ითანებან ხუცისა და მონაზონისა დამასკელისა, საკითხავი შობისათვე რცფლისა ჩუქნისა იქნა ქრისტესა“¹². Inc.: „რაჟამხ ზაფხული მოიწოხ, ყოვლისა სოლომისა ნიკონი კუალად განახლებად მოიქცევიან“.

¹¹ იქვე, სქოლიოში: „ბერძნულად – ბისხი ან ბისხიო (სამოვარზე გადენა). ასე უწოდებდნენ ასკეტებს, რომლებიც მხოლოდ ბალახებითა და ფესვებით იკვებებოდნენ“ (ფერაძე 2004: 172. შდრ.: ფერაძე 1940: 229).

¹² იქვე, სქოლიოში: „Migne, PG. 96, 763-768. ეს ქადაგება ითანე თქროპირის სახელითაა მოტანილი. იგი გამოცემულია ქუთაისში, 1912 წელს“ (ფერაძე 2004: 173. შდრ.: ფერაძე 1940: 230).

11. 292v-303r. „*ცხორებად წმიდისა დიონისითს გვისკოპოსისა, რომელი იყო ძე სოურატისი და მთავარი ათენელთად, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთად. მოთხოვობად ჯუარცუმისათვეს რაფლისა ჩუენისა იქნა ქრისტესა“ Inc.: „*გვთხოვთ თავისა თვესათვეს ნებარი დიონისი*“¹³ (ფერადე 2004: 166-167. შდრ.: ფერადე 1940: 228-230)¹⁴.*

Ven.4-ის პირველ თერთმეტ საკითხავთან შედარებით, გრიგოლ ფერადე გაცილებით უფრო დაწვრილებით ეხება გარეჯული კრებულის რიგით მეთორმეტე ტექსტს:

„12. 303v-304r. ვასილი ოპრაფის¹⁵ მოკლე უწყება სამყაროს შექმნისა და ქრონიკაფიის შესახებ¹⁶.

რადგან უწყებაში მრავალი შეცდომაა, მის მხოლოდ მოკლე შინაარსს მოვიყვან:

„ადამიდან წარდგნამდე გავიდა 2242 წელი; წარდგნიდან ბაბილონის გოდოლამდე – 425 წელი; ბაბილონის გოდოლიდან აბრაამის დროებამდე – 425 წელი; აბრაამის ხანიდან ებრაელთა უგვიპტიდან გამოსვლამდე – 430 წელი; უგვიპტიდან გამოსვლიდან ტაძრის აგებამდე – 757 წელი; ტაძრის აგებიდან ტყვეობამდე – 425 წელი; მთლიანად კი – 4880 წელი¹⁷. ტყვეობის ხანიდან ალექსანდრეს მეფობამდე – 318 წელი; ალექსანდრეს მეფობიდან ქრისტემდე – 303 წელი; მთლიანად კი – 5005 წელი¹⁸. ქრისტედან კონსტანტინემდე – 318 წელი; კონსტანტინეს დროიდან მეფე მიხაელის¹⁹, თეოფილეს ვაჟის მმართველობამდე – 5045 წელი, მთლიანად კი – 5365 წელი. ამ დროიდან ალექსი კომნენოსამდე – 245 წელი. ამგვარად, სამყაროს შექმნიდან აქამდე 6008 წელი

¹³ იქვე, სქოლიოში: „ეს ვერსია, სხვა ხელნაწერების მიხედვით, გამოქვეყნებულია პ. პეტერსის მიერ. იხ.: „*Analecta Bollandiana*“, XXXI (Bruxelles, 1912), 277-313“ (ფერადე 2004: 173. შდრ.: ფერადე 1940: 230).

¹⁴ თერთმეტივე თხზულების სათაურისა და მათი ტექსტების დასაწყისი ფრაგმენტების წაგითხვა ჩვენია.

¹⁵ იქვე, სქოლიოში: „ოპრაფი-ს ნაცვლად წაკითხულ უნდა იქნეს ოდრაფი. აქ მცდარადაა გადმოცემული ხრონიკაფი ან პაგიო-გრაფი – ვასილი ქრონო- ანუ პაგიოგრაფოსი“ (ფერადე 2004: 173. შდრ.: ფერადე 1940: 230).

¹⁶ იქვე, სქოლიოში: „როგორც ტექსტის ერთ-ერთი მინაწერიდან ჩანს, ამ ქრონიკაფიის მთარგმნელია თეოფილე. ეს თეოფილე XI საუკუნის პარგად ცნობილი ქართველი მწერალია. იხ.: პ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., 252-256“ (ფერადე 2004: 173. შდრ.: ფერადე 1940: 230).

¹⁷ იქვე, სქოლიოში: „სინამდვილეში ეს 4704 წელია“ (ფერადე 2004: 173. შდრ.: ფერადე 1940: 230).

¹⁸ იქვე, სქოლიოში: „თუ ათვლის წერტილად 4880 წელს ავიდებთ, ამ შემთხვევაში, 5501 წელია, ხოლო თუ 4704 წლიდან გამოვალთ, მაშინ 5325 წელი გამოდის“ (ფერადე 2004: 173. შდრ.: ფერადე 1940: 231).

¹⁹ იქვე, სქოლიოში: „მიხაელ III მეფობდა 842-867 წლებში“ (ფერადე 2004: 173. შდრ.: ფერადე 1940: 231).

გავიდა. როცა ეს თხზულება ქართულად ითარგმნა, მარტი იყო, ბერძნული ინდიკტონი ხ. დაიწერა 13 წლის შემდგომ, ტლა წელს, ინდიკტონს ლ (1111 წ.)²⁰ (ფერაძე 2004: 167-168. შდრ.: ფერაძე 1940: 230-231).

გარეჯულ კრებულში წარმოდგენული თხზულებების დახასიათების შემდეგ, გრიგოლ ფერაძე ყურადღებას ახლა უკვე გარეჯული კრებულის მინაწერებზე ამახვილებს და მათგან, საგანგებოდ გამოყოფს XVIII საუკუნის ორი მინაწერის ტექსტს:

„ზემოთ მოყვანილი ანდერძ-მინაწერების გარდა, ხელნაწერში სხვა, ძალზე საინტერესო მინაწერებიც გვხვდება.

ყდის მხარეს, მხედრულით:

„ჩღომ (1770 წ.) მარტს პვ (25). უღირხმან: იოანე. მღვდელი: მონაზონმან მუხამან. შევხწირე. ჯვარის. მონახტერსა. ჩემი: მოგებული უამნი. დავითი. კურთხევანი: კონდაკი. ხტამბისა. ვინცა მოხვიდეთ. აქ. იხმარეთ. იაითხეთ. და შენდობა. მიბრძანეთ. ვინც. ამ იერუსალიმიდამ. წაიღოს. ხელიმცა მოგვევთოს: და შეჩვენებულ იყოს. ქრისტეგან. და მეცა. მებახუხოს. დიდის. მხაჯულის. წინაშე. ა(მ)ნ: სახარებისა ხტამბისა პირდებულისა²⁰. ღ(მრ)თის მშობლისა: არს:²¹.

იქვე, სხვა ხელით ნაწერი:

„ჩღომ (1778 წ.) ოქონდერსა პვ (25). უღირხი არქიმანდრიტი ანგონიოს. ამა წმიდათა. ადგილოთა. მეორედ. მოვკე. და თაყვანისვეც. ყოველთ განმაცხოველებლებს. ქრისტებ საფლავება. და წმიდათა. გოლგოთას. და ყოველთა. წმიდათა. ადგილოთა. წმიდის მამის. იოანეს. ნაწერი ვნახე. წიგნები. ვეძით. და იერუსალიმს. წიგნების საუბავები²². ვნახე. სახარება. და კურთხევანი. ვპოვე. სხვა. არა იყო. ბევრი: ვეძით. ყველგან. და ვერ ვიპოვნე. ვინცა წაიღო. აღწერილისა მ(ე)ბრ. უყოს. და მას უპახუხოს. ვინც. ამ მონახტერს. გამოახვა. ა(მ)ნ:²³.

²⁰ იქვე, სქოლიოში: „სიტყვა პირდებული გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. შესაძლოა, იგი, მოციქულ ლუკას მიერ შექმნილ პირველ ხატს გულისხმობს, ან აღნიშნავს მრავალფერად გამოსახულებას, ან კიდევ ხატს, რომელიც სასწაულებრივად განახლდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ღმრთისმშობლის სასწაულომოქმედი ხატის სახელია. რამდენადაც ვიცი, გარდა ამ შემთხვევისა, პირდებულის ღმრთისმშობელი საქართველოში უცნობია“ (ფერაძე 2004: 173. შდრ.: ფერაძე 1940: 231).

²¹ ქარაგმის გახსნა, აგრეთვე, ფრჩხილებში მითითებული წელი და თვის რიცხვი ჩვენია.

²² იქვე, სქოლიოში: „მინაწერიდან ირკვევა, რომ იერუსალიმში, გარდა სამონასტრო ბიბლიოთეკებისა, არსებობდა ქართული ცენტრალური ბიბლიოთეკაც (იერუსალიმის წიგნთხაცვევი)“ (ფერაძე 2004: 173. შდრ.: ფერაძე 1940: 232).

²³ ქარაგმის გახსნა, აგრეთვე, ფრჩხილებში მითითებული წელი და თვის რიცხვი ჩვენია.

ორივე მინაწერი ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინის ქართული სამონასტრო ბიბლიოთეკები რიგიანად არ იმართებოდა“ (ფერაძე 2004: 168. შდრ.: ფერაძე 1940: 230-231).

სტატიის სულ ბოლო ნაწილში გრიგოლ ფერაძე გარეჯული კრებულის მინაწერებიდან დამატებით გამოყოფს ოცზე მეტი კოლოფონის ტექსტს და იქვე მიუთითებს, თუ კონკრეტულად ვინ არის მოხსენიებული ამ ტექსტებში:

„სხვა მინაწერებში იხსენებიან: 4r (1863 წ. 9 დეკემბერი), 8r (1864 წ.), 39r, 41v, 42r (სამივე – 1863 წ.), 56r, 81r, 129r, 180r (1863 წ.) და 292v – ბესარიონ ქიოტიშვილი; 25v, 39v და 218r (სამივე – 1806 წ.), 41r, 209r, 224v, 249rv და 292r (ყველა უთარიდო) – ბერი ლავრენტი“

18v-ზე – აღდგომის მონასტრის ბერი იოსებ ხუნტუსძე; 120r – ამბროსე და მისი პატრონი ქაიხოსრო; 187r – დიაკვანი ესაია; 265r – ბატონიშვილი თინათინ-ყოფილი ნინო; იქვე – მონაზონი თებრონია გურიიდან და მისი ბიძა გრიგოლ ხევარიძე“ (ფერაძე 2004: 168-169. შდრ.: ფერაძე 1940: 232).

დასასრულ, აღგნიშნავთ იმასაც, რომ გრიგოლ ფერაძეს სტატიის ბოლოს ჩამოთვლილი მინაწერებიდან სქოლიოში საგანგებოდ მოაქვს ორი კოლოფონის ტექსტი:

18v. „აღდგომები იოხებ ხუნტუსძის“ (ფერაძე 2004: 173. შდრ.: ფერაძე 1940: 232).

265r. „ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე. ბატონიშვილი თინათინ. ყოფილი ნინო“ (ფერაძე 2004: 173. შდრ.: ფერაძე 1940: 232)²⁴.

ამით ვასრულებთ გრიგოლ ფერაძის 1940 წლის გერმანულენვანი სტატიის დეტალურ მიმოხილვას. ვფიქრობთ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მკვლევარმა განხილული ნაშრომით უმნიშვნელოვანესი ეტაპი შექმნა გარეჯული კრებულისა და მისი ანდერძ-მინაწერების სამეცნიერო შესწავლის საქმეში. მეტიც, არ შევცდებით, თუკი ვიტყვით, რომ არც ქართულ და არც რომელიმე უცხო ენაზე დღემდე არ შექმნილა სამეცნიერო გამოკვლევა, სადაც ასე მრავალმხრივად იქნებოდა გაშუქებული Ven.4-თან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.

გრიგოლ ფერაძის სტატიის დაბეჭდვიდან ორ ათეულ წელზე მეტი სხის შემდეგ, 1962 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლევან მენაბდეგმ გამოაქვეყნა თავისი

²⁴ მინაწერში ქარაგმის გახსნა ჩვენია.

მონოგრაფიული ნაშრომის „ძველი ქართული მწერლობის კერების“ I ტომის პირველი ნაკვეთი. წიგნში, სხვა მრავალფეროვან მასალასთან ერთად წარმოდგენილი იყო გარეჯის ქვაბოვან სავანებში გადაწერილი ხელნაწერებისა და აქ მოღვაწე მწიგნობარ-კალიგრაფთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი (მენაბდე 1962: 273-319).

ჩამონათვალის ბოლოს ლევან მენაბდეს სქოლიოში ჩატანილი პქონდა შენიშვნის ტექსტი, სადაც ზემოთ განხილულ 1940 წლის სტატიაზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ „გ. ფერაძეს ვენაში უნახავს ნიკოლოზ ნიკრაის მიერ 1160 წელს გარეჯში გადაწერილი მოზრდილი კრებული“ (მენაბდე 1962: 319).

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ წიგნში სხვა არაფერი იყო ნათქვამი Ven.4-ის შესახებ, ამ ცნობას მაინც დიდი მნიშვნელობა პქონდა ქართველი ფილოლოგოსებისა და ისტორიკოსებისათვის. მართლაც, ლევან მენაბდის ნაშრომი წარმოადგენდა საქართველოში დაბეჭდილ პირველ წიგნს, რომლის დახმარებითაც ფართო სამეცნიერო საზოგადოებამ გარკვეული ინფორმაცია მიიღო არამხოლოდ ქვეყნის იმდროინდელი ხელისუფლების მიერ შერისხული ემიგრანტი მეცნიერის ერთ-ერთი პუბლიკაციის თაობაზე, არამედ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 1160 წლის გარეჯული კრებულის შესახებაც²⁵.

ლევან მენაბდის წიგნის გამოცემიდან დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ Ven.4-ით საგანგებოდ დაინტერესდა ქართველ ფილოლოგოსთა ერთი ჯგუფი და რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ნაშრომიც მიუძღვნა გარეჯულ კრებულს, უფრო ზუსტად კი, კრებულში წარმოდგენილ „ქებავ ქებათავს“ ტექსტს. ამ მხრივ, პირველი რიგში, აღსანიშნავია ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის, პროფესორ ზურაბ სარჯგელაძის მიერ 1983 წელს,

²⁵ საბჭოთა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი უკიდურესად აგრესიული დამოკიდებულების უკეთ წარმოსაჩენად მოვიყვანთ ნაწყვეტს ისტორიკოსი გოჩა საითიძის სტატიიდან „წმ. მდვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)“: „...მამა გრიგოლს მისმა მოღვაწეობამ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უდიდესი ავტორიტეტი მოუხვეჭა. მის მრავალმხრივ საქმიანობას იგნორირებას მხოლოდ საბჭოთა სისტემა უწევდა. აქ, როგორც წესი, გრიგოლ ფერაძის ნაშრომების არათუ დაბეჭდვა, არამედ სქოლიოში დამოწმება და, უბრალოდ, სახელის ხსენებაც კი სასტიკად იკრძალებოდა. საიდუსტრიალიზ ერთ მაგალითს მოვიტანთ: „1937 წელს, როდესაც მთელს მსოფლიოში ფართოდ აღინიშნებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტეაოსნის“ 750 წლის იუბილე, გრიგოლ ფერაძემ ამ დირსებული თარიღს ერთბაშად სამი ნაშრომი უძღვნა, ვარშავაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებაც წაიკითხა. იუბილესთან დაკავშირებული დონისძიებები, რასაკვირველია, საქართველოშიც ტარდებოდა, გამოიცემოდა სამეცნიერო კრებულები თუ წიგნები, რომელთაგან ერთ-ერთს სავალალო ბედი ეწია: ცნობილი ლიტერატორის – გაიოზ იმედაშვილის წიგნი საბჭოთა ცენზურამ აკრძალა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორს სქოლიოში მითითებული პქონდა გრიგოლ ფერაძის ნაშრომი შოთა რუსთაველის შესახებ“ (საითიძე 2003: 17).

კრებულ „მრავალთავის“ X ტომში გამოქვეყნებული სტატია „ვენაში დაცული „ქებავ ქებათავს“ ტექსტისათვის“ (სარჯველაძე 1983).

სტატიის შესავალ ნაწილში ავტორი შეგვახსენებს, რომ განსახილავი ბიბლიური წიგნის „ქებავ ქებათავს“ ტექსტი დაცულია რამდენიმე ქართულ ხელნაწერში და იქვე ჩამოთვლის ამ ნუსხებს: ოშკის ბიბლია (978 წ.), მცხეთური ანუ სულხან-საბა ორბელიანის მიერ გადაწერილი ბიბლია (XVII-XVIII სს.) და ბაქარისეული პირველნაბეჭდი ბიბლია (1743 წ.). მკვლევრის თქმით, გარდა უშუალოდ „ქებავ ქებათავს“ ტექსტისა, ცნობილია „ქებავ ქებათავს თარგმანებები“, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია შატბერდის კრებულსა (X ს.) და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ თრ ხელნაწერში – A-55-სა (XII ს.) და A-65-ში (1188-1210 წწ.). დასასრულ, ავტორი შენიშვნავს, რომ იმავე A-65-ში შეტანილია შესაბამისი „თარგმანებიდან“ გამოკრებილი „ქებავ ქებათავს“ ტექსტიც (სარჯველაძე 1983: 75)²⁶.

ამის შემდეგ ზურაბ სარჯველაძე პირდაპირ გადადის გარეჯულ კრებულზე და გგაუწყებს, რომ „ქებავ ქებათავს“ სრული ტექსტი არის დაცული აკსტრიაში, ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის №4 ქართულ ხელნაწერში. ეს საინტერესო ხელნაწერი აღწერა გრ. ფერაძემ (აქ ავტორს მხედველობაში აქვს გრიგოლ ფერაძის 1940 წლის სტატია – თ. ჯ.). ამ შემთხვევაში უსათუოდ იმსახურებს

²⁶ სპეციალური ლიტერატურის თანახმად, ზურაბ სარჯველაძის მიერ ჩამოთვლილ ხელნაწერებში შემონახულია „ქებავ ქებათავს“ ხუთი განსხვავებული რედაქცია. აქედან, პირველი რედაქცია დაცულია 978 წლის ოშკის ბიბლიაში (Ath.1) (გიგინეიშვილი ... 1989: 559-572; ცაგარელი 1886: 17-56; კიკნაძე 1965: 127-134; დოჩანაშვილი 1985: 21-30; სოლომონი 1987: 164-174, 717). მეორე რედაქცია წარმოდგენილია XI-XII საუკუნეებით დათარიღებულ A-55-სა (ბრეგაძე ... 1973: 147-153; კიკნაძე 1965: 127-134; დოჩანაშვილი 1985: 21-30) და სულხან-საბა ორბელიანისეულ ბიბლიაში (A-51) (გიგინეიშვილი ... 1989: 609-619; კიკნაძე 1965: 133-134; დოჩანაშვილი 1985: 21-31, 61-68), აგრეთვე, XII საუკუნის გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებულში (A-108) (ბრეგაძე ... 1976: 29, 33; კიკნაძე 1965: 126), XVIII საუკუნეში გადაწერილ Q-1052-სა (კიკნაძე 1965: 126) და ათონის ივერთა მონასტრის კუთვნილ ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში (კიკნაძე 1965: 126). „ქებავ ქებათავს“ მესამე რედაქცია შეტანილია 1188-1210 წლების კრებულში – იგივე A-65-ში (ბრეგაძე ... 1973: 224-230; გიგინეიშვილი ... 1989: 592-593; კიკნაძე 1965: 133; დოჩანაშვილი 1985: 21-30); ხოლო კიდევ ერთი, რიგით მეოთხე რედაქცია კი – ქართლის მეფის ბაქარის (1717-1719 სს.) საფასით 1743 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ბიბლიაში (გიგინეიშვილი ... 1989: 627-635; კიკნაძე 1965: 133; დოჩანაშვილი 1985: 21-30). ცალკე მსჯელობის საგანია „ქებავ ქებათავს თარგმანების“ ის ტექსტი, რომელიც, სათაურის თანახმად, იძოლიბერ რომაელს მიეკუთვნება და რომელიც, ჩვენამდე სამი ხელნაწერით არის მოღწეული. ეს ნუსხებია: X საუკუნის შატბერდის კრებული (S-1141) (იძოლიბერ 1901: V-ის; გიგინეიშვილი ... 1979: 15-44, 249-268), XII-XIII საუკუნეების იერუსალიმური ხელნაწერი №39 (მარი 1955: 81-82; გიგინეიშვილი ... 1979: 32-36) და XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული კრებული (A-165) (ბრეგაძე ... 1976: 244-248; გიგინეიშვილი ... 1979: 32-36). ამ თხზულებაში განმარტებული „ქებავ ქებათავს“ ტექსტი, ზურაბ სარჯველაძის ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი ნაშრომის თანახმად, არ მიეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი რედაქციიდან არც ერთს და მათგან განსხვავებულ მეხუთე რედაქციას ქმნის (ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ მკვლევრის ქალიშვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელს, ფილოლოგოს სოფიო სარჯველაძეს).

უფრადლებას ის ფაქტი, რომ „ქებავ ქებათავ“ შეტანილია არაბიბლიურ კრებულში. როგორც კარგადაა ცნობილი, „ქებავ ქებათავ“ არ გვხვდება ლექციონარებშიც კი, სადაც თითქმის ყველა სხვა ბიბლიური წიგნებიდან არის დადასტურებული ნაწყვეტები, ხოლო ცალკეული წიგნები (რუთისა, იონას წინასწარმეტყველება და სხვა) მთლიანადაა წარმოდგენილი“ (სარჯველაძე 1983: 75).

ოდნავ უფრო ქვემოთ მკვლევარი კიდევ ერთ საყურადღებო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას: „ირკვევა, რომ ავსტრიულ ხელნაწერში დადასტურებული ტექსტი არ მისდევს „ქებავ ქებათავს“ სხვა რომელიმე ქართულ რედაქციას. იგი განკერძოებით დგას და დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს. ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში ქართული ტექსტი საკმაოდ სხვაობს თვით ბერძნული ტექსტისაგან“ (სარჯველაძე 1983: 75). აღნიშნული მოსაზრების დასასაბუთებლად ზურაბ სარჯველაძე საფუძვლიანად განიხილავს არამხოლოდ „ქებავ ქებათავს“ ვენურ ნუსხას, არამედ ამ ტექსტის სხვა ქართულ და ბერძნულ ვარიანტებსაც (სარჯველაძე 1983: 76-79).

ზურაბ სარჯველაძის განხილულ ნაშრომს განსაკუთრებულ სამეცნიერო დორებულებას სძენს ის ფაქტიც, რომ მკვლევარს წარმოდგენილი აქვს „ქებავ ქებათავს“ ვენური ნუსხის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სრული პუბლიკაცია. ტექსტი აკადემიური სახით არის გამოცემული (სარჯველაძე 1983: 79-86).

ცალკე აღნიშვნის დირსია კიდევ ერთი გარემოება. სტატიის ავტორს „ქებავ ქებათავს“ ტექსტისათვის დართული აქვს გარეჯული კრებულის შესაბამისი ფურცლების (255r-266r) აშიებზე შესრულებული ოთხი მინაწერის ტექსტი. უცვლელი სახით მოგვავს ამ კოლოფონების ზურაბ სარჯველაძისეული პუბლიკაცია:

1. „აშიაზე (იგულისხმება 265r-ს აშია – თ. ჯ.): „მანდრაგორი გაშლია, ძმანო“ (სარჯველაძე 1983: 85).
2. „აშიაზე (იგულისხმება ამავე 265r-ს აშია – თ. ჯ.): „ღმერთო, შეიწყალე ბატონიშვილი თინათინ, ყოფილი ნინო. ღმერთო, შეიწყალე ფედრონია მონაზონი, გურული, ბიბა მისი გრიგოლ ხევარიძე“ (სარჯველაძე 1983: 86)²⁷.

²⁷ ეს ორი კოლოფონი, როგორც უპვე ვნახეთ ზემოთ, გრიგოლ ფერაძის სტატიაშიც არის მოხსენიებული (ფერაძე 2004: 162). გარდა ამისა, დასახელებულ პუბლიკაციაში სრული სახითაა შეტანილი პირველი მინაწერის ტექსტიც (ფერაძე 2004: 173).

3. „მინაწერი (იგულისხმება 266r-ზე ნიკოლოზ ნიკორაის ხელით შესრულებული და უშუალოდ „ქებავ ქებათავს“ ტექსტზე მიკრული კოლოფონი – თ. ჯ.): „დიდებავ ღმერთსა, ხრულ-ძულველისა ყოველთასა, ამებ“ (სარჯველაძე 1983: 86).

ზურაბ სარჯველაძის სტატიას ასრულებს რუსულ ენაზე შედგენილი რეზიუმე, სადაც კიდევ ერთხელ არის შეჯამებული მკვლევრის მიერ გამუჩქმული ძირითადი მოსაზრებები: „Грузинская рукопись 1160 года Венской национальной библиотеки (№4) содержит полный текст „Песни песней“. В результате сравнения Венского текста с другими вариантами этой книги автор приходит к выводу, что Венский текст самостоятельный перевод с греческого языка. Время перевода – приблизительно XI в²⁸. Интересен язык Венского текста. Он содержит лексические единицы, которые не учтены в словарях древнегрузинского языка. К статье прилагается Венский текст Песни песней“ (სარჯველაძე 1983: 87).

ამრიგად, ზურაბ სარჯველაძის 1983 წლის სტატია შეიძლება ჩაითვალოს საეტაპო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო პუბლიკაციად, რომელმაც საფუძველი დაუდო გარეჯულ კრებულში თავმოყრილი ტექსტების აკადემიური შესწავლისა და გამოცემის საქმეს.

განხილული სტატიის დაბეჭდვიდან მცირე ხნის შემდეგ, 1985 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ სერიით „მცხეთური ხელნაწერი“ გამოაქვეყნა სულხან-საბა თრბელიანისეული ბიბლიის (A-51) რამდენიმეტომიანი გამოცემის მეოთხე ნაკვეთი. პუბლიკაციაში შეტანილი იყო შემდგარი ტექსტები: ეპლესიასტები, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა და წინასწარმეტყველების: ესაიას, იერემიას, ბარუქისა და ეზეკიელის წიგნები. ძეგლები გამოსაცემად მოამზადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ელენე დოჩანაშვილმა. მანვე შეადგინა პუბლიკაციისათვის წამდგარებული კრცელი შესაგალი ტექსტიც (დოჩანაშვილი 1985).

აღნიშნულ შესაგალ ნაწილში მთელი თავი აქვს დათმობილი მცხოვრებელნაწერში წარმოდგენილ ერთ-ერთ ბიბლიურ წიგნს „ქებავ ქებათავს“. მასზე საუბრისას ელენე დოჩანაშვილი თანმიმდევრულად მიმოიხილავს სხვადასხვა ქართულ ხელნაწერებში დაცულ ნუსხებს და არსებითად უცვლელი სახით იმეორებს სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ სამ ძირითად

²⁸ საგულისხმოა, რომ ავტორის მიერ შემოთავაზებული ბოლო დებულება უშუალოდ სტატიაში შეტანილი არ არის და მხოლოდ რუსულენოვან რეზიუმეში გვხვდება.

მოსაზრებას: 1. 978 წლის ოშეის ბიბლიაში (Ath.1), 1160 წლის გარეჯულ კრებულში (Ven.4), 1188-1210 წლების A-65-სა და 1743 წლის პირველნაბეჭდ ბიბლიაში წარმოდგენილია „ქებავ ქებათავს“ ოთხი განსხვავებული რედაქცია; 2. XI-XII საუკუნეებით დათარიღებული A-55-ისა და XVII-XVIII საუკუნეების მცხეოური ბიბლიის (S-1141) ნუსხები ქმნიან ზემოთ ჩამოთვლილი რედაქციებიდან ცალკე მდგომ, რიგით მეხუთე რედაქციას; 3. „ქებავ ქებათავს“ ქართულ რედაქციათა მთარგმნელი პირები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ ერთი რომელიმე უცხოენოვანი წყაროთი და საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად სარგებლობენ სხვა წყაროებითაც (დოჩანაშვილი 1985: 21-30).

ამ დასკვნების პარალელურად, ელენე დოჩანაშვილი საგანგებოდ გამოყოფს გარეჯულ კრებულში დაცულ „ქებავ ქებათავს“ ტექსტს და რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მის შესახებ: „როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზ. სარჯველაძემ გამოსცა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული „ქებავ ქებათავს“ სრული ტექსტი და ამ ტექსტის შესახებ საგანგებო გამოკვლევა, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ავსტრიულ ხელნაწერში დადასტურებული ტექსტი არ მისდევს „ქებავ ქებათავს“ სხვა რომელიმე ქართულ რედაქციას. იგი განკერძოებით დგას და დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს. ეს შეიმჩნევა როგორც რედაქციულ-შინაარსობრივ ასპექტში, ისევე ლექსიკაში. დასახელებული ნაშრომის ავტორი თვლის, მიუხედავად თვით ძეგლის ბერძნული ტექსტისაგან არა ერთი განსხვავებისა, რომ იგი აუცილებლად ბერძნულიდან არის თარგმნილი და ამის დამადასტურებული მასალა მოაქვს. მართლაც, ამ ტექსტის გულდასმით შეჯერება სხვა ქართულ ნუსხებთან და ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხო (ბერძნული, სომხური, ებრაული, ლათინური) წყაროებთან სრულიად დამაჯერებლს ხდის ზ. სარჯველაძის დასკვნას. მაგრამ ინტერესს აღძრავს და გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ როდესაც S ნუსხას (იგულისხმება „ქებავ ქებათავს“ სულხან-საბასეულ ბიბლიაში წარმოდგენილი ნუსხა – თ. ჯ.) კუდარებდით სხვა ნუსხებსა თუ უცხო წყაროთა ჩვენებებს, ზოგჯერ ის განსხვავებული ლექსემა თუ სხვა რამ განმასხვავებული ნიშანი სწორედ ნუსხაში ე. ი. ავსტრიულ ტექსტში იჩენდა თავს. რედაქციულად ისინი ისევ ცალკე რჩებიან ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, მაგრამ აღნიშნული გარემოება

მათში საერთო წყაროდან მომდინარე ნაკადის არსებობაზეც უნდა მიუთი-
ოებდეს“ (დოჩანაშვილი 1985: 28-29)²⁹.

როგორც ვხედავთ, „მცხეთური ხელნაწერის“ მეოთხე ნაკვეთისთვის წამძღვარებულ შესავალში ელენე დოჩანაშვილმა ერთგვარად გააგრძელა გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ერთ-ერთი ტექსტის „ქებად ქებათას“ ფილოლოგიური შესწავლის საქმე და არამხოლოდ გაიზიარა, არამედ რამდენიმე ახალი დაკვირვებითაც გაამდიდრა ზურაბ სარჯველაძის მიერ ამავე ტექსტის შესახებ ოდნავ უფრო ადრე გამოთქმული მოსაზრებები.

„მცხეთური ხელნაწერის“ მეოთხე ნაკვეთის დაბეჭდვიდან არცოუ ისე დიდი ხნის შემდეგ, 1989 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა აგრეთვე რამდენიმეტომიანი გამოცემის „წიგნი ძუელისა აღთქუმისანის“ პირველი ნაკვეთი, სადაც შეტანილი იყო „შესაქმისათვის“ და „გამოსლვათათვის“ ტექსტები. წიგნს დამატების სახით ერთვოდა „ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, რომელიც, თავის მხრივ, შესრულებული იყო ფილოლოგოსების: ბაქარ გიგინეიშვილის, ნარგიზა გოგუაძის, გულნაზ კიკნაძის, ციალა ქურციკიძისა და უჩა ცინდელიანის მიერ (გიგინეიშვილი ... 1989).

აღნიშნულ „აღწერილობაში“, როგორც ეს მისი სახელწოდებიდან ჩანს, მეტნაკლები სისრულით არის დახასიათებული ყველა ის ქართული ხელნაწერი, სადაც ძველი აღოქმის თუნდაც ერთი წიგნი მაინც არის წარმოდგენილი. ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებულ ამ ორ ათეულამდე ხელნაწერს შორის, რასაკვირველია, გარეჯულ ქრებულსაც ვხვდებით. მისი აღწერილობა გულნაზ კიკნაძის მიერ არის შედგენილი (გიგინეიშვილი ... 1989: 538).

პუბლიკაციაში გვითხულობთ: „გენის ნაც. ბიბლ. ხელნ. 4. კრებული. 1160.
305 ფ.; 30X24; ქაღალდი; ნაწერი 20,7X15, სვეტი 16,4X6; გვერდზე 17 სტრიქონი;
ნუსხური, საზედაო ასოები ასომთავრულით; გადამწერი ნიკოლოზი (304v),
გადაწერის ადგილი დავით გარეჯა (304v); მკაზადელი ვლასი (305r); 1160;
მინიატიურა (260). „ქებავ ქებათავ, შესხმავ წმიდისა ღმრთისმმობელისავ,

ბრძნისა სოლომონისაგან; მეუფეთ, გუაკურთხებ, – ამბორის-ყოფად პირისად მომეცის მე, რამეთუ შენი ძუძუნი ღვინისა მჯობ არიან...³⁰. 255r-266r. შენიშვნები: 1. ტექსტი მოთავსებულია არაბიბლიური ხასიათის კრებულში, ნათარგმნი ბერძნულიდან XI ს-ში, გამოიკვლია და გამოაქვეყნა ზ. სარჯველაძემ (იხ. ზ. სარჯველაძე, ვენაში დაცული „ქებად ქებათავს“ ტექსტისათვის, მრავალთ., X, 1983, გვ. 75-87). 2. ხელნაწ. აღწერილი აქვს გ. ფერაძეს (იხ.: Gr. Peradze, Über die Georgischen Handschriften von Österreich: Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes 1940, Bd. 47, H. 3-4, S. 226-232). მინაწერები (ნუსხერით): 1. „ლეგერთო, შეიწყალე ბატონიშვილი თინათინ, ყოფილი ნინო“; 2. „ლეგერთო, შეიწყალე ვებრონია მონაზონი გურული, ბიძა მისი გრიგოლ ხევარიძე“ (265r); 3. „ლილება ლეგერთსა, სრულმყოფელსა ყოველთასა, ამებ“ (265r)³¹. სხვა მინაწერების შესახებ იხ.: G. Peradze, დასახ. ნაშრ., იქვე“ (გიგინეიშვილი ... 1989: 593).

ამრიგად, გულნაზ კინაძემ სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა გარეჯული კრებულის პირველი ქართულენოვანი აღწერილობა, რომელიც, მართალია, ინფორმაციის სისრულით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა გრიგოლ ფერაძისეულ გერმანულენოვან აღწერილობას, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას არ წარმოადგენდა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვისაც გაცილებით უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იყო.

XX საუკუნის 90-იან წლებში გარეჯული კრებულისადმი სამეცნიერო ინტერესმა ერთგვარად იკლო. მართლაც, ამ პერიოდიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი პუბლიკაცია, 1995 წელს დაბეჭდილი შემცნებით-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნი „ბიბლიის მეგზური“, რომლის ქართული კერძიაც ფილოლოგოს ელგუჯა გიუნაშვილს ეკუთვნის. აქ „ქებად ქებათავს“ შემცველ სხვა ქართულ ხელნაწერებს შორის უბრალოდ დასახელებულია Ven.4 (გიუნაშვილი ... 1995: 32).

XXI საუკუნის დასაწყისიდან გარეჯული კრებულისა და მისი ანდერძინაწერების სამეცნიერო კვლევის პროცესი ისევ განახლდა. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ავსტრიის ქართული სიძველეების ცნობილი მკაფეობრის, ფილოლოგოს ვახტანგ იმნაიშვილის ავტორობით 2001 წელს გამოქვეყნებული

³⁰ „ქებად ქებათავს“ ეს ფრაგმენტი სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი გრიგოლ ფერაძისა (ფერაძე 2004: 167) და ზურაბ სარჯველაძის (სარჯველაძე 1983: 79) პუბლიკაციებში.

³¹ აქ ციტირებული კოლოფონები სხვადასხვა სახით არის შეტანილი გრიგოლ ფერაძისა (ფერაძე 2004: 169, 173) და ზურაბ სარჯველაძის (სარჯველაძე 1983: 86) სტატიებში.

მცირებანიანი წიგნი „სინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ქართული ხელნა-წერების ისტორია)“. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გრაცის უნივერსიტეტის კუთვნილ ქართულ ხელნაწერებს, უფრო ზუსტად კი, ამ ხელნაწერების სინას მთიდან გრაცში მოხვედრის პერიპეტიებს ეთმობა (იმნაიშვილი 2001).

გარდა ამისა, ვახტანგ იმნაიშვილი გაკვრით ეხება ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო Ven.4-საც და ამ ხელნაწერების „პირად საქმეებზე“ დაყრდნობით, გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის მათი ვენაში მოხვედრის დროისა და პირობების შესახებ: „ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის №1 ხელნაწერი 1873 წლის 8 მაისს იყიდეს 45 გულდენად ანტიკვარ გოლდშმიდტისაგან, №№2-3-4 ხელნაწერები (№4 ხელნაწერში იგულისხმება გარეჯული კრებული – ო. ჯ) პროფესორმა ტურკერმა ბიბლიოთეკისათვის უცნობი ანტიკვარისაგან 1931 წლის 3 იანვარს შეიძინა ეგვიპტეში, ალექსანდრიაში, ხოლო №5 ხელნაწერი, სახარება, 1938 წლის 15 ივნისს იყიდეს ვენაში ნატალია კრონეგერისაგან“ (იმნაიშვილი 2001)³².

როგორც ვხედავთ, ვახტანგ იმნაიშვილმა მის მიერ წარმოებული კოდიკოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა რამდენიმე დაზუსტებული ცნობა გარეჯული კრებულის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ბოლო მონაკვეთის შესახებ.

Ven.4-ის ფილოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით, საკმაოდ წარმატებული გამოდგა 2003 წელი. დავიწყოთ იმით, რომ ამ წელს კრებულ „მრავალთავის“ XX ნომერში გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის ქეთევან ასათიანის სტატია: „ნისიმეს ცხოვრების“ XII საუკუნის უცნობი ქართული ნუსხის შესახებ (წინასწარი ცნობები), რომელიც საგანგებოდ გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიული თხზულების – წმ. ნისიმეს „ცხოვრებისადმი“ იყო მიძღვნილი (ასათიანი 2003: 53-59)³³.

³² ზუსტად სამი წლის შემდეგ, 2004 წელს ვახტანგ იმნაიშვილმა გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი სახელწოდებით: „უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში“. ავტორს წიგნში A ნაკვეთად შეტანილი აქვს 2001 წელს დაბეჭდილი წიგნაკის ტექსტი (იმნაიშვილი 2004: 4-46). ვინაიდან 2004 წლის გამოცემა აბსოლუტურად უცვლელი სახით იმეორებს 2001 წლის პუბლიკაციის ჩვენთვის საინტერესო ადგილს, წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ამ უკანასკნელის ციტირება ჩატვირთვის საჭიროდ.

³³ მართალია, აღნიშნული ნაშრომი 2003 წელს გამოქვეყნდა კრებულ „მრავალთავის“ ფურცლებზე, მაგრამ მისი ტექსტი ავტორმა გაცილებით უფრო ადრე, 2001 წლის სექტემბერში, ჩვენი თხოვნით, მოხსენების სახით წაიკითხა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართულ, ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დაგროვაშორის სამეცნიერო კონფერენციაზე. მოხსენების სათაური იყო: „ნისიმეს „ცხოვრების“ შეუსწავლელი XII საუკუნის ქართული ნუსხის შესახებ (წინასწარი ცნობები)“.

სტატიის დასაწყისში ქეთევან ასათიანი მოკლედ გვაცნობს წმ. ნისიმეს წარმომავლობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დეტალებს³⁴. ამის შემდეგ ავტორი გვაუწყებს, რომ წმ. ნისიმეს „ცხოვრების“ X საუკუნეში შესრულებული ქართული თარგმანის ტექსტი კორნელი კეკელიძის მიერ სამ – A, B და C რედაქციად არის დაყოფილი³⁵. იქვე მკვლევარი დეტალურად მიმოიხილავს „ნისიმეს ცხოვრების“ ქართული თარგმანის წარმომავლობის თაობაზე გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებებს³⁶ და ძეგლის სამეცნიერო კვლევის ისტორიაზე საუბარსაც ამით ამთავრებს (ასათიანი 2003: 53-54).

³⁴ მკვლევრის თქმით: „ცხობა ნისიმეს შესახებ ჯერ კიდევ IV საუკუნიდან ჩნდება. ყველაზე ძველი ავტორი, რომელიც მასზე მოგვითხრობს, უფრე ასურია. მისი ავტორობით მოღვაწეული თხრობის სიუჟეტის მიხედვით, ეგვაპტის მეფის ასული ისიდორა (იგულისხმება წმ. ნისიმე – თ. ჯ.), მშობლების გარდაცვალებისთანავე ტოვებს მამისეული სახლ-კარს და უდაბნოში მიდის. ორმოცი წლის ასებტური ცხოვრების შემდეგ, იგი უდაბნოდან ტაბენესეს დედათა მონასტერში მკვიდრდება, იქ სალოსის მოღვაწეობას იწყებს, ხოლო მას მერე, რაც პიტირიონის მეშვეობით, მისი ფარული დვაწლი ცხადდება, იგი კვლავ უდაბნოს უბრუნდება და ამის შემდეგ აღარავინ იცის მისი ასაგალ-დასავალი. ამავე თხრობას იმეორებს ოდნავ მოგვიანებით პალადი პელიონპოლელი „ლავსაიკონში“. ამ აღრეული თხრობებისაგან განსხვავებით, უფრო დიდი მოცულობისა და შედარებით ფართო შინაარსისაა მისი „ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც ტაბანესეს მონასტრიდან უდაბნოში წასული ნისიმა (ისიდორა) ოთხასი მეუდაბნოე მამის წინამძღვარი ხდება“ (ასათიანი 2003: 53).

³⁵ კორნელი კეკელიძის თანახმად, „ნისიმეს ცხოვრების“ A რედაქციას მიეკუთვნება ერთადერთი, X-XI საუკუნეების კრებულში (A-249) დაცული ნუსხა (ბრეგაძე ... 1980: 87; კეკელიძე 1918: XXXIV, XLVI, 202-214; კეკელიძე 1960: 92-101). B რედაქციაში გაერთიანებულია სამი სხვა ნუსხა, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია შემდეგ ხელნაწერებში: XIV საუკუნის კრებულში (A-146) (ბრეგაძე ... 1976: 200; კეკელიძე 1960: 92-101), 1738 წლის „წმიდათა ცხოვრებასა“ (A-161) (ბრეგაძე ... 1976: 230; კეკელიძე 1960: 92-101) და XVIII საუკუნის კრებულში (A-126) (ბრეგაძე ... 1976: 1976 წ. 121; კეკელიძე 1960: 92-101). სულ ბოლო, C რედაქციაში თავმოყრილია კიდევ სამი ხელნაწერით მოღვაწეული ნუსხები. ეს ხელნაწერებია: XV საუკუნის კრებული (A-382) (ბრეგაძე ... 1985: 123; კეკელიძე 1918: XXXV, XLVI, 202-214; კეკელიძე 1960: 92-101), 1708 წლის კრებული (A-518) (ბრეგაძე ... 2004: 518; კეკელიძე 1960: 92-101) და XIX საუკუნის A-653 (კეკელიძე 1960: 92-101). მოგვიანებით, 1983 წლს ფილოლოგობრმა ნანი წაქაძემ მთელი მონოგრაფია მიუძღვნა ჩვენთვის საინტერესო ტექსტს: „ნისიმეს ცხოვრების“ სირიული, არაბული და ქართული ვერსიები (გამოკვლევა, ტექსტები, თარგმანები)“. ნაშრომში ავტორმა კორნელი კეკელიძის მიერ შესწავლილ შეიძლება ნუსხას კიდევ თორმეტი სხვა ნუსხა დაუმატა. აქედან, ათი ნუსხა ადმონიდა საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, ხოლო ორი ნუსხა, დიდ ბრიტანეთში, ბოდლეის ბიბლიოთეკის უორდოროპისეულ ხელნაწერთა ფონდში (წაქაძე 1983: 29-31). ნანი წაქაძის მიერ გამოვლენილი ნუსხებიდან რვა ნუსხა მიეკუთვნება „ნისიმეს ცხოვრების“ B რედაქციას. ესენია: Wardr.e-1 (1784 წ.), H-2281 (1793 წ.), S-134 (XVIII ს.), Wardr.e-2 (XVIII ს.), A-1050 (1801 წ.), H-286 (1853 წ.), S-139 (XVIII-XIX სს.) და S-3640 (XIX ს.) (წაქაძე 1983: 30-32). კიდევ სამი ნუსხა მიეკუთვნება C რედაქციას: H-947 (1864 წ.), A-851 (XIX ს.) და H-1762 (XIX ს.) (წაქაძე 1983: 30-32). სულ ბოლო, 1765-1779 წლების კრებული (S-300) კი, მკვლევარმა სულაც მეოთხე, D ლიტერით გამოყო (წაქაძე 1983: 7; გაბიძაშვილი 2009ბ: 32).

³⁶ ქეთევან ასათიანის თქმით: „სპეციალურ გამოკვლევაში პ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ „ნისიმეს ცხოვრება“, რომელიც ქართულად ნათარგმნი პაგიოგრაფიის ერთ-ერთი უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, კოპტურიდან უნდა იყოს ნათარგმნი. პ. პეტერსი კი მას უფრო სირიულიდან მომდინარე მიიჩნევს. პ. კეკელიძის და პ. პეტერსისაგან განსხვავებული აზრი აქვს ნ. წაქაძეს. ის აღნიშნავს, რომ ქართული ვერსია იმდენად ზედმიწევნით ემთხვევა Sin.342-ის არაბულ ტექსტს, რომ მათ შორის ვარიანტული სხვაობებიც კი მისთვის საგანგებო კვლევის საგანგებო გამხდარა. სხვაობათა შესწავლის შემდეგ მკვლევარი ასკენის, რომ რიგ შემთხვევაში ვარიანტები არაბული სიტყვების პოლისემიურობით აიხსნება, ზოგჯერ კი ისინი მთარგმნელის

პუბლიკაციის მომდევნო ნაწილში ქეთევან ასათიანი მკითხველს განუმარტავს თუ რატომ დაინტერესდა იგი მაინცდამაინც ამ ტექსტით: „სანამ „ნისიმეს ცხოვრების“ ქართულ თარგმანს შევეხებოდეთ, აღვნიშნავთ, თუ რამ გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ამ საკითხით. საქმე ისაა, რომ 1949 წელს გ. ფერაძემ ვენაში ოთხი უმნიშვნელოვანესი ქართული ხელნაწერი აღმოაჩინა. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც მეოთხე ნომრად არის გატარებული და ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ კრებულს წარმოადგენს, აღმოჩნდა „ნისიმეს ცხოვრების“ კიდევ ერთი, მანამდე უცნობი ნუსხა. ეს ხელნაწერი ჯერ არ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის საგანი³⁷. მის შესახებ არც ზოგადი ცნობები მოგვეპოვება სპეციალურ ლიტერატურაში, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ ნისიმეს „ცხოვრების“ ქართული ტექსტი მხოლოდ ხელნაწერთა საქართველოში დაცულ კოლექციებში დასტურდებოდა, ასევე უორდორპების ქართულ ნუსხათა შორის. „ნისიმეს ცხოვრების“ ტექსტების როგორც ტექსტოლოგიურ-ენობრივი, ასევე იდეური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის გამო აუცილებლად ჩავთვალეთ ამ შეუსწავლილი ნუსხის გადასინჯვა“ (ასათიანი 2003: 54).

ამას მოსდევს გარეჯული კრებულის ქეთევან ასათიანისეული მოკლე ადწერილობა: „ხელნაწერს აქვს საოცრად ნატიფი ხელით შესრულებული საზედაო ასოები. პაგინცია ახალი გაკეთებულია და ფურცლები რესტრავრირებული. ზოგან ტექსტი აღდგენილია. „ცხოვრება“ ლამაზი ხელითაა ნაწერი და შესანიშნავად იკითხება. ადგილ-ადგილ ტექსტი ჩამატებულია (სხვა ხელით), შესწორება შეტანილი, ამოშლილია აშკარად ზედმეტი ასოები. აქვს მინაწერები როგორც ხუცურად (238v), ისე მხედრულად (229r, 248v, 429v). ხელნაწერი გადაწერილია 1160 წელს დავით გარეჯის მონასტერში, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია“ (ასათიანი 2003: 54).

სტატიის ძირითადი ნაწილი Ven.4-ში დაცული „ნისიმეს ცხოვრების“ ტექსტოლოგიურ, ენობრივ და ორთოგრაფიულ ანალიზს ეთმობა. ამ ნაკვეთის დასაწყისში ქეთევან ასათიანი ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგს: „გერც იმას

მიერ არაბული გრამატიკული ფორმების აღრევითაა გამოწვეული. 6. წაქაძე სამივე რედაქტორისათვის ერთი არქეტიპის არსებობას უშევბს, რომლისაგანაც სამივე დამოუკიდებლად განვითარდა. მისივე აზრით, სინური ვერსია უნდა მომდინარეობდეს სირიულიდან: სირიულიდან ჯერ არაბულად ითარგმნა, არაბულიდან – ქართულად, ხოლო შემდეგ შეივსო ეფრემ ასურის თხზულების იმ მონაკვეთის თარგმანით, რომელიც შეიცავს თხრობებს „ნისიმეს ცხოვრების“ შესახებ“ (ასათიანი 2003: 53-54).

³⁷ მკვლევარი იქვე, სქოლიოში ჩატანილი შენიშვნებით აზუსტებს ამ ბოლო ფრაზას: „ერთი ტექსტი ამ ხელნაწერიდან „ქებათა ქება“ შეუსწავლია ზ. სარჯველაძეს“ (ასათიანი 2003: 54).

ვიტყვით გადაჭრით, ნისიმეს „ცხოვრების“ ახალი ნუსხა პირველ რედაქციას ეკუთვნის, მეორეს, მესამეს, თუ საერთოდ ახალი ვერსიაა. სამწუხაროდ, პ-კებლიძეს გამოკვლევაში „ნისიმეს ცხოვრების“ ტექსტის შესახებ არა აქვს მითითებული, რა პრინციპით ყოფს იგი მის მიერ შესწავლილ ხელნაწერებს სამ რედაქციად. ჩვენ შევუდარეთ ჩვენი ტექსტი მის მიერ ხაზგასმულ განსხვავებებს და უნდა აღინიშნოს, რომ გარეჯული კრებულის „ნისიმეს ცხოვრებასა“ და უკვე შესწავლილებს შორის არის იმდენად განსხვავებული წაკითხვებიც, რომ ტექსტის ახალ, სტილისტურ რედაქციაზე შეიძლება საუბარი“ (ასათიანი 2003: 55). ამის შემდეგ მკვლევარს საკუთარი მოსაზრების საილუსტრაციოდ ციტირებული აქვს მთელი რიგი ადგილები, ერთის მხრივ, X-XI საუკუნეების A-249-ში დაცული „ნისიმეს ცხოვრების“ ჯერჯერობით უმველესი ქართული ნუსხიდან, ხოლო, მეორეს მხრივ, გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ტექსტიდან (ასათიანი 2003: 55-59).

სტატიის დასკვნით ნაწილში ავტორი საბოლოო სახით აჯამებს მის მიერ გამოთქმულ ძირითად მოსაზრებებს: „ვენაში დაცული გარეჯული კრებული აშკარად ითვალისწინებს კორექციას. ზემოთმოცემული მასალა გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ სტილისტურ რედაქციაზე, თუმცა დაბეჯითებით ამ ეტაპზე მაინც ვერ ვწყვეტო მისი რედაქციული მიმართების საკითხს. ჩვენი ხელნაწერი აშკარად ითვალისწინებს X საუკუნის ქართულ თარგმანს და შეაქვს მასში სტილისტურ-ლიტერატურული ხასიათის კორექტივები. ტექსტოლოგიური შედარების შედეგები გვიჩვენებს, რომ საქმე ძალიან საინტერესო ტექსტთან გვაქვს, რომელმაც, შესაძლოა, რედაქციათა ურთიერთმიმართების გარკვევისათვის საყურადღებო მასალა მოგვაწოდოს. „ნისიმეს ცხოვრების“ აქ განხილულ XII საუკუნის ნუსხას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამ თხზულების ქართული თარგმანის ისტორიის გათვალისწინებისას (ასათიანი 2003: 59).

მკვლევრის ძირითადი დასკვნები ოდნავ უფრო კატეგორიული ჩანს სტატიის რესულებოვან რეზიუმეში: „В статье рассматривается новый список „Жития Нисими“, грузинская рукопись XII в. Текстологическое сопоставление данного текста с другими существующими списками выявляет интересные детали характеризующие этот текст как новую редакцию, отличающую от других. Данный вариант „Жития Нисими“ представляет большой интерес для изучения истории грузинского перевода этого текста“ (ასათიანი 2003: 59).

ამრიგად, ქეთევან ასათიანმა საგრძნობლად გააფართოვა გარეჯული კრებულის ფილოლოგიური კვლევის არეალი და სპეციალური შესწავლის საგნად, ზურაბ სარჯველაძისა და ელენე დოჩანაშვილის მიერ გამოკვლეულ „ქებად ქებათავს“ შემდეგ, Ven.4-ში დაცული კიდევ ერთი ტექსტი, წმ. ნისიმეს „ცხოვრება“ აქცია³⁸.

იმავე 2003 წელს დაიბეჭდა მდიდრულად ილუსტრირებული, სქელტანიანი კრებულის „ნათელი ქრისტესი – საქართველოს“ პირველი წიგნი. კრებულში სხვა საინტერესო ნაკვეთებთან ერთად შეტანილია ფილოლოგოს მიხეილ ქავთარიას მიერ შედგენილი თავი სახელწოდებით: „დავით გარეჯის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა“. ნაკვეთი, როგორც ეს მისი სათაურიდან ჩანს, მთლიანად გარეჯული მწიგნობრობის ისტორიას ეთმობა (ქავთარია 2003).

მკვლევარი დასახელებული ნაკვეთის პირველ ნაწილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმოიხილავს გარეჯის მრავალმთაში გადაწერილ ან გარეჯელ მოწესებთან რაიმე სახით დაკავშირებულ ხელნაწერებს და საგანგებოდ ჩერდება Ven.4-ზე: „XII საუკუნეში დავით გარეჯაში შემოქმედებით-მწიგნობრული საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობდა. ეს შესანიშნავად ჩანს ხელნაწერიდან, რომელიც დღეს ავსტრიაში, ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის საცავში ინახება მე-4 ნომრით. ამ მეტად საინტერესო ხელნაწერის ანდერძში კითხულობთ: „სახელითა ღმრთისავთა, წიგნსა ამას ეწოდების სანატერელი. დაიწერა გელითა უნდოხსა შავ ნიკოლოზ ნიკრავსავთა, სანახებსა წმიდისა მამისა დავითისა, გარეჯას, კუდულსა, რომელსა ეწოდების სახელად ბერთავ. ქორონიკონსა ტპ (1160 წ.), მეფობასა ძისა დემეტრეს გიორგისაზე, წელსა მეფობისა მისისასა ბ (3). დაამყარებ ღმერთმან მეფობად მისი სათხოდ უფლისა ჩუენისა იქსუ ქრისტესა, რომლისავ არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ. და შავ ნიკრასა შრომისათვს კურთხევად საუკუნო. ამენ. დიდებად ღმერთსა სრულმყოფელსა ყოველთასა, ამენ. მეუფეთ, გუაკურთხებ“. ხელნაწერს დიდი გზა

³⁸ განხილული სტატიის დაბეჭდვიდან ერთი წლის შემდეგ, 2004 წლის 14 ნოემბერს ქეთევან ასათიანმა მეცნიერების ფონდ „უდაბნოს“ დაარსების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ დარგთაშორის სამეცნიერო კონფერენციაზე, ჩვენი თხოვნით, წაიკითხა „ნისიმეს ცხოვრების“ Ven.4-ის ნუსხისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი მოხსენება: „შიშელ-მართალთა და წმ. ნისიმეს „ცხოვრებების“ ახალ რედაქციათა შესახებ“. კონფერენციის მასალები და მათ შორის, რასაკვირველია, დასახელებული მოხსენებაც ახლო მომავალში სრული სახით გამოქვეყნდება მეცნიერების ფონდ „უდაბნოს“ პერიოდული კრებულის „ANALECTA IBERICA“ II ტომში. სხვათა შორის, ამ მოხსენების პუბლიკაცია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ „ნისიმეს ცხოვრების“ გვერდით, პირველად იქნება წარმოდგენილი გარეჯულ კრებულში დაცული აპოკრიფული ხასიათის თხზულების „შიშელ-მართალთა ცხოვრების“ ტექსტის ფილოლოგიური კვლევის შედეგები.

გაუვლია. მე-16 საუკუნეში იგი იერუსალიმში ჯვრის მონასტერში მოხვედრილა, სადაც იგი განუახლებიათ: „ღირს ვიქმებ მე ურბნელ მთავარ-ეპისკოპოსი ვლახი შეკაზმად წმიდისა ამის წიგნისა „სანატრელისა“, რამეთუ უამთა სიგრძისაგან განრყენილ და უგმარ ქმნილიყო. და ჩუებ ახლად ბრძანებითა და ჯერ ჩინებითა მამისა ჩუენისა, ტფილელ მთავარ-ეპისკოპოსისა ბარნაბასითა ტელ გყავ შეკაზმად“: ეს მომხდარა 1570 წელს“ (ქავთარია 2003: 587).

ამის შემდეგ მიხეილ ქავთარია უკვე ნიკოლოზ ნიკრაის მიერ გადაწერილ მეორე ხელნაწერზე – წმ. იოანე სინელის „კლემაქსზე“ (H-1669) გადადის: „ამავე ნიკოლოზს გადაუწერია მეორე ხელნაწერი – H-1669 იოანე სინელის თხზულება „კლემაქსი“ – ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი. კოდექსის ანდერძში ვკითხულობთ. „ხელსა ნიკრაისასა შეუნდვენ უფალო ღმერთო, ამენ, რომელმან იშრომა ეს წიგნი“. ამ ხელნაწერის მიხედვით ვახტანგ ბერიძე ასე ახასიათებს გადამწერს: „ნაწერი მოწმობს, რომ იგი დიდი ტემპერამენტისა და ფანტაზიის პატრონი უნდა ყოფილიყო, თანაც, მაინცდამაინც არ დაუდევდა საყოველთაოდ მიღებულ წესებსა. ნიკრად თითქოს სულ ვერ ეგუებოდა ვერაფერს მშვიდსა და სტატიკურს... ნიკრად კალიგრაფი კი ყოფილა, მაგრამ პროფესიონალი მხატვარი არა“ (ქავთარია 2003: 587).

სულ ბოლოს მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგს: „ამ პერიოდიდან (იგულისხმება XII საუკუნე – ო. ჯ.) დღესდღეობით გარეჯაში გადაწერილი მხოლოდ ეს ორი ხელნაწერია მოღწეული ჩვენამდის“ (ქავთარია 2003: 587)³⁹.

მიხეილ ქავთარიას ნაშრომი მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს გარეჯული კრებულის სამეცნიერო შესწავლის საქმეში. მართლაც, ეს არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პუბლიკაცია, სადაც Ven.4-ის გადამწერის ნიკოლოზ ნიკრაის მხატვრულ-კალიგრაფიული საქმიანობა განხილულია გარეჯის სამონასტრო სკრიპტორიუმებში მოღვაწე XVII-XIX საუკუნეების მხატვარ-კალიგრაფების სამწიგნობრე საქმიანობის გვერდით.

ამავე „ნათელი ქრისტესი – საქართველოს“ პირველ წიგნში, მიხეილ ქავთარიას ავტორობით შედგენილი ნაკვეთის გარდა, წარმოდგენილია ფილოლოგოს ციალა ქურციკიძის მიერ მომზადებული თავი სახელწოდებით „ქართული ბიბლია“. აქ ავტორს საკმაოდ დეტალურად აქვს დახასიათებული სხვადასხვა

³⁹ აქვე, შენიშვნის სახით დავძენო, რომ მიხეილ ქავთარიას Ven.4-თან და H-1669-სთან დაკავშირებული მოსაზრებები გამოთქმული აქვს ჩვენს მიერ 2002 წელს გამოქვეყნებულ სტატიაზე დაყრდნობით: „წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი“ (შდრ.: ჯოჯუა 2002გ: 93-101).

ქართულ ხელნაწერებსა თუ ძველნაბეჭდ წიგნებში დაცული ბიბლიური საკითხავები ნუსხები (ქურციკიძე 2003).

ნაკვეთში მპვლევარი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას „ქებავ ქებათავს“ ტექსტზე და აღნიშნავს, რომ „XII საუკუნის ორ ხელნაწერს A-65-ს (1188-1210 წ.) და ვენის ნაციონალური ბიბიოთეკის №4 ხელნაწერს (1160 წ.) დაცული აქვთ სოლომონის ქება ქებათას ორი სხვადასხვა თარგმანი. ვენის ხელნაწერის ტექსტი იმითად საყურადღებო, რომ მთარგმნელი თხზულებას დათისმშობლის ხოტბად აღიქვამს და ქება ქებათას, სხვა თარგმანებისაგან განსხვავებით, ამგვარად ასათაურებს: „ქება ქებათავ, შესხმავ წმიდისა დმრთისმშობელისავ ბრძნისა სოლომონისგან“ (ეს თარგმანი გამოცემულიცაა – ზ. სარჯველაძე, „მრავალთავი“, X, 1983)“ (ქურციკიძე 2003: 613)⁴⁰.

ამრიგად, ციალა ქურციკიძემ „ქებავ ქებათავს“ Ven.4-ში დაცულ ნუსხას არამხოლოდ ჯეროვანი ადგილი მიუჩინა ქართული ბიბლიური მწერლობის ისტორიაში, არამედ სპეციალური მინიშნებაც გააკეთა ამ ნუსხის სათაურის ორიგინალურ შინაარსზე.

„ნათელი ქრისტესი – საქართველოს“ I წიგნის დასტამბვიდან ერთი წლის შემდეგ, 2004 წელს, გამომცემლობა „ნათლისმცემელმა“ დაბეჭდა „საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005 წლისათვის“. გამოცემის პირველი ნაკვეთი თითქმის მთლიანად სათვეო კალენდარს უჭირავს, ხოლო მეორე ნაკვეთში წარმოდგენილია წმ. გრიგოლ ნოსელის საღმრთოსმეტყველო, ეგზეგეტიკურ და პანეგირიკულ თხზულებათა ძეგლი ქართული თარგმანები, სულ – ექვსი ტექსტი. თხზულებები გამოსაცემად მოამზადა მკვლევართა ჯგუფმა თინათინ დოლიძის, ნინო ეფრემიძის, მალხაზ კობიაშვილის, ექვთიმე კოჭლამაზაშვილის, გახუ მეგრელაურის, კახა ოლაძის, ანა დამბაშიძისა და მედეა შამუგიას შემადგენლობით. გამოცემის საერთო რედაქცია ექვთიმე კოჭლამაზაშვილს ეკუთვნის (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004).

წმ. გრიგოლ ნოსელის დაბეჭდილ თხზულებათა შორის ერთ-ერთია ეგზეგეტიკური ხასიათის „თარგმანებავ მომიჯსენისავ“ (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004: 198-285). მისი კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის გამოყენებულია ოთხი ქართული ხელნაწერი: A – Ath.49, B – A-55 (XI-XII სს.) (ხელნაწერთა აღწერი-

⁴⁰ აღნიშნულ დეტალზე ყურადღება გამახვილებული გვქონდა წვენც, ოდნავ უფრო ადრე, 2002 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: „წმიდა მდვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი“ (ჯოჯუა 2002გ: 132).

ლობა (A) 1973, 150), C – A-108 (XII ს.) (ხელნაწერთა აღწერილობა (A) 1976, 30), დაბოლოს, D – W4 ანუ ჩვენთვის საინტერესო 1160 წლის გარეჯული კრებული (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004: 145).

სხვათა შორის, ამ უკანასკნელზე საგანგებოდ ჩერდებიან გამომცემლები და სქოლიოში ჩატანილი შენიშვნის დახმარებით, რამდენიმე აუცილებელ განმარტებას აძლევენ მკითხველს: „W4-ით აღვნიშნავთ ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერს №4. „მომიჯსენენის“ თარგმანების შემცველი ეს კრებული გრიგოლ ნოსელის თხზულებათა არც ერთ ბიბლიოგრაფიაში დღემდე მოხსენიებული არ ყოფილა. მის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ქეთევან ასათიანმა“ (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004: 145).

ამავე გამომცემელთა თქმით, „მომიჯსენენის“ თარგმანების ტექსტზე მუშაობდნენ: გახუ მეგრელაური (I-IV თავები), ანა დამბაშიძე (V თ.) ნინო ეფრემიძე (VI თ.), კახა ოდაძე (VII თ.) და მედეა შამუგიძე (VIII თ.). მათ ტექსტი გადმოწერეს B ხელნაწერიდან (იგულისხმება A-55 – თ. ჯ.). ACD ვარიანტები (იგულისხმება Ath.49, A-108 და Ven.4 – თ. ჯ.) დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა“ (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004: 146).

ამრიგად, ირკვევა, რომ გამომცემლებს, უფრო ზუსტად კი – გახუ მეგრელაურს, ანა დამბაშიძეს, ნინო ეფრემიძეს, კახა ოდაძესა და მედეა შამუგიძე „თარგმანებათ მომიჯსენისათვის“ სრული ტექსტი A-55-დან გადმოუწერიათ. რაც შეეხება დანარჩენ სამ ნუსხას, მათ შორის, გარეჯულ კრებულში დაცულ ტექსტს, ისინი ექვთიმე კოჭლამაზაშვილს ვარიანტების სახით შეუწყვია A-55-დან გადმოწერილი ძირითადი ტექსტისათვის.

ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „თარგმანებათ მომიჯსენისათვის“ Ven.4-ში წარმოდგენილ ნუსხაზე, ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევრებიდან, უშუალოდ მხოლოდ ცნობილ ლიტურგისტსა და ფილოლოგოსს ექვთიმე კოჭლამაზაშვილს უმუშავია და ამ ნუსხაში დადასტურებული მრავალრიცხვანი ვარიანტული კითხვა-სხვაობებიც სწორედ მას დაურთავს გამოცემაში ძირითად ნუსხად აღებული A-55-ის ტექსტისათვის (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004: 198-285).

როგორც ვხედავთ, ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, მასთან ერთად კი მკვლევართა მთელმა ჯგუფმა გახუ მეგრელაურის, ანა დამბაშიძის, ნინო ეფრემიძის, კახა ოდაძისა და მედეა შამუგიძე მონაწილეობით კიდევ უფრო გააფართოვა Ven.4-ის ფილოლოგიური პლევის არეალი, საგანგებოდ

დაინტერესდა აქ დაცული ეგზეტიკური თხზულებით „თარგმანებავ მომიჯხენისავ“ და ეს უკანასკნელი, სამ სხვა ნუსხასთან ერთად წარმატებით გამოიყენა დასახელებული თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენისა და გამოცემისათვის.

წმ. გრიგოლ ნოსელის საღმრთისმეტყველო, ეგზეგეტიკურ და პანეგირიკულ თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების გამოქვეყნებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 2008 წელს თბილისში დაიბეჭდა I ტომი კრებულისა „შოთა რუსთაველის სახელობის სტიკენდიანტთა შრომები“. კრებულში სხვა საინტერესო მასალასთან ერთად, შეტანილია ფილოლოგოს ვახტანგ იმნაიშვილის ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი წერილი „უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში“ (იმნაიშვილი 2008).

ვახტანგ იმნაიშვილის დასახელებული ნაშრომი შედგება შესავალი ტექსტისა და სამი ნაკვეთისაგან: 1. „გრაცის უნივერსიტეტის ქართული ხელნაწერები“; 2. „ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ და 3. „ბრიტანეთის მუზეუმის №11281 ქართული ხელნაწერი“ (იმნაიშვილი 2008).

განსახილავი სტატიის მეორე ნაკვეთის დასაწყისში ავტორი მოკლედ მოგვითხობს ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერებისა და მათ შორის, გარეჯული კრებულის ბიბლიოთეკაში მოხვედრის ისტორიას: „№1 ხელნაწერი 1873 წლის 8 მაისს იყიდეს 25 გულდენად ანტიკვარ გოლდშმიდტისაგან, №№2-3-4 ხელნაწერები (№4 ხელნაწერში იგულისხმება გარეჯული კრებული – ო. ჯ.) პროფესორმა ტურკერმა შეიძინა ბიბლიოთეკისათვის უცნობი ანტიკვარისაგან 1931 წლის 3 იანვარს ალექსანდრიაში, დაბოლოს, 1938 წლის 15 ივლისს ბიბლიოთეკამ ვნაში 6. კრონეგერისაგან იყიდა №5 ხელნაწერი – სახარება“ (იმნაიშვილი 2008: 10).

სტატიის მეორე ნაკვეთის მომდევნო ნაწილში ვახტანგ იმნაიშვილი რიგრობით წარმოგვიდგენს ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებს და რამდენიმე წინადადებით ახასიათებს გარეჯულ კრებულსაც. მკვლევრის თქმით: „№4 ხელნაწერი მრავალთავის მსგავსი კრებულია, იგი გადაწერილია 1160 წელს კედვაში, დავითგარეჯის მახლობლად, ნიკოლაოზ ნიკრას მიერ, აკინძულია 1570 წელს მთავარეპისკოპოს ვლასას მიერ. ხელნაწერი 300 ფურცელს შეიცავს, თუმცა ბოლო გვერდს 306 აწერია. ნაწერია ქადალდზე, ასოები ნუსხურია. ბერძნული მინაწერი 303-ე ფურცელზე გვაუწყებს, რომ ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა მთავარდიაკონ კლეოპას, შემდგომში ნაზარეთის მთავარეპის-

კოპოსოსის, პირად ბიბლიოთეკას. გ. ფერაძის ფიქრით, მთავრეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ ომელიდაც ანტიკვარს მიჰყიდეს ალექსანდრიაში, სადაც 1931 წელს ვენის ბიბლიოთეკისათვის „შეიძინეს“ (იმნაიშვილი 2008: 10-11).

როგორც ვხედავთ, ვახტანგ იმნაიშვილი თავის 2008 წლის სტატიაში ორ ადგილას შეეხო Ven.4-თან დაკავშირებულ საკითხებს. აქედან, პირველ შემთხვევაში, მკვლევარმა მოკლედ გაგვაცნო გარეჯული კრებულის ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოხვედრის დეტალები, ხოლო ნაშრომის მეორე ადგილას შედარებით უფრო ვრცლად შეეხო Ven.4-ის კოდიკოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ვახტანგ იმნაიშვილის სტატიის ის ნაწილი, სადაც მოოხობილია გარეჯული კრებულის ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოხვედრის პერიპეტიები, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს მკვლევრის მიერ 2001 და 2004 წლებში გამოცემული წიგნების შესაბამის ადგილებს და ამიტომ რაიმე სამეცნიერო სიახლეს არ შეიცავს (შდრ.: იმნაიშვილი 2001; იმნაიშვილი 2004).

რაც შეეხება გარეჯული კრებულის აღწერილობას, აქ ავტორს მოტანილი აქვს Ven.4-ის მოკლე კოდიკოლოგიური დახასიათება, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად ამოკრეფილია გრიგოლ ფერაძის მიერ 1940 წელს გამოქვეყნებული გერმანულენოვანი სტატიიდან: „Über die georgischen Handschriften in Österreich“ (შდრ.: ფერაძე 1940: 220-222, 226-232; ფერაძე 2004: 160-161, 164-170, 172-173, 176-181). შესაბამისად, რაიმე სამეცნიერო სიახლეს სტატიის არც ეს ნაწილი არ შეიცავს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვახტანგ იმნაიშვილის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული წერილი მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია Ven.4-ის სამეცნიერო შესწავლის საქმეში. მართლაც, ამ პუბლიკაციის დახმარებით, გაცილებით უფრო მეტი ქართველი და უცხოენოვანი მკვლევარი გაეცნობა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ გარეჯულ კრებულსა და მის საინტერესო თავგადასავალს.

2008 წელს, ვახტანგ იმნაიშვილის განხილული სტატიის თანადროულად, ისტორიკოსმა დარეჯან კლდიაშვილმა გამოქვეყნა პირველი ნაკვეთი წიგნისა „ქართული სამონასტრო სულთა მატიანები“. ნაშრომში სათანადო გამოკვლევასთან ერთად, წარმოდგენილია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანის ტექსტი (კლდიაშვილი 2008).

დასახელებულ პუბლიკაციაში ავტორმა ყურადღება გაამახვილა სულთა მატიანები მოგვიანებით, XV საუკუნის II ნახევარში, შეტანილი მოსახსენებლების ფენაზე და საგანგებოდ შეეხო აქ წარმოდგენილ ხუნტუსძეთა ოჯახის

წევრებს. მკვლევრის თქმით, სინას მთის სულთა მატიანეში შეტანილ ხუნტუსძეთა საოჯახო მოსახსენებლებში „იხსენიებიან იოანე-ყოფილი იოსებ ხუნტუსძე, გოგნია ხინტუსძე და მისი თანამეცხედრე მზექალი. ამ პირების შესახებ ცნობებს ვხვდებით იერუსალიმურ ხელნაწერთა მინაწერებში, სადაც იოანე ხუნტუსძე ხელნაწერის შემკაზმავად იხსენიება და იერუსალიმში მოღვაწე სასულიერო პირი ჩანს. იერუსალიმის ბერძნული საპატიარქოს ქართული კოლექციის XIII-XIV საუკუნეებით დათარიღებული Jer. Georg. 6 ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ იგი შეუკაზმავს იოანე ხუნტუსძეს, რომელიც მოგვიანებით იოსების სახელით ბერად აღკვეცილა იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში. ამის თაობაზე ვიგებთ მრავალთავის ტიპის კრებულის „სანატრელის“ (Ven. Georg. 4) მოსახსენებლიდან, აგრეთვე მაქსიმე აღმსარებელის ღმრთისმშობლის ცხოვრების (A-40) ანდერძ-მინაწერიდან, სადაც იგი ასევე აღდგომელად იწოდება და წიგნის მკაზმავადა დასახელებული. ამავე ანდერძიდან ცნობილი ხდებიან აღდგომელ იოსებ ხუნტუსძის ოჯახის წევრები, მისი მშობლები – გოგნია, მისი თანამეცხედრე მზექალი და მათი ძეები ხუხუბიათ და ლალავ, [ასული] ნ(ა)თელი (A-40, 01r). აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერის გვიანდელ მომგებლად (შესაძლოა იოსების თანამედროვედ) ჩანს ვინმე გერმანოზ ელმელიქისძე (A-40, 333r). ეს გერმანოზ ელმელიქისძე შესაძლოა იყო შთამომავალი იმ სვიმონ ელმელიქისძისა, რომელიც ჯვრის მამად უნდა ყოფილიყო XIV საუკუნის პირველ მეოთხედში...

სინას სულთა მატიანეში შეტანილი ხუნტუსძეთა საოჯახო მოსახსენებლები XV საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, სავარაუდოდ, ისინი მატიანის ტექსტში სინას წმ. ეპატერინეს მონასტერში ყოფნის დროს აღდგომელი იოანე-ყოფილი იოსებ ხუნტუსძის მიერ თავად უნდა იყოს შეტანილი“ (კლდიაშვილი 2008: 11-12).

როგორც ვხედავთ, დარეჯან კლდიაშვილმა გარეჯული კრებულის ერთ-ერთი მინაწერის ტექსტი, რომლის თაობაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, წარმატებით გამოიყენა იერუსალიმის აღდგომის ტაძარში მოღვაწე ერთ-ერთი ქართული სასულიერო პირის იოანე-ყოფილი იოსებ ხუნტუსძის ბიოგრაფიული დეტალების დასადგენად.

მართალია, ავტორი არ იცნობს ჩვენს მიერ 2002 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიას, სადაც შეძლებისდაგვარად სრულად გვაქვს აღდგენული იოსებ ხუნტუსძის ბიოგრაფიული პორტრეტი (ჯოჯუა 2002გ: 102, 128-129), მაგრამ

აღნიშნული ფაქტი, არსებითად, არ ცვლის სურათს. დარეჯან კლდიაშვილის წიგნი მიეკუთვნება იმ იშვიათ პუბლიკაციათა რიცხვს, სადაც რამე საკითხის შესასწავლად სხვა საისტორიო მასალის გვერდით, Ven.4-ის მინაწერებიც არის გამოყენებული.

სულ ბოლოს, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა დავახასითოთ უშუალოდ ჩვენს მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიც. გარეჯული კრებულისა და მისი ანდერძ-მინაწერების შესწავლას 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან შევუდექით. ჩვენი იმქამინდელი კვლევა მთლიანად Ven.4-ის შავ-თეთრ ფოტოპირზე იყო დამყარებული. აღნიშნულ ეტაპზე შესრულებული სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები სამი სტატიის სახით გამოვაჭვებული 2001-2002 წლებში. ეს პუბლიკაციებია: 1. „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“ (ჯოჯუა 2001; ჯოჯუა 2002); 2. „წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი“ (ჯოჯუა 2002გ) და 3. „XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.)“ (ჯოჯუა 2002ა).

Ven.4-ისა და მისი კოლოფონების შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებულად წარმატებული გამოდგა 2002 წლის შემოდგომა და 2003 წლის ზაფხული. ამ პერიოდში შესაძლებლობა მოგვეცა, საერთაშორისო ორგანიზაცია INTAS-ის მიერ ახალგაზრდა დოქტორანტებისათვის გაცემული ინდივიდუალური სტიპენდიის დახმრებით, რამდენიმე თვის განმავლობაში სამეცნიერო მივლინებით გვერდისა და აღგილზე შეგვესწავლა გარეჯული კრებული. დაახლოებით ამავე პერიოდში საქართველოს მეცნიერებთა აკადემიისაგან მივიღეთ ორწლიანი სამეცნიერო გრანტი, რომლის ფარგლებშიც ვიმუშავეთ თემაზე: „XII საუკუნის ორი უცნობი გარეჯული ხელნაწერი და მათი ანდერძ-მინაწერები“.

აღნიშნულ ეტაპზე შესრულებული სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები შეჯამებული გვაქს 2003 წელს გამოქვეყნებულ კიდევ სამ სტატიაში. ჩამოვთვლით ამ პუბლიკაციებს: 1. „XII საუკუნის გარეჯელი კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრავ და მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი (Ven.4 და H-1669)“ (ჯოჯუა 2003ა); 2. „XII საუკუნის გარეჯულ კრებულში (Ven.4-ში) დაცული ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის შესახებ („წვალებისა წინამდღურთა

შეჩუმნებად“)“ (ჯოჯუა 2003ბ) და 3. „მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი (1360-იანი წწ.) და მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“ (ჯოჯუა 2003გ).

წინარე პერიოდისაგან განსხვავებით, ჩვენთვის უკიდურესად წარუმატებელი აღმოჩნდა 2003 წლის შემოდგომა. ამ წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების სამკითხველო დარბაზიდან, ყოვლად გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა ჩვენი საქადალდე, სადაც დაცული იყო, პრაქტიკულად, მთელი ის მასალა, რაც კი 1997-2003 წლებში Ven.4-თან დაკავშირებით გვქონდა თავმოყრილი.

უფრო კონკრეტულად, საქადალდესთან ერთად დაიკარგა: 1. გარეჯული კრებულის უკლებლივ ყველა კოლოფონის ტექნიკური აღწერილობა, ამ ტექსტების გადმონაწერები დედნის შრიფტის დაცვით და მათი ჩვენებული წაკითხვები (შავი ვარიანტი, შესრულებული ხელნაწერის ორიგინალზე დაყრდნობით, ვენაში ყოფნის ჟამს); 2. Ven.4-ის ანდერძ-მინაწერების სრული კორპუსი, აღჭურვილი შესაბამისი აპარატით და გამზადებული გამოსაცემად (თეორი ვარიანტი, გარედაქტირებული ავსტრიაში ყოფნის დროს და გასრულებული საქართველოში დაბრუნების შემდეგ); 3. გარეჯულ კრებულსა და მის კოლოფონებთან დაკავშირებით წლების მანძილზე ნაგროვები მრავალფეროვანი მასალა: ვენაში წარმოებული სამუშაო დღიურები, თბილისში ნაკეთები სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ჩანაწერები, სხვადასხვა სახის ბარათები და სხვ. (უპირატესად, შავი ვარიანტები).

საბედნიეროდ, დაკარგვას გადაურჩა Ven.4-ის დედნიდან გადმოწერილი თხზულება „მოთხოვთავ ხულ მცირე ვასილოლრაფიხან, რიცხვხათვე დასაბამითგან გარდასრულობა წელთავსა“, რომლის სამეცნიერო-ტექნიკური აპარატით აღჭურვილი და გამოსაცემად მომზადებული ტექსტი ერთ-ერთ კომპიუტერულ ცენტრში ასაკრეფად გვქონდა დატოვებული.

საქადალდის დაკარგვის ფაქტმა უაღრესად ნებატიური გავლენა მოახდინა Ven.4-ისა და მისი ანდერძ-მინაწერების შემდგომი შესწავლის საქმეზე. ჯერ ერთი, თითქმის მთლიანად წყალში ჩაგვეყარა წლების მანძილზე გაწეული უზარმაზარი შრომა და იძულებული გავხდით თავიდან მივბრუნებოდით იმ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომლებიც მანამდე ერთხელ უკვე გვქონდა შესრულებული. გარდა ამისა, აბსოლუტურად ნათლად გამოჩნდა ისიც, რომ

ხელმეორედ წამოწყებული კვლევა-ძიების წარმატებით დამთავრების შემთხვევაშიც კი, ჩვენს მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგები ტოლფარდად ვერ შეცვლიდა დაკარგულს. მართლაც, ეს უკანასკნელი, ძირითადად, გარეჯული კრებულის ორიგინალზე მუშაობის პროდუქტს წარმოადგენდა, ხელმეორედ წამოწყებული კვლევა-ძიების პროცესში კი მთლიანად ხელნაწერის შავ-თეთრ ფოტოპირს უნდა დაგურდნობოდით.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენ კვლავ დავუბრუნდით Ven.4-ის სამეცნიერო შესწავლის საქმეს და 2004-2008 წლებში კიდევ სამი ახალი სტატია გამოვაქვეყნეთ. ეს სტატიებია: 1. „რამდენიმე ახალი ცნობა მოქვედი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის (1360-იანი წწ.) ბიოგრაფიისათვის“ (ჯოჯუა 2004); 2. „არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის სავედრებელი (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 წლის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“ (ჯოჯუა 2006) და 3. „გელათელი მონაზონის – ლევან IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფეხბრონია ხევარიძის სავედრებლები (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის (Ven.4-ის) აშიებიდან“ (ჯოჯუა 2008).

გარდა ამისა, ამავე 2004-2008 წლებში, უფრო ზუსტად კი, 2004 წელს გამოვაქვეყნეთ გრიგოლ ფერაძის ერთ-ერთი გერმანულენოვანი სტატიის ქართული თარგმანი – „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“. აღნიშნულ ნაშრომში მამა გრიგოლს წარმოდგენილი ჰქონდა ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერებისა და მათ შორის, 1160 წლის გარეჯული კრებულის საქმაოდ ვრცელი აღწერილობა. სტატია გერმანულიდან თარგმნა ხელოვნებათმცოდნე ცისია კილაძემ, თარგმანის რედაქტორობა დიმიტრი თუმანიშვილმა იტვირთა, ხოლო კომენტარები ჩვენ დაგურთეთ პუბლიკაციას (ფერაძე 2004).

ამჟამად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, სამეცნიერო საზოგადოებას თამოყრილი სახით გთავაზობთ ჩვენს მიერ 1997-2008 წლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ძირითად შედეგებს.

§2. ბარეჯული პრეგულის (Ven.4)

აღმოჩენილობა და მისი პოდიკოლობიური ანალიზი⁴¹

Ven.4 სხვადასხვა უანრის თორმეტი საკითხებისაგან შედგენილ მოზრდილ კრებულს წარმოადგენს. ხელნაწერს აქვს თავისი კერძო, საკუთარი სახელწოდება – „სანატრელი“, რაც ძალზედ იშვიათი მოვლენაა ქართული მწიგნობრობის ისტორიაში. ხელნაწერის სახელწოდებაზე პირდაპირ მიგვითითებს Ven.4-ის გადამწერის მიერ გარეჯული კრებულის 304v-ზე შესრულებული ანდერძის ტექსტი: „სახელითა დმრთისათა, წიგნსა ამას ეწოდების „სანატრელი“ (ფერაძე 2004: 164).

Ven.4 „სანატრელის“ სახელით არის მოხსენიებული მოქვედი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის მიერ გარეჯული კრებულის 3r-ზე დაწერილი 1363 წლის ბოლონაკლული კოლოფონის ტექსტშიც: „წიგნი ეს „სანატრელი“ ხელ...“. (ჯოჯუა 2003გ: 34).

გარდა ამისა, ხელნაწერი „სანატრელად“ იწოდება Ven.4-ის ერთ-ერთი მკაზმელ-განმაახლებლის, ურბნელი მთავარეპისკოპოსის ვლასე სააკასძის მიერ გარეჯული კრებულის 305r-ზე შესრულებული 1570 წლის ვრცელი მინაწერის ტექსტში: „ღირს ვიქმებ მე, ურბნელ მთავარებისკოპოს ვლასი, შეკაზმად წმიდისა ამის წიგნისა „სანატრელისა“ (ფერაძე 2004: 164).

Ven.4 ქადალდის ხელნაწერია და სამას ექვს ფურცელს (1r-306v) შეიცავს. თითოეული ფურცლის ზომა, დაახლოებით, 31 X 25 სანტიმეტრია. ხელნაწერის ქადალდი საკმაოდ არაერთგვაროვანია.

გარეჯული კრებულის დასაწყისში წარმოდგენილია პაგინაციის გარეშე დატოვებული ქ. წ. საცავი ფურცელი, რომელსაც, პირობითად, 1rv-თი აღვნიშნავთ. ფურცელი დია თეთრი ფერის, სქელი, უჭვირნიშნო ქადალდისაგან არის გამოჭრილი და ხელნაწერში, სავარაუდოდ, ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ, გარეჯული კრებულის ბოლო რესტავრაციის დროს ანუ 1930-იან წლებშია ჩაკინძული (ფერაძე 2004: 165).

⁴¹ წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკვნების ძირითადი ნაწილი შეტანილი გვაქვს 2002-2003 წლებში დაბეჭდილ სამ სტატიაში: 1. „წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი“ (ჯოჯუა 2002გ); 2. „XII საუკუნის გარეჯელი კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრად და მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი (Ven.4 და H-1669)“ (ჯოჯუა 2003ა) და 3. გრიგოლ ფერაძე „ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში“ (ფერაძე 2004).

Ven.4-ის მომდევნო, აგრეთვე პაგინაციის გარეშე დატოვებული ფურცელი, რომელსაც ჩვენ, პირობითად, 2rv-თი აღვნიშნავთ, საკმაოდ განსხვავებული სახის ქაღალდისაგან არის დამზადებული. იგი, საცავი ფურცლის მსგავსად, ლია თეთრ ფერს ატარებს, თუმცა, მისგან განსხვავებით, თვალშისაცემად უფრო თხელია. ჭვირნიშანი არც ამ ქაღალდზე გვხვდება. ვინაიდან 2rv-ზე შესრულებული რამდენიმე კოლოფონიდან ყველაზე უფრო ადრეული პერიოდის ტექსტი – მღვდელმონაზონ იოანე მუნჯის ვრცელი მინაწერი 1772 წლით თარიღდება (ჯოზუა 2002გ: 109-110), ამ ფურცლის Ven.4-ში ჩართვის დროც, შესაბამისად, 1772 წლამდე პერიოდით უნდა განისაზღვროს.

ხელნაწერის მომდევნო სამას ორი ფურცელი ანუ პრაქტიკულად, მთელი Ven.4 დაწერილია შესამჩნევად მოყვითალო ფერის, კარგად დამუშავებული ზედაპირის მქონე, სქელ, მაღალხარისხიან ქაღალდზე. ეს უკანასკნელი, მასზე დაწერილი ტექსტის მიხედვით, რასაკვირველია, გარეჯული კრებულის გადაწერის თანადროულია. ქაღალდს არანაირი ჭვირნიშანი არ აქვს. მისგან გამოჭრილი თითოეული ფურცლის recto-verso-ზე, ძველი ქართული სამწიგნობრუ წესის შესაბამისად, ამოკაწვრის წესით გავლებულია ერთიმეორის პარალელურად განლაგებული პორიზონტალური და ვერტიკალური საზები. როგორც ცნობილია, ფურცლის ზედაპირის ამგვარად დახაზვის ტრადიცია ტექსტის სიმეტრიულად დაწერის მიზნით იყო შემოღებული.

Ven.4-ის რიგით სამას მეხუთე ფურცელი (305rv) თეთრი ფერის საკმაოდ თხელი ქაღალდისაგან არის დამზადებული. დღეისათვის ამ ფურცლის recto-verso-ზე გარკვევით იკითხება რამდენიმე კოლოფონის ტექსტი. მათგან, ყველაზე უფრო ადრეულ პერიოდს განეკუთვნება გარეჯული კრებულის განმაახლებლის ვლასე ურბნელის ერთხელ უკვე ნახსენები 1570 წლის ვრცელი მინაწერი, რომელსაც თითქმის მთლიანად უჭირავს 305r-ს ზედა ნახევარი და ამ გვერდის შუა ნაწილი (ფერადე 2004: 164-165). მინაწერის ქრონოლოგია და მისთვის შერჩეული აშკარად აქცენტირებული ადგილი, საგარაუდოდ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ 305rv Ven.4-ის შედგენილობაში სწორედ ამ კოლოფონის დაწერის მიზნით იყო ჩართული. შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ ხსენებული ფურცელი ხელნაწერში ჩაკინძული იყო 1570 წელს, უმუალოდ ვლასე ურბნელის მიერ.

ხელნაწერს ასრულებს რიგით სამას მეექვსე, კ. წ. საცავი ფურცელი (306rv), რომელიც, Ven.4-ის დასაწყისში წარმოდგენილი კიდევ ერთი საცავი ფურცლის

(lrv) მსგავსად (იხ.: ზემოთ), აგრეთვე სქელი თეთრი ქაღალდისაგან არის გამოჭრილი და გარეჯულ კრებულში ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ, 1930-იან წლებშია ჩაკინძული (ფერაძე 2004: 165).

Ven.4-ს ორმაგი პაგინაცია აქვს. პირველი – რვეულებრივი, მეორე კი – ფურცლობრივი. პირველი, რვეულებრივი პაგინაცია ხელნაწერის გადამწერის ხელით არის შესრულებული, გარეჯული კრებულის შედგენის თანადროულია და ტრადიციული ხასიათი აქვს. კერძოდ, კალიგრაფი გარეჯული კრებულის პირველი ფურცლის recto-ზე, ზედა მარჯვენა კუთხეში სვამს რიცხვი 1-ის აღმნიშვნელ ასომთავრულ გრაფემა ც (ა)-ს და ამით აღნიშნავს პირველი რვეულის დასაწყისს. მომდევნო შვიდი ფურცლის შემდეგ, უფრო ზუსტად კი Ven.4-ის მერვე ფურცლის verso-ზე, ქვედა მარცხენა კუთხეში იგი კიდევ ერთხელ სვამს იმავე გრაფემა ც (ა)-ს და ამგვარად გვამცნობს, რომ პირველი რვეული ანუ რვა ფურცელი უკავ დასრულდა. ამის შემდეგ გადამწერი მომდევნო, ხელნაწერის რიგით მეცხრე ფურცლის recto-ზე გადადის და იქ, ზედა მარჯვენა კუთხეში სვამს რიცხვი 2-ის აღმნიშვნელ ასომთავრულ გრაფემა ლ (ბ)-ს, რაც იმის მაუწყებელია, რომ მეორე რვეული დაიწყო. ამას მოხდევს მის მიერ იმავე გრაფემა ლ (ბ)-ს დასმა ხელნაწერის რიგით მეთექვსმეტე ფურცლის verso-ზე, ნიშნად მეორე რვეულის დასრულებისა და ა. შ.

აქვე დავძენთ, რომ გარეჯული კრებულის გადამწერს ეს ასომთავრული გრაფემები, დანარჩენი ტექსტისაგან გამოყოფის მიზნით, ოთხივე მხრიდან დასმული განივი ხაზებით, დეკორატიული წერტილებითა და მმიმებით აქვს გამშვენებული. დღეისათვის ამ ასომთავრული გრაფემების მხოლოდ ერთი ნაწილიდა განირჩევა შეუიარაღებელი თვალით, მათი მეორე ნაწილი გადასულია, მესამე ნაწილი კი მოგვიანო დროის სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ არის მოხვედრილი.

Ven.4-ის მეორე, არაბული ციფრებით გაკეთებული პაგინაცია, რომელიც ფურცლობრივად აღნუსხავს მთელს ხელნაწერს, გაცილებით უფრო მარტივ პრინციპს ეფუძნება. მის ავტორს (ან ავტორებს) გარეჯული კრებულის პირველი ფურცლის recto-ზე, ზედა მარჯვენა კუთხეში დასმული აქვს ციფრი 1, მეორე ფურცლის შესაბამის ადგილას – ციფრი 2, მესამე ფურცელზე – ციფრი 3 და ა. შ. ვიდრე ხელნაწერის ბოლომდე. ამასთან, საგულისხმოა, რომ არაბული პაგინაცია გაკეთებული აქვს Ven.4-ის სულ ბოლო ფურცელს ანუ 306rv-საც კი, რომელიც, გარეჯულ კრებულში 1930-იან წლებში, ვენის ნაციონალური

ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ არის ჩაკინძული (ფერაძე 2004: 165). შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ ხელნაწერის არაბული პაგინაციის ავტორები ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები არიან და ამ სამწიგნობრე ოპერაციასაც 1930-იან წლებში ასრულებენ. ამჟამად გარეჯული კრებულის პაგინაციისათვის გამოყენებული თითქმის ყველა არაბული ციფრი გარკვევით იკითხება.

გარეჯულ კრებულს დართული აქვს ხელნაწერის 2r-ზე შესრულებული „ზანდუკი“, რომელიც, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, არა XII საუკუნეს, არამედ გაცილებით უფრო მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება.

დღეისათვის Ven.4-ის „ზანდუკის“ ტექსტი ხუთგზის არის გამოქვეყნებული: პირველად – 1889 წელს, არისტო ქუთათელიძის მიერ, მცირედ შემოკლებული სახით (ქუთათელაძე 1889); მეორედ – 1894 წელს, ალექსანდრე ცაგარელის მიერ, სრული სახით (ცაგარელი 1894: 44-52); მესამედ – 1940 წელს, გრიგოლ ფერაძის მიერ, გერმანული თარგმანის სახით (ფერაძე 1940: 228); მეოთხედ – 2002 წელს, ჩვენს მიერ, დანაწევრებული სახით (ჯოჯუა 2002გ: 106); ხოლო მეხუთედ – 2004 წელს, ისევ ჩვენს მიერ, ოდონდ ამჯერად უკვე სრული სახით (ფერაძე 2004: 166).

წინამდებარე ნაშრომში კიდევ ერთხელ მოგვყავს გარეჯული კრებულის „ზანდუკის“ ტექსტი:

„ზანდუკი ამა წიგნისა.

ა (1). შემოსლვისათ(გ)ს მაკრხვათასა, თქმ(უ)ლი ანასტასი მონაზონისა.

ბ (2). თ{ა}რგმ(ა)ნ(ე)ბ(ა)დ მომიხსევნეთა, თქმ(უ)ლი გრ(ი)გ(ო)ლი ნოსელისა.

ბ (3). აღდგ{ო}მასა შ(ე)მდგომად ამბორის ყ(ო)ფისა, თქმ(უ)ლი წ(მიდ)ისა ი(ოან)ე თქროპირისა.

ღ (4). საკითხავი ამ(ა)ღლ(ე)ბისა.

გ (5). კითხვა-მიგებ(ა)<დ>ნი წ(მიდ)ისა ბასილისა და გრიგოლისი.

გ (6). ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)დ შიშველ-მ(ა)რთ(ა)ლთა.

გ (7). ს(ა)კითხ(ა)ვი წ(მიდ)ისა ნისიმასი.

გ (8). შეჩუტნებ(ა)დ მწერ(ა)ლ(ე)ბ(ე)ლთა{ღ}.

ღ (9). ქ(ე)ბ(ა)დ ქ(ე)ბ(ა)ლთა, იამბიკონად თქმ(უ)ლი.

ღ (10). ს(ა)კითხ{ა}ვი შ(ო)ბისა ღ(მრთისა)დ ჩ(უ)ნისა ი(ეს)ჯ ქ(რისტე)სი, დეკენბერსა ძ(2) (25).

ია (11). ს(ა)კითხ(ა)ვი დიონისიოს არიოპაგელისა.

ია (12). აღრიცხვა წელთა აღამისითგ(ა)ნთა“ (ფერაძე 2004: 166).

„ზანდუკში“ ჩამოთვლილი თხზულებები გარეჯული კრებულის ტექსტში საკმაოდ განსხვავებული სახით აქვს დასათაურებული ნიკოლოზ ნიკრაის. მოგვაძეს თორმეტივე საკითხავის ნიკრაისეული სახელდებანი და იქვე ვუთითებთ Ven.4-ის იმ გვერდებს, სადაც იწყება და მთავრდება თითოეული ეს თხზულება:

1. 3v-41r. „თქუმული ანასტასი მონაზონისა, სინელის(ა)ო, შემოსლვისათვე მარხვათამასა და / მეუქუსისათვე / ფს(ალმუ)ნისა“ (ფერაძე 2004: 166).
2. 41v-177v. „თარგმანისნებ(ა)ო მომიტსენისამ, თქუმული / წ(მიდ)ისა გ(რი)გ(ო)ლი ნ(ო)ნ(ე)ლის(ა)ო“ (ფერაძე 2004: 166).
3. 178r-180r. „აღვენებასა შ(ემდგომა)დ ამზორის ყოფისა. ესე საკითხავი ერსა ზედა იკითხევების, თქუმული წ(მიდ)ისა მ(ა)მისა ჩ(უ)ნისა ი(ო)ნე ოქროპირისად“ (ფერაძე 2004: 166).
4. 180v-186v. „წ(მიდა)თა შ(ორი)ს მ(ა)მისა ჩ(უ)ნისა / ი(ო)ნე ოქროპირისა, / კოსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისამ, / სიტყ(უ)აო ამაღლებისათვე ო(ჯვლი)სა ჩ(უ)ნისა ი(ე)ბ(ე)ჯ ქ(რისტეს)ა“ (ფერაძე 2004: 166).
5. 187v-208r. „სიტყბ-გებ(ა)ო კითხვა-მიგებითი დიდისა / ბასილისი და გ(რი)გ(ო)ლი / ღ(მრთ)ისმეტყულისად“ (ფერაძე 2004: 167).
6. 208v-224r. „მრომად და ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)ო სანაცრელთა მ(ა)თ შიშუკლ-მართალთა / და წ(მიდ)ისა მ(ა)მისა ზონიერი“ (ფერაძე 2004: 167).
7. 224v-234v. „ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)ო და მოქ(ა)ლ(ა)ქობ(ა)ო წ(მიდ)ისა / ნისიძესი, რ(ომე)ლი იყო ასული მეფისა ეგვიპტისად / და იქმნა მ(ა)მასახლის უდაბნოს მქუფართა ზ(ედ), რიცხვთ რთხასთა“⁴² (ფერაძე 2004: 167).
- 235r-249r. „მოთხოვბ(ა)ო წ(მიდა)თა / მ(ა)მ(ა)თა მძუგართხათ(ე)ნ, რიცხვთ რთხასთა“.
8. 249v-254v. „წინამძღვართა შეჩუენებ(ა)ო“ (ფერაძე 2004: 167).
9. 255r-266r. „ქებ(ა)ო ქებათამ, შესხმად / წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმეტყულისად პრძნისა / სოლომონისგ(ა)ნ“ (ფერაძე 2004: 167).
10. 266v-292r. „უწყებათაგ(ა)ნ / პირუელთა გამოწულილვით შეკრებული ნეტ(ა)რისა ი(ო)ნესგ(ა)ნ ხუცისა და მონაზონისა დამასკელისა, საკითხავი შობისათვე ო(ჯვლი)სა / ჩ(უ)ნისა ი(ე)ბ(ე)ჯ ქ(რისტეს)ა“ (ფერაძე 2004: 167).

⁴² №7 თხზულება ორი, პრაქტიკულად, დამოუკიდებელი საკითხავისაგან შედგება და ამიტომ აქ ორივე საკითხავის სათაური მოგვაქვს.

11. 292v-303r. „*ცხ(ო)რებ(ა)დ წ(მიდი)სა დიონოსიოს / გპისკოპოსისა, ო(ომელი)ი / იყო ძე სოკრატისი / და მთავარი ათენეს{ლ}თავ, ო(ომელი)სა ეწოდა / ქ(ა)ლ(ა)ქი ბრძენთავ. მოთხოვთავ ჯ(უ)რცუმისათვს ღ(უფლი)ისა ჩ(უ)ნისა / ი(ებ)ჯ ქ(რისტე)სა“ (ფერაძე 2004: 167).*

12. 303v-304r. „*მოთხოვთ(ა)დ ს(უ)ლ მცირე ვასილოდრაფიხ(ა)ნ, რიცხვებათვს დასაბამითვ(ა)ნ გარდასრულთა წელთამასა“ (ფერაძე 2004: 177).*

როგორც ვხედავთ, გარეჯულ კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა ჟანრის თორმეტი თხზულების ტექსტი. აქედან, ოთხი თხზულება ჰომილეტიკური ხასიათის ძეგლებს წარმოადგენს. ეს ტექსტებია: №1. „*თქუმული ანასტასი მონაზონისა სინელისა მემოსლვისათვს მარხვათაისა და მეუქუსისათვს ფსალმუნისა*⁴³; №3. „*აღვხებასა შემდგომად ამბორის კოფისა ეს ხაკითხავი ერსა ზედა იკითხევების, თქუმული წმიდისა მამისა ჩუქინისა იოანე თქროპირისად*⁴⁴; №4. „*წმიდათა შორის მამისა ჩუქინისა იოანე თქროპირისა, კოსტანტინეპოლის მთავარებისკოპოსისა, სიტყუად ამაღლებისათვს რკფლისა ჩუქინისა იეს ქრისტესა*⁴⁵ და №10. „*უწყებათაგან პირულთა გამოწულილვით შეკრებული ნებარისა იოანესგან ხუცისა და მონაზონისა დამასკელისა, საკითხავი შობისათვს უჯვლისა ჩუქინისა იეს ქრისტესა*⁴⁶.

⁴³ ანასტასი სინელის ეს თხზულება ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნია XI-XII საუკუნეებში, ცნობილი ქართველი მწიგნობრის თეოფილე სუცემონაზონის მიერ (კეკელიძე 1980: 245). ჰომილიის ტექსტი შეტანილია XII-XIX საუკუნეებით დათარიღებულ ოცდაათამდე ქართულ ხელნაწერში (გაბიძაშვილი 2009გ: 219). სამწუხაროდ, ამ ჰომილიის Ven.4-ში წარმოდგენილი ნუსხა მითითებული არ არის ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2009 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. ჰომილეტიკა“ (გაბიძაშვილი 2009გ: 219).

⁴⁴ წმ. იოანე თქროპირის ეს თხზულება შეტანილია XI-XIX საუკუნეების ოცდაათამდე ქართულ ხელნაწერში (გაბიძაშვილი 2009გ: 86). სამწუხაროდ, ამ ჰომილიის გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ნუსხა მითითებული არ არის ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2009 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. ჰომილეტიკა“ (გაბიძაშვილი 2009გ: 86). სხვათა შორის, აღნიშნულ გამოცემაში შეტანილი არ არის ამ ჰომილიის კიდევ ერთი ნუსხა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია ვატიკანში დაცული ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის შედგენილობაში (თარხნიშვილი 1994: 294).

⁴⁵ წმ. იოანე თქროპირის ეს თხზულება ქართულად ნათარგმნია XI საუკუნის ცნობილი მწიგნობრის ეფრემ მცირეს მიერ (კეკელიძე 1980: 265-266). ჰომილია შეტანილია XII-XIX საუკუნეებით დათარიღებულ ოცხე მეტ ქართულ ხელნაწერში (გაბიძაშვილი 2009გ: 66-67). სამწუხაროდ, ამ თხზულების Ven.4-ში წარმოდგენილი ნუსხა მითითებული არ არის ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2009 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. ჰომილეტიკა“ (გაბიძაშვილი 2009გ: 66-67).

⁴⁶ თხზულება ქართულად ნათარგმნია გიორგი მთაწმიდელის მიერ (კეკელიძე 1980: 230). ამას თვალნათლივ მოწმობს Ven.4-ში წარმოდგენილი ტექსტი, რომლის სათაურთანაც ნიკოლოზ ნიკრაის ხელით შესრულებულია ნუსხური მინაწერი: „*თ(ა)რგმ(ა)ნი ვ(იორგ)ი*“. წმ. იოანე დამასკელის ეს ჰომილია შეტანილია XI-XIX საუკუნეების ოცდაათამდე ქართულ ხელნაწერში (გაბიძაშვილი 2009გ: 459). სამწუხაროდ, ამ ჰომილიის გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი

ერთგვარად განსხვავებული ხასიათის ტექსტია Ven.4-ის რიგით მეხუთე თხზულება, რომელიც, თავის მხრივ, ან პომილეტიკური ან კიდევ, აპოკრიფული ჟანრის საკითხავებს მიეკუთვნება: №5. „ხიტგა-გება კითხვა-მიგებითი დიდისა ბახილისი და გრიგოლი ღმრთისმეტყუელისად“⁴⁷.

გარეჯულ კრებულში შეტანილი ორი სხვა თხზულება ან პაგიოგრაფიული ხასიათის აპოკრიფებს ან კიდევ, წმინდად პაგიოგრაფიულ საკითხავებს წარმოადგენს. ეს ტექსტებია: №6. „შრომად და ცხორება ხანატრელთა მათ შოშელ-მართალთად და წმიდისა მამისა ზოსიძეს“⁴⁸ და №7. „ცხორება და

ნუსხა მითოებული არ არის ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2009 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „მელი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. პომილეტიკა“ (გაბიძაშვილი 2009გ: 459).

⁴⁷ კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილია ამ აპოკრიფული თხზულების ორი რედაქცია. აქედან, ერთ-ერთი რედაქცია „სახისმეტყუელებითი სიტყვსგებად წმიდათა მდღელთმოძღვართა ბასილისი და გრიგოლისი“, გვხვდება XII-XIII სს. ძეგლებში, ხოლო მეორე რედაქცია ამ აპოკრიფისა, რომელიც უფრო ახლოს დგას ხლავურ „Беседа трех святителей“-სთან, გვაქვს X-XI საუკუნის მრავალთავებზე“ (კეკელიძე 1980: 455). „X-XI საუკუნეების მრავალთავებზე“ საუბრისას მკვლევარს მხედველობაში აქვს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხელნაწერი: A-19 (ბრეგაძე ... 1973: 58-71) და A-95 (ბრეგაძე ... 1973: 361-393). იმავე კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, აღნიშნული საკითხავი ზემოთ ნახსენები ხელნაწერების გარდა, შეტანილია აპოკრიფული ხასიათის კრებულ „მარგალიტშიც“ (კეკელიძე 1980: 451-455). თავად „მარგალიტმა“ ჩვენამდე მოაღწია XVIII-XIX საუკუნეების რამდენიმე ნუსხის სახით. ეს ნუსხებია: S-1536 (ბაქრაძე ... 1961: 337-338), A-1369 (შარაშიძე 1954გ: 456-457), H-1296 (შარაშიძე 1948: 244-248), A-381 (ბრეგაძე ... 1985: 108-118), აგრეთვე, ლ. ლოპატინსკისა (თავადშვილი 1898: 74-76) და მიხიელ საბინინის (ხახანაშვილი 1901: 428-429) ნაქონი ხელნაწერები, S-3529 (ბრეგაძე ... 1969: 68-69) და A-658 (კორდანია 1902: 140-141). ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. კერძოდ, დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად არის დამკვიდრებული აზრი, რომ „მარგალიტი“ წარმოადგენს არა აპოკრიფული უანრის, როგორც ამას ფიქრობდა კორნელი კეკელიძე, არამედ პომილეტიკური ხასიათის კრებულს (გაბიძაშვილი 2009გ: 18, 21). თუ ეს მოსაზრება სწორია და „მარგალიტი“ მართლაც პომილეტიკურ კრებულს წარმოადგენს, მაშინ ავტომატურად ჩნდება კითხვა – რამდენად მართებული იყო კორნელი კეკელიძის პოზიცია, როცა ბასილი დიდისა და გრიგოლ ღმრთისმეტყუელის „კითხვა-მიგებით სიტყვისგებას“ აპოკრიფული ხასიათის ძეგლად მიიჩნევდა? სამწუხაროდ, დასმულ კითხვაზე რაიმე საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს და ამიტომაც წინამდებარე ნაშრომში ამ საკითხებზე მეტს არაფერს ვიტვით. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ განსახილავი თხზულების გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ნუსხა, სავარაუდოდ, მოგაუთვნება კორნელი კეკელიძის მიერ ამავა თხზულებებში გამოყოფილ პირველ რედაქციას.

⁴⁸ კორნელი კეკელიძის აზრით, ეს თხზულება წარმოადგენს პაგიოგრაფიული ხასიათის აპოკრიფს. ამავე მკვლევრის დაკვირვებით, აღნიშნული აპოკრიფი ცნობილია ორი რედაქციით (კეკელიძე 1980: 451). აქედან, პირველი რედაქციის სათაურია: „ცხორება და მოქალაქობა და საქმენი ნებართა შოშელ-მართალთანი, რომელსა წარვიდა ზოსიძე“. ტექსტი, მირითადად, დაცულია XVIII-XIX საუკუნეების ხელნაწერებში (ბრეგაძე ... 1976: 230; ბრეგაძე ... 1985: 175). რაც შეეხება მეორე რედაქციას, მიხი სათაურია: „შოშელმართალთათვეს, თხრობა წმიდისა ბახილისი ევგოლის მიმართ, მოძღვრისა მიხისა“. ეს ტექსტი შეტანილია A-65-ში (ბრეგაძე ... 1973: 227). საქმაოდ მცირედ განსხვავებული მოსაზრება აქვს ენრიკო გაბიძაშვილს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჩვენთვის საინტერესო თხზულება წარმოადგენს არა პაგიოგრაფიული ხასიათის აპოკრიფს, არამედ წმინდად პაგიოგრაფიული უანრის ნაწარმოებს (გაბიძაშვილი 2009გ: 56, 82-84, 207). ამასთან, ენრიკო გაბიძაშვილი დასახელებული თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებს ყოფს ორ კიმენურ რედაქციიდ. მისი თქმით, პირველი რედაქციის სათაურია: „ცხორება და მოქალაქობა და საქმენი ნებართა შოშელმართალთანი, რომელსა წარვიდა ზოსიძე“. მკვლევრის დაკვირვებით, ამ რედაქციის ტექსტი შეტანილია X-XIX საუკუნეების ექვს ქართულ

მოქალაქობად წმიდისა ნისიმები, რომელი იყო ასული მეფისა გვაძლებისად და იქმნა მამასახლის უდაბნოს მძუგაროს ზედა, რიცხვთ თოხახთა“⁴⁹.

დაახლოებით მსგავსი ხასიათის თხზულებაა Ven.4-ის შედგენილობაში წარმოდგენილი №11 საკითხავი, რომელიც ან აპოკრიფული ან კიდევ, ჰაგიოგრაფიული ეანრის ნაწარმოებს წარმოადგენს: №11. „ცხორებად წმიდისა დიონოსის ეპისკოპოსისა, რომელი იყო ძე ხოკრატის და მთავარი ათენელთაო, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაო. მოთხოვთად ჯუარცუმისათვეს ოჯოლისა ჩუენისა იქნა ქრისტება“⁵⁰.

ხელნაწერში (გაბიძაშვილი 2009ა: 56, 207). რაც შეეხება მეორე რედაქციას, მისი სათაურია: „ცხორებად და მოქალაქობად წმიდათა მათ და სანატრელთა შუშველ-მართალთა და წმიდისა და ხეგარისა მამისა ჩუენისა ზოსიმე განმორებულისა“ ენრიკო გაბიძაშვილის თქმით, ამ რედაქციის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია XVI-XVIII საუკუნეების მხოლოდ ორი ხელნაწერის სახით (გაბიძაშვილი 2009ა: 56, 207). საგულისხმოა, რომ ამავე თხზულების ის ნუსხა, რომელიც, თავის მხრივ, შეტანილია Ven.4-ში, ენრიკო გაბიძაშვილს მითითებული არ აქვს არც პირველი და არც მეორე რედაქციის ხელნაწერებს შორის (გაბიძაშვილი 2009ა: 56, 207). დღეისათვის, ჩვენთვის ძალიან მნელია ვთქვათ, სინამდვილეში, რომელ ჟანრს მიეკუთვნება გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ტექსტი – აპოკრიფულ-ჰაგიოგრაფიულს, როგორც ამას ფიქრობდა კორნელი კეკელიძე, თუ წმინდად ჰაგიოგრაფიულს, როგორც ეს მიაჩნია ენრიკო გაბიძაშვილს. ამიტომაც წინამდებარე ნაშრომში ჯერჯერობით ღიად ვტოვებთ ჩვენთვის საინტერესო თხზულების უანრობრივი კუთვნილების საკითხს. თუმცა კი, აქვე შევნიშნავთ, რომ ამ თხზულების გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ნუსხა, სავარაუდოდ, მიეკუთვნება კორნელი კეკელიძისა და ენრიკო გაბიძაშვილის გამოყოფილ პირველ რედაქციას. თუ ჩვენი ეს ბოლო დასკვნა სწორია, მაშინ მითითება ამ თხზულების Ven.4-ში წარმოდგენილ ნუსხაზე აუცილებლად უნდა შევიდეს ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2004 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „მეცნიერებლის ნათარგმნი ძეგლები“. 3. ჰაგიოგრაფია“ (გაბიძაშვილი 2009ა: 207).

⁴⁹ ამ თხზულების უანრობრივი კუთვნილების თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი განსხვავდებული მოსაზრება არსებობს. კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, წმ. ნისიმეს „ცხოვრება“ ჰაგიოგრაფიული ხასიათის აპოკრიფია (კეკელიძე 1941: 412). აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება ენრიკო გაბიძაშვილი, რომელიც, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ სსენებული ტექსტი წმინდად ჰაგიოგრაფიული უანრის ნაწარმოებს წარმოადგენს (გაბიძაშვილი 2009ა: 60, 82-84, 104, 299). ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე, ჯერჯერობით არ შეგვიძლია, დაბეჭითებით ვთქვათ, ვისი მოსაზრება უფრო სწორია – კორნელი კეკელიძის თუ ენრიკო გაბიძაშვილისა. ამიტომაც წინამდებარე ნაშრომში საერთოდ ღიად ვტოვებთ წმ. ნისიმეს „ცხოვრების“ ჟანრობრივი კუთვნილების საკითხს. სამაგიეროდ, ხაზგასმით აღნიშნავთ იმ ფაქტს, რომ განსახილავი თხზულების Ven.4-ში წარმოდგენილი ნუსხა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მითითებული არ არის ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2004 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „მეცნიერებლის ნათარგმნი ძეგლები“. 3. ჰაგიოგრაფია“, სადაც ჯეროვანი სახით არის ჩამოთვლილი ამავე თხზულების შემცველი სხვა ქართული ხელნაწერები (გაბიძაშვილი 2009ა: 207). დასასრულ, შევნიშნავთ იმასაც, რომ წმ. ნისიმეს „ცხოვრების“ გარეჯულ კრებულში შეტანილი ნუსხა და მასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი ფილოლოგოს ქვეყნას ასათიანის მიერ 2003 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ნისიმეს ცხოვრები“ XII საუკუნის უცნობი ქართული ნუსხის შესახებ (წინასწარი ცნობები)“ (ასათიანი 2003).

⁵⁰ კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, ეს თხზულება აპოკრიფული ხასიათის ძეგლია და უკავშირდება პავლე მოციქულის ერთ-ერთი მოწაფის არეპატელის სახელს (კეკელიძე 1980: 449-450). განსხვავებული შეხედულება აქვს ენრიკო გაბიძაშვილს. მისი აზრით, დიონისე არეპატელის „ცხოვრება“ წმინდად ჰაგიოგრაფიული უანრის ნაწარმოებია (გაბიძაშვილი 2009ა: 175-176). დღეისათვის, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რეალურად რომელ ჟანრს მიეკუთვნება გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ტექსტი – აპოკრიფულს თუ ჰაგიოგრაფიულს. ამიტომაც წინამდებარე ნაშრომში თავს ვიკავებთ რაიმე საბოლოო დასკვნისაგან და ჯერჯერობით ღიად

რაც შეეხება Ven.4-ში შეტანილ დანარჩენ თოხ თხზულებას, ისინი ეგზეგმიკური (№2), დოგმატიკურ-პოლემიკური (№8), ბიბლიურ-ჰიმნოგრაფიული (№9) და ისტორიულ-ქრონოგრაფიული (№12) ხასიათის ძეგლებს წარმოადგენს. ეს თხზულებებია: №2. „თარგმანებად მომიჯსენისათ, თქვემული წმიდისა გრიგოლი ნოსელისათ“⁵¹; №8. „წვალებისა წინამძღვართა შეჩუქრებად“⁵²; №9. „ქებად ქებათათ, შეხემად წმიდისა გმრთისმშობელისათ ბრძნისა ხოლომონისგან“⁵³ და №12.

ვტოვებთ ჩვენთვის საინტერესო თხზულების ფანრობრივი ეუფნილების საკითხს. ენრიკო გაბიძაშვილის დაკვირვებით, დონისე არეოპაგელის „ცხოვრებაში“ ჩვენამდე მოაღწია X-XIX საუკუნეების თხუთმეტამდე ქართული ხელნაწერის სახით (გაბიძაშვილი 2009ა: 175-176). სამწუხაროდ, დასახელებული თხზულების გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ნუსხა, ამ ხელნაწერში შეტანილი სხვა საკითხავების მსგავსად, მითითებული არ არის ენრიკო გაბიძაშვილის მიერ 2004 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნში: „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 3. ჰაგიოგრაფია“ (გაბიძაშვილი 2009ა: 176-177).

⁵¹ ამ ეგზეგმიკური თხზულების ავტორია წმ. გრიგოლ ნოსელი, რაზეც პირდაპირ მიგვითოთებს Ven.4-ში შეტანილი ტექსტის სათაური. საკითხავი ქართულად ნათარგმნია გიორგი მთაწმიდელის მიერ (კეკელიძე 1980: 224, 463). უფრო დაწვრილებით ამ თხზულების შესახებ ის: „წმიდა გრიგოლი ნოსელი. საღმრთისმეტყველო, ეგზეგმიკური და პანეგირიკული თხზულებები“ (წმიდა გრიგოლი ნოსელი 2004: 141-146, 198-285).

⁵² ამ თხზულების შესახებ დაწვრილებით ის: წინამძღვარ ნაშრომის თავი II, §1.

⁵³ Ven.4-ში შეტანილი საკითხავებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იყრობს „ქებად ქებათათს“ ტექსტი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გარეჯულ კრებულში ეს ბიბლიური წიგნი წარმოდგენილია არამხოლოდ დიალოგური ფორმით, რასაც ჯერ კიდევ ათონის 978 წლის ბიბლიაში ვხვდებით (კეკელიძე 1980: 418-419), არამედ – იამბიკოს სახით. ჩვენთვის უცნობ ჰიმნოგრაფს (ნიკოლოზ ნიკრაის?) ტექსტი თორმეტმარცვლიან (5+7) ტაქტებად აქვს დაყოფილი. საყურადღებოა ისიც, რომ Ven.4-ში ყოველი ტაქტის პირველი ხუთი მარცვლის შემდეგ დასმულია ორი (ან ერთი) ზევით აბრუნებული და ორიც ქვემოთ დახრილი მძიმე, მომდევნო შვიდი მარცვლის ბოლოს კი შესრულებულია, როგორც ჩანს, ტაქტის დასრულების აღმნიშვნელი ორწერტილი და ხაზი. ამ მხრივ, გარეჯულ კრებულში შეტანილი ეს თხზულება ძალუედ საინტერესო უნდა იყოს ქართული ჰიმნოგრაფით დაინტერესებულ მკვლევართათვის. მით უფრო, რომ Ven.4 გადაწერილია გარეჯში ანუ იმ სახულიერო ცენტრში, სადაც დაახლოებით იმავე ხანებში დამიანეს სახელით შემონაზვნებულ მეფე დემეტრე I-ს (1125-1156 წწ.). შეთხული აქვს პრწყინვალე იამბიკოები, მათ შორის, სახელოვანი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ (კეკელიძე 1980: 314-316; საქართველოს ... 2000ბ: 131-132). Ven.4-ში შეტანილი ტექსტი დასათაურებულია შემდეგი სახით: „ქებად ქებათათ, შეხემად წმიდისა ღმრთისმშობელისა ბრძნისა სოლომონისგან“. მაშასადამე, ჩვენთვის უცნობი ეგზეგმიკოსი (ნიკოლოზ ნიკრაი?) „ქებად ქებათათს“ განმარტავს, როგორც ბიბლიური მეფეწინასწარმეტყველის სოლომონის მიერ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შეხემას, რაც ერთობ თრიგინადურ მოსაზრებას წარმოადგენს. მაგალითისათვის შევნიშნავთ, რომ „ქებად ქებათათს“ ტექსტისადმი სრულებით განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ისეთი საფუძვლიანი თეოლოგიური განათლების ქონე მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ კორნელი კეკელიძე (კეკელიძე 1980: 428) და გრიგოლ ფერაძე (ფერაძე 2001: 103-113). მათი აზრით, ეს ბიბლიური წიგნი წარმოადგენს არა ყოველადწმიდა ღმრთისმშობლის შეხემას, არამედ ქალისა და ვაჟის სიყვარულისადმი მიძღვნილ ჰიმნს. ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითიდანაც კი ჩათლად ჩანს, თუ საღმრთისმეტყველო თვალსაზრისით, რაოდენ საინტერესო ძეგლია გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი „ქებად ქებათათს“ ტექსტი. აქვე შევნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ სენებული ბიბლიური წიგნით დიდად იყო დაინტერესებული ზემოთ უკვე სენებული გრიგოლ ფერაძე. მკვლევარმა „ქებად ქებათათს“ ტექსტი საგანგებოდ თარგმანი ჰქონდა ებრაულიდან და აღნიშნული თარგმანი 1932 წელს გამოიაქვეყნა პარიზში, მისივე რადაქტორობით გამომავალი უურნალის „ჯვარი გაზისას“ უურცლებზე (ფერაძე 1995: 152; ფერაძე 2001: 2001). „ქებად ქებათათს“ გარეჯულ კრებულში წარმოდგენილი ტექსტი, შესაბამის გამოკვლევასთან ერთად, გამოქვეყნებულია ზურაბ სარჯველაძის მიერ, 1983 წელს (სარჯველაძე 1983). 2003 წელს „ქებად ქებათათს“ ამავე ნუსხის შესახებ რამდენიმე საინტერესო მო-

„მოთხოვთ ხულ მცირე გასილოდრაფისგან, რიცხვსათვეს დასაბამითგან გარდასრულთა წელთავსა“⁵⁴.

გარეჯული კრებულის შედგენილობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ თხზულებები კალენდარული წესის დაცვით არ არის დალაგებული. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, Ven.4-ში წარმოდგენილი საკითხავების თანამიმდევრობა არ შეესაბამება იმ მკაცრად განსაზღვრულ კალენდრულ რიგს, რომელთა დაცვითაც ეს ტექსტები მთელი წლის მანძილზე იკითხებოდა საეკლესიო ლიტურგიაში მონაწილე მღვდელმსახურთა მიერ.

მეტიც, გარეჯულ კრებულში შეტანილია რამდენიმე ისეთი თხზულება, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს საეკლესიო ლიტურგიასთან. მაგალითად, ასეთი ტექსტებია: დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატი „წვალეგბისა წინამდღვართა შეჩერება“, საისტორიო-ქრონოგრაფიული საკითხავი „მოთხოვთ ხულ მცირე გასილოდრაფისგან, რიცხვსათვეს დასაბამითგან გარდასრულთა წელთავსა“ და სხვ.

ადნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, Ven.4-ის ფილოლოგიური კვლევის უკვე ამ ეტაპზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გარეჯული კრებული არ წარმოადგენს მრავალთავის ტიპის ხელნაწერს ანუ ძველი

54 საზრება გამოთქვა ციალა ქურციკიძემაც (ქურციკიძე 2003: 613). დასახელებული ორი პუბლიციკაცია ზემოთ უკვე დაწვრილებით გვქონდა განსილული, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით მათზე. Ven.4-ში წარმოდგენილი თორმეტი თხზულებიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერსს სწორედ ეს ისტორიულ-ქრონოგრაფიული ტრაქტატი იწვევს. ამჟამად მომზადებული გვაქვს აღნიშნული ტექსტისადმი მიძღვნილი ვრცელი გამოყვლევა, რომელსაც უახლოეს მომავალში შევთავაზებო სამეცნიერო საზოგადოებას. რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, აქ მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რომ სრული სახით წარმოვადგენო ხენებული ტრაქტატის ტექსტს: თხზულების სრული ქართული ტექსტი: „მოთხოვთ(ა) ხულ მცირე, / გასილოდრაფისგან(ა), რიცხვსათვეს დასაბამითგან(ა) გარდასრულთა წელთავსა. / ადამისითგან(ა) წელით რღუნა/ქოდის გარდაგდეს / წელი თრათას თრას / თრმეოცდაორნი. / წელით რღუნითგან(ა) გ(იდრ)ე გოდლისა შენებადმდე – თოხას ოცდახუთნი. გოდლისა შენებითგან(ა) გ(იდრ)ე / აბრაჟამისამდე – თოხას ოცდახუთნი. / აბრაჟამისითგან(ა) გ(იდრ)ე / გამოსლებამდე ძეთა / ი(სრა) ლისათა – თოხას / ოცდაათნი. [ექვებტით / გამოსლებითგან(ა) გ(იდრ)ე სოლომონის ტაძრისა / შენებადმდე – შედა[ს] / ორმეოცდაასთ]შვდმეტნი. სოლომონის / ტაძრისა შენებითგან(ა) გ(იდრ)ე ტყუეობადმდე / ი(სრა) ლისათა – თოხას ოცდახუთნი. [- -] ხ(ოლო) ჯუმლად – თოხათას / რგაას ოთხმოცნი. / ტყუეობითგან(ა) გ(იდრ)ე ა/ღექსანდრეს მეფობამდე – სამას ათრეგამეტნი. ალექსანდრეს მეფობითგან(ა) გ(იდრ)ე / ქ(რისტე)სამდე – სამას სამნი. / ერთამად – ხუთ ათას / ხუთი წელი. ქ(რისტე)ესითგან(ა) გ(იდრ)ე დიდისა კოსტანტინე მეფისამდე – სამას ათრეგამეტნი. / დიდისა კოსტანტინესითგან(ა) გ(იდრ)ე მიხაილ მეფისა, თეოფილეს ძისამდე – ხუთას ორმეოცდახუთნი. ერთამად – ექვს ათას სამას სამეოცდახუთი წელი. / თეოფილეს ძისა მიხაელ მეფისამთგან(ა) გ(იდრ)ე / ალექსი კომიანოსისამდე გარდაგდეს / წელი თრას ორმეოცდახუთნი. / ხ(ოლო) დასაბამითგან(ა) გ(იდრ)ე მოაქამდე გარდაგდეს / წელი გქუსათას / ექუსაწეს და რგანი. და ოდეს ესე ითარგმნა, თვით იყო / მარტი, ინდიეტიონი ტ / ბერძულადო (8+1092=1100 წ.) და აქას წლამდე 08 (13) [წელი] / გარდასრულა. / დაიწერა ხრონიკნა / ფლა (331+780=1111 წ.), ინდიეტიონსა 0 (5+1107=1112 წ.)“ (ფერაძე 2004: 177-178. შდრ.: ჯოჯუა 2002გ: 107-109).

ქართული მწერლობიდან კარგად ცნობილ ისეთ ლიტურგიკულ კრებულს, სადაც დიდი საეკლესიო დღესასწაულებისათვის განკუთვნილი, ძირითადად, პაგიოგრაფიული და პომილეტიკური ხასიათის საკითხავები, სწორედ კალენდარული პრინციპით იყო დალაგებული (შდრ.: მაისურაძე ... 1999: 9-23)⁵⁵.

გადავიდეთ გარეჯული კრებულის გადაწერასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხელნაწერის გადამწერის ვინაობის, გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ პირდაპირ მითითებას გვაწვდის Ven.4-ის 304v-ს ზედა ნახვარზე შესრულებული ვრცელი ანდერძის ტექსტი. კოლოფონი შესრულებულია გარეჯული კრებულის ძირითადი ტექსტის ხელით, ნუსხურად. რამდენიმე გრაფემა გადმოცემულია ასომთავრულით. ანდერძი, დიდწილად, დაწერილია სინგურით, ხოლო ქრონიკონისა და ინდიკტიონის რიცხვები გამოყვანილია შავი (?) ფერის მელნით. სრულად მოგვაქვს ანდერძის ტექსტი:

„სახელითა დ(მრთ)ისამთა, წიგნსა ამას ეწოდების სა/ნატრელი. დაიწერა კელითა უნდოხსა, შავ / ნიკ(ოლო)ზ ნიკრაოსამთა, სანახებსა წ(მიდ)ისა მ(ა)მისა დ(ავი)თისსა, / გარესჯას, კუდელსა (?), ო(ომე)ლსა ეწოდების სახელად / ბერთად, ქრონიკონსა ტპ (1160 წ.), მეფობასა ძისა / დ(ემე)ტრეს გ(იორგ)ისაზე, წელსა მეფობისა ძისისასა ბ (3). / დაამყარენ დ(მერთმა)ნ მეფობ(ა)დ ძისი სათხოდ ო(კფლ)ისა ჩ(უ)ნისა / ი(ეს)პ ქ(რისტო)ს{ა}, ო(ომ)ლისად არს დ(იდე)ბ(ა)დ უკ(უნი)თი უკ(უნისადმდ)ე, ა(მე)ნ და შავ ნიკრასა შრომისათვს კ(ურთ)ხ(ე)ვამ ს(აუ)კ(უ)ნ(ო)დ, ა(მე)ნ. / დ(იდე)ბ(ა)დ დ(მერთს)ა სრ(უ)ლმყოფელსა ყ(ოველ)თასა, ა(მე)ნ. / მე(უ)ფერ, გ(უა)კ(ურთ)ხ(ე)ნ“ (ფერაძე 2004: 164).

როგორც ვხედავთ, ციტირებული ტექსტი პირდაპირ გვაუწყებს, რომ გარეჯული კრებული გადაწერილი იყო ვინმე ნიკოლოზის მიერ: „დაიწერა კელითა უნდოხსა, შავ ნიკოლოზ ნიკრაოსამთა...“.

⁵⁵ განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გრიგოლ ფერაძეს. მკვლევრის დაპკირვებით, Ven.4 სწორედ მრავალთავის ტიპის კრებული იყო (ფერაძე 1940: 220-221; ფერაძე 2004: 160, 170). მოგვიანებით, გრიგოლ ფერაძის მოსაზრება რაიმე დამატებითი არგუმენტის გარეშე გაიმეორეს ვახტანგ იმნაიშვილმა და დარეჯან კლდიაშვილმა (იმნაიშვილი 2008: 10; კლდიაშვილი 2008: 11). ჩვენ 2002 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში საგანგებოდ შევხეთ გრიგოლ ფერაძის ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, დამაჯერებლად ვაჩვენეთ, რომ Ven.4 არცერთი ნიშნით არ მიეკუთვნება ლიტურგიკული დანიშნულების მქონე მრავალთავების ჯგუფს. პარალელურად ამისა, ხსენებულ სტატიაში პიპოთეზის სახით გამოვთქვით მოსაზრება, რომ გარეჯული კრებული უფრო კერძოდ საკითხავ წიგნს წარმოადგენდა და სავარაუდოდ, სენაკებსა თუ სამარტომყოფელოებში მოღვაწე მონაზვნებისათვის იყო განკუთვნილი (ჯოჯუა 2002გ: 106).

ამავე ანდერძიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზს ნართაული ზედწოდებაც პქონია⁵⁶. მას მეტსახელად ნიკრაის ეძახდნენ: „დაიწერა ქელითა უნდოხსა, შავ ნიკოლოზ ნიკრაისათვა... შავ ნიკრასა მრომისათვს კურთხევად საუკუნო“.

ცალკე საუბრის ოქმად ანდერძის ტექსტში დადასტურებული სიტყვა „შავი“, რომელიც, ერთ შემთხვევაში, Ven.4-ის გადამწერის სახელთან და ზედწოდებასთან არის დაწყვილებული, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მის ზედმეტსახელთან: „დაიწერა ქელითა უნდოხსა, შავ ნიკოლოზ ნიკრაისათვა... შავ ნიკრასა მრომისათვს კურთხევად საუკუნო“. ჩვენი დაკვირვებით, ეს სიტყვა ამავე ანდერძში დადასტურებული სიტყვა „უნდოხს“ მსგავსად, საკუთარი თავის დამამცრობელ თუ დამაკნინებელ ტერმინს უნდა წარმოადგენდეს⁵⁷.

გარეჯული კრებულის ანდერძში პირდაპირ არის მითითებული მისი გადაწერის ადგილიც: „დაიწერა... სანახებსა წმიდისა მამისა დავითისსა, გარეჯახა, კვდელსა (?), რომელსა ეწოდების სახელად ბერთამ...“. როგორც ვხედავთ, Ven.4 გადაწერილი იყო გარეჯის მრავალმთაში („გარეჯახა“), წმ. დავით გარეჯელის ლავრისა თუ უდაბნოს მონასტრის მიდამოებში („სანახებსა წმიდისა მამისა დავითისსა“) მდებარე⁵⁸, ჯერჯერობით დაუდგენელი ტიპის

⁵⁶ შუა საუკუნეების საქართველოში სიტყვა „ნართაული“ ზედწოდებას, ზედმეტ სახელს აღნიშნავდა, მაგ.: „დირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა“ (ქუთათელაძე 1955: 2). საერთოდ, ქართულ ნართაულ ზედწოდებებში ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ზედწოდებები, რომელთა მნიშვნელობაც მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგ.: გიორგი გრძელი (აბულაძე 1973: 236), საბა კუტი (შარაშიძე 1948: 292), მიქაელ მოდრევილი (ბრეგაძე ... 1959გ: 544), გაბრიელ პატარაი (ბრეგაძე ... 1973: 389), ბასილი ეტრატი (ბრეგაძე ... 1973: 395) და სხვ. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მას მიეკუთვნება ისეთი ზედწოდებები, რომელთა სემენტიკაც დაუდგენელია, მაგ.: მიქაელ მარცლა, ანტონი ლახტარა, დავით კოჭიკავ, ელემპი გოხაზი, იოანე თოვჭაბი (სხირტლაძე 1998: 72) და სხვ. ვინაიდან Ven.4-ის გადამწერის ზედწოდების წარმომავლობა უცნობია, ის ნართაულ სახელთა მეორე ჯგუფში უნდა განვიხილოთ.

⁵⁷ სიტყვა „შავი“ სხვა მნიშვნელობით, კერძოდ კი, ნართაულ ზედწოდებად ესმით ილია აბულაძესა (აბულაძე 1973: 362-363) და ვახტანგ ბერიძეს (ბერიძე 1967: 223-224). ისინი ითვალისწინებენ XI საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძის ტექსტს: „დაიწერა წმიდაო ესე სახარებაო... ტელითა უბადაზეუისა და მწარედ ცოდნებილისა შავ ზაქარიაძითა“ (ჯანაშივილი 1908: 60) და კალიგრაფს „შავ ზაქარიას“ უწოდებენ. რასაკვირველია, „შავი“ ნართაული ზედწოდებაც შეიძლება იყოს, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, იგი საკუთარი პიროვნების დამაკნიხებელ ტერმინს უნდა წარმოადგენდეს, მაგ.: „ესე აღაპნი იქ-აქა დავახნულად ეწერნებს და საჭირო იყენეს საძებნელად. ხოლო მე, ბრძანებითა წმიდასა მამისა ჩუქნისა იოანესითა, ჩემსა შავ დეკანოზობასა გარდავწერებ დაწყობით“ (მეტრეველი 1998: 191). Ven.4-ის ანდერძში „შავი“ უკველად საკუთარი პიროვნების დამამცრობელი ტერმინი უნდა იყოს, რადგან, საპირისპირო შემთხვევაში, გამოდის, რომ კალიგრაფი საკუთარ თავს ერთდროულად ორი ზედწოდებით ისხენიებდა: „ნიკრაი“ და „შავი“. ასეთ პრეცედენტს კი ქართულ წერილობით ძეგლებში ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ.

⁵⁸ Ven.4-ის ანდერძში მოტანილი ფრაზა „წმიდა მამა დავითი“, შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, აშეარად გულისხმობს გარეჯის მრავალმთაში მოქმედ ერთ-ერთ სავანეს, რომელიც ატარებდა წმ. დავით გარეჯელის სახელს. დღეისათვის მკვლევართათვის ამ სახელით ცნობილია გარეჯის მხოლოდ ერთი მონასტერი – წმ. დავითის მიერ დაარსებული უძველესი ქვაბოვანი სავანე, იგივე წმ. დავით გარეჯელის ლავრა, სადაც დღემდე იხილვება

სავანეში („კულტურა (?)”, რომლსაც სახელად ბერთას ეძახდნენ („რომელსა ეწოდების სახელად ბერთა“).

სამწუხაროდ, ანდერძის იმ ადგილას, სადაც შესრულებულია სიტყვა „კედელსა (?)“ მელანი თითქმის მთლიანად გადასულია, რის გამოც სიტყვის ზუსტად ამოკითხვა ვეღარ ხერხდება. თავდაპირველად, იმედი გვქონდა, რომ ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილის ამოკითხვას უშუალოდ ხელნაწერის დედანში მაინც მოვახერხებდით, თუმცა, ჩვენი მოლოდინი ფუჭი გამოდგა. გადასული სიტყვის ამოკითხვა ვერც დედანში ვერ შევძელით. მეტიც, ამ ადგილის დანამდვილებით გარჩევა ვერც ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის სპეციალური ტექნიკური კაბინეტების დახმარებით მოვახერხეთ, რომლებიც, თავის მხრივ, ულტრაიისფერი სხივებით იყო აღჭურვილი.

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გარეჯული კრებულის ანდერძის ეს ადგილი საკმაოდ განსხვავებული სახით ამოკითხა გრიგოლ ფერადემ. მის მიერ 1940 წელს ავსტრიაში გამოქვეყნებულ გერმანულენვან სტატიაში კოლოფონის ეს ფრაგმენტი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „სანახებსა

წმიდანის საფლავი. ჩვენ საკმაოდ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიგაბაჩია, რომ გარეჯში წმ. დავითის სახელს ატარებდა არამხოლოდ წმიდანის საფლავის ლავრა, არამედ მისგან სამხრეთით მდებარე დიდი ქავაბოვანი საგანე, რომელიც დღეისათვის უდაბნოს მონასტრის სახელით არის ცნობილი. რას ემყარება ჩვენი ამგვარი მოსაზრება? დავიწყოთ იმით, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის ფრესკულ მოხატულობაში წარმოდგენილია ქტიტორთა რიგი (X-XI სს.), რომლებიც ტაძრის მოდელს სახოებით მიართმევენ მათ წინ მდგრმ წმ. დავით გარეჯელს (აბრამიშვილი 1972: 69-77). დაახლოებით მსგავსი სურათი გვაქვს ამავე მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობაში (XIV ს-ის დასაწყისი), სადაც ნინოწმიდელი (?) ეპისკოპოსი იოანე ტაძრის მოდელს, მთავარ ეკლესიაში წარმოდგენილი ქტიტორების მსგავსად, მოწიწებით უწვდის იმავე წმ. დავით გარეჯელს (აბრამიშვილი 1972: 145). რატომ მიართმევენ ზემოსხენებული ქტიტორები მათი საფასით გამოკვეთილი თუ მოხატული ეკლესია-სამლოცველოების მოდელს მაინცადამაინც წმ. დავითს? ამ კითხვაზე ჩვენ ერთადერთი პასუხი გვაქვს. როგორც ჩანს, უდაბნოს მონასტერი წმ. დავით გარეჯელის სახელობისა იყო და ამიტომაც ქტიტორები საკუთარ დვაწლს სწორედ მას ავედრებდნენ. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის მრავლისმეტყველი ფაქტი, რომ მონასტრის მთავარ ტაძარსა (X-XI სს.) და სადიაკვნეში (IX ს.) შესრულებული იყო არა რომელიმე სხვა წმიდანის, არამედ მაინცადამაინც წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ფერწერული ციკლი (აბრამიშვილი 1972: 21-89). სავარაუდოდ, ამავე მიზეზით აიხსნება ის ფაქტიც, რომ უდაბნოს მონასტრის სხვადასხვა ეკლესია-სამლოცველოებსა თუ სატრაპეზოში უჩვეულო რაოდენობით არის წარმოდგენილი წმ. დავით გარეჯელის ფრესკული გამოსახულებები (აბრამიშვილი 1972: 101-114, 143-145). ფრესკულ ნიმუშებზე დაკვირვების გარდა, ზუსტად ანალოგიურ დასკვნამდე მივყავართ უდაბნოს მონასტერში გამოვლენილი წარწერების განხილვასაც. როგორც ირკვევა, ადგილობრივი ეპიგრაფიული ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, ოთხმოცამდე სავედრებელი ტექსტი სწორედ წმ. დავითისადმი იყო მიმართული (კლდიაშვილი ... 1999: 97-375). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი დავისკვნით, რომ უდაბნოს მონასტერი მართლაც წმ. დავით გარეჯელის სახელზე იყო დაარსებული. სამწუხაროდ, წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, ჯერჯერობით არ შეგვიძლია, ვისაუბროთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა სახის ურთიერთმიმართება არსებობდა შუა საუკუნეებში წმ. დავითის საფლავის ლავრასა და უდაბნოს მონასტერს შორის, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, ერთი და იმავე წმიდანის ანუ წმ. დავით გარეჯელის სახელს ატარებდნენ.

წ(მიდ)ისა მამისა დავითისას. გარესჯას, კუფისა, ო(ომე)ლსა ეწოდების
სოფლად. ბერთავ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ფერაძე 1940: 226).

როგორც ვხდავთ, განსახილავი ადგილის გრიგოლ ფერაძისეული და ჩვენეული წაკითხვები საკმაოდ განსხავდება ერთმანეთისაგან, რისი ძირითადი მიზეზიც, ცხადია, ტექსტის დაზიანებაა. გრიგოლ ფერაძისეული პუბლიკაციიდან ჩვენ პრინციპულად ვერ გავიზიარებთ იმ დებულებას, რომ სიტყვა „ბერთავს“ წინ იკითხება სიტყვა „სოფლად“. მართლაც, ანდერძის ტექსტზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ, მართალია, ძნელად, მაგრამ მაინც გარჩევით იკითხება სიტყვა „სახელად“. რაც შეეხება გრიგოლ ფერაძის მიერ განსხვავებული სახით წაკითხულ მეორე სიტყვას – „კედვისა“, აქ ვერც უარვყოფთ და ვერც დავეთანხმებით მკვლევრის მიერ შემოთავაზებულ წაკითხვას, ვინაიდან ანდერძის დაზიანებული ადგილი არ იძლევა რაიმე კატეგორიული დასკვნის გამოტანის უფლებას⁵⁹.

ამრიგად, ჯერჯერობით დიად ვტოვებთ საკითხს, თუ კონკრეტულად რა ტიპის სამოღვაწეო ადგილსა თუ სავანეს იხსენიებდა ნიკოლოზ ნიკრაი „ბერთას“ სახელით და შესაბამისად, განსახილავი სიტყვის ჩვენეულ წაკითხვასაც კითხვის ნიშნით წარმოვადგენთ წინამდებარე ნაშრომში.

როდის იყო გადაწერილი გარეჯული კრებული? დასმულ კითხავზე პასუხს კვლავ Ven.4-ის ანდერძი გვაძლევს: „დაიწერა... ქრონიკონსა ტპ (1160 წ.), მეფო-
დასა ძისა დემეტრეს გიორგისაზე, წელსა მეფობისა მისისას ბ (3)“. კოლოფო-
ნის ტექსტში მოხსენიებული მეფე გიორგი დემეტრეს-ძის ზეობის საკითხს ვრცლად ქვემოთ შევეხებით, აქ კი ყურადღებას მხოლოდ მეორე ქრონოლოგიურ მონაცემზე გავამახვილებთ და მასზე დაყრდნობით, აღვნიშნავთ, რომ გარეჯული კრებული გადაწერილი იყო ტპ (380) ქრონიკონს ანუ ქრისტეშობიდან 1160 წელს (780+380=1160 წ.).

გარეჯული კრებულის გადამწერის ვინაობის, გადაწერის ადგილისა და დროის დადგენის შემდეგ ჩვენ საგანგებოდ გავეცანით საქართველოსა და უცხოეთში დაცულ ქართულ ხელნაწერ წიგნთა სხვადასხვა „აღწერილობებსა“

⁵⁹ სამაგიეროდ, აღნიშნული სიტყვის გრიგოლ ფერაძისეული წაკითხვის მართებულობასთან დაკავშირებით, სავსებით საფუძვლიან ეჭვს ბადებს ის გარემოება, რომ სახელწოდება „კედვის“ მქონე არც სავანე და არც რაიმე სხვა ტოპონიმი დღეისათვის დადასტურებული არ არის გარეჯის მრავალმთის არც ერთ რაიონში (თოდრია ... 1988: 117-119). მიუხედავად ამისა, გრიგოლ ფერაძის მოსაზრებას, როგორც ჩანს, სრულად იზიარებს ფილოლოგოსი ვახტანგ იმნაიშვილი, ვინაც თავის 2008 წლის სტატიაში აღნიშნავს, რომ Ven.4 გადაწერილია „კედვაში, დავით გარეჯის მახლობლად“ (იმნაიშვილი 2008: 11-12, 19).

თუ კატალოგებს და მეტად საინტერესო შედეგამდე მივედით. აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ ნიკრაის Ven.4-ის გარდა, კიდევ ერთი ხელნაწერი წიგნი პქონდა გადაწერილი.

მხედველობაში გვაქვს თბილისში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების H კოლექციაში 1669-ე ნომრით დაცული წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ ერთ-ერთი ნუსხა, იგივე H-1669. აღნიშნული ხელნაწერი H კოლექციის ხელნაწერთა აკადემიური „აღწერილობის“ IV ტომში პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XII-XIII საუკუნეებით არის დათარიღებული. ამავე „აღწერილობის“ მიხედვით, H-1669-ის გადაწერის ადგილი უცნობია. სამაგიეროდ, „აღწერილობაში“ მოტანილია ხელნაწერისათვის დართული ერთ-ერთი მცირე ანდერძის ტექსტი და მასზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ H-1669 გადამწერი ვინმე ნიკრაია: „ხულსა ნიკრამსახა შეუნდვენ ო(კვალ)ო დ(მერთ)ო, ა(მი)ნ, რომელმან იშრომა ესე წიგნი“ (მეტრეველი 1950: 96-97).

მიუხედავად იმისა, რომ H-1669-ს გადამწერის ვრცელი ანდერძი არ ახლავს (წიგნს აკლია თავდაპირველი შედგენილობის პირველი თხუთმეტი და ბოლო რამდენიმე ფურცელი), დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი, ისე როგორც Ven.4, ნიკოლოზ ნიკრაის მიერაა გადაწერილი.

ამ მხრივ, ყოველგვარი ეჭვი გამორიცხავს Ven.4-ისა და H-1669-ის ძირითადი ტექსტების ერთიმეორესთან შედარება. ხელნაწერები აბსოლუტურად იდენტური ხელით არის ნაწერი.

ამრიგად, ირკვევა, რომ ნიკოლოზ ნიკრაი დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა და XII საუკუნის II ნახევარში – 1160 წელსა და მის ახლო ხანებში, გარეჯის მრავალმთაში ორი ხელნაწერი წიგნი გადაუწერია: 1. კრებული „სანატრელი“, იგივე Ven.4; და 2. წმ. იოანე სინელის „კლემაქსი“, იგივე H-1669⁶⁰.

ნიკოლოზ ნიკრაის მიერ გადაწერილი წმ. იოანე სინელის „კლემაქსი“, გარეჯული კრებულისაგან განსხვავებით, შედარებით უფრო უკეთ არის შეწავლილი ფილოლოგოსებისა და ხელოვნებათმცოდნების მიერ. მათგან, განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე, რომელმაც ძალიან მაღალი შეფასება მისცა ნიკრაის მხატვრულ-

⁶⁰ ამრიგად, საბოლოოდ დგინდება H-1669-ის წარმომავლობასთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი დეტალი. კერძოდ კი, ირკვევა, რომ წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ ეს ნუსხა გადაწერილი იყო მხატვარ-კალიგრაფ ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, გარეჯის მრავალმთაში, წმ. დავით გარეჯელის დავრის მიდამოებში, 1160 წლის ახლოსანებში (შდრ.: მეტრეველი 1950: 96-97).

კალიგრაფიულ ოსტატობას. მართალია, ამ შეფასებებისას მკვლევარი ნიკოლოზ ნიკრაის მიერ გადაწერილ მხოლოდ კიდევ ერთ ხელნაწერს, H-1669-ს ეყრდნობოდა, მაგრამ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები იმდენად ზუსტად შეესაბამება Ven.4-ს, რომ მათი მოხმობა თამამად შეგვიძლია რიგორც H-1669-ის, ისე გარეჯული კრებულის დასახასიათებლად:

„ნიკრაი – კალიგრაფი. ცხოვრობდა XII ან XIII ს-ში. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ გადაწერილ ერთ წიგნს – იოანე სინელის გ. წ. კლემაქსს, რომელიც XI ს-ში ბერძნულიდან გადმოთარგმნა ექვთიმე მთაწმიდელმა. წიგნი (ხელნაწ. ინსტ. H 1669) დიდი ფორმატისაა (36,5 X 29 სმ), 223 ფურცლისაგან შედგება (ქადალდია).

ნიკრას ხელით ნაწერია 16-215 ფურცლები (თავის თავს რამდენსამე მინაწერში ახსენებს – ყოველთვის არშიაზე: „სულსა ნიკრავსასა შეუნდვენ ღმერთმან ამენ“ – ფურც. 114, 115, 171 და სხვ.), დანარჩენი – ე. ი. პირველი თხუთმეტი და ბოლო ფურცლები – სხვა ხელითაა გადაწერილი. ეს მეორე კალიგრაფი რიგიანი ოსტატი ყოფილა, მაგრამ განსაკუთრებული რამ დამახასიათებელი ნიშანი არაფერი გააჩნია – წერს შავი მელნით, ორ სვეტად, დაქანებული, გადაბმული კუთხოვანი ნუსხურით. საზედაო ასოები ზოგი მელნითვეა ნაწერი, ზოგი სინგურით. ესაა, რომ პირველ ფურცელზე ტექსტის სვეტების სიგანე სხვადასხვაა – ყუისკენ მდებარე სვეტები უფრო ვიწროა.

ამ კალიგრაფის გვერდით განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნიკრას თავისებურება. მისი ნაწერი (ნუსხურითვე, ყავისფერი მელნით, ორ სვეტად) მოწმობს, რომ იგი დიდი ტემპერამენტისა და ფანტაზიის პატრონი უნდა ყოფილიყო, თანაც, მაინცადამაინც არ დაუდევდა საყოველთაოდ მიღებულ წესებს. ჯერ თვით ტექსტია თითქოს მოუსვენარი ხელით ნაწერი: კალიგრაფიულია, მაგრამ უფრო ძნელად წასაკითხი, ვიდრე მეორე მწერლის ხელი; სიტყვებს შორის წერტილ-მძიმეებია (ძალიან „მოქნეული“ მძიმეებით), სტრიქონებს ზემოთ და ქვემოთ სხვადასხვა დამატებითი ნიშნები (ქარაგმების გარდა), ზოგი ტალღოვანი ხაზივით, ზოგი აყირავებულ მძიმეებივით, ზოგან პატარა წრეები შუაგულში ჩასმული წერტილით. საზედაო ასოები დიდი „გაქანებითაა“ შესრულებული – ყველა ორნამენტირებულია, დიდი, ზოგი ძალიან დიდიც – ყველას კიდურები ხიშტებივით აქვს, ასოს მოხაზულობა პორიზონტალური „თაროებითა“ და ბურთულებითაა დანაწევრებული, ზოგს ფოთლები ებმის, ზოგან (სადაც შეპრული მოხაზულობაა) ადამიანის სახეა ჩახატული. არის საზედაო ასოები, რომლებშიაც მთელი სიტყვაა ჩაწერილი, სხვაგან მთელი

სიტყვა გადახლართული საზედაო ასოებითაა ნაწერი. საზედაო ასოები თავისი კუდებითა და ხიშტებით ხშირად იჭრება ტექსტში.

არშიები ფართოა და ზედ უამრავი სქოლიოა გამოტანილი: ყველა წვრილადაა ნაწერი, ისე, რომ ტექსტი რაღაც ფიგურებს ქმნის თავისი განლაგებით. ზოგან განლაგება მარტივია, საფეხურებივით. მაგრამ ერთგან (ფურც. 181) არშიაზე მელნით ადამიანის ფიგურის მთელი კონტურია შემოხაზული და სქოლიოს ტექსტი ამ კონტურს ავსებს. ამ კაცს სახე დახატული აქვს და გვერდით აწერია: „მამაი ჯერასიმე“. ნიკრას ფანტაზიისათვის დამახასიათებელია, რომ ჯერასიმე ცალი ხელით ყავარჯენს ეპრდნობა, მეორეში კი უჭირავს პატარა საზედაო ასო, რომლითაც ამ გვერდის ტექსტი იწყება. რამდენსამე ადგილას სქოლიოს ტექსტი ჯვარისებრ ფიგურებს ქმნის, გვხვდება არწივისა და მამლის მოხაზულობაში ჩაწერილი სქოლიოები, ერთგან კი თხისთავიანი კაცის კონტურში (ამ ფანტასტიკურ კაცს აწერია „ვაცკაცი“)⁶¹. ამის გამო გვერდების გაფორმება დინამიკურია, ნიკრავ თითქოს სულ ვერ ეგუებოდა ვერაფერს მშვიდსა და სტატიკურს.

ყველა ეს ნახატი მხოლოდ კალმითაა შესრულებული. ნიკრავ კალიგრაფი კი ყოფილა, მაგრამ პროფესიონალი მხატვარი არა. მისი ნახატები უფრო ხალხური შემოქმედების ნიმუშებია. ამ უცნაური წიგნის ფურცლებზე თითქოს ხალხური ზღაპრების ფანტაზია და ხალხური იუმორიც კია შემოჭრილი.

იშვიათად თუ მოიძებნება ხელნაწერი, რომელ შიაც გადამწერის ინდივიდუალობა ასე მკაფიოდ, უშუალოდ და გულუბრყვილოდ ჩანდეს“ (ბერიძე 1967: 193-194)⁶².

⁶¹ ნიკრაის მიერ H-1669-ის აშიებზე შესრულებული ნახატებიდან, ამჯერად, მხოლოდ თხისთავიანი ადამიანის გამოხახულებას (159r) გამოვყოფთ. ნახატს ახლავს მინაწერი – „ვაცკაცი“: უაქცევლია, რომ აქ ნიკრაის გამოხახული ჰქონდა ქართული მითოლოგიური პერსონაჟი, ნადირთმფარველი დვოაება ოჩოკოჩი, იგივე ვაცკაცი. როგორც ცნობილია, ქართული ზეპირგადმოცემების ოჩოკოჩს, ისე, როგორც Ven.4-ის ვაცკაცს სხეულის ერთი ნახევარი ვაცისა (მამალი თხის) აქვს, ხოლო მეორე ნახევარი – ადამიანისა (მაცაბერიძე ... 1984: 623). ეს ნახატი მხოლოდ ეთნოლოგებისათვის არ არის საინტერესო. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მონასტირიზმის ისტორიისათვისაც. მართლაც, XII საუკუნეში, გარეჯელი მწიგნობარი ბერის მიერ მის მიერ გადაწერილი ხელნაწერის აშიაზე წარმართული მითოლოგიური პერსონაჟის გამოხახვის ფაქტი, ნებისმიერი მიზანდასახულობის შემთხვევაში, მნიშვნელოვან შტრიხს წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული ასკეტური აზროვნებისათვის.

⁶² ვახტანგ ბერიძის მიერ შედგენილი ეს ტექსტი, პრაქტიკულად, უცვლელი სახით, ოდონდ აგრორზე მითოთების გარეშე, შეტანილია 2007 წელს დაბეჭდილ „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (ნიკრაი ... 2007). ამავე ტექსტის შემიკლებული ვარიანტი, აგრეთვე, ავტორზე მითოთების გარეშე, დაბეჭდილია „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-7 ტომშიც: „ნიკრაი, XII ან XIII სს. ქართველი კალიგრაფი. გადაუწერია იოანე სინელის კ. წ. ქლემაქსი, რ-იც XI ს-ში ბერძნულიდან თარგმნა ექვთიმე მთაწმიდელმა. ხელნაწერი ნუსხერია, წერს ყავისფერი მელნით, ორ სვეტად, ნაწერია მოუსვენარი ხელით, მნელი

გარეჯული კრებულის აშიებზე დაცულია XIV-XIX საუკუნეებში შესრულებული ასზე მეტი მინაწერის ტექსტი. მათი ერთი ნაწილი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ Ven.4-ის თავგადასავლს აღნიშნულ პერიოდში. ამ მიზნით, გარეჯული კრებულის კოლოფონებიდან საგანგებოდ გამოვყოფთ რამდენიმე ტექსტს.

Ven.4-ის 305r-ს ზედა ნახევრზე, შავი ფერის მელნით შესრულებულია ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები ურბნელი მთავარეპისკოპოსის ვლასე სააკასძის ვრცელი ნუსხური მინაწერის ტექსტი:

„დ(იდ)ებ(ა)დ ღ(მერთს)ა სრულმყოფელსა ყ(ოვლ)ისა კ{ე}თილის(ა)სა. ღირს ვიქმენ მე, ურბნ(ე)ლ მთ(ა)ვ(ა)რებისებ(ო)პ(ო)სი ვლასი, შეკაზმად წ(მიდ)ისა ამის წიგნისა „ს(ა)ნატრ(ე)ლისა“, ო(ამეთუ) ჟ(ა)მთა სიგრძის(ა)ვ(ა)ნ გ(ა)ნრყუნილ და უქმარ ქმნილიყო და ჩ(უ)ნ / ახლ(ა)დ, ბრძ(ა)ნ(ე)ბითა და ჯ{ე}რჩინ{ე}ბითა მ(ა)მისა ჩ(უ)ნისა, ტ/ფილელ მთ(ა)ვ(ა)რებისებ(ო)პოსისა ბ(ა)რნ(ა)ბ(ა)ისითა, ჭელვე(ა)ვ შევ(ა)ზმ(ა)დ სალ(ო)ცველ(ა)დ ც(ო)დგილისა ს(უ)ლისა / ჩ(ემ)ისა და ც(ო)დგ(ა)თა ჩ(ე)მთა შეს(ა)ნდ(ო)ბ(ე)ლ(ა)დ და ქ(ოველ)თა ჩ(უ)ნითა თ(კ)სთა და ნ{ა}კთესავთა მიცვ<ი>{ა}ლ(ე)ბ(უ)ლთა შ(ე)ს(ა)ნდ(ო)ბ(ე)ლ(ა)დ და აწ, გ(ევე)დრ(ე)ბი ქ(ოველ)თა, ო(ომელ)ნიცა იკითხედით წ(მიდას)ა / ამ(ა)ს წიგნსა, ო(ავთ)ა ჯ(ე)ნ(ე)ბ(უ)ბ(უ)ლ გ(ი)ქმნ(ე)ბ(ო)დეთ წ(მიდა)თა / შ(ინ)ა ლ(ო)ც(უ)ათა თქ(უ)ნთა, ო(ავთ)ა თქ(უ)ნცა მო<ი>იდოთ ს(ა)სყიდე/ლი უხუჯად მიმნიჭებლისა მის(ს)ს ქ(ოველ)თა ღ(მრთ)ის(ა)ვ(ა)ნ / და ერთობით ღირს ვიქმნეთ ს(ა)ს(უ)ფ(ევე)ლსა ც(ა)თასა, ა(მე)ნ. / ლ(ო)ც(უ)ა ქ(ა)ვთ მ(ა)მისა ბ(ა)რნ(ა)ბ(ა)ს(ა)თ(კ)ს და ჩ(უ)ნ ს(უ)ლიერთა ქმათათ(კ)ს და ჩ(ე)მ, ც(ო)დგილისა ვლასეს(ა)თ(კ)ს, ო(ომელმა)ნ / წ(მიდა)დ ესე წიგნი შეგვაზმე. მრ(ა)ვ(ა)ლი ჭირი გიხილე, ო(უფალმა)ნ უწყის / შეიკაზმა<ი> წ(მიდა)დ ესე წიგნი ქ(რონი)ქ(ო)ნსა სნმ (1570 წ.)“ (ვერაძე 2004: 164-165).

როგორც ვხედავთ, მინაწერის ტექსტში მოხსენიებულია ორი სასულიერო პირი: კოლოფონის დამწერი ურბნელი მთავარეპისკოპოსი ვლასე და თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა. მინაწერიდან ცნობილი ხდება ისიც, რომ ვლასე ურბნელს ბარნაბა თბილელის ბრძანებით, საფუძვლიანიად განუახლებია გარეჯული კრებული, რომელიც იმ დროისათვის დაზიანებული და

საკითხავია; საზედაო ასოები ორნამენტითაა შემკული, კიდურები წვეტიანი აქვს, ზოგ ასოს ფოთოლი ებმის, ზოგან ადამიანის სახეა ჩართული, ისინი ხშირად ტექსტშიაც იჭრებიან. შტაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამ უცნაური წიგნის ფურცლებზე ზდაპრების ფანტაზია და ხალხური იუმორიც კი შემოჭრილა. იშვიათია ხელნაწერი, სადაც კალიგრაფის ინდივიდუალობა ასე უშუალოდ და გულიბრყვილოდ იჩნდეს თავს“ (ნიკრაი ... 1984).

ხმარებისათვის გამოუსადეგარი ყოფილა. კოლოფონის ბოლოს მითითებულია მისი დაწერის დრო – ქრონიკონი სნც (258) ანუ ქრისტეშობიდან 1570 წელი (1312+258=1570 წ.).

მინაწერის ტექსტში მოხსენიებული ქართველი მღვდელმთავრებისა და მათი საქმიანობის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცნობებია დაცული ქართულ წერილობით ძეგლებში.

დაგიწყოთ ვლასე ურბნელით. მას ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყარო-ებში პირველად XVI საუკუნის 60-იან წლებში ვხვდებით. უსანეთის წმ. გიორგის ხატის 1563 წლის ახლო ხანებით დათარიღებულ წარწერაში გაითხულობთ: „*ძ. ნიქოზელს ვლასის და მშობელთა მისთა (?) მეუნდველნ ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ*“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია) (ჟორდანია 1897: 404).

თედო ჟორდანიას სამართლიანი ვარაუდით, ვლასი ნიქოზელი და ვლასე ურბნელი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. მაგლევრის დაკვირვებით, ვლასე თავდაპირველად ნიქოზელი მღვდელმთავარი იყო, მოგვიანებით კი ურბნელი მთავარეპისკოპოსის ქათედრა დაიკავა (ჟორდანია 1897: 404).

1566 წელს ქართლის მეფე სვიმონ I-მა (1556-1569, 1578-1599 წწ.) ურბნისის ტაძარს განუახლა მამის, მეფე ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) შეწირულება. მეფემ სიგელი ურბნელ მთავარეპისკოპოს ვლასეს უბოძა (კლდიაშვილი ... 1993: 195). აღნიშნულ საბუთში ვლასე მოხსენიებულია, ოოგორც „*ძაცი ზეცისა და ანგელოზი ქუჯანისა*“ (ჟორდანია 1897: 407). ვფიქრობთ, აქედან, ნათლად ჩანს, რომ ვლასე ურბნელი ამ დროისათვის უკვე დიდად პატივდებული სასულიერო მოღვაწე იყო.

ვლასე ურბნელის შესახებ მომდევნო ცნობები 1570 წელს განეცუოვნება. როგორც ირკვევა, იგი ამ დროისათვის იერუსალიმში იმყოფებოდა და წმიდა მიწაზე დაცული ქართული ხელნაწერების აღდგენა-განახლებისათვის იღწვოდა.

ვლასე ურბნელის წმიდა მიწაზე ჩასვლის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ბარნაბა თბილელის მიერ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის პუთვნილი „*მარხვანის*“ აშიაზე შესრულებული ერთი კოლოფონი: „*შეიკაზმა წ(მიდ)ა ეხე და ხულთა განმანათლებელი „მარხვანი“ კელითა ურბნისელისა მთ(ავარე)პ(ის)კ(ოპ)ზისა ვლასისითა და კელითა ჩემ ცოდვილისა მთ(ავარე)პ(ის)კ(ოპ)ზისა ბარნაბაძესითა... ქორონიკ(ონ)ე ხევ (1570 წ)... ამავე ქორონიკონსა მოვედით ჩუტეცა საქართულოვთ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ცაგარელი 1888: 168-169).*

ამრიგად, ვიგებთ, რომ ვლასე ურბნელი წმიდა მიწაზე ჩავიდა 1570 წელს, თბილელ მთავარეპისკოპოს ბარნაბასთან ერთად. ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ირკვევა, რომ ვლასე ურბნელმა წმიდა მიწაზე ყოფნის დროს შვიდი ქართული ხელნაწერი წიგნი გააცხოველა⁶³.

აქედან, ვლასე ურბნელმა ორი ხელნაწერი განაახლა ბარნაბა თბილელთან ერთად. ესენია: „მარხვანი“ (ცაგარელი 1888: 168-169) და „მეტაფრასი“ (ცაგარელი 1894: 51; მარი 1955: 79-81). რაც შეეხება დანარჩენ ხუთ ხელნაწერს, მათ რესტავრაციაზე ვლასე ურბნელი დამოუკიდებლად მუშაობდა. ეს ხელნაწერებია: „თთვენის“ ორი ნუსხა (ცაგარელი 1888: 182; მეფის მეტროპოლიტენი 1949: 231-232; ცაგარელი 1888: 166), „სვინაქსარი“ (ჟორდანია 1897: 522-526; მეტრეველი 1950: 82-86), „თარგმანება იოანეს სახარებისა“ (ცაგარელი 1888: 186-188; ჟორდანია 1892: 177-179) და ოთხთავი (თაყაიშვილი 1991: 293-296).

შესრულებული სამუშაოს საფასური ვლასე ურბნელს ჯვრის მონასტრის სალაროდან ეძლეოდა. მას გასამრჯელოს უშუალოდ ბარნაბა თბილელი უხდიდა, რომელიც, იმავდროულად, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამდღვარი ანუ ჯვარის მამა იყო. აღნიშნული ვითარება ნათლად არის აღწერილი ვლასე ურბნელის მიერ შესრულებული ერთ-ერთი კოლოფონის ტექსტში: „შეიკაზმა ქ(ე)ლითა ურბნელ მთ(ავარების)კ(ოპო)ზისა ვლახისათა და ბრძ(ა)ნებითა, ჯერ-ჩინებითა და ო(ან)აშეწვნითა ტფილელ მთ(ავარების)კ(ო-პო)ზისა და ჯ(უარის)მ(ა)მისა ბარნაბასითა... ხ(ოლო) ხარჯი წიგნთა საძმ(ო)თ და სამონასტრო იყვის, არა ხ(ოლო) მის წიგნისა, ა(რამედ) ე(ოველ)თა წიგნთა, რავდენიცა შეიკაზმა ქ(ე)ლითა ჩ(უკ)ნითა და მ(ა)მისაგ(ა)ნ მოვილებით რაცა გაკვდის“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (მარი 1955: 80-81).

ვლასე ურბნელის მიერ განახლებული ხელნაწერების კოლოფონები გვამცნობენ, რომ მდგველმთავარმა სამი წიგნი 1570 წელს გააცხოველა. ესენია: „მარხვანი“ (ცაგარელი 1888: 168-169), „სვინაქსარი“ (ჟორდანია 1897: 522-526; მეტრეველი 1950: 82-86) და „თარგმანება იოანეს სახარებისა“ (ცაგარელი 1888: 186-188).

ვლასე ურბნელის მიერ აღდგენილი კიდევ სამი ხელნაწერის კოლოფონებს თარიღი არ უზის. ეს ხელნაწერებია: „მეტაფრასი“ (ცაგარელი 1894: 51; მარი

⁶³ 1936 (?) წელს წმიდა მიწაზე მყოფმა გრიგოლ ფერაძემ საგანგებოდ დაძებნა ვლასე ურბნელის მიერ განახლებული ხელნაწერები და მათგან, მხოლოდ სამ წიგნს მიაკვლია. მკვდევრის თქმით, ეს ხელნაწერები ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღექსანდრე (ცაგარელისეულ „აღწერილობაში“ შეტანილი იყო, როგორც №77, №141 და №145 ნუსხები (ფერაძე 1940: 227)).

1955: 79-81), „თვენის“ ერთ-ერთი ნუსხა (ცაგარელი 1888: 166) და ოთხთავი (თაყაიშვილი 1991: 236-297. 293-296). მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ ურბნელმა მდგდელმთავარმა ეს ხელნაწერები, პირველი სამი წიგნის მსგავსად, აგრეთვე, 1570 წელს გააცხოველა.

ცალკე საუბრის თემაა XI საუკუნის „თოვენის“ კოლოფონი (ცაგარელი 1888: 182; მეფარიშვილი 1949: 231). ამ ტექსტში მითითებული ქრონიკონი აღექსანდრე ცაგარელმა წაიკითხა, როგორც სხი (1572 წ.) და ხელნაწერის აღდგენის ფაქტი, შესაბამისად, 1572 წლით დაათარიდა (ცაგარელი 1888: 182). გარდა ამისა, მკვლევარმა გაითვალისწინა ვლასე ურბნელის მიერ აღდგენილ სხვა ხელნაწერთა კოლოფონებში მითითებული თარიღი – 1570 წელი და ვლასე ურბნელის წმიდა მიწაზე ყოფნის დრო 1570-1572 წლებით განსაზღვრა (ცაგარელი 1888: 64, 169, 182, 261).

მოგვიანებით აღექსანდრე ცაგარელის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგია უპირობოდ გაიზიარა მკვლევართა ერთმა ნაწილმა და ვლასე ურბნელის წმიდა მიწაზე მოდგაწეობა, აგრეთვე, 1570-1572 წლებით დაათარიდა (თაყაიშვილი 1991: 295; ფერაძე 1940: 227).

კიდევ უფრო მოგვიანებით, 1949 წელს აკადემიური სახით გამოიცა ზემოხსენებული „თოვენის“ კოლოფონის ტექსტი. როგორც ამ პუბლიკაციიდან ირკვევა, მინაწერს თარიღად დასმული აქვს არა ქრონიკონი სხი (1572 წ.), არამედ – ქრონიკონი სხს (1570 წ.) (მეფარიშვილი 1949: 231). შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ ვლასე ურბნელს XI საუკუნის „თოვენი“, დანარჩენი შვიდი ხელნაწერის მსგავსად, გაცხოველებული პქონდა არა 1572 წელს, როგორც ამას ფიქრობდა აღექსანდრე ცაგარელი, არამედ – 1570 წელს.

აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით, ავტომატურად ვიწროვდება ვლასე ურბნელის იერუსალიმში მოღვაწეობის ქრონოლოგიაც და საბოლოოდ დგინდება, რომ ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ცნობების მიხედვით, ურბნელი მღვდელმთავარი წმიდა მიწაზე იმყოფებოდა არა სამი წლის განმავლობაში ანუ 1570-1572 წლებში, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ მხოლოდ ერთი წლის მანძილზე – 1570 წელს.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა შევეხოთ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცული XIII საუკუნის ოთხთავის ერთ-ერთ კოლოფონს, რომელიც ძვირფას ცნობებს გვაწვდის ვლასე ურბნელის

ბიოგრაფიის შესახებ. კერძოდ, მინაწერი გვამცნობს, რომ ვლასე ურბნელი გვარად სააკაპსძე||სააკასძე იყო (თაყაიშვილი 1991: 236-297, 295).

აღნიშნული ცნობა განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს სააკაძეთა ფეოდალური სახლის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებისათვის. მართლაც, ჩვენს მიერ მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ სააკაძეთა საგვარეულო სახლი XVI საუკუნის შუა ხანებისათვის საქმაოდ დაწინაურებული იყო სასულიერო ასპარეზზე. ამ ფეოდალური ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი – ვლასე, ქართლის სამეფოს უმაღლეს სასულიერო წრეს მიეკუთვნებოდა. ის 1560-იანი წლების I ხანევარში ნიქოზელი მდვდელმთავრის კათედრას განაგებდა, ხოლო მოგვიანებით, XVI საუკუნის 60-იანი წლების II ხანევარსა და 1570-იანი წლების დასაწყისში უკვე ურბნელი მთავარეპისკოპოსის წოდებას ფლობდა.

ვლასე ურბნელის მსგავსად, საქმაოდ მრავალრიცხოვანი ცნობები მოგვეპოვება ბარნაბა თბილელის შესახებაც. ეს უკანასკნელი მდვდელმთავრის ხარისხის მიღებამდე, სავარაუდოდ, ქართლის ერთ-ერთი მონასტრის წინამდღვარი და სამეფო კარის მწიგნობარი იყო. მართლაც, ბარნაბა მდივან-წინამდღვრად იწოდება მის მიერ შედგენილ მეფე სვიმონ I-ის 1561 წლის სიგელში (კლდიაშვილი ... 1991: 461).

XVI საუკუნის 60-იანი წლების მეორე ხანევრისათვის ბარნაბა უკვე ტფილელი მთავარეპისკოპოსის კათედრას განაგებდა. მიუხედავად ამისა, იგი ქართლის სამეფო კარს ძველებურად უწევდა მდივან-მწიგნობრის სამსახურს. მისი ხელით არის ნაწერი სვიმონ I-ის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული 1566 წლის შეწირულების წიგნი (ჟორდანია 1897: 408; კლდიაშვილი ... 1991: 461), იმავე მეფე სვიმონის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის ბოძებული 1567 წლის სიგელი (ჟორდანია 1897: 408-409; კლდიაშვილი ... 1991: 461) და სხვა.

1570 წელს ბარნაბა თბილელი ვლასე ურბნელთან ერთად წმიდა მიწაზე ჩავიდა (ცაგარელი 1888: 168-169). ამ დროისათვის მას თბილისის მთავარეპისკოპოსობის გარდა, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამდღვრობა ანუ ჯვარის მამობაც ჰქონდა მიღებული. 1570 წელს განახლებული „მეტაფრასის“ მინაწერში ვკითხულობთ: „შეიკაზმა წ(მიდა)ო უსე მეტაფრასი (sic) ... გ(ე)ლითა ურბნელ მთ(ავარეპის)კ(ოპო)ზისა ვლახისათა და ბრძ(ა)ნებითა, ჯერ-ჩინებითა და თ(ან)ა შეწევნითა ტფილელ მთ(ავარეპის)კ(ოპო)ზისა და ჯ(უარ)ის მ(ა)მისა ბარნაბასითა“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (მარი 1955: 80). იგივეს გვამცნობს საკუთრივ ბარნაბა თბილელის მიერ აღდგენილი „მამათა

სწავლანის“ კოლოფონიც: „მოგაცხოველე წმ(იდა) ეხე წიგნი ექუსთა დღეთა მე, ც(ოდგილმა)ნ პირ(ულ)ლ<ი> ტფილელმან და აწ ჯ(უარი)სა ცხ(ოვე)ლისა მონასტრისა წინამძღ(უარმა)ნ, უღ(ირსმა)ნ ბარნაბა<ი>მან“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ცაგარელი 1888: 180)⁶⁴.

წმიდა მიწაზე ყოფნისას ბარნაბა თბილელმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია იერუსალიმის ქართულ კოლონიას. როგორც ზემოთ ვნახეთ, 1570 წელს ვლასე ურბნელმა მისი ბრძანებით, შვიდი ქართული ხელნაწერი წიგნი გააცხოველა. საგულისხმოა, რომ ბარნაბა თბილელი უშუალოდ მონაწილეობდა ხელნაწერების აღდგენა-განხელების პროცესში. მან ვლასე ურბნელთან ერთად, ორი ხელნაწერი გააცხოველა: „მარხვანი“ (ცაგარელი 1888: 168-169) და „მეტაფრასი“ (ცაგარელი 1894: 51; მარი 1955: 79-81). გარდა ამისა, ბარნაბა თბილელმა დამოუკიდებლად აღადგინა კიდევ ორი ხელნაწერი: „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (ჟორდანია 1892: 124; ბრეგაძე ... 1959ბ: 409-411) და „მამათა სწავლანი“ (ცაგარელი 1888: 180).

ბარნაბა თბილელი, სავარაუდოდ, მალევე დაბრუნდა იერუსალიმიდან. 1573 წელს ის უკვე საქართველოში იყო და ნიქოზის ტაძრისათვის სიგელსაც წერდა. სარგის კაკაბაძის აზრით, ეს საბუთი ბარნაბა თბილელის ნათესავების – თმოგველ-უჯარმელ ფავნელის შვილების მიერ უნდა იყოს გაცემული. მკვლევარი სიგელზე დაყრდნობით, იმასაც შენიშნავს, რომ 1573 წლისათვის ნიქოზის საყდარი ფავნელის შვილთა საგვარეულო საძვალე იყო (კაკაბაძე 1913: 6-9).

ის ფაქტი, რომ ბარნაბა თბილელი გვარად ფავნელის შვილი იყო, არანაირ ეჭვს არ იწვევს. წინარეხის ყოვლადწმიდა დმრთისმშობლის ტაძრის საქტიტორო წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა<ი> ღ(მრ)თისაღთა<ი> და მეოხებითა წმიდისა<ი> სიონისა ღ(მრ)თისმშობელისათა<ი>, ღირს ვიქმენ მე, ცოდვილი ტფილელი მთავარებისკოპოზი ბარნაბა<ი> ფავნელის შვილი, აღ შენებად წმიდისა<ი> ამის ეკლესიისა, საღოცველად და სადიდებელად მეფეთმეფისა სჯმონისათვეს და საღხინებელად ცოდვილისა სულისა ჩემისათვეს, ქორონიკონს სოვ (1588 წ.).

⁶⁴ ცალკე მსჯელობის საგანია ბარნაბა თბილელის ჯერის მამობის ქრონოლოგიური მიმართება წინამძღვარ ეპიფანეს ჯვარის მამობასთან, რომელიც, ამ წოდებას, ელენე მეტრეველის დაკვირვებით, 1567-1593 წლებში ატარებდა (მეტრეველი 1962: 37-39). საინტერესოა, თუ ზემოთ მოტანილი 1570 წლის კოლოფონების შესრულების დროს ჯვარის მამობას ბარნაბა თბილელი ფლობდა, მაშინ ამავე პერიოდში, უფრო ზუსტად კი, 1567-1593 წლებში, ჯვარის მამის წოდებას როგორდა ატარებდა წინამძღვარი ეპიფანე? სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი საქმაოდ სცილდება ჩვენი ამჟამინდელი ინტერესების სფეროს. ამიტომაც აქ მეტად აღარ შევჩერდებით მასზე და ამ საკითხის შესწავლას სამომავლოდ მოვუბრუნდებით.

დასაბამითვან ქ[ო] (1466 (?) წ.)“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.). (ბერიძე 1943: 606-607).

ჩვენი დაკვირვებით, სწორედ საგვარეულო წარმომავლობით უნდა აიხსნას ბარნაბა თბილელის განსაკუთრებული ყურადღება ნიქოზის საყდრისადმი. ცნობილია, რომ ბარნაბა თბილელმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა და ნიქოზის ტაძარს შესწირა 978 წლის ქართული ხელნაწერი წიგნი (ჟორდანია 1892: 123-124; შარაშიძე 1948: 292-293).

თედო ჟორდანიას დაკვირვებით, ბარნაბა თბილელმა იერუსალიმიდან საქართველოში ჩამოიტანა კიდევ ერთი ხელნაწერი – წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“ (ჟორდანია 1892: 124). ჩვენ არ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას. დავიწყოთ იმით, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ 88r-ზე შესრულებულია ორი ნუსხური მინაწერი: 1. „ღმერთო, შეიწყალე იმერელი ბატონიშვილი ნინო“ და 2. „უფალო, შეიწყალე მონაზონი ფ(ე)ბრ<რ>(ო)ნია, ა(მე)ნ, ა(მე)ნ“ (ტექსტის გამართვა და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1959ბ: 411).

ამ კოლოფონებში დასახელებული პირები მოხსენიებული არიან გარეჯული კრებულის აშიებზე დაცული სამი მინაწერის ტექსტშიც. ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ამ მინაწერებთან დაკავშირებულ საკითხებს. აქ კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ Ven.4-ის ეს კოლოფონები შესრულებულია XVIII საუკუნის I ნახევარში, წმიდა მიწაზე მყოფი გურული მონაზონის ფეხრონია ხევარიძის მიერ. როგორც ირკვევა, მონაზონმა ფეხრონიამ იერუსალიმში ყოფნის დროს საკუთარი კოლოფონები ადგილობრივ ეკლესიებსა თუ მონასტრებში დაცულ სხვა ქართულ ხელნაწერებსაც დაურთო. სავარაუდოდ, ამ ხელნაწერთაგან ერთ-ერთი იყო ზემოხსენებული წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ეს მართლაც ასე ჩანს, მაშინ ირკვევა, რომ თედო ჟორდანიას მიერ ნახსენები წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“ წმიდა მიწიდან საქართველოში ჩამოტანილი იყო არა 1570-იან წლებში, ბარნაბა თბილელის მიერ, არამედ გაცილებით უფრო გვიან, საგარაუდოდ, XVIII-XIX საუკუნეებში, ვინმე უცნობი პირის მიერ. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის I ნახევარში, მონაზონ ფეხრონიას იერუსალიმში ყოფნის დროს, წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“ ჯერ კიდევ წმიდა მიწაზე იყო დაცული.

დაგუბრუნდეთ ბარნაბა თბილელს, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგაც აქტიურად გააგრძელა წმიდა მიწის ქართულ სავანეებზე ზრუნვა. 1586 წელს მან საკუთარი ხელით შეადგინა კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული აბრეშუმის შეწირულების წიგნი (კლდიაშვილი ... 1991: 461).

იმავდროულად, ბარნაბა თბილელი ნაყოფიერად იღწვოდა საკუთარი ეპარქიის ქონებრივი გაძლიერებისათვისაც. 1580 წელს მან ჯავახიშვილებს მცირე საბოძვარი მისცა, სანაცვლოდ კი მათგან, თბილისის სიონის ტაძრისათვის სამი ყმა მიიღო: მამულა, ბატქუა და დათუა არჯევანასშვილები (კლდიაშვილი ... 1991: 461). მანვე 1592 წელს თანდრია ბაიდრისშვილისაგან შეიძინა ყმა-მამული და ისიც თბილისის სიონის ტაძარს შესწირა (კლდიაშვილი ... 1991: 461). ცალკე აღნიშვნის დირსია ბარნაბა თბილელის მიერ 1588 წელს წინარეხის ეკლესიის აგების ფაქტი, რომელიც შემდგომში თბილელი მღვდელმთავრების უმთავრესი სადგომი იყო შიდა ქართლში (ბერიძე 1943: 606-607).

ბარნაბა თბილელი აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. მისი ხელით არის ნაწერი უფლისწელ რამაზ-ყოფილი რომანოზის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის მიცემული 1580 წლის სიგელი (ჟორდანია 1897: 419; კლდიაშვილი ... 1991: 461), იესე-ხანის მიერ სიაუშ სააკაძისათვის ბოძებული 1580 წლის წყალობის წიგნი (კლდიაშვილი ... 1991: 461) და სხვ. ბარნაბა ტფილელი, ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში, უკანასკნელად, 1592 წლის სიგელში იხსენიება (კლდიაშვილი ... 1991: 461).

წმიდა მიწაზე მყოფი ვლასე ურბნელისა და ბარნაბა ტფილელის ერთობლივი სარესტავრაციო საქმიანობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ბარნაბა თბილელის მიერ შესრულებული ერთ-ერთი კოლოფონი: „შეიკაზმა წ(მიდ)ა ესე და სულთა განმანათლებელი „მარხვანი“ პეტრითა ურბნისელისა მო(ავარე)პ(ის)კ(ოპო)ზისა ვლასისითა და პეტრითა ჩემ, ცოდველისა ტფილელ მო(ავარე)პ(ის)კ(ოპო)ზისა ბარნაბათანითა, ესრე სახედ, რომელ: მე ვაცხოვლებდ და დაკლებულსა დაგხმერდ და დაფარულსა განვაცხადებდ, ხოლო იგი პკაზმავნ და პკრავნ და ორნივე ზოგად ვიჭირვოდით, არა ხოლო ამის წიგნისა, [არამედ] კ(ოვე)ლ(ი)ვე წიგნთა რაოდენიცა ახლად განვაკეთეთ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ცაგარელი 1888: 168-169).

დაახლოებით იგივეს გვამცნობს ვლასე ურბნელიც: „შეიკაზმა წ(მიდა)დ ესე
ძეგავრასტი... პ(ე)ლითა ურბნ(ის)ელ მთ(ავარეპის)კ(ოპო)ზისა ვლასისათა და
პრძ(ა)ნებითა, ჯერ-ჩინებითა და თ(ან)ა შეწევნითა ტფილელ მთ(ავარეპის)კ(ო-
პო)ზისა და ჯ(უარ)ის მ(ა)მისა ბარნაბასითა. რ(ამეთუ) მე შეკრვასა და შეკაზმა-
სა ვიღუწიდ, ხ(ოლო) იგი დაბნელებ(უ)ლითა მ(ა)თ და უკმარ ქმნილთა ასოთა
გ(ა)ნაახლებნ და დაღათუ აკლნ წერილი, დასწერნ და ხრ(უ)ლ პყოფნ და ესრეთ
ზოგად ვიჭირვოდეთ და ვშეურებოდეთ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (მარი
1955: 80).

როგორც ვხედავთ, ამა თუ იმ ხელნაწერის ერთობლივი აღდგენა-
განახლებისას ვლასე ურბნელი საკუთრივ ხელნაწერის შეკვრა-შეკაზმვით იყო
დაკავებული, ბარნაბა ტფილელი კი შელახულ ტექსტს აცხოველებდა. ეს არც
არის გასაკვირი. ეს უკანასკნელი ხომ დახელოვნებული კალიგრაფი იყო და
როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართლის სამეფოში ხშირად მდივან-მწიგნობრის
მოვალეობასაც ასრულებდა.

ცალკე საუბრის თემაა მათ მიერ დამოუკიდებლად განახლებული
ხელნაწერები. ვლასე ურბნელმა ამ გზით აღადგინა ხუთი წიგნი, ხოლო ბარნაბა
ტფილელმა – ორი ხელნაწერი. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში,
მღვდელმთავრები თავად ასრულებდნენ როგორც წიგნის შეკვრა-შეკაზმვასთან,
ისე ტექსტის განხლება-გაცხოველებასთან დაკავშირებულ სარესტავრაციო
სამუშაოებს.

ჩვენი დაკვირვებით, ვლასე ურბნელისა და ბარნაბა თბილელის მიერ წმიდა
მიწაზე რესტავრირებულ ქართულ ხელნაწერ წიგნებს შორის, უსათუოდ უნდა
იგულისხმებოდეს გარეჯული კრებულიც. აქვე, გასათვალისწინებელია ისიც,
რომ Ven.4-ის კოლოფონში ხელნაწერის განმაცხოველებელად მოხსენიებულია
არა ორივე მღვდელმთავარი, არამედ მხოლოდ ურბნელი მთავრეპისკოპოსი
ვლასე. როგორც ჩანს, გარეჯული კრებულის რესტავრაციით უშუალოდ ვლასე
ურბნელი იყო დაკავებული, ბარნაბა თბილელი კი მას რაიმე სხვა სახით
უწევდა ამ საქმეში თანადგომას.

ამრიგად, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი დაგასკვნით, რომ ვლასე
ურბნელისა და ბარნაბა თბილელის წმიდა მიწაზე ყოფნის უამს ანუ 1570 წელს,
Ven.4 გარეჯიდან უკვე იერუსალიმში იყო გადატანილი და ერთ-ერთი
ადგილობრივი ქართული ეკლესიისა თუ მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა.

ვლასე ურბნელის მიერ გარეჯული კრებულის აშიაზე შესრულებული კოლოფონი ხელნაწერის წმიდა მიწაზე მოხვედრის თარიღის გარდა, სხვა საინტერესო ცნობასაც გვაწვდის Ven.4-ის კოდიკოლოგიის შესახებ. როგორც მისი ტექსტიდან ირკვევა, 1160 წელს გადაწერილი გარეჯული კრებული XVI საუკუნის II ნახევრისათვის უკვე ძალზედ დაზიანებული იყო და საკითხავად აღარ გამოიყენებოდა. ხელნაწერის აღდგენა-განახლების საქმეს ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა ვლასე სააკასძემ მოჰკიდა ხელი, ვინაც 1570 წელს თბილელი მთავარეპისკოპოსის ბარნაბა ფავნელის შვილის ბრძანებით, საფუძვლიანად გააცხოველა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეპაზმა“ „უამთა სიგრძისაგან განრყუნილი და უკმარ ქმნილი“ გარეჯული კრებული.

ვლასე ურბნელის მიერ შესრულებული 1570 წლის მინაწერის განხილვის შემდეგ ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით გარეჯული კრებულის კოლოფონებს და მათგან საგანგებოდ გამოვყოფთ კიდევ ერთი მინაწერის ტექსტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, უფრო მეტად დაგაზუსტოთ Ven.4-ის წმიდა მიწაზე მოხვედრის თარიღი.

მხედველობაში გვაქვს ხელნაწერის 120r-ს მარჯვენა აშიაზე, პაწაწინა ნუსხური ასოებით შესრულებული სავედრებელი მინაწერი, რომელიც შემდგინა სახით იკითხება:

„გად, მე, ქ(ოვლ)ით / ც(ო)დვით / საგსესა / ამბრ(ო)ს(ე)ს. / ო(ზფალ)ო ო(ეს)ა
ქ(რისტ)ე, / მოიხსენე ს(ულ)ი / პ(ა)ტრ(ო)ნისი ქაიხოსროსი / წყ(ა)ლობით /
ს(ა)ს(უ)ფ(უ)ბ(უ)ლსა / შ(ე)ნსა“ (ფერაძე 2004: 181).

როგორც ვხედავთ, სავედრებელში მოხსენიებულია ვინმე პატრონი ქაიხოსრო და კოლოფონის დამწერი ამბროსე. დასახელებული პირების ვინაობა და მათი მოღვაწეობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად არის ცნობილი. კერძოდ, პატრონი ქაიხოსრო არის თავისი დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, სამცხეის ათაბაგი ქაიხოსრო I (1498-1500 წწ.), რომლის შესახებაც XV-XVI საუკუნეების ქართულ და უცხოურ წყაროებში მრავალრიცხოვანი ცნობებია დაცული.

XV-XVI საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა ამბროსეც. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში პირველად XV საუკუნის 90-იან წლებში იხსენიება. ამ დროისათვის სამცხეის ათაბაგის კარზე აღზრდილი ამბროსე უკვე დახელოვნებული მხატვარ-კალიგრაფი იყო. მან 1494 წელს გადაწერა და მდიდრულად შეამკო „ფსალმუნის“ ერთ-ერთი ნუსხა. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „გათავდეს

ქორონიკონსა რპბ (1494 წ.), აპრილსა ვე (25) ტელითა ფრიად ცოდვილისა მწერლისა ამბროსესითა“ (ბრეგაძე ... 1985: 70).

1500 წელს ათაბაგი ქაიხოსრო I გარდაიცვალა და სამცხის მთავარი მისი ძმა, მზეჭაბუკი (1500-1515 წწ.) გახდა. ახლადაღსაყდრებულმა ათაბაგმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთ საქრისტიანოს სამონასტრო ცენტრებისათვის ათაბაგ ქაიხოსრო I-ის სულის მოსახსენიებლად მდიდრული შეწირულობა გაეგზავნა და ამ საქმის აღსრულება ამბროსეს დაავალა (მენაბდე 1980: 50, 112, 226).

ამბროსე თავდაპირველად ათონის მთაზე გაემგზავრა. ათონის ღმრთისმშობლის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის №162-ე ჩანაწერში ვკითხულობთ: „შემდგომად ამისა მე, ხავაგლახო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსი, ამბროსი წარმომავლინა პატრონმან, ძმამან მათმან მზეჭაბუკ ხრულიად ხაბერძენეთად, იტრუსალემს და სინახცა მრავლითა ხაურნდითა, დაუწეულ გაცემა ტრაპიზონიტ კოხტანგიპოლემდის და კოხტანგიპოლითგან ვიდრე ამა წმიდანა მთამდე“ (მეტრეველი 1998: 185).

ამავე სააღაპე წიგნის №163-ე ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ამბროსემ თავადაც დიდი ღვაწლი დასდო ათონის ქართველთა მონასტერს: „ეგრეთვე აღზრდილი პატრონის ქაიხოსროსი ამბროსი დიდად შეეწია ამა მონასტერებისა, პორტაციებისა ღმრთისმშობლისა ხატი მოჭედა მძიმედ, მისხავე ეკკლესიასა ზედა პირდო აღაშენა და გასამაგრა თოვითა და საუძლეურე აღაშენა მიხით აკაზმულობითა და ღომატო მეტოქი მიხითა] წყალობითა აშენდა“ (მეტრეველი 1998: 186).

აღნიშნული სამსახურის სანაცვლოდ, სამონასტრო მმობამ ამბროსეს წირვალოცვა და აღაპი გაუჩინა. საგულისხმოა, რომ ამბროსემ ზემოხსენებული ჩანაწერები საკუთარი ხელით შეიტანა მონასტრის სააღაპე წიგნში (სხირტლაძე 1994: 11).

1990-იან წლებში ხელოვნებისმცოდნე ზაზა სხირტლაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამბროსემ ათონზე ყოფნის ჟამს საკუთარი ხელით მოჭედა პორტაციების ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის პერანგი (სხირტლაძე 1994: 19-20). თუ მკვლევრის დაკვირვება სწორია, მაშინ ირკვევა, რომ მხატვარები ამბროსე ჩინებული ოქრომჭედელიც ყოფილა.

ათონიდან ამბროსე იერუსალიმს გაემგზავრა და ადგილობრივ სასულიერო ცენტრებს ათაბაგ მზეჭაბუკის მიერ გამოგზავნილი შეწირულობა დაურიგა. წმიდა მიწაზე ჩატანილი შეწირულობის მნიშვნელოვანი ნაწილი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს გარდაცვლილი ქაიხოსრო I-ის სალოცავად გადაეცა. აღნიშნული ამბები გადმოცემულია ჯვრის მონასტრის ადაპტის ე. წ.

ტიშენდორფისეულ ნუსხაში. ამ ნუსხის №90 აღაპის ტექსტში ადგილობრივი ქართველი მოწესები მოგვითხოვობენ: „ჩუენა, ჯუარელთა ძმათა და დავთა და სრულიად საღ(მრ)თ(ო)მან კრებულმან, დავდევით ესე წიგნი პატრონსა ათაბაგსა მზეჭაბუკს, კურთხეულისა მათის ძმისა ქაიხოსროს სულისა სამლოცველოდ. დიადი საქონელი გამოეგზავნა მათისა გაზრდილისა ამბროსეს ჯელითა და მთაწმიდას და სრულად საბერძნეთშიგან მრავალი გაეცა, აგრევე, ამა საუფლოთა და წმიდათა ადგილთა მოიღო“ (მეტრეველი 1962: 77). მიღებული შეწირულების სანაცვლოდ, ჯვრის მონასტერში ათაბაგ ქაიხოსრო I-ის მოსახსენიებლად წირვა-ლოცვა და აღაპი დააწესეს.

წმიდა მიწაზე მყოფმა ამბროსემ ჯვრის ქართველთა მონასტერს საკუთარი სახელითაც მისცა შეწირულება, რისთვისაც ადგილობრივმა მოწესებმა ამბროსეს სახელი სამონასტრო სულთა მატიანეში შეიტანეს და მას მოსახსენიებელი განუწესეს. ჯვრის მონასტრის საადაპე წიგნის №90 ჩანაწერის ბოლოს აღნიშნულია: „აგრევე ესე უულაი მიხის ემის ამბროსეს ჯელითა ისაქმა და მოგვიდა და ერთი თახი შემოხწირა ჯუარს პატიოსანსა და კოსტომელი პერა და ერთი ჭარი იყიდა სამეკრეოსა, ხაპატიო და ამა უულ(ა)ხსათვე მატიანე შიგან ჩავწერეთ და მოხაჭხენებელშიგან. ამბროსეს და მიხო დედა-მამათ შეუბრევნებ და მამათმან. თხუთმეტი ფლური შეხავლად მოგუცა“ (მეტრეველი 1962: 77).

ელენე მეტრეველის აზრით, №90 აღაპის შედგენა და შესაბამისად, ამბროსეს იერუსალიმს ჩასვლა, 1501 წლით უნდა დათარიღდეს (მეტრეველი 1962: 133-134). დღეისათვის აღნიშნული მოსაზრება მთლიანად არის გაზიარებული ქართველ მკვლევართა მიერ (მენაბდე 1980: 50, 112, 226; სხირტლაძე 1994 და სხვ.).

ამბროსე საკმაოდ დიდხანს დარჩა წმიდა მიწაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ყოფნის დროს მან ოთხთავის გადაწერაც კი მოახწრო: „და აწ, ესე სახარებაო აღიწერა ცოდვილისა ამბროსისაგან იტრუსალემს, მონასტერსა ჯუარისა პატიოსნისასა, ხადიდებულად დმრთისა, მამისა, ძისამ და სულისა წმიდისა და სალოცველად სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსთვე“ (მეტრეველი ... 1957: 98)⁶⁵.

⁶⁵ ცალკე აღნიშვნის დირსია ის ფაქტი, რომ რომ ამბროსეს ყოფნის არავითარი კვალი არ ჩანს სინას მთაზე. არადა, ათონის ქართველთა მონასტრის საარაპე წიგნის №162 ჩანაწერის მიხედვით, მას ათონისა და იერუსალიმის შემდეგ, სინას მთის მონასტრებისათვისაც უნდა ჩაეტანა შეწირულება (96, 185). აღნიშნულ ფაქტს უურადღება საგანგებოდ მიაქცია ზაზა სხირტლაძემ. მიხი დაკვირვებით, იერუსალიმში მყოფმა ამბროსემ რაიმე მიზეზების გამო, მოგზაურობა შეწირულა და სინას მთაზე ადარ ჩავიდა (სხირტლაძე 1994: 18).

ჩვენი დაკვირვებით, ამბოსემ გარეჯული კრებული სწორედ წმიდა მიწაზე ყოფნის დროს ანუ 1501 წლის ახლოხანებში მოიხილა და საკუთარი სავედრებელიც მაშინ დაურთო იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში დაცულ ამ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერს.

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია და ეს მართლაც ასე ჩანს, მაშინ, ირკვევა, რომ Ven.4 გარეჯიდან წმიდა მიწაზე გადატანილი იყო არა 1570 წელს, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1501 წლის ახლოხანებამდე პერიოდში.

ზემოთ განხილული XVI საუკუნის ორი მინაწერის გარდა, გარეჯულ კრებულს დართული აქვს კიდევ ერთი ნუსხური მინაწერის ტექსტი, რომელიც, ერთი მხრივ, სრულებით ადასტურებს ამბოსესა და ვლასე ურბნელის მიერ დაწერილი კოლოფონების ცნობებს, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აზუსტებს მათ ჩვენებას Ven.4-ის წმიდა მიწაზე გადატანის ქრონოლოგიის თაობაზე.

ხსენებული მინაწერი შესრულებულია გარეჯული კრებულის 18v-ს ქვედა აშიაზე. მელანი ალაგ-ალაგ ადგილას გადასულია, რის გამოც ტექსტის რამდენიმე ფრაგმენტი შეუირაღებული თვალით აღარ იკითხება. აღნიშნული დაბრკოლების გადალახვაში დიდი დახმარება გაგვიწია ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ტექნიკურმა კაბინეტებმა, სადაც ულტრაიისფირი სხივების დახმარებით, სრულად ამოვიკითხეთ კოლოფონი. მოგვაქვს მინაწერის ტექსტი:

„ქ. საშინელო წ(მიდა)ნო აღგ(ი)ლნო და საფლაო ქ(რისტე)სო / და ქ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ლ(მრთ)ისმშობ(ე)ლო, შეიწყ(ა)ლე ს(უ)ლი საწყალი აღდგომელი იოსეგიბ ხუნგუსძისა, / მისი მშობლის მზექალისი“ (ფერაძე 2004: 181).

როგორც ვხედავთ, მინაწერის ტექსტში მოხსენიებული არიან აღდგომელი იოსებ ხუნგუსძე და მისი დედა მზექალი. იერუსალიმის აღდგომის ტაძრის ქართველი მოძღვრის, იგივე აღდგომელი იოსებ ხუნგუსძის სახელი და მოღვაწეობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი. იგი დახელოვნებული მწიგნობარი იყო. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის „საწინასწარმეტყველოს“ ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „სულსა ამა წ(ი)გნისა მკაზმავსა აღდგომელსა იოსებს ხუნგუს ძესა... მისსა მამასა გობნასა და მეუღლესა მისსა მზექალს ქ(ეუნდვნე)ს ლ(მერთმა)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ცაგარელი 1888: 153).

როგორც აღნიშნული მინაწერიდან ირკვევა, იოსებ ხუნტუსძის მამას სახელად გობნა, დედას კი – მზექალი ერქვა. თავად იოსები ხელნაწერის შეკაზმვის დროს აღდგომის ტაძრის მოძღვარი იყო, რის გამოც ის ტექსტი აღდგომელად არის მოხსენიებული.

„საწინასწარმეტყველოს“ მინაწერის ცნობებს მნიშვნელოვნად აზუსტებს სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. აქ, ხელნაწერის 196r-ზე, მატიანის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული (იოსებ ხუნტუსძის?) ხელით შესრულებულია ორი ჩანაწერი: 1. „*b(უ)ლსა ი(ო)ნე-კოვ(ი)ლისა იოსებს ხუნტუსძეს შეუნდველებელის დ(ე)რთმან*“; და 2. „*b(უ)ლსა გოგნისა ხუნტუსძეს შეუნდველებელის დ(ე)რთმან*; მისსა მეუღლესა მზექალს შეუნდველებელის დ(ე)რთმან“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ჯავახიშვილი 1947: 243. შდრ.: კლდიაშვილი 2008: 111-112, 177). ამრიგად, ირკვევა, რომ იოსების მამას სახელად არა გობნა, არამედ გოგნია ერქვა. რაც შეეხება თავად აღდგომელ მწიგნობარს, იოსები მისი საბერო სახელი იყო, ერისკაცობაში კი მას იოანე ეწოდებოდა.

როგორც წმიდა მიწის ქართული ხელნაწერების კოლოფონებიდან ვიგებთ, იოსებ ხუნტუსძე სამწიგნობრო საქმიანობას შემონაზვნებამდეც ეწეოდა. ჯვრის მონასტრის XIII-XIV საუკუნეების ერთი ხელნაწერი კრებულის მინაწერში აღდგომელი მწიგნობარი სწორედ იოანეს სახელით იყო მოხსენიებული: „*b(უ)ლსა ამა წიგნისს კაზმავსა ი(ო)ნე ხუნტუსძეს შეუნდველებელის დ(ე)რთმან*“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (მარი 1955: 43. შდრ.: კლდიაშვილი 2008: 111).

იოსებ ხუნტუსძისა და მისი ოჯახის შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა A კოლექციაში მე-40 ნომრით დაცული ხელნაწერის, იგივე A-40-ის გრცელი კოლოფონიც: „*b(უ)ლსა ამისა წიგნისა კაზმავსა, აღდგლომელსა იოსებს ხუნტუსძეს შეუნდველებელის დ(ე)რთმან; ხუნტოა მამასა გოგნისას ხუნტუსძეს შეუნდველებელის დ(ე)რთმან; და მეუღლესა მისსა მზექალს შეუნდველებელის დ(ე)რთმან; ძეთა მათთა ხუნტუსძიას, ლალათს და ნოლს შეუნდველებელის დ(ე)რთმან, ამინ, ამინ, ამინ, კირიკლესონ*“ (ბრეგაძე ... 1973: 122. შდრ.: კლდიაშვილი 2008: 111-112).

მაშასადამე, ირკვევა, რომ იოსებ ხუნტუსძეს პყავდა სამი ძმა: ხუნტუბია, ლალა და კიდევ ერთი პირი, რომლის დაქარაგმებული სახელის (ნოლ) მართებულად წაკითხვა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ცალკე საუბრის თემაა იოსების გვარი, რომელიც ჯვრის მონასტრის „საწინასწარმეტყველოს“ მინაწერსა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის

სულთა მატიანეში მოტანილია „ხუნტუსძის“ ფორმით, ხოლო ჯვრის მონასტრის XIII-XIV საუკუნეების კრებულისა და A-40-ის მინაწერებში – „ხუტუნძისა“ და „ხუტუნასძის“ ფორმებით.

იოსებ ხუნტუსძის ბიოგრაფიის შესახებ კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი ხასიათის ცნობებს გვაწვდის ჯვრის მონასტრის „მამათა ცხოვრების“ ერთი კოლოფონი: „შემკაზმელი იოსებ ყოფილი ოონაო, მღ(დელ)-მონაზონი ხუნტუსძე“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ცაგარელი 1888: 174).

თუ ამ კოლოფონის ალექსანდრე ცაგარელისეული წაკითხვა სწორია, მაშინ გამოდის, რომ იოანე-ყოფილმა იოსებ ხუნტუსძემ მოგვიანებით კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელი (?) და ახლა უკვე იონა ეწოდა, რაც ცოტა უცნაური ჩანს. გარდა ამისა, საკმაოდ გაუგებარია იხიც, რატომ მოიხსენიებს იოსებ ხუნტუსძე საკუთარ თავს უბრალო მღვდელ-მონაზონად, მაშინ, როცა მას უკვე მიღებული აქვს იერუსალიმის აღდგომის ტაძრის მოძღვრის ანუ აღდგომელის მაღალი და საპატიო წოდება.

ცალკე საუბრის თემაა იოსებ ხუნტუსძის მოღვაწეობის დრო. ალექსანდრე ცაგარელის დაკვირვებით, იოსებ ხუნტუსძე XVI საუკუნის მოღვაწე იყო (ცაგარელი 1888: 115).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ლევან მენაბდეს. მართალია, მკვლევარი პირდაპირ არ ეხება იოსებ ხუნტუსძის მოღვაწეობის ქრონოლოგიას, მაგრამ მის სამწიგნობრე საქმიანობას სხვა აღდგომელი მოწესის მახარებელის მოღვაწეობის შემდგომი პერიოდით განსაზღვრავს. ლევან მენაბდისავე დაკვირვებით, იოსებ ხუნტუსძის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა აღდგომის ტაძარში დამკვიდრებული კიდევ ერთი პირის – ხუცესმონაზონ იოაკიმეს სამწიგნობრე საქმიანობას. ამასთან, მკვლევარი მახარებელის აღდგომის ტაძარში მოსაგრეობის ქრონოლოგიას 1400 წლის ახლო ხანებით განსაზღვრავს, ხოლო ხუცესმონაზონ იოაკიმეს 1502 წლის ახლოხანების მოღვაწედ მიიჩნევს (მენაბდე 1980: 144). აქედან, ვფიქრობთ, უკვე ავტომატურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ლევან მენაბდის აზრით, იოსებ ხუნტუსძე 1400 და 1502 წლებს შორის პერიოდში ანუ XV საუკუნეში მოღვაწეობდა.

იოსებ ხუნტუსძის მოღვაწეობის ქრონოლოგიას სულ ბოლოს შეეხო ისტორიკოსი დარეჯან კლდიაშვილი, რომელმაც 2008 წელს სათანადო გამოკვლევასთან ერთად, გამოაქვეყნა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა კლდესის სულთა მატიანეს ტექსტი (კლდიაშვილი 2008).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იოსებ ხუნტუსძისა და მისი ოჯახის წევრთა მოსახსენებლები შეტანილია სინას მთის სულთა მატიანეში. დარეჯან კლდია-შვილმა საგანგებოდ მიაქცია ყურადღება აღნიშნულ ჩანაწერებს და დაადგინა, რომ ეს მოსახსენებლები შესრულებული იყო XV საუკუნის II ნახევარში, სავარაუდოდ, თავად იოსებ ხუნტუსძის ხელით (კლდიაშვილი 2008: 111-112).

ამრიგად, ირკვევა, რომ იოსებ ხუნტუსძე მოღვაწეობდა არა XVI საუკუნეში, როგორც ამას მიიჩნევდა ალექსანდრე ცაგარელი, არამედ – შედარებით უფრო ადრე, XV საუკუნეში, როგორც ამას ვარაუდობდა ლევან მენაბდე, უფრო ზუსტად კი – XV საუკუნის II ნახევარში, როგორც ეს დაადგინა დარეჯან კლდიაშვილმა.

დავუბრუნდეთ იოსებ ხუნტუსძის სამწიგნობრე მოღვაწეობას. როგორც მისი ხელით შესრულებულ კოლოფონებზე დაკვირვება აჩვენებს, აღდგომელი მოძღვარი ჩინებულად იცნობოდა იმსანად იერუსალიმში დაცულ ქართულ ხელნაწერებს და ხშირ შემთხვევაში, საკუთარ მინაწერებსაც ურთავდა მათ აშიებს. ჩვენი დაკვირვებით, იოსებ ხუნტუსძემ ამ ხელნაწერების მსგავსად, სწორედ აქ, წმიდა მიწაზე მოიხილა გარეჯული კრებული და საკუთარი კოლოფონიც მაშინ დაურთო იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში დაბრძანებულ Ven.4-ს.

თუ ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ გარეჯული კრებული წმიდა მიწაზე გადატანილი იყო არა 1570 წელს ან 1501 წლის ახლოხანებში, როგორც ეს ზემოთ გვქონდა დადგენილი, არამედ ცოტა უფრო ადრე, XV საუკუნის II ნახევრამდე მაინც.

XV საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში გარეჯული კრებული წმიდა მიწაზე ინახებოდა და იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული ეკლესიასა თუ მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. დღეისათვის Ven.4-ის აშიებზე დაცულია XV-XIX საუკუნეების ასზე მეტი მინაწერის ტექსტი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ გარეჯულ კრებულს დიდი ინტერესით ეცნობოდნენ და კითხულობდნენ როგორც წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართველი მოწესები, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მომლოცველები.

აღნიშნული მინაწერი, რომელთა დიდი ნაწილი აბსოლუტურად უცნობია სამეცნიერო საზოგადოებისათვის, უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის არამხოლოდ იერუსალიმის ქართული კოლონიის, არამედ ზოგადად, საქართველოს ეკლესიის

ისტორიის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ დეტალურად გვაქვს შესწავლილი Ven.4-ის რამდენიმე, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით განსაკუთრებით საინტერესო მინაწერის ტაქსტი. რაც შეეხება დანარჩენ კოლოფონებს, მათი შესწავლა სამომავლოდ გვაქვს დაგეგმილი.

დავუბრუნდეთ გარეჯული კრებულის კოდიკოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „უამთა სიგრძისაგან განრყუნილი და უკმარ ქმნილი“ გარეჯული კრებული 1570 წელს საფუძვლიანად აღადგინა და გააცხოველა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა ვლასე სააკასძემ. ამ სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებიდან დაახლოებით ორას ორმოცი წლის შემდეგ Ven.4 კვლავ მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მისი ხელმეორედ განახლება გახდა საჭირო.

აღნიშნულ ამოცანას თავი მეტნაკლები წარმატებით გაართვა წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართველმა მღვდელმონაზონმა ბესარიონ ქიოტიშვილმა, ვისი სამწიგნობრე საქმიანობის შესახებაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის საკმაოდ ბევრი რამ არის ცნობილი.

ბესარიონ ქიოტიშვილის სახელი ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით დებლებში პირველად XIX საუკუნის 10-იან წლებში ჩნდება. აქ მხედველობაში გვაქვს 1814-1815 წლების თარიღიანი მინაწერები, რომლებიც შესრულებულია თავად მღვდელმონაზონ ბესარიონის ხელით, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ხუთი ხელნაწერის აშიებზე. ეს ხელნაწერებია: „პარაკლიტონი“ (ცაგარელი 1888: 171), „მამათა ცხოვრება“ (ცაგარელი 1888: 186), წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ ორი სხვადასხვა ნუსხა (ცაგარელი 1888: 181; ცაგარელი 1894: 49) და „სამოციქულოს თარგმანება“ (მარი 1955: 12).

დაახლოებით ამავე 1814-1815 წლებს განეკუთვნება ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ ჯვრის მონასტრის კიდევ სამი ქართული ხელნაწერის აშიებზე შესრულებული უთარილო კოლოფონები. ეს ხელნაწერებია: „სამოციქულო“ (ცაგარელი 1888: 182), „ფსალმუნთა თარგმანება“ (ცაგარელი 1888: 189) და „მამათა სწავლანი“ (XII-XIII სს.) (მარი 1955: 81).

ზემოთ ჩამოთვლილი მინაწერებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია „კლემაქსის“ ერთ-ერთი ნუსხისა (ცაგარელი 1894: 49) და „ფსალმუნთა თარგმანების“ (ცაგარელი 1888: 189) კოლოფონები, სადაც მღვდელმონაზონი ბესარიონი საკუთარ თავს მაღრაძე-ქიოტიშვილის ან მხოლოდ მაღრაძის გვარით მოიხსენიებს.

ბესარიონ ქიოტიშვილის ბიოგრაფიის შესახებ კიდევ ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის „მამათა ცხოვრების“ კოლოფონი, სადაც აღნიშნულია, რომ ბესარიონი წარმომავლობით საჩიქვანოდან იყო (ცაგარელი 1888: 186).

დასასრულ, ზემოთ დასახელებული მინაწერებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ ბესარიონ ქიოტიშვილი იერუსალიმში ყოფნის დროს ანუ 1814-1815 წლებში უკვე ბერად იყო აღკვეცილი, მღვდლის ხარისხს ფლობდა და ამიტომაც საკუთარ თავს მღვდელმონაზონის წოდებით მოიხსენიებდა (ცაგარელი 1888: 181-182, 189; ცაგარელი 1894: 49; მარი 1955: 81).

ბესარიონ ქიოტიშვილი წმიდა მიწაზე სულ ბოლოს 1816 წლის კოლოფონში იხსენიება. მხედველობაში გვაქვს ჯვრის მონასტრის კუთვნილი „კლემაქსის“ XI-XII საუკუნეების ნუხეის მინაწერი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მღვდელმონაზონმა ბესარიონმა ეს ხელნაწერი 1816 წელს გააცხოველა (ცაგარელი 1888: 178).

მოგვიანებით ბესარიონ ქიოტიშვილმა ბენედიქტეს სახელით, უკვე ათონის მთაზე გააგრძელა მოდვაწეობა და იქაურ ქართულ კოლონიას ჩაუდგა სათავეში. ათონის მთაზე გადასვლის თარიღს მღვდელმონაზონი ბესარიონ-ყოფილი ბენედიქტე პირდაპირ ასახელებს XI საუკუნის „მამათა ცხოვრების“ აშიებზე შესრულებული ორი მინაწერის ტექსტში: 1. „მთაწმიდას რომ მოვედ, იზ (17) წელი არს. ამ მონასტერში – იბ (13) წელი არს“; და 2. „ეს წიგნი ხიდველისაგან დაშლილი იყო და შევაკვრევი, რაც გეგწყობოდა და ხევაც, რომელიც [ნავზედა (?)] შევიძლე, შევაზმე... ჩელმ (1833 წ.). ღვთისმმობლის კარის მღვდელმონაზონი“ (შარაშიძე 1954ბ: 90).

თუ ციტირებული კოლოფონები ნამდვილად ბესარიონ-ყოფილი ბენედიქტე ქიოტიშვილის მიერ არის დაწერილი, რაც თითქოს ასე ჩანს, მაშინ ირკვევა, რომ იგი იერუსალიმიდან ათონის მთაზე 1816 წელს ჩავიდა, ხოლო 1820 წელს უკვე კარის ანუ პორტაიტის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის, იგივე ათონის ქართველთა მონასტერში დამკვიდრდა.

ამ ამბიდან სულ მოკლე ხნის შემდეგ, 1821 წელს ათონის ნახევარკუნძული ოსმალო ჯარისკაცებმა დაიკავეს, რის გამოც ბერძენი მოწესების უმრავლე-სობამ წმიდა მთა დატოვა. ასეთ რთულ ვითარებაში ბენედიქტე ქიოტიშვილი პირდად შეხვდა ოსმალთა სარდალს, წარმომავლობით ქართველ ლაბუტ-ფაშას და დარბევისაგან იხსნა არამხოლოდ ქართველთა მონასტერი, არამედ ათონის მთის სხვა სავანეებიც (კალინოვსკი 1885: 44-45; მენაბდე 1980: 236, 401).

საგულისხმოა, რომ ოსმალთა მიერ ათონის ოკუპაციის დროს ბენედიქტე ქიოტიშვილი ერთადერთი მღვდელი იყო, რომელიც ქართველთა მონასტერში ღმრთისმსახურებას ასრულებდა. XVIII საუკუნის ბერძნულენოვანი „ლოცვანის“ ერთ-ერთ გვიანდელ მინაწერში ვკითხულობთ: „დროსა „ჭყონია“ ფაშის შესვლისასა დაშერით ივერიის მონასტერში, ვინადგან მისის შიშისა გამო სხვა არგინ მოწესე მღვდელმონაზონი ბერძენთაგანი აღარ იპოვოდა, მაგა კენედიქტე ამით ასრულებდა ლოცვას ბერძნულს ენაზედ, ხოლო საიდუმლოს და ყოველს წესს ღვთისმებახურებისას ეკალებიაში – ქართულს ენაზედ“ (კაკაბაძე ... 1949: 182).

ბენედიქტე ქიოტიშვილი დიდად იღწვოდა ათონზე დაცული ქართული ხელნაწერი წიგნების გამრავლებისა და გადარჩენისათვისაც. 1824 წელს მისი დაკვეთითა და საფასით, იმერეთის მეფე სოლომონ II-ის (1789-1810 წელი) მოძღვარმა, იმხანად ათონზე მოღვაწე ბერმა ილარიონ ყანჩიშვილმა გადაწერა წმ. ისააკ ასურის „სწავლანი“ (ქუთათელაძე 1955: 169-170, 174, 177). გარდა ამისა, ბენედიქტე ქიოტიშვილმა 1833 წელს საკუთარი ხელით განაახლა ორი ქართული ხელნაწერი: XI საუკუნის „მამათა ცხოვრება“ (შარაშიძე 1954ბ: 90) და წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ 893 წლის ნუსხა (ცაგარელი 1886: 89).

1830-იანი წლების დასაწყისში ათონის მთაზე ბერძენი მოწესები დაბრუნდნენ და ადგილობრივი ქართული კოლონიის შევიწროებას შეუდგნენ. 1833 წელს ბერძენებმა ქართველები საერთოდ განდევნეს ქართველთა მონასტრიდან და ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდნენ, დროებით დამკიდრებულიყვნენ წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესიაში. ბერძენთა მიერ გამოდევნილ ქართველ მოწესებს შორის იყო ბენედიქტე ქიოტიშვილიც, რომელიც იმხანად უკვე ქართველთა მონასტრის დეკანოზობას ფლობდა (შარაშიძე 1954ბ: 191).

წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესიაში დამკიდრებული ბენედიქტე ქიოტიშვილი კვლავ დაუდალავად იღწვოდა ათონის მთის ქართული კოლონიის გაძლიერებისათვის. მისი მოწაფეები იყვნენ შემდგომში ცნობილი ათონელი ბერები: ბესარიონ ქიქოძე (ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ძმა), გრიგოლ რატიანი, ქრისტეფორე ახვლედიანი და სხვანი (შარაშიძე 1954ბ: 84, 191; ქუთათელაძე 1955: 170, 174).

მღვდელმონაზონი ბესარიონ-ყოფილი ბენედიქტე ქიოტიშვილი 1862 წლის 9 მარტს, პარასკევ დღეს აღესრულა (შარაშიძე 1954ბ: 191)

დაგუბრუნდეთ გარეჯულ კრებულს. ამ უკანასკნელის 8r-ზე დაცულია ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ შესრულებული მხედრული მინაწერი, სადაც

ავტორი საკმაოდ საინტერესოდ აღგვიწერს Ven.4-ის რიგით მეორე რესტავრაციის პროცესს:

„წმინდანო მამან<ნ>ო, ვინაც იხილოთ, წმინდა და სახულიერო წიგნი / ესე ბევრგან დამდალული იყო, მრავალგზის ვთვალე და გავაჩანელე მეცა გვევდორე / უ(ფალს)ა ამის მწერლის და მკითხველისათვის, მეცა შენდობა მიბძანეთ, რ(ათ)ა თქვენცა შენ<ნ>დობილ იყვნეთ უ(ფლი)სა მიერ. დ(მერთ)ო და ცხოველს მყოფელო ჯვარო ქრისტესთ, <საფლაო ქრისტე> / <...> საფლაო ქრისტესთ, შეიწყალე ბეჭედისარიონენ<ნ>. ქრონიკონის ჩამდ (1814 წ.)“ (ფერადე 2004: 176-177)⁶⁶.

გარეჯული კრებულის მეორე რესტავრაციის თარიღსა და დეტალებს კიდევ უფრო აზუსტებს ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ Ven.4-ის 41v-42r-ზე შესრულებული კიდევ ერთი მხედრული მინაწერის ტექსტი:

„იქსო ქრისტე, შეიწყალე ბესარიონ, ყოველთა კაცთა უსაწყალობელები. მეოხებითა ლვთისმშობელისათა, შემიწყალე მე, ცოდვილი, უ(ფალ)ო იქსო ქრისტე, დ(მერთ)ო ჩვენო. მ(ო)ი, წ(მიდ)ა ესე წიგნი მზით დავშალე, დაგამზეურე, მრავალგზის ჩავიკითხე. მხილველნი ამისნი შეიწყალე, / დმ(ერთ)ო. <ბ> ბატონო მამანო წ(მინდან)ო, ქუბრძანეთ ბესარიონს შენდობა / და დმერთი თქვენცა შეგინდობს, ამინ. / ჩამდ (1813 წ.)“ (ფერადე 2004: 179).

ამრიგად, ციტირებული კოლოფონებიდან ირკვევა, რომ მღვდელმონაზონმა ბესარიონ ქიოტიშვილმა 1813-1814 წლებში საკმაოდ დიდი ლგაწლი გასწია გარეჯული კრებულის აღდგენა-განახლებისათვის. მან მთლიანად დაშალა და „დამზეურა“ ანუ მზეზე გააშრო სავარაუდოდ, ნესტისაგან დაზიანებული Ven.4⁶⁷. ამის შემდეგ ბესარიონ ქიოტიშვილი უკვე ხელნაწერის „დამდალულ“, უფრო ზუსტად კი, დამდილულ ანუ ჭიისაგან დახრულ-დაჩვრეტილ (აბულაძე 1973გ: 117) ფურცლებზე გადავიდა და მათი დაზიანებული კიდეები სარესტავრაციო ქადალდით გაამაგრა. სულ ბოლოს, მღვდელმონაზონმა ბესარიონმა

⁶⁶ ადნიშნული მინაწერის ტექსტში მოტანილი თარიღი გრიგოლ ფერაძემ შეცდომით წაიკითხა როგორც ჩამდ ანუ 1864 წელი (ფერადე 1940: 227). ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ბესარიონ ქიოტიშვილი გარდაიცვალა 1861 წელს და ამიტომ, ის ვერაფრით ვერ შეძლებდა Ven.4-ის კოლოფონის შესრულებას 1864 წელს. გარდა ამისა, ყოველგვარ გაურკვევლობას გამორიცხავს თავად მინაწერის ტექსტიც. აქ სრულებით გარკვევით იკითხება კოლოფონის დაწერის თარიღი: ჩამდ ანუ 1814 წელი.

⁶⁷ ამ მხრივ, ძალზედ საყურადღებოა გრიგოლ ფერაძის ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები 1936 წელსაც კი უმძიმეს მდგომარეობაში იყო: დახეული, დამპალი და ერთიმეორეში არეული (ფერადე 1940: 222). როგორც ჩანს, ჭარბი ტენიანობა და ნესტი არამხოლოდ ბესარიონ ქიოტიშვილის დროს, არამედ XX საუკუნეშიც უმოწყალოდ ანადგურებდა წმიდა მიწის ქართულ ხელნაწერებს.

საგულდაგულოდ გადათვალა დაშლილი გარეჯული კრებულის ფურცლები და ხელნაწერი ისევ თავდაპირველი სახით აკინძა. 1813-1814 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების კვალი, რომელიც დღესაც გარკვევით ემჩნევა გარეჯულ კრებულს, მთლიანად ადასტურებს ბესარიონ ქიოტიშვილის კოლოფონებში გადმოცემულ დეტალებს.

სხვათა შორის, გარეჯული კრებულის კოლოფონებს საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვთ ბესარიონ ქიოტიშვილის წმიდა მიწაზე მოღვაწეობის ქრონოლოგიაშიც. მართლაც, ამ მინაწერებიდან ცნობილი ხდება, რომ მღვდელმონაზონი ბესარიონი იერუსალიმში ჩავიდა არა 1814 წელს, როგორც ეს ზემოთ განხილული საისტორიო მასალიდან ჩანდა, არამედ – 1813 წელს ან, შესაძლოა, ცოტა უფრო ადრეც კი. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია. 1813 წელს ბესარიონ ქიოტიშვილი უკვე ნამდვილად იმყოფებოდა წმიდა მიწაზე და აქ დაცული გარეჯული კრებულის აღდგენა-განახლებისათვისაც იღწვოდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ Ven.4-ის სამეცნიერო კვლევის პროცესს საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველმა ლექსიკოგრაფმა და სიძველეთმცოდნემ ნიკო ჩუბინაშვილმა, ვინაც 1845 წლის მაისში, წმიდა მიწაზე მოგზაურობის დროს, საკუთარი თვალით მოიხილა და მოკლედ აღწერა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში დაცული გარეჯული კრებული (ცაგარელი 1894: 47, 50. შდრ.: ქუთათელაძე 1889: №73, 3).

Ven.4-ის ნიკო ჩუბინაშვილისეული აღწერილობა რამდენიმე კუთხით იქცევს ჩვენს ყურადღებას, თუმცა მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გარეჯული კრებულის კოდიკოლოგიისათვის. მართლაც, მასზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1845 წლის მაისში Ven.4 ჯერ კიდევ წმიდა მიწაზე ინახებოდა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წიგნთსაცავში იყო დაუნჯებული.

ნიკო ჩუბინაშვილისეული „აღწერილობის“ შედგენიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1883 წელს წმიდა მიწაზე იმოგზაურა და ადგილობრივი ქართული სიძველეები შეისწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე ცაგარელმა. აღნიშნული მოგზაურობის შედეგების საფუძველზე, მკვლევარმა 1888 წელს რუსულ ენაზე გამოსცა საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი, სახელწოდებით: „Памятники грузинской древности в святой земле и на Синае“ (Цагарели 1888). დასახელებულ პუბლიკაციაში აღქვენდრე ცაგარელმა სხვა საინტერესო მასალასთან ერთად, „კატალოგის“ სახით

წარმოადგინა მეტნაკლებად სრული აღწერილობა უკელა იმ ქართული ხელნაწერისა, რომელიც მისი წმიდა მიწაზე ყოფნის დროს ჯერ კიდევ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იყო დაცული (ცაგარელი 1888: 143-192).

ალექსანდრე ცაგარელის მიერ შედგენილ „პატალოგში“ არსად ჩანს ჩვენთვის საინტერესო Ven.4, რომელიც 1845 წელს ნიკო ჩუბინაშვილმა საკუთარი თვალით მოიხილა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წიგნთსაცავში. იმ ფაქტს, რომ გარეჯული კრებულის აღწერილობა შეტანილი არ არის ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომში, ჯერ კიდევ 1940 წელს მიაქცია ყურადღება გრიგოლ ფერაძემ, რომელმაც სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ Ven.4 1883 წელს უკვე გატანილი იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან და მისი აღწერილობის შედგენაც ამიტომ ვერ მოახერხა ალექსანდრე ცაგარელმა (ფერაძე 1940: 227).

ჩვენ სრულად ვიზიარებთ გრიგოლ ფერაძის ამ დაკვირვებას. გარდა ამისა, ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1845 წელს Ven.4 ჯერ კიდევ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წიგნთსაცავში იყო დაცული და გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გარეჯული კრებული ჯვრის მონასტრიდან გატანილი იყო 1845-1883 წლებს შორის პერიოდში.

ალექსანდრე ცაგარელის „პატალოგის“ გარდა, გრიგოლ ფერაძემ ყურადღება საგანგებოდ მიაქცია გარეჯული კრებულის 303r-ზე შესრულებულ ბერძნულ მინაწერსაც, სადაც მოხსენიებულია მთავარდიაკონი კლეოპა: „Κλεόπασ Μ. ΑΡΧΙΔΙΑΚΟΝΟC“. მკვლევრის თქმით, მთავარდიკონმა, შემდგომში – ნაზარეთის მთავარეპისკოპოსმა კლეოპამ ჩინებულად იცოდა ქართული ენა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს გაზეთ „Nea Sion“-ში პერიოდულად აქვეყნებდა სტატიებს წმიდა მიწის ქართული მონასტრების შესახებ. გრიგოლ ფერაძის დაკვირვებით, ზემოთ ციტირებული მინაწერი ცალსახად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ჯვრის მონასტრიდან 1883 წლამდე გატანილი გარეჯული კრებული ბერძნული კოლოფონის შესრულების დროს უკვე მთავარდიაკონ კლეოპას საკუთრებას წარმოადგენდა და მის პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა (ფერაძე 1940: 227).

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის შემდეგ, გრიგოლ ფერაძე, რაიმე წყაროზე მითითების გარეშე, საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს Ven.4-ის ისტორიის ბოლო მონაკვეთს. მისი თქმით, მთავარეპისკოპოს კლეოპას გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრეებმა გარეჯული კრებული ვინმე ალექსანდრიელ ანტიკვარს მიჰყიდეს. ამ უკანასკნელისაგან კი ქართული

ხელნაწერი 1931 წელს ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის გამგეობაში შეიძინა. იმავე 1931 წელს ავსტრიაში გადატანილი გარეჯული კრებული ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში სანიმუშოდ აღადგინეს და თავიდან აკინძეს (ფერაძე 1940: 227).

გრიგოლ ფერაძის მიერ გამოთქმული ეს ბოლო მოსაზრებები შემდგომში კიდევ უფრო დააზუსტა ფილოლოგოსმა ვახტანგ იმნაიშვილმა. ეს უკანასკნელი გულდასმით გაეცნო ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა „პირად საქმეებს“ და დაადგინა, რომ გარეჯული კრებული, ორ სხვა ქართული ხელნაწერთან – Ven.2-თან და Ven.3-თან ერთად, ხსენებული ბიბლიოთეკისათვის პროფესორმა ტურკერმა, ალექსანდრიაში, ვინმე უცნობი ანტიკვარისაგან, 1931 წლის 3 იანვარს შეიძინა (იმნაიშვილი 2001).

გრიგოლ ფერაძისა და ვახტანგ იმნაიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები გარეჯული კრებულის ისტორიის ბოლო მონაკვეთის თაობაზე სავსებით მისაღებია ჩვენთვის. ამიტომაც ამ მოსაზრებებს არანაირ დამატებით კომენტარებს აღარ გავუკეთებთ და ამით დავასრულებთ მსჯელობას Ven.4-ის კოდიკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

თავი II. გარეჯული პრეზენტის (Ven.4)
ანდერძ-მინაჭერები, რობორც საისტორიო ფესტივალი

**§1. საქართველოს მეცნის გიორგი III-ის
აღსაყდრების თარიღი⁶⁸**

XII საუკუნე საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს და მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიპეტიებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი სამეცნიერო თვალსაზრისით, კარგად არის შესწავლილი, მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. ერთი ამ პრობლემათაგანია საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღიც.

გიორგი III-ის გამეფების თარიღი დადგენილია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ⁶⁹. მკვლევარი საკითხს პირველად 1913 წელს დაბეჭდილი „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში შეეხო და საფუძვლიანად შეისწავლა იგი. საკითხზე მუშაობისას მას ხელთ ჰქონდა რამდენიმე წერილობითი წყარო, რომლებიც სხვადასხვაგვარად ათარიღებდნენ გიორგი III-ის მეფედ კურთხევის ფაქტს: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“⁷⁰ და XVIII

⁶⁸ წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკვნების ძირითადი ნაწილი შეტანილი გვაძეს 2002 წელს დაბეჭდილ სტატიაში: „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“ (ჯოჯუა 2002გ. შდრ.: ჯოჯუა 2001).

⁶⁹ სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღს ივანე ჯავახიშვილმა რამდენიმე სხვა ისტორიკოსიც შეეხო. მათგან, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თედო უორდანია, რომელმაც ეს საკითხი ვრცლად განიხილა 1892 წელს დაბეჭდილი „ქრონიკების“ I წიგნში. დასახლებულ პუბლიკაციაში მკვლევარი დაკავშირდნო მის ხელთ არსებულ ქართულ და სომხურ წერილობით ძეგლებს – სამთავისის წარწერას, ვარდან არეველცისა და სტეფანოს ორბელიანის თხზულებებს, XIII-XIV საუკუნეების ერთ ქართული ხელნაწერის (A-85-ის) კინკლოსის მინაწერს და გიორგი III-ის მეფედ კურთხევა, ისე როგორც მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილმა, მანაც 1156 წლით დაათარიღა (უორდანია 1892: 252-259).

⁷⁰ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მუშაობისას ივანე ჯავახიშვილი სარგებლობდა ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757 წწ.) თხზულების 1885 წლის, ღიმიტრი ბაქრაძის სეული გამოცემით. თავად თხზულებაში ნათქვამია, რომ მეფე დემეტრე I-მა „...დასხვა ძე თვისი დავით მეფეედ და თვით მონოზონ იქმნა წელსა 1150, ქართულსა 370 (1150 წ.). ამან ძემან ღიმიტრი მეფისამან დავით იმედვა თოვე ექვის ნებისე, უშვოთველად; შემდგომად მოკვდა წელსა 1150, ქართულსა 370 (1150 წ.). ამასვე ქართნიუნსა მიიცვალა ღიმიტრი მეფეცა შემონაზონებული და თამარ დაა მისი თიღვას აღმაშენებული ეკლესიისა და კატა დად მათივე ბერძენთა მეფის ცოლი. გამეფდა ძმა დავით მეფისა და ძე ღიმიტრი მეფისა გიორგი (რამეთუ ძე დავით მეფისა ღიმიტრი მცირე ერმა იყო)“ (ვახუშტი 1885: 188-189). როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონი დემეტრე I-ის შემონაზვნებას, დავით V-ის გამეფებასა და გარდაცვალებას, აგრეთვა, გიორგი III-ის აღსაყდრებას 1150 წელს მომხდარ ამბებად მიიჩნევს.

საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერი კრებულის საისტორიო ცნობა⁷¹ – 1150 წლით, ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე⁷² – 1154 წლით, იგივე მემატიანე მეორებან და პალარწინის წარწერა – 1155 წლით⁷³, ვარდან არეველცი, სტეფანოს ორბელიანი და 1188-1210 წლების ქართული ხელნაწერი კრებულის, იგივე A-85-ის კინკლოსის მინაწერი კი – 1156 წლით (ჯავახიშვილი 1913: 550-552).

ივანე ჯავახიშვილმა გაითვალისწინა ამ ცნობებს შორის არსებული ქრონოლოგიური წინააღმდეგობა და მათთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა სამთავისის ტაძრის ლაპიდარულ წარწერას, რომლის თანახმადაც 1168 წელი

⁷¹ დასახელებული ხელნაწერი კრებული შედგებოდა ერთად აკინძული რამდენიმე რვეულისაგან, რომელთა დიდი ნაწილიც დაწერილი იყო 1763-1793 წლებში, გარეჯელი მღვდელმონაზონის გერმანეს ხელით (თაყაიშვილი 1913: 35-46). კრებულის ბოლო ორი გვერდზე წარმოდგენილი იყო ქრონოლოგიურად დალაგებულ მოკლე საისტორიო ცნობები. აღნიშნული ცნობები წინასიტყვაობითა და შენიშვნებით 1913 წელს გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1913: 54-66). ივანე ჯავახიშვილი ჩვენთვის საინტერესო საკითხეზე მუშაობისას სწორედ ამ გამოცემით სარგებლობდა. დასახელებულ პეტლიკაციაში ვკითხულობთ: „და ამავე ქო(რონი)კ(ონი)სა ტო (1150 წ.) აძღონს მიიცვალა დიმიტრი მეფე და დაჯდა მეფე მისი დაგისი. განგებისაგან მეტი დღე არ ედგა. წლის გათავებაზედ იგიც მოქუდა. და დაჯდა მეფე დაიდი გიორგი“ (თაყაიშვილი 1913: 63-64). როგორც ვხედავთ, გიორგი III-ის მეფედ კურთხევის ფაქტი დასახელებული ხელნაწერი კრებულის ცნობებში, ვახუშტი ბაგრატიონის მსგავსად, აგრეთვე, 1150 წლით არის დათარიღებული.

⁷² ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული თხზულება დათარიღებულია 1122-1223 წლებით. იგი სრული სახით „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ერთ, ანა დედოფლისეულ ნუსხაშია დაცული. გარდა ამისა, მისი ტექსტი ნაკლები სახით არის ჩართული ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ XVI საუკუნის ნაწილშიც (ყაუხჩიშვილი 1955: 015-016). „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნზე მუშაობისას ივანე ჯავახიშვილი ანასეული ნუსხის ხელნაწერით სარგებლობდა, ჭალაშვილისეულ „ქართლის ცხოვრებას“ კი მკვდევარმა მოგვიანებით, 1923 წელს მიაკვლია (ყაუხჩიშვილი 1955: 05). ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე გიორგი III-ის გამეცების შესახებ საპირისპირო ხასიათის ორ ცნობას გვაწვდის. ერთგან ვკითხულობთ: მეფე დემეტრე I-მა „წარვლო ცხოვრება, და მიიწია სრულ-ქმილი სიძერესა. შეიძრესა ხოგა და იქურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი და მოკუდა. და დასუებ მეფე ძე მისი დაითო. იმედა უქს თუ და მოკუდა. შეძრვომად მისხა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა სამას სამოცდათხუმებელსა (1155 წ.). ამასვე წელსა დემეტრე მეფე მოკუდა, და დამ დემეტრესი თამარ, თიღვას აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარდაიცვალა“ (ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე 1955: 366). ცოტა უფრო ქვემოთ თხზულება გვამცნობს, რომ „დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათის წარიუგანებს მიხევავე კურთხეულსა ახალსა მონახულესა. ქრონიკონი იყო სამას სამოცდათხუმებელი (1154 წ.)“ (ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე 1955: 367). ამრიგად, მემატიანე გიორგი III-ის გამეფებას და დემეტრე I-ის გარდაცვალებას ერთსა და იმავე წელს მოვლენებად მიიჩნევს, თუმცა კი, ამ ორ ფაქტს ერთგან – 1155, ხოლო მეორებან – 1154 წლით ათარიღებს.

⁷³ წყაროთა ამ ჯგუფში შეიძლება შევიტანოთ მეფე თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაც (XIII ს-ის I ნახ.), რომელიც გიორგი III-ის მეფედ კურთხევას, აგრეთვე, 1155 წლით ათარიღებს: „დაჯდა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შეიძლისა, ქრონიკონსა სამას სამოცდათხუმებელსა (1155 წ.)“ (ბასილი ეზოსმოდუარი 1959: 115). რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოიყენა ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნული ცნობა გიორგი III-ის ადსაყდრების თარიღის დადგენისათვის. საქმე ის არის, რომ მეფე თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეულ ნუსხაშია დაცული, ეს უკანასკნელი კი ივანე ჯავახიშვილმა, როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, მხოლოდ 1923 წელს აღმოაჩინა (ყაუხჩიშვილი 1959: 015-016) და ამ ნუსხაში დაცულ ცნობასაც, ცხადია, ვერ გამოიყენებდა 1913 წელს დაბეჭდილი „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში.

გიორგი III-ის ზეობის მე-12 ინდიკტითი იყო. შესაბამისად, მკვლევარმა გიორგი III-ის აღსაყდრება 1156 წლით დათარიღდა (ჯავახიშვილი 1913: 551-552).

გარდა ამისა, დიდმა მეცნიერმა დამატებით არგუმენტად მოიხმო ვარდან არეველცისა და სტეფანოს ორბელიანის ცნობები, აგრეთვე, XIII-XIV საუკუნეების ქართული ხელნაწერი კრებულის (A-85-ის) კინკლოსის მინაწერი, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით – ტბეთის სახარების, იგივე Q-929-ის ანდერძიც, რომლებიც ამ ფაქტს, ავტორის თქმით, აგრეთვე, 1156 წლით განსაზღვრავდნენ (ჯავახიშვილი 1913: 551-552; ჯავახიშვილი 1948: 229).

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ივანე ჯავახიშვილის ფრთხილ დამოკიდებულებას წერილობითი წყაროებისადმი. მისაღებია მისი პრინციპიც – წინააღმდეგობრივი ხასიათის ცნობებს შორის უპირატესობა აღწერილ მოვლენებთან ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო ახლოს მდგომ ცნობას მიეცეს. ამ მხრივ, სამთავისის წარწერას მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გიორგი III-ის გამეფების თარიღის დადგენისათვის, მაგრამ რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ ეს წარწერა, ისე, როგორც მკვლევრის მიერ მოხმობილი სხვა წყაროები, ამ ფაქტს მაინცდამაინც 1156 წლით განსაზღვრავს?

ჩვენ კრიტიკულად შევისწავლეთ ეს ცნობები და სხვაგვარ დასკვნამდე მივედით.

სამთავისის ლაპიდარული წარწერა შემდეგი სახით იკითხება: „ქ. ხ(ა)ქო ღ(მრ)თ{აე}ბ{ი}ს{ა}ო, ად{ი}დე(?) შ{ე}ნ მ[ი]ერ] ღ(ა)მყ(ა)რ(ე)ბ(უ)ლი ძ(ლიერი)(?) და უძ(ლე)ბ(ე)ლი ღ(მრ)თ{ი}ვ გვრგზ(ო)ხ(ა)ნი, ქ(ოვლ)ისა აღმ{ო}ს{ა}ვლ{ე}თისა მ(ე)ვ(ე)თ-მ(ე)ვ(ე) გ(ოორგ)ი. ძე, ი(ოვა)ნე ხ[ლ](ა)მთ(ავნელ)მ(ა)ნ(?), მ(ე)ვ(ო)ბისა მ(ა)-თ(ი)ს{ა} მ(იწამა)ნ(?), აღვ(ა)შ{ე}ნ{ე} ქ(ა)რისბჭვ ესე ს(ა)ლ(ო)ცე(ე)ლ(ა)დ მ(ე)ვ(ო)-ბისა მ(ა)თისა, [ინ]დ(ი)კ(ო)ნ(ი)ნ(ი)სა მ(ე)ვ(ო)ბისა მ(ა)თის(ა)სა იბ (12). ქ(ორონი)კ(ო)-ნი იყო ტპ (1168 წ.)“ (წაკითხვა, დამყარებული წარწერის გიგი სოხაშვილის ულ გრაფიკულ პირზე და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (სოხაშვილი 1968: 193)⁷⁴.

⁷⁴ წარწერიანი ქვა თავდაპირებულად ჩადგმული უნდა ყოფილიყო ტაძარის დასავლეთ კარიბჭის ფრონტობში. მოგვიანებით, XIX საუკუნის სარესტავრაციო სამუშაოებისას კარიბჭე საერთოდ აიღეს, ხოლო წარწერა ეპლესის დასავლეთ ფასადში, კარს ზემოთ ჩააშენეს. მისი შეიძლებრივი ასომთავრული ტექსტი პირველად 1851 წელს მარი ბროსემ გამოსცა. პუბლიკაციაში რამდენიმე ადგილი მცდარად არის წაკითხული (სოხაშვილი 1968: 193-194). წარწერა 1892 წელს თეთრ ქორდანიამაც გამოაქვეყნა. ტექსტის ჟორდანიასეული პუბლიკაცია შემდეგი სახით იკითხება: „ხატო ღ(მრ)თაებისაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული და უძლებელი ღვთივ გვრგზნოსანი, ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ-მეფე გოორგი. ძე, ი(ოვა)ნე სამთავრებელმან(?), მეფობისა მათისა... (თეთრ ქორდანიას თქმით, აქ ერთი სიტყვა „წაბლალულია“), აღვაშენ კარიბჭვ ესე ხალოცეველად მეფობისა მათისა, ინდიკტონსა მეფობისა მათისასა იბ (12). ქორონიკონი იყო ტპ (1168 წ.)“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.)

ამრიგად, ტექსტიდან ირკვევა, რომ 1168 წელი გიორგი III-ის მეფობის მე-12 ინდიკტით იყო. ვფიქრობთ, აქ ზედმეტი არ უნდა იყოს იმის შეხსენება, რომ ამა თუ იმ მეფის ზეობის წლების ანუ ინდიკტითის ათვლა, ძირითადად, არ ემთხვევა კალენდრულ წელთაღრიცხვას. მართლაც, შეა საუკუნეების საქართველოში (და არამხოლოდ საქართველოში) ყოველი კალენდრული წელი 1 იანვრიდან (ან 1 სექტემბრიდან) იწყებოდა, ამა თუ იმ მეფის ინდიკტითის ათვლას კი იმ კონკრეტული თვე და რიცხვიდან იწყებდნენ, როცა იგი სამეფო ტახტზე ადიოდა.

ადნიშნულიდან გამომდინარე, 1168 წელი შეიძლება ყოფილიყო გიორგი III-ის ზეობის როგორც მე-11 წლის დასასრული და მე-12-ს დასაწყისი, ისე – მე-12 წლის დასასრული და მე-13-ს დასაწყისი. ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის, ვინაიდან გიორგი III-ის გამეფების ფაქტი პირველ შემთხვევაში – 1157 წლით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 1156 წლით თარიღდება. შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ სამთავისის წარწერაში გიორგი III-ის ადსაყდრების ფაქტი დათარიღებულია არა 1156 წლით, არამედ – 1156-1157 წლებით.

ზუსტად ასეთივე სურათს ვხედავთ ტბეთის სახარების ანდერძთან დაკავშირებითაც. ამ ანდერძის ტექსტი, სამთავისის წარწერის მსგავსად, გიორგი III-ის სიცოცხლეშია შედგენილი, თანაც სამეფო კართან დაახლოებული მღვდელმთავრის მიერ, რის გამოც ის სანდო პირველწყაროს წარმოადგენს:

„...ღირს ვიქმებ არაღირსი, სულითა საწყალობელი პარალელ ჯ(უარ)ის მყვ(ა)ნი, ღ(მრთ)ისა მ[ო]წყ[ა]ლებათა და სახ[ი]რ[ე]ბათა მიერ საყდრ(ი)სა ტბეთისასა დაპყრობა[ქ], ვამხრდელისა ჩ[ემ]ისა, ღ(მრ)თივ გვრგვნოსნისა მეფეთ-მეფისა ღი[მი]ტ[რი]ს მიერ, რ[ომელ]ი მკვდრმცა არს მ[ა]რჯულნითა [ქ]რისტეს დასაყდრებული და მიანიჭა ღ[მერთმან] ძესა მათხა გ[იორგ]ის მეფობად, ლომთა უმჯნესსა და არწივთა უმაღესსა და მიხცა ღ(მერთმა)ნ ურიცხვ ძლევად და გამარჯულბად ყ(ოველ)თა წინააღმდეგომთა მისთა ზედა. მეცუთესა წელსა [...] ანისისასა [...] მხგავსად [...] და გედეონისა მცირითა ერითა სძლო ურიცხუსა მას სიმრავლესა ბარაბაროზთასა და მოკლვით და ტყუბობით მოსწყვდებ რცდაათექუსმეტი ჩ (1000) კაცი. დაუტევეს საჭურჭლე: ურიცხვ კარვები, ცხენი, აბჯარი და ყოველი [ს]აქონები მათი; დაიპყრეს თავადი ამირაები; სუქმანის ძე

(ჟორდანია 1892: 259). დასახელებული ორი პუბლიკაციიდან ივანე ჯავახიშვილი სარგებლობდა ჟორდანიასეული გამოცემით (ჯავახიშვილი 1913: 551).

ძლივ წარვიდეს, დაკოდილ-ჩამოგდებული. ღმერთმან უმეტესი ძლევად და წარმართებად მისცეს მეფობასა მათსა და კურთხევად საუკუნო...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1959ა: 355-356)⁷⁵.

როგორც ვხედავთ, ციტირებული ტექსტის თანახმად, გიორგი III-ს შაჰარმენი სუქმანის-ძე ანისთან დაუმარცხებია თავისი მეფობის მე-5 წელს. აღნიშნული ცნობა ივანე ჯავახიშვილმა ანისის ბრძოლის დასათარიღებლად გამოიყენა და ეს ფაქტი 1161 წლით განსაზღვრა (ჯავახიშვილი 1948: 229). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, ოღონდ, ანდერძს, ამჯერად, საპირისპირო მიზნით – გიორგი III-ის მეფედ კურთხევის დასათარიღებლად გამოვიყენებთ.

ინდიკტიონისა და კალენდარული წლების ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, 1161 წელი შეიძლება იყოს გიორგი III-ის ზეობის როგორც მე-4 წლის დასასრული და მე-5 წლის დასაწყისი, ისე მე-5 წლის დასასრული და მე-6 წლის დასაწყისი. შესაბამისად, გიორგი III-ის აღსაყდრებას ტბეთის სახარების კოლოფონი, ისე როგორც სამთავისის წარწერა, ათარიღებს არა 1156 წლით, არამედ – 1156-1157 წლებით.

გიორგი III-ის მეფედ კურთხევას 1156-1157 წლებით განსაზღვრავს სტეფანოს ორბელიანის თხზულებაც⁷⁶. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილ მოვლენებზე საუკუნენახევრით გვიან შედგენილი თხზულება გიორგი III-ის აღსაყდრების შესახებ ორ სხვადასხვა თარიღს გვაწვდის.

სტეფანოს ორბელიანი ერთგან აღნიშნავს, რომ დემეტრე I-მა ოცდაცამეტი წელი იმეფა და 1158 წელს აღესრულა. სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა, დავით V-მ

⁷⁵ კოლოფონის ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1900 წელს, პ. ცხვილოელის ანუ მღვდელი პოლიევექტოს ქარბელაშვილის მიერ (ცხვილოელი 1900; ქართული ... 1967: 35). ტბეთის სახარებასა და მის ანდერძმინაწერებს 1909 წელს საეციალური ნარკევი მიუძღვნა ექვთიმე თავაიშვილმაც. მის პუბლიკაციაში ჩართულია რამდენიმე კოლოფონის, მათ შორის, 1161 წლის ანდერძის ნუსხახუცური ტრანსქრიპცია, მათი რუსული თარგმანები და შესანიშნავი ფოტო-ილუსტრაციები (მახალები ... 1909: 151-162). ივანე ჯავახიშვილს 1913 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნზე მუშაობისას ტბეთის სახერების ანდერძი არ გამოუყენებია. თუმცა, ნაშრომის გამოცემის შემდეგ, პირად ეგზემპლარში რამდენიმე ადგილას ჩაურთავს ჩასამატებელი მასალა (ჯავახიშვილი 1948: V-VI, 229). ნაშრომი ხელმეორედ 1948 წელს გამოქვეყნდა. ამ დროს დიდი მეცნიერი უკვე გარდაცვლილი იყო. გამოცემის რედაქტორმა, სიმონ ყაუხებიშვილმა გაითვალისწინა ივანე ჯავახიშვილის სურვილი და ზემოხსენებული მასალა პუბლიკაციის შესაბამის ადგილას ჩართო. ერთ-ერთ ასეთ ჩანართს წარმოადგენდა ტბეთის სახერების კოლოფონიც (ჯავახიშვილი 1948: V-VI, 229).

⁷⁶ ტაოვის მიტროპოლიტმა სტეფანოს ორბელიანმა (გარდ. 1304 წ.) „სიუნიქის ისტორიაზე“ მუშაობა 1297-1300 წლებში დაასრულა. თხზულების 66-ე თავს წარმოადგენს ტექსტი, სახელწოდებით: „ცხოვრება ორბელიანთა“ (მაისურაძე 1985; აბდალაძე 1979: 36-37). ჩვენთვის საინტერესო ცნობები სწორედ ამ თავშია დაცული. სტეფანოსის თხზულების სრული სომხური ტექსტი 1861 წელს მოსკოვში გამოაქვეყნა მ. ემინმა (მელიქსეთ-ბეგვი 1949: 267). ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნზე მუშაობისას სწორედ ამ, მოსკოვური გამოცემით სარგებლობდა (ჯავახიშვილი 1913: 526, 551-552).

დაიკავა, თუმცა მისი ზეობა ხანმოკლე გამოდგა და ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1160 წელს ისიც გარდაიცვალა. ერთი თვის შემდეგ მეფობა დავით V-ის ძმამ, გიორგი III-მ მიიღო (ემინი 1896: 362-363; ცაგარეიშვილი 1978: 39-40)⁷⁷.

ივანე ჯავახიშვილი იმთავითვე კრიტიკულად მოეკიდა ამ ცნობას და გიორგი III-ის ადსაყდრების 1160 წლით დათარიფება უსაფუძვლოდ ჩათვალი (ჯავახიშვილი 1913: 551). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. მით უფრო, რომ ამგვარ ვარაუდს სავსებით გამორიცხავს სამთავისის წარწერა და ტბეთის სახარების ანდერძი.

სამაგიეროდ, ივანე ჯავახიშვილმა მისადებად მიიჩნია სტეფანოს ორბელიანის მეორე ცნობა, რომელიც მოგვითხობს, რომ ორბელთა აჯანყების დროს, 1177 წელს, გიორგი III-ის მეფობის 21-ე წლისადი იყო (ემინი 1896: 364; ცაგარეიშვილი 1978: 44)⁷⁸.

⁷⁷ სტეფანოს ორბელიანის თხზულების 66-ე თავის ემინისეული რუსული თარგმანის 1896 წლის გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტი ასეთი სახით არის წარმოდგენილი: „Въ 607 (1158) году, после многихих удачъ и великихъ подвиговъ мужества умираетъ царь Деметре, царство котораго наследуетъ Давидъ, мужъ могущественный и мудрый, какъ и отецъ его. Но прошествій 2 леть умеръ и онъ... черезъ месяцъ у Георгія созваны были все дедепулы и дворяне, съ которыми вместе явился и Иване съ своей свитой. Георгій открылъ последнему свое намереніе и после долгихъ увещеваній успѣль, наконецъ, убедить его въ томъ, что по достиженіи племянника моего совершеннолетія я его не обижу, но согласно завещанію моего брата возведу его на престолъ царскій. Вследствіе этого все единогласно помазали его на царство” (ემინი 1896: 362-363). იგივე ფრაგმენტი „ცხოვრება ორბელიანთა“ 1682 (A) და 1801 (B) წლების ძველქართულ თარგმანებში შემდეგნაირად იკითხება: A – „და შემდგომად მრავლისა გამარჯვებისა და დიდ-დიდისა სიმბინისა მოკვდა დიმიტრი მეფე რიცხვება ექვებას შვიდს (1158 წ.) და მიიღო მეფობა მიხი დავით, მეგ ზავხმან მამისამან, კაცმან ძლიერბან და ბრძებმან, და ცხოვნდა წელისა თრსა და მოკვდა... ხოლო შემდგომად თვისა ერთისა შეკრძებ კოველნი დიდებულნი და აზნაურნი გიორგისა და მივიდა მათ თანა იორგანეცა თვისითურთ, და განუცხადა განზრახვა იგი გიორგი მრავლითა კედებითა და დაჯერებულ კუ სიტყვით: „უკეთუმცა ახალეულ იქმნებ მისესწული ჩემი, არა დაკლებულ კუ იგი, არამედ ანდერძისაგრძ მისა ჩემისა დავხვა ხელისა მეფობისასა“. ამისთვის სცხეს ძას მეფე“ (ცაგარეიშვილი 1978: 40-42); B – „და შემდგომად მრავალთა გამარჯვებათა და დიდ-დიდთა შპერბათა მოკვდა დიმიტრი და მიიღო მეფობა მისი ძემან მისმან დავით, მეგავხმან მამისა ძლიერისა და ბრძნისამან. იცოცხლა ამან წელისა თრსა და ექვეცა მოკვდა... ხოლო შემდგომად ერთისა თოშა შეკრძებ კოველნი დიდებულნი და მთავარნი გიორგისთან, ხადაცა იმყოფებოდა ივანეცა თხელეულითა, მათი განუცხადა გიორგიმ განზრახვა თხხი და მრავლითა სიტყვებითა არწმუნებდა მათ და გეგოდა, რამეთუ: „ოდებ მოასახების მისესწული ჩემი, არა უვარ-გუმო ანდერძისა მისა ჩემისასა, არამედ დავხვამ ტახტება ზედა მეფობისა ჩემისასა“. ამისათვე დაერთხიმუვავდებ და სცხეს იგი მეფე“ (ცაგარეიშვილი 1978: 40-42).

⁷⁸ ემინის რუსული თარგმანი: „Въ 626 году армянского летосчислениј (1177) возникли смуты въ Иверийскомъ царстве и родь Орбелиановъ весь былъ истребленъ... после 21 года царствованія Георгія...“ (ემინი 1896: 364). ძველი ქართული თარგმანები: A – „რიცხვება სიმბინისა ექვებას მცდა ექვება (1177 წ.), იქმნა ალმერი და შვროთი შორის მეფობისა ქართულთასა და მირითურთ აღმოფხრებელ დახმარებული მათ და გეგოდა, რამეთუ: „ოდებ მოასახების მისესწული ჩემი, არა უვარ-გუმო ანდერძისა მისა ჩემისასა, არამედ დავხვამ ტახტება ზედა მეფობისა ჩემისასა“. ამისათვე სამეფოსა შინა საქართულოსასა და სრულიად აღიფხურა სახლი თრბელიანთა, რამეთუ იმეფა გიორგი წელისა ქართულ თცდა ერთხა (21)“ (ცაგარეიშვილი 1978: 44). გარდა ამისა, სტეფანის თხზულების 1682 წლის ქართულ თარგმანში დაცულია კიდევ ერთი ირიბი ცნობა გიორგი III-ის ადსაყდრების თარიღის შესახებ: „ხოლო თვით ძას გიორგის არ აქცნდა სამკითხოებულების მეფობისა თვისისა თვინიერ ასულისა ერთისა, თამარად სახლდებულისა, და აღეხრულა

აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ამა თუ იმ მეფის ზეობის ინდიკტიონის ათვლა და კალენდრული წელთაღრიცხვა, უპირატესად, არ ემთხვევა ერთიმეორეს, ამიტომ 1177 წელი შეიძლება იყოს გიორგი III-ის ზეობის როგორც მე-20 წლის დასასრული და 21-ე წლის დასაწყისი, ისე – 21-ე წლის დასასრული და 22-ე წლის დასაწყისი. პირველ შემთხვევაში, გიორგი III-ის გამეფება მოდის 1157 წელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – 1156 წელზე. შესაბამისად, გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი სტეფანოს ორბელიანის თანახმად, აგრეთვე, 1156-1157 წლებით უნდა განისაზღვროს.

ამრიგად, ირკვევა, რომ ივანე ჯავახიშვილის ხელთ არსებული საისტორიო მასალის დიდი ნაწილი – ტბეთის სახარების ანდერძი, სამთავისის წარწერა და სტეფანოს ორბელიანის თხზულება გიორგი III-ის გამეფებას ათარიღებდნენ არა 1156 წლით, არამედ – 1156-1157 წლებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით ანგარიშ-გასაწევია ტბეთის სახარების ანდერძისა და სამთავისის წარწერის ცნობები, რომლებიც გიორგი III-ის სიცოცხლეშია შედგენილი და შესაბამისად, სანდო პირველწყაროებს წარმოადგენს.

გარდა ამ სამი ძეგლისა, ივანე ჯავახიშვილის განკარგულებაში იყო წერილობითი წყაროების მეორე ჯგუფი – ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“⁷⁹ და XIII-XIV საუკუნეების ქართული ხელნაწერი კრებულის, იგივე ა-

⁷⁸ რიცხვები უქვეხას უცდა ათ სამეცნიერო სამეცნიერო სამსახურის მიერ 1978: 54). აქვე შევნიშნავთ, რომ 1801 წლის ძველ ქართულ და ემინისეულ რუსულ თარგმანებში მითითებულია მხოლოდ გიორგი III-ის გარდაცვალების წელი. რაც შეეხება მისი მეფობის ხანგრძლივობას, ამაზე დასახელებულ თარგმანებში არაფერია ნათქვამი (ცაგარეიშვილი 1978: 54; ემინი 1896: 368).

⁷⁹ სომები ისტორიკოსის ვარდან არეველცის (1200/1210-1271 წწ.) „მსოფლიო ისტორია“ XIII საუკუნის 60-იან წლებში უნდა იყოს შედგენილი (აბდალაძე 1979: 33-34). თხზულების სომხური ტექსტი 1861 წელს მოსკოვში გამოსცა მ. ემინმა (მელიქშეთ-ბეგი 1949: 261). ივანე ჯავახიშვილი სწორედ ამ პეტლიკაციით სარგებლობდა (ჯავახიშვილი 1913: 526, 550-552). იმავე 1861 წელს ემინმა მოსკოვში „მსოფლიო ისტორიის“ რუსული თარგმანიც გამოაქვენა. პეტლიკაციაში ჩვენთვის საინტერესო ადგილი შემდეგი სახით იკითხება: „Царь иверийский, Деметре, после тридцати двухлетия управления скончался. Сынъ его, Давидъ, человекъ умный и расположенный къ добру, принялъ его корону: онъ освободилъ Тиркаша, заключенного въ темницу его отцемъ, и назначилъ его военачальникомъ; самъ же умеръ черезъ месяцъ. Некоторые говорятъ, что онъ погибъ отъ измены Сембата и Иване Орбеллановыхъ за назначение на ихъ место Тиркаша; и что они заранее условились въ этомъ съ Георгомъ, братомъ Давида, который обещалъ имъ назначить ихъ военачальниками. Въ 605-1156 году Георгий наследовалъ корону своего брата“ (ემინი 1861: 154-155). 2002 წელს თბილისში გამოქვეყნდა ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ სრული ქართული თარგმანი, რომელიც, თავის მხრივ, შესრულებული იყო ხოდარ შოშიაშვილისა და ეგა კვაჭანტირაძის მიერ. ნაშრომს დართული აქვე ეკა კვაჭანტირაძის მიერ მომზადებული შესავალი, კომენტარები და საძიებლები (ვარდან არეველცი 2002). ვარდანის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი დასსახელებულ პეტლიკაციაში შემდეგი სახით არის მოტანილი: „ქართველთა მეფე დემეტრე 32 წლის მეფობის შედეგებ გარდაიცვალა. გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა, ქავიანმა და ქვილმა და-კითმა. მას ციხიდან გამოიყვანა მამის მიერ შეცვრილი თორქაში, დააყენა მხედართმთავრად და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ზოგი ამბობს, რომ [ის მოკლულ იქნა] ხუმბავ და ივანე

85-ის კინკლოსის მინაწერი, რომელიც გიორგი III-ის მეფედ კურთხევას ცალსახად 1156 წლით განსაზღვრავდნენ (ჯავახიშვილი 1913: 151).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს ორი დასახელებული ძეგლი აღწერილი მოვლენების თანადროული არ არის. ვარდან არეველცის თხზულება XIII საუკუნის შუახანებშია შედგენილი, A-85-ის კინკლოსის მინაწერი კი XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება (ოდიშელი 1968: 9). ამიტომ მათ ცნობებს გიორგი III-ის გამეფების თარიღის დადგენისათვის, ცხადია, არ აქვთ ისეთი წყაროთმცოდნეობითი დირებულება, როგორიც ტბეთის სახარების 1161 წლის ანდერძსა და სამთავისის ტაძრის 1168 წლის წარწერას გააჩნიათ.

მიუხედავად ამისა, 1913 წლისათვის, როდესაც ქართული ისტორიოგრაფია ტბეთის სახარების 1161 წლის ანდერძისა და სამთავისის ტაძრის 1168 წლის წარწერის მიერ შემოთავაზებული ორწლიანი მონაკვეთის – 1156-1157 წლების დასავიწროვებლად სინქრონული პერიოდის რაიმე სხვა წყაროს არ იცნობდა, ივანე ჯავახიშვილმა სავსებით ლოგიკური ნაბიჯი გადადგა, მან სწორედ ვარდან არეველცის ცნობასა და A-85-ის კინკლოსის მინაწერზე დაყრდნობით დაავიწროვა ზემოხსენებული ორწლიანი ქრონოლოგიური მონაკვეთი და გიორგი III-ის აღსაყდრების ფაქტი 1156 წლით დაათარიღა (ჯავახიშვილი 1913: 551-552).

მოგვიანებით ქართულმა ისტორიოგრაფიამ უპირობოდ გაიზიარა ივანე ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული თარიღი. დღეისათვის გიორგი III-ის გამეფება 1156 წლით არის განსაზღვრული როგორც სამეცნიერო, ისე საენციკლოპედიო ხასიათის გამოცემებში (ბუნიათოვი 1966: 285; ოდიშელი 1968: 90-91; სოხაშვილი 1968: 193; ბადრიძე 1973: 27; ბერძენიშვილი 1973: 68; მეტრეველი 1973: 104; თოფურია 1975: 17; მეტრეველი 1978: 159-160; ლორთქიფანიძე 1979ა: 263, 286-288; თოდუა 1979: 52, 56; ფუთურიძე 1955: 67; ქადაგიძე 1985: 140; კვაჭანტირაძე 1989: 106-107; სტეფნაძე 1990: 23; ჯაფარიძე 1995: 99; სტეფნაძე 1999; დავლიანიძე 2000: 93; საქართველოს ... 2000ბ: 132-134 და სხვ.).

გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღის დადგენისათვის ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის Ven.4-ის 1160 წლის ანდერძის ტექსტი. ვინაიდან ჩვენ ზემო უკვე დაწვრილებით განვიხილეთ ამ ანდერძთან დაკავშირებული სხვადასხვა

ორბელიანების მზაკვრობის შედეგად, რაღგან მათ აღვიდას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ [ის] დანიშნავდა [მათ] მხედართმთავრად. გიორგიმ მიიღო სამეფო გვირგვინი 605 (1156) წელს“ (ვარდან არეველცი 2002: 145).

საკითხები, აქ აღარაფერს ვიტყვით მის თაობაზე და პირდაპირ მოვიყვანთ კოლოფონის ტექსტს:

„სახელითა დ(მრთ)ისამთა, წიგნსა ამას ეწოდების სანატრელი. დაიწერა ჯელითა უნდოხსა, შავ / ნიკ(ოლო)ზ ნიკრამსამთა, სანახებსა წ(მიღ)ისა მ(ა)მისა დ(ავი)თისსა, / გარესჯას, კედელსა (?), რ(ომე)ლსა ეწოდების სახელად / ბერთამ, ქრონიკონსა ტპ (1160 წ.), მეფობასა მისა / დ(ემე)ტრეს გ(იორგ)ისაზე, წელსა მეფობისა მისისასა ბ (3). / დაამყარენ დ(მერთმა)ნ მეფობ(ა)დ მისი სათხოდ ო(კფლ)ისა ჩ(უგ)ნისა / ი(ეს)პ ქ(რისტი)ნისა, რ(ომ)ლისამ არს დ(იდე)ბ(ა)დ უბ(უნი)თი უკ(უნისადმდ)ე, ა(მე)ნ და შავ ნიკრასა შრომისათვეს ქ(ურთ)ნ(ე)გად ს(აუ)კ(უ)ნ(ო)დ, ა(მე)ნ. / დ(იდე)ბ(ა)დ დ(მერთხ)ა სრ(უ)ლმყოფელსა ე(ოველ)თასა, ა(მე)ნ. / მე(უ)ფელ, გ(უა)კ(ურთ)ნ(ე)ნ“.

როგორც ვხედავთ, გარეჯული კრებულის ანდერძის თანახმად, ხელნაწერის გადაწერის თარიღი – 1160 წელი, იმავდროულად, იყო გიორგი III-ის ზეობის მე-3 ინდიკტიონი. შესაბამისად, 1160 წელი, შეიძლება, იყოს მისი მეფობის როგორც მე-2 წლის დასასრული და მე-3-ს დასაწყისი, ისე – მე-3 წლის დასასრული და მე-4-ს დასაწყისი. პირველ შემთხვევაში, გიორგი III-ის ადსაყდრების თარიღად ვიდებთ 1158, ხოლო მეორე შემთხვევაში – 1157 წელს.

ცხადია, ამ ორ თარიღს შორის უპირატესობას ვერც ერთს ვერ მივცემდით, რომ არა სინქრონული პერიოდის ორი სხვა ძეგლი – ტბეთის სახარების ანდერძი და სამთავისის წარწერა, რომელთა მიერ შემოთავაზებული ორწლიანი მონაკვეთი – 1156-1157 წლები მხოლოდ იმ პირობით ემთხვევა Ven.4-ის ანდერძში მითითებულ ორწლიან მონაკვეთს – 1157-1158 წლებს, თუკი გიორგი III-ის გამეფების თარიღად 1157 წელს ავიდებთ.

ამ შემთხვევაში, გამოვა, რომ გარეჯული კრებულის გადაწერის თარიღი (1160 წ.) ნამდვილად გიორგი III-ის ზეობის მე-3 ინდიკტიონს (მე-3 წლის დასასრული და მე-4-ს დასაწყისი) წარმოადგენს, ტბეთის სახარების ანდერძის თარიღი (1161 წ.) – მისი მეფობის მე-5 ინდიკტიონია (მე-4 წლის დასასრული და მე-5-ს დასაწყისი), ხოლო სამთავისის წარწერის თარიღი (1168 წ.) გიორგი III-ის მმართველობის – მე-12 ინდიკტიონი (მე-11 წლის დასასრული და მე-12-ს დასაწყისი).

ყველა სხვა შემთხვევაში, ერთი მხრივ, Ven.4-ის ანდერძი, ხოლო, მეორე მხრივ, ტბეთის სახარების ანდერძი და სამთავისის ტაძრის წარწერა აბსოლუტურად სხვადასხვა თარიღს – ან 1158, ან კიდევ 1156 წელს გვაძლევენ.

რამდენად შეიძლება ვენდოთ გარეჯული კრებულის ანდერძში დაცულ ცნობას? ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა სავსებით სარწმუნოა. ჯერ ერთი, Ven.4-ის გადამწერი ნიკოლოზ ნიკრად გიორგი III-ის გამეფების თანამედროვეა და მეფის აღსაყდრებასა და ხელნაწერის გადაწერას შორის სხვაობა მხოლოდ სამ წელს შეადგენს. მეორეც, ნიკრად გარეჯში მოღვაწე მწიგნობარია, აქაური სავანეები კი ამ დროს უკვე სამეფო მონასტრებს წარმოადგენდნენ (ლომინაძე 1966: 123-124).

შესაბამისად, გარეჯელი მოწესებისა და, მათ შორის, Ven.4-ის გადამწერისათვის სამეფო კარის პერიპეტიები კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. მეტიც, ანდერძში გიორგი III-სთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ფრაზას ვხვდებით: დაამყარენ ღმერთმან მეფობად მისი სათხოდ ოჯგლისა ჩუქინისა იუბა ქრისტეა“, სადაც თითქოს ცხადლივ უნდა ჩანდეს გადამწერის შეშფოთება სამეფო კარზე ატეხილი დინასტიური ბრძოლების გამო და ამიტომაც არის, რომ იგი უფალს მაინცადამაინც გიორგი III-ის ტახტის განმტკიცებას ევედრება.

ჩვენი მოსაზრების მართებულობას ადასტურებს სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანეცის ქრონიკაც⁸⁰. როგორც ცნობილია, სამუელ ანეცი XII საუკუნის მოღვაწე იყო და თავისი ქრონიკაც 1182 წელს პეტრე შედგენილი (მელიქსეთ-ბეგი 1949: 253). შესაბამისად, მის ცნობებს ჩვენთვის ისეთივე წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვს, როგორც სინქრონული პერიოდის დანარჩენ სამ ძეგლს – გარეჯული კრებულის ანდერძს, ტბეთის სახარების კოლოფონსა და სამთავისის ტაძრის წარწერას. სამუელ ანეცის თხზულების ერთი ფრაგმენტის ქართული თარგმანი 2000 წელს გამოაქვეყნა წყაროთმცოდნე ნინო თორთლაძემ. ტექსტი გამცნობს:

„604 წელს (1155 წ.) გარდაიცვალა ქართველთა მეფე დემეტრე და გამეფდა მისი ძე დაგითი, ხოლო ორი წლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. მისი ძალაუფლება მისმა ძმამ გიორგიმ მიიღო“ (თორთლაძე 2000: 79)⁸¹.

⁸⁰ ანისის საკათედრო ტაძრის ხუცესის სამუელ ანეცის (1110-1190 წწ.) საისტორიო ქრონიკა შედგენილია 1182 წელს (მელიქსეთ-ბეგი 1949: 253). არსებობს თხზულების სრული სომხური ტექსტის ა. ტერ-მიქელიანის გამოცემა, რომელიც, თავის მხრივ, დაბეჭდილია 1893 წელს. პუბლიკაცია დამყარებულია ერმიაწინის ბიბლიოთეკაში დაცულ 13 ხელნაწერ ნუსხაზე (თორთლაძე 2000: 79).

⁸¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერმიაწინის ზემოხსენებული 13 ხელნაწერიდან 10 ხელნაწერში მითითებულია „ორი წელი“, სამში კი – „ორი თვე“. ნინო თორთლაძე ითვალისწინებს ლაშაგიორგისძროინდელი მემატიანის ცნობასა და XVIII საუკუნის ქართული კინკლოსის მინაწერს და უპირატესობას სამი ხელნაწერის წაკითხვას აძლევს. მკვლევარი ფიქრობს, რომ შამუელ ანეცის ქრონიკაში თავდაპირველად აღნიშნული იყო ორი თვე, მოგვიანებით კი ტექსტის არასწორი წაკითხვის საფუძველზე, ან, შესაძლოა, შეგნებულადაც ეს ადგილი გადააკეთეს და მიიღეს ორი წელი (თორთლაძე 2000: 79-80). ჩვენ საყურადღებოდ გვეხვენება ეს მსჯელობა, თუმცა ტრადიციული მოსაზრება უფრო მართებული გვგონია. მით უფრო, რომ ზემოხსენებული

ამრიგად, ხელთ გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – გიორგი III-ის მეფედ კურთხევას Ven.4-ის ანდერძის, ტბეთის სახარების კოლოფონისა და სამთავისის წარწერის გარდა, 1157 წლით ათარიღებს XII საუკუნის კიდევ ერთი ძეგლი – სამუელ ანეცის ქრონიკა.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ტბეთის სახარების ანდერძის, სამთავისის ტაძრის წარწერისა და სტეფანოს ორბელიანის მიერ შემოთავაზებული ორწლიანი მონაკვეთის – 1156-1157 წლების დასავიწროვებლად წყაროთა რომელ ჯგუფს უნდა მიეცეს უპირეტესობა – ვარდან არეველცის თხზულებასა და A-85-ის კინკლოსს, რომლებიც გიორგი III-ის გამეფებას 1156 წლით ათარიღებენ, თუ გარეჯული კრებულის კოლოფონსა და სამუელ ანეცის თხზულებას, რომლებიც ამავე ფაქტს 1157 წლით განსაზღვრავენ?

ჩვენ წყაროების შეპირისპირებისას უპირატესობას Ven.4-ის კოლოფონსა და სამუელ ანეცის ქრონიკას ვაძლევთ. ჯერ ერთი, ეს ძეგლები, ვარდან არეველცის თხზულებისა და A-85-ის კინკლოსის მინაწერისაგან განხვავებით, გიორგი III-ის სიცოცხლეშია შედგენილი და გაცილებით სანდო პირველწყაროებს წარმოადგენს. მერე მეორეც, კარგად არის ცნობილი, რომ ვარდან არეველცი, რომელიც, საზოგადოდ, სანდო აგტორად არის მიჩნეული, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისათვის რამდენიმე მცდარსა თუ სადაო თარიღსაც გვაწვდის. ეს საკითხი ისტორიკოს ეპა პგაჭანტირაძის მიერ კარგად არის შესწავლილია (კვაჭანტირაძე 1989: 104-112) და ამიტომ, მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება A-85-ის კინკლოსის მინაწერს, აქ საქმე კიდევ უფრო რთულად გვაქვს. ტექსტის თედო ჟორდანიასული გამოცემა შემდეგი სახით იკითხება: „*ქორონიკონი* ტომ (1150 წ.), დასაბამითგან ხლო (1156 წ.), აქა ძე დიმიტრი მეფისა გიორგი მეფე იქმნა“ (ჟორდანია 1892: 255). ე. ი. მინაწერი გიორგი III-ის გამეფების შესახებ ორ სხვადასხვა თარიღს გვაძლევს – 1150 და 1156 წლებს. ამ ორ თარიღს შორის, თედო ჟორდანიამ უპირატესობა 1156 წელს მისცა (ჟორდანია 1892: 255), ივანე ჯავახიშვილმა კი, თავის მხრივ, სავსებით გაიზიარა ეს მოსაზრება (ჯავახიშვილი 1913: 551).

წერილობითი წყაროების მიერ გიორგი III-ის მეფედ კურთხევის 1157 წლით დათარიღება დაგით V-ის სწორედ რომ ორწლიანი მმართველობის სასარგებლოდ მეტყველებს.

მოგვიანებით, 1968 წელს A-85-ის კინკლოსის მინაწერები გამოაქვეყნა ჯუმბერ ოდიშელმაც. მკვლევარმა ჩვენთვის საინტერესო მინაწერის ქრონიკონი სულაც ტვ-დ ($306+780=1086$ წ.) წაიკითხა და მასთან შედარებით უპირატესობა, რასაკვირველია, დასაბამითგან ათვლილ თარიღს – 1156 წელს მისცა (ოდიშელი 1968: 26).

კიდევ უფრო მოგვიანებით, 1974 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის აკადემიური „აღწერილობის“ I₁ ტომი, სადაც შეტანილი იყო A-85-ის კინკლოსის მინაწერები. ამ პუბლიკაციაში ჩვენთვის საინტერესო ტექსტი შემდეგი სახით იკითხება: „[1157 წ.] აქა ძე დიმიტრი მეფისა გიორგი მეფე იქმნა“ (ბრეგაძე ... 1973: 295).

ამრიგად, მინაწერის აკადემიურ გამოცემაში ქორონიკონის თარიღად მითითებულია არა 1150 ან 1086 წლები, როგორც ამას თედო ჟორდანიასა და ჯუმბერ ოდიშელის პუბლიკაციებში ვხვდებით, არამედ – 1157 წელი.

საკითხის საბოლოოდ გარკვევის მიზნით, პირადად გავეცანით ხელნაწერს. გაირკვა, რომ საკუთრივ კინკლოსს მხოლოდ ქრონიკონის თარიღები უზის. ამასთან, მისი ათვლა სახელდობრ 1157 წლით იწყება და ნუსხური მინაწერიც – „აქა ძე დიმიტრი მ(ე)ფის(ა)დ გ(იორგ)ი მეფე იქმნა“, სწორედ ამ წლის გასწვრივ არის მითითებული.

ასე, რომ A-85-ის კინკლოსის მინაწერი გიორგი III-ის მეფედ კურთხევას ათარიღებს არა 1156, არამედ – 1157 წლით. ეს კი, აგრეთვე, ადასტურებს ჩვენი ზემოთ გამოთქმული მოსაზრების მართებულობას.

მეტიც, თუ ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი დაკვირვებები სწორია, მაშინ შეგვიძლია, კიდევ უფრო დაგაკონკრეტო გიორგი III-ის გამეფების თარიღი. ტბეთის სახარების ანდერძში მითითებულია, რომ გიორგი III-მ სუქმანის-ძე ანისთან მისი ზეობის მე-5 ინდიკტიონს დაამარცხა (ბრეგაძე ... 2004: 355-356). პარალელურად ამისა, ივანე ჯავახიშვილმა არაპი მემატიანის იბნ ალ-ასირის ცნობაზე დაყრდნობით, გაარკვია, რომ ქართველებმა ხლათის მმართველი სუქმან II აგვისტოს თვეში დაამარცხეს (ჯავახიშვილი 1913: 555-556).

ამ ბოლო ქრონოლოგიურ მონაცემს დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის გარკვევისათვის, ვინაიდან ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, 1161 წელი გიორგი III-ის ზეობის მე-4 წლის დასასრულს და მე-5-ს დასაწყისს წარმოადგენდა. შესაბამისად, 1161 წლის აგვისტოში გიორგი III-ის მეფობის

მე-5 წელი უკვე დაწყებული ყოფილა და ამიტომ მისი მეფედ პურთხევაც 1157 წლის დასაწყისიდან აგვისტომდე პერიოდით უნდა განისაზღვროს.

ამრიგად, ჩვენ ვთვალისწინებთ 1160 წელს გარეჯში გადაწერილი კრებულის (Ven.4-ის) ანდერძის, ტბეთის სახარების (Q-929-ის) 1161 წლის კოლოფონის, სამთავისის ტაძრის 1168 წლის ლაპიდარული წარწერის, XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანეცის ქრონიკის, სტეფანოს ორბელიანის მიერ XIII საუკუნის მიწურულს შედგენილი „სიუნიქის ისტორიისა“ და XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერი კრებულის (A-85-ის) კინკლოსის ცნობათა ურთიერთმიმართებას და სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ მოსაზრებას, რომ გიორგი III საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა არა 1156 წელს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ, ოდნავ უფრო მოგვიანებით, კერძოდ, 1157 წელს⁸².

⁸² გიორგი III-ის გამეფების 1157 წლით დათარიღებას პრაქტიკულად არავითარი კორექტივი არ შეაქვს შემდგომი პერიოდის ქრონოლოგიაში. გამონაკლისია გიორგი III-ის ორი სიგელი – 1170 წლისა მღვმისადმი (ენუქიძე ... 1984: 67-70) და 1177 წლისა საქართველოს ეკლესიისადმი (ენუქიძე ... 1984: 71-72). ჩვენი მოსაზრებების გათვალისწინებით, პირველი საბუთი – 1170-1171, მეორე კი – 1177-1178 წლებით უნდა დათარიღდეს. რაც შექხება დანარჩენ მასალას, მისმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1157 წლის შემდგომდროინდელი არცერთი სხვა მოვლენა არ თარიღდება გიორგი III-ის ზეობის ინდიკტიონით. სამაგიეროდ, გიორგი III-ის ადსაყდრების გადათარიღებამ გარკვეული ცვლილებები უნდა შეიტანოს დემეტრე I-ის მმართველობის ბოლო წლებისა და დავით V-ის მეფობის უკვე დამკვიდრებულ ქრონოლოგიაში. თუმცა ეს უაღრესად პრობლემატური საკითხი წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებს სცილდება და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს.

§2. მოქვის ეპისკოპოსის ლუპა
ოძობელის ხუთი მინაშერი (1363 წ.)⁸³

თავდაპირველად წარმოვადგენთ განსახილავ მინაწერებს.

I. შესრულებულია 3r-ს ზედა აშიაზე. დაახლ. 14 X 17 სმ. მხედრული. ერთი სტრიქონი. ნაწერია მოშავო-მოყავისფრო მელნით. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. კოლოფონის დასაწყისი და დასასრული მოქცეულია სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ. ეს ფრაგმენტები ამოვიკითხეთ ნაწილობრივ, ხელნაწერის ორიგინალში, ნეონის ნათურისა და ულტრაიისფერი სხივების დახმარებით.

[ვ086-] [- - -] სანატორელი: ხე[ლ...]

წიგნი [ესე] „სანატორელი“ ხელ....

II. შესრულებულია 187r-ს ზედა ნახევარზე. 18,4 X 13,5 სმ. მხედრული. ქანწილი – ხელად. ნაწერია მოშავო-მოყავისფრო მელნით. ქანწილთან დასმული ორწერტილი – სინგურით. განკვეთილობის ნიშნები – წერტილი ან ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. მინაწერის მარცხენა კიდე მოქცეულია სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ. ეს ფრაგმენტები ამოვიკითხეთ ხელნაწერის ორიგინალში, ნეონის ნათურის გამჭოლ შექმნე. ტექსტს ახასიათებს აემეტობა.

[ძ:] ძრისტას. მერო: ძმანო: დანო: გუგლეო:

[მო]ყუარენო: სასუზებლისანო: ცოდვილი:

[მო]ძული: ღძველი: ლუპა: გეგდობით:

[ვ061]ცა: ამა: ჭიბესა: მიემთხვევით: ჰემათუის:

[შე]ღობა: ბრძანეთ: აძა ზამი: გულირვე:

[მ05]რაპოლიტსა: და: თძუნცა: შენდობა:

[მ08]რძანეთ:

⁸³ წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკვნების ძირითადი ნაწილი შეტანილი გვაქვს 2003-2004 წლებში დაბეჭდილ ორ სტატიაში: 1. „მოქვის უცნობი ეპისკოპოსის ლუპა ოძობელი (1360-იანი წწ.) და მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“ (ჯოჯუა 2003გ); და 2. „რამდენიმე ახალი ცნობა მოქვედი ეპისკოპოსის ლუპა ოძობელის (1360-იანი წწ.) ბიოგრაფიისათვის“ (ჯოჯუა 2004).

ქ. ქრისტეს მიიღონო ძმანო, დანო, უ<უ>ოვებილნო / მოყუარენო სასუფევლისანო, ცოდვილი / მოქული ოძევლი ლუკა გევეზორებით, / გინ<ა>ცა ამა წიგნსა მიემთხუე>ნეთ, <ჭ>ჩემ<ა>თუის / შენდობა ბრძანეთ. აქა უამი გუწიოვე / მიტრაპოლიტსა და ოქუენცა შენდობად / მიბრძანეთ.

III. შესრულებულია 208r-ს ქვედა აშიაზე. 17,9 X 6,7 სმ. მხედრული. ორი სტრიქონი. ნაწერია მოშავო-მოყავისფრო მელნით. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმად ნახმარია მარჯვენა კიდით ზეაწეული პორიზონტალური ხაზი. II სტრიქონის დასაწყისი დაკარგულია ფურცლის ზედაპირის აქტრცლის გამო. ეს ფრაგმენტი აღდგენილი გვაქვს კონტექსტის მიხედვით. ამავე II სტრიქონის ქვედა კიდე და დასასრული მოქცეულია სარესტავრაციო ქადალდის ქვეშ. ეს ფრაგმენტები ამოვიკითხეთ ხელნაწერის ორიგინალში, ნეონის ნათურის გამჭოლ შუქზე.

მოქულისათვის: ვინცა: შენდობა: ბრ

[ძალი]: ღ-თმან: შებინდოს: 0[ძუმცა]

მოქულისათვის გინცა შენდობა ბრძან(ო)თ, ღ(მერ)ომან შეგინდოს თქუნცა.

IV. შესრულებულია 265v-სა და 266r-ს ქვედა აშიებზე. 25,7 X 3,8 სმ. მხედრული. ქანწილი – მთავრულით. ერთი სტრიქონი. ტექსტი იწყება 265v-ზე და სრულდება 266r-ზე. ნაწერია მოშავო-მოყავისფრო მელნით. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმად ნახმარია მარცხნივ დახრილი პორიზონტალური ხაზი. მინაწერის დასასრული მოქცეულია სარესტავრაციო ქადალდის ქვეშ. ეს ფრაგმენტი ამოვიკითხეთ ხელნაწერის ორიგინალში, ნეონის ნათურის გამჭოლ შუქზე.

მოქულსა: ოძრეულლსა ლუკას ღ-თ-მან: შეონდვნეს:]

ქ. მოქულსა ოძრეულლებილსა⁸⁴ ლუკას ღ(მერ)ომან შე<ო>უნდვნებ.

⁸⁴ აღნიშნული სიტყვა 2002 გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში შეცდომით გვქონდა წაკითხული როგორც: „ოძარ-უოფილხა“ (ჯოზუა 2003გ: 35-36).

V. შესრულებულია 303r-ს ქვედა აშიაზე. 16,6 X 4,2 სმ. მხედრული. ორი სტრიქონი. ნაწერია მოშავო-მოყავისფრო მელნით. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. ტექსტის დასაწყისი დაკარგულია 303r-ს მარცხენა აშიიდან სარესტავრაციო ქაღალდის აძრობისა და ფურცლის ზედაპირის დაზიანების გამო. ეს ფრაგმენტი აღდგენილი გვაქვს კონტექსტის მიხედვით.

[ო]რას: და: სამი: ფელიზი: არის: ოდშ
მსე ფბ60 დაწერილა

ორას და სამი წელის იწავლი არის, ოდებ / ეს წიგნი დაწერილა.

პირველ რიგში, გავარკვიოთ მინაწერების ავტორის ვინაობა. II, III, და IV კოლოფონებზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მინაწერები შესრულებულია „მოქული ლუკას“ ანუ მოქველი ეპისკოპოსის ლუკას მიერ: II. „ცოდვილი მოქული... ლუკა გვევრებით, ვინცა ამა წიგნსა მიემთხუვნეთ, ჩემთუის შენდობა ბრძანეთ“, III. „მოქულისათუის ვინცა შენდობა ბრძანოთ, ლმერთმან შეგინდოს თქუებულისა... ლუკას ლმერთმან შეუნდვნება“; და IV. „მოქულსა... ლუკას ლმერთმან შეუნდვნება“⁸⁵.

როდის იყო დაწერილი ლუკა მოქველის კოლოფონები? ამ კითხვაზე პასუხს V მინაწერის ტექსტი გვაწვდის: „ორას და სამი წელის იწავლი არის, ოდებ ეს წიგნი დაწერილა“. ამრიგად, ირკვევა, რომ ლუკა მოქველის V კოლოფონი, მასთან ერთად კი, დანარჩენი ოთხი მინაწერიც, შესრულებული იყო „წიგნის“, იგივე გარეჯული კრებულის გადანუსხვიდან (1160 წ.) „ორას და სამი“ (203) წლის შემდეგ ანუ 1363 წელს (1160+203=1363 წ.).

⁸⁵ აღსანიშნავია, რომ კოლოფონებში ლუკა ოძრხელის საეპისკოპოსო წოდება მოყვანილია „მოქული“-ს ფორმით, რომელიც, თავის მხრივ, ტოპონიმ „მოქვი“-ს არქაული ფონეტიკური ვარიანტებიდან – „მოქპ“, „მოქუ“, „დან უნდა მომდინარეობდეს. „მატიანე ქართლისა“ (XI ს.) – „ამან (აფხაზთა მეფე ლეონ III-მ (957-967 წწ.) – თ. ჯ.) აღაშენა ეკლესია მოქსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულდა ყოვლითა განვეგბითა“ (მატიანე ქართლისა 1955: 270); ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1742-1745 წწ.) – „ხოლო ამა ეკრისის ძღინარის დასავლით დის მოქს ძღინარე ჩდილოდად საძრით. გამოხდის კავკასის და ძიერთვის ილორს ზღუას. ამ ძღინარესა ზედა, მთაში, არს მოქს ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები. აღაშენა 10 (9) ძევებან აფხაზთამან ლეონ შექობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწევმის კოდორის ძღინარისა და მოქს ძღინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს ძღინარე მოქსა დის მოქამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად, ხოლო მოქს ძღინარის დასავლით დის კოდორის ძღინარე“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 780-781).

სად და რომელ საგანეში იყო დაცული გარეჯული კრებული 1363 წელს, როდესაც ის ლუკა მოქველმა მოიხილა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ Ven.4-ის ისტორიას.

ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ 1160 წელს გარეჯში გადაწერილი კრებული XV საუკუნის II ნახევრისათვის უკვე წმიდა მიწაზე იყო გადატანილი და იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული ეკლესიისა თუ მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. აქედან, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ 1363 წლისათვის Ven.4 ან კვლავინდებურად გარეჯის მრავალმთაში ინახებოდა, ან კიდევ, უკვე წმიდა მიწაზე იყო გადატანილი.

ეს, ერთი შეხედვით, ზოგადი დასკვნა ძალზედ აიოლებს ვითარებას. მართლაც, ლუკა მოქველის II კოლოფონში ვაწყდებით ისეთ მინიჭნებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ, თუ სად ინახებოდა გარეჯული კრებული 1363 წელს. მხედველობაში გვაქვს II მინაწერის პირველი წინადადება: „*ქრისტე მიერნო ძმანო, დანო, კოველნი მოყვარენო სახუ- გველისანო, ცოდვილი მოქული ოძგული ლუკა გვევრებით, ვინცა ამა წიგნსა მიეთხუჯნეთ, ჩემთუის შენდობა ბრძანეთ*“:

ციტირებული ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ მოქველი მღვდელმთავარი შენდობის ოქმას ევედრება არამხოლოდ სამონასტრო მმობას, არამედ სადღაც იქვე მოსაგრე მონაზონ დედებსაც: „*ქრისტე მიერნო ძმანო, დანო*“. აღნიშნული გარემოება a priori გამორიცხავს კოლოფონის გარეჯში დაწერის შესაძლებლობას. მართლაც, დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად არის დადგენილი, რომ გარეჯის მრავალმთის უდაბნოებში დედებს არასოდეს უმოღვაწიათ და აქაური საგანებიც მხოლოდ მოწესე მამებისათვის იყო განკუთვნილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მისაღები ჩანს ის მოსაზრება, რომ ლუკა მოქველმა გარეჯული კრებული წმიდა მიწაზე მოიხილა. მიღებული დასკვნის სასარგებლოდ, პირველ რიგში, მეტყველებს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში იერუსალიმსა და მის შემოგარენში მოქმედებდა, სულ მცირე, სამი ქართული დედათა მონასტერი მაინც: კაპპათა, დერტავი და დერთუფა (მენაბდე 1980: 145-147). შესაბამისად, იერუსალიმის ქართულ კოლონიაში, გარეჯის სამონასტრო მმობისგან განსხვავებით, გაერთიანებული იყვნენ დედა-მოწესებიც და ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ლუკა მოქველი შენდობის ოქმას მათაც ევედრებოდა.

ჩვენი მოსაზრების მართებულობას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება. ლუკა მოქველის მინაწერში ნახსენები ფრაზა – „ძმანო და დანო“, ძალზედ გავრცელებული და პრაქტიკულად, ტრაფარეტული გამონათქვამის სახით გვხვდება იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის ჩანაწერებში: „...გავიჩინეთ ჯუარისა მამამან იოანე მოძღვარმან და კანდელაკმან და აღდგომელ(ა)მან და სრულად საღ(მ)ათომან კრებულმან ძმათა და დათა: სახარებასა და სკნაქსარსა ზედა დალოცვა“ (მეტრეველი 1962: 76); „ჩუქჩ, ჯუარელთა ძმათა და დათა და სრულიად საღ(მ)ო(ო)მან კრებულმან, დავდევით ესე წიგნი...“ (მეტრეველი 1962: 77); „პატრონსა ქაიხოსროს შეუნდვნეს ღმერთმან, ძმათა და დათათამცა მრავალი მოგუცეს ცალკე...“ (მეტრეველი 1962: 77) და სხვ.

ამრიგად, ვფიქრობთ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1363 წელს, როცა ლუკა მოქველმა Ven.4 მოიხილა, გარეჯული კრებული უკვე წმიდა მიწაზე იყო დაცული და ერთ-ერთ ადგილობრივ ქართულ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა.

მიღებული დასკვნა, პირველ რიგში, Ven.4-ის კოდიკოლოგიისათვის არის მნიშვნელოვანი. მართლაც, წინამდებარე ნაშრომის I თავში მხოლოდ იმის დადგენა შევძლით, რომ გარეჯული კრებული წმიდა მიწაზე XV საუკუნის II ნახევრის წინარე ხანებში იყო გადატანილი. ლუკა მოქველის კოლოფონები გარკვეულწილად აზუსტებენ ამ თარიღს და გვაუწყებენ, რომ Ven.4 1363 წელს უკვე იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ სავანეში იყო დაცული.

ამგარად, დგინდება, რომ 1160 წლის გარეჯული კრებული საქართველოდან წმიდა მიწაზე გადატანილი იყო არა XV საუკუნის II ნახევარში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, 1363 წლის წინარე ხანებში.

ლუკა მოქველის მინაწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოქვის საეპისკოპოსოს ისტორიისათვისაც. დავიწყოთ იმით, რომ Ven.4-ის კოლოფონებში მოხსენიებული ლუკა მოქველის სახელი სპეციალური ლიტერატურისათვის სრულებით უცნობია. იგი შეყვანილი არ არის მოქვის ეპისკოპოსთა არც ლია ახალაძის (ახალაძე 1998: 73-75), არც ბეჭან ხორავას (ხორავა 1998: 1998. 48-52) და არც გიორგი კალანდიას (კალანდია 2002: 208-215) მიერ შედგენილ ქრონიკობიურ რიგებში.

გარეჯული კრებულის 1363 წლის კოლოფონები ერთგვარად ავსებენ ამ ხარვეზს და წარმოგვიდგენენ აქამდე უცნობ მდგდელმთავარს – ლუკა მოქველს,

რომლის მოღვაწეობაც, მისივე მინაწერების თარიღიდან (1363 წ.) გამომდინარე, დაახლოებით XIV საუკუნის 60-იანი წლებით უნდა განისაზღვროს⁸⁶.

გარდა ამისა, Ven.4-ის კოლოფონები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან მოქვის საეპისკოპოსოსა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ურთიერთობების შესახებაც. როგორც გარეჯული კრებულის მინაწერებიდან ირკვევა, 1363 წელს ერთ-ერთმა მოქველმა მღვდელმთავარმა ლუკამ წმიდა მიწაზე იმოგზაურა. მან ერთ-ერთ ადგილობრივ, სავარაუდოდ, ქართულ სავანეში საღმრთო ლიტურგია ადასრულა და ვინმე მიტროპოლიტს უამი უწირა. წმიდა მიწაზე ყოფნის დროს ლუკა მოქველი საგანგებოდ გაეცნო ადგილობრივი ქართული კოლონიის კუთვნილ ხელნაწერებს და ერთ-ერთი მათგანის, 1160 წლის გარეჯული კრებულის აშიებზე საკუთარი ხელით შეასრულა ხუთი მხედრული მინაწერის ტექსტი⁸⁷.

⁸⁶ აქ უსათუოდ უნდა შევეხოთ კიდევ ერთი უცნობი მოქველი ეპისკოპოსის საკითხს. სამეცნიერო წრეებისათვის კარგად არის ცნობილი 1300 წლის მოქვის ოთხთავი, რომლის მინაწერებშიც მოხსენიებულია ოთხი მოქველი მღვდელმთავარი – დანიელი, აბრაჟამი, ამბრია და ფილიაპი: 1. „დაწილე მოქველ მთავარებისკობოზი“; 2. „მოქვისაღ ღ(მრ)თისმმობელო! შეიწყალე ხელი თქ(უ)ნ წინ მდევისაღ მოქველ მთავარ ებისკობოზისაღ აბრაჟამისაღ, ა(მი)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.); 3. „მთავარ ებისკოზისა [უ] მოქველსა ამბრ(ი)ას შეუნდგ(ე)ნ(ე)ს ღ(მერთმან), ა(მი)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.); და 4. „ხელისა მოქველ მთავარ ებისკობოზისა [უ] ჩეგვიძესა ფილიაპებისა შეუნდგ(ე)ნ(ე)ს ღ(მერთმან), ა(მი)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1959ა: 314-315). ამათგან, მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგებში შეკვანილია მხოლოდ სამი ეპისკოპოსი: დანიელი, აბრაჟამი და ფილიაპი (ახალაძე 1998: 73-75; ხორავა 1998: 48-52; კალანდია 2002: 208-215). რაც შევხება მეოთხე მღვდელმთავარს – ამბრიას, მას მკვლევრები რატომდაც საერთოდ უვლიან გვერდს. ასეთი დამოკიდებულება, თავის მხრივ, მხოლოდ იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ქრონოლოგიური რიგების შემდგენლობა, რომლებიც შესანიშნავად იცნობენ მოქვის ოთხთავის კოლოფონებს, აბრაჟამი და ამბრია ერთი და იმავე პირად მიიჩნიეს, რაც, რასაკვირველია, შეცდომაა. დავიწყოთ იმით, რომ ბიბლიური წიგნების თანახმად, აბრაჟამიაბრაჟამი (შესაქმე 26,3; 32,9; ისუ ნავეს დე 24,3; ესაია 51,2; მათე 3,9; ლუკა 3,8; იოანე 8,39; 8,56; საქმე მოციქულთა 7,2; რომაელთა 4,1; 4,12; 4,16) და ამბრია (III მეფეთა 16,16; 16,21; 16,25; 16,30; III მეფეთა 8,26; მალაქია წინასწარმეტყველი 6,16) სრულებით სხვადასხვა სახელებია. მეტიც, ბიბლიურ პარალელებს რომ დავანებოთ თავი, აბრაჟამისა და ამბრიას სხვადასხვაობა მოქვის ოთხთავის კოლოფონებიდანაც ნათლად ჩანს. აქ პირველი სახელი გადმოცემულია, როგორც: „აბრაჟამი“, ხოლო მეორე სახელი, როგორც: „ამბრ(ი)ა“ (ბრეგაძე ... 1959ა: 314-315). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამბრიას მინაწერი უფრო ნაკლებკალიგრაფიული ხელით არის შესრულებული, ვიდრე – აბრაჟამისა (ბრეგაძე ... 1959ა: 315), რაც, თავის მხრივ, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ განსახილავი კოლოფონების დამწერი სხვადასხვა პირი იყო. ეს გარემოება კი კიდევ უფრო ნაკლებსარწმუნოს ხდის აბრაჟამისა და ამბრიას გაიგივებას. აქმდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ხარვეზი უსათუოდ უნდა გასწორდეს და მოქველ მღვდელმთავართა რიგს, ლუკა ოძრხელის გარდა, დაემატოს კიდევ ერთი პირი – მთავარებისკოპოსი ამბრია. ცალქე საუბრის თემაა ამბრია მოქველის მოღვაწეობის ქრონოლოგია. ჩვენი დაკვირვებით, ამ საკითხის გარკვევა შესაბამისი კოლოფონის პალეოგრაფიული მონაცემების შესწავლის საფუძველზე უნდა მოხდეს, ეს კი, სცილდება ჩვენი ამჟამინდელი ინტერესების ფარგლებს.

⁸⁷ აქვე შევნიშნავთ, რომ მოქველი ლუკას პილიგრიმობის ფაქტი სხვა მხრივაც არის აღსანიშნავი. კერძოდ, ლუკა არის პირველი და, ჯერჯერობით, ერთადერთი ეპისკოპოსი ჩვენთვის ცნობილ მოქველ მღვდელმთავარებს შორის, ვისაც რაიმე სახის კავშირი ჰქონდა წმიდა მიწაზე მოღვაწე ქართულ კოლონიასთან.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ II კოლოფონში მოხსენიებული „მიტრაპოლიტის“ საკითხსაც⁸⁸. აქ საინტერესო, პირველ რიგში, ის არის, თუ სახელდობრ რომელი ეკლესიის მღვდელმთავარი იგულისხმება ტექსტში – აფხაზეთის საკათოლიკოსო, ქართლის საპატრიარქოსი თუ წმიდა მიწაზე მოქმედი რომელიმე სხვა მართლმადიდებელი ეკლესიისა?

მოხმობილი ჩამონათვალიდან ამთავითვე უნდა გამოირიცხოს აფხაზეთის საკათოლიკოსო. დღეისათვის დადგენილია, რომ ლიხთიმერეთის მღვდელმთავრები მიტროპოლიტის წოდებას მხოლოდ XVI საუკუნიდან ფლობდნენ. როგორც ირკვევა, ეს ტიტული პირველად ბედიელ მღვდელმთავარს ანტონ უკანიძეს მიუდია (კალანდია 2000: 498-499; შდრ.: გაბისონია 2006: 61).

აფხაზეთის საკათოლიკოსოს მსგავსად, ამთავითვე უნდა გამოირიცხოს ქართლის საპატრიარქო. მართალია, აქ უკვე XIII საუკუნიდან ვხედავთ მიტროპოლიტის პატივის მქონე მღვდელმთავარს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენთვის ცნობილ წერილობით ძეგლებში მოხსენიებულია არა ზოგადად „მიტროპოლიტის“, არამედ კონკრეტულად „სომხეთის მიტროპოლიტის“ წოდებით და ამიტომ Ven.4-ის მინაწერშიც უფრო ამ ფორმით უნდა ყოფილიყო მოხსენიებული.

ადნიშნულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ლუკა მოქველის კოლოფონში მოხსენიებული „მიტრაპოლიტი“ გულისხმობდა იერუსალიმის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ერთ-ერთ ადგილობრივ მღვდელმთავარს, რომელსაც, სავარაუდოდ, წმიდა მიწის ქართული კოლონიის საეკლესიო ზედამხედველობა ჰქონდა დავალებული.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალა განსახილავ საკითხთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტული დასკვნების გამოტანის უფლებას არ იძლევა და ამიტომაც იძულებული ვართ, ჯერჯერობით, მხოლოდ ზოგადი მოსაზრების გამოთქმით შემოვიფარგლოთ.

მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად სრულად გავაანალიზეთ გარეჯული კრებულის 1363 წლის კოლოფონებში დაცული ცნობები, გადაუწყვიტეთ, დამატებითი მასალა მოგვემიებინა ლუკა მოქველის შესახებ. საბედნიეროდ, ამ

⁸⁸ საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა, აგრეთვე, „მიტრაპოლიტი“-ს ფორმით არის გადმოცემული XIII საუკუნის ძეგლებშიც: „კურთხევა მირონისა“ – „...დიდისა სომხეთისა მიტრაპოლიტისა პმართებს ნივთთა ზედა დგომად. და ქუაბნი საკურთხეველთათ გამოისუნებ და მიტრაპოლიტისა და ქადაგ-სა ეტართხებ კეტნი ქუაბთანი. წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი“ (დოლიძე 1965: 47); „განგება დარბაზობისა“ – „შემოვიდეს დიდის სომხეთისა მიტრაპოლიტი და დაჯდეს კათადიკოზესა ქუემოთ, ნაცითა და ბალიშითა. შემოვიდეს მთავარეფისკომოზი და დაჯდეს მიტრაპოლიტისა ქუემოთ, ნატითა, უბალიშოდ“ (დოლიძე 1965: 48).

მიმართულებით მუშაობა საქმაოდ შედეგიანი გამოდგა და ლუკა მოქველის მიერ შესრულებულ კიდევ სამ ტექსტს მივაკვლიერ.

ეს ტექსტებია: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა A კოლექციაში 65-ე ნომრით დაცული 1188-1210 წლების ხელნაწერი კრებულის, იგივე „ასტროლოგიური ტრაქტატის“ (A-65-ის) ორი კოლოფონი და ჯავახეთში მდებარე ვანის ქვაბების მონასტრის მცირე გუმბათიანი ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე შესრულებული სავადრებელი წარწერა.

თავდაპირველად წარმოვადგენთ A-65-ის მინაწერებს.

I. შესრულებულია A-65-ის 1v-ს ზედა აშიაზე. 10,4 X 2,2 სმ. მხედრული. ერთი სტრიქონი. ნაწერია შავი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმად ნახმარია მარცხენა კიდით ზევით აპრეხილი ჰორიზონტალური ხაზი. კოლოფონის ბოლო ფრაგმენტი მთლიანად არის გადასული ფურცლის ზედაპირის გაცრეცვისა და მელნის გაუფერულების გამო. დაკარგული ნაწყვეტი მინაწერის ზოგადი კონტექსტის მიხედვით გვაქვს ადდგენილი. კოლოფონის ტექსტს ახასიათებს აემეტობა.

0ლ(?)ორისა: მოძულსა: შს: ღ-თამან: [- - - -]

„ილორისა(?). მოქულსა შეუნდგნელს ღ(მერ)თ<ა>მან. [ამენ]“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-65, 1v).

II. შესრულებულია „ასტროლოგიური ტრაქტატის“ 214v-ს ქვედა ნახევარზე, ამავე გვერდზე წარმოდგენილი ბიბლიური საკითხავის – „ქებავ ქებათავს“ ტექსტის მარჯვენა სვეტის ქვემოთ. 9,5 X 3,4 სმ. მხედრული. ორი სტრიქონი. ნაწერია შავი ფერის მელნით. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმად ნახმარია მარცხენა კიდით ზევით აპრეხილი ჰორიზონტალური ხაზი. I სტრიქონის ბოლო ფრაგმენტი თითქმის მთლიანად არის გადასული ფურცლის ზედაპირის გაცრეცვისა და მელნის გაუფერულების გამო. აღნიშნული ნაწყვეტიდან ამოვიკითხეთ მხოლოდ პირველი ორი გრაფემა – ლუამაში დიდი დახმარება გაგვიწია A-65-ის შავ-თეორმა ფოტოპირმა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საკუთრებას წარმოადგენს. რაც შეეხება გადასული ფრაგმენტის ბოლო ოთხ გრაფემას – კასა, ისინი, კოლოფონის ზოგადი კონტექსტის მიხედვითა და Ven.4-ის აშიებზე დაცული 1363 წლის მინაწერების გათვალისწინებით გვაქვს ადდგენილი. კოლოფონის ტექსტს, I მინაწერის მსგავსად, ახასიათებს აემეტობა.

ოძგის: დეპნოზს: შვილსა ლუ . . .

შეოდოს: ღ-თამან

„ოძიხება დეკანონის შვილსა დაუქასა] / გერმ>{უნ}დოს
ლ(მერ)ო<ა>გან“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-65, 214v).

რაც შეეხება ვანის ქვაბების მცირე გუმბათოვანი ეკლესიის სავედრებელ წარწერას, მას 1933 წლის ზაფხულში მიაკვლია ნიკო ბერძენიშვილმა. მკვლევარმა სრულად ამოიკითხა სავედრებელი და მისი ტექსტი 1974 წელს გამოაქვეყნა თავისი „საქართველოს ისტორიის საკითხების“ I წიგნში. ამავე წიგნში წარმოდგენილი იყო ვანის ქვაბების მცირე გუმბათოვანი ეკლესიის რამდენიმე წარწერისა და მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო სავედრებელის გრაფიკული მონახაზი (ბერძენიშვილი 1964: 116, 118-119, 121).

დასახელებულ პუბლიკაციაში ნიკო ბერძენიშვილი მოგვითხოვბს: „დილაადრიან (იგულისხმება 1933 წლის 19 აგვისტო – თ. ჯ.) გოგაშნელ ყმაწვილ მირიან ნათენაძესთან ერთად... ვანის-ქაბის ძირს მივადექით... კლდეში ასი მეტრის სიმაღლეზე (მეოთხე სართულზე) მოჩანს პატარა თეთრი ეკლესია (მცირე გუმბათოვანი ეკლესია – თ. ჯ.). გვარწმუნებენ, რომ იქ რაღაც წარწერებია... ავედით „თეთრ ეკლესიაში“. ეს არის პატარა ეკლესია შიგნით და გარედან თეთრად გალესილი. კედლები მრავალგან მინაწერებითაა აჭრელებული. მაგრამ ეს არაა ჩვენი დროის მჯდაბნელების საქმიანობა. ეს წარწერები უმთავრესად XVI-XVII საუკუნეს არ უნდა სცილდებოდენ. წარწერები სულ მცედრულია. რაღაც შავი საღებავით ნაწერი. აქა-იქ გადასულია, მაგრამ უმრავლესობა ჯერ კიდევ შენახულია... წარწერები ათეულობით ითვლება. იკითხება ფრიად ძნელად. საჭიროა ორი კაცის ხანგრძლივი გულდასმითი მუშაობა... მე კი რასაც მოვასწრებ თრ-სამ საათში, ის არის... (მკვლევარი თანმიმდევრულად წარმოგვიდგენს პირველ ხუთ წარწერას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ჩვენთვის საინტერესო სავედრებელზე – თ. ჯ.):

ქ. ვრიადა: ცოდვილსა: ოძრგელელსა: დეპარტამენტისა გვილსა ლუკას: შნ: | ღთმნ და: ვინც: ბრძანო თქვენცა. შებივნეს: ღთმან ამინ იყავნ.

ქ. ი. ქ. ფრიად ცოდვილსა ოძრგელელსა დეკანონის შვილსა ლუკას შეუნდვენ დმერთმან და ვინც ბრძანოთ, თქვენცა შევინდვენეს დმერთმან. ამინ იყავნ“ (ბერძენიშვილი 1964: 116, 118-119, 121).

ვიდრე A-65-ის მინაწერებსა და ვანის ქვაბების წარწერაში დაცული ცნობების ანალიზზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ამ უთარილ ტექსტების ქრონოლოგიის საკითხს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ Ven.4-ის ხუთი მინაწერი, A-65-ის ორი კოლოფონი და ვანის ქვაბების სავედრებელი წარწერა აბსოლუტურად იდენტური ხელით ანუ ლუკა მოქველის მიერაა შესრულებული. ხოლო ვინაიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია გარეჯული კრებულის მინაწერების თარიღი – 1363 წელი, შესაძლებლობა გვაქვს, განვსაზღვროთ დანარჩენი სამი ტექსტის ქრონოლოგიაც.

კერძოდ, A-65-ის I მინაწერში ლუკა მოხსენიებულია „მოქულად“ ანუ მოქვის ეპისკოპოსად, რაც იმას ნიშნავს, რომ „ასტროლოგიური ტრაქტატის“ მინაწერები და Ven.4-ის კოლოფონები შესრულებულია დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში, ლუკას მოქველობის ჟამს ანუ 1360-იან წლებში.

ერთი შეხედვით, ამავე 1360-იან წლებში უნდა იყოს შესრულებული ვანის ქვაბების წარწერაც. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ სავედრებელში ლუკა ჯერ კიდევ არ არის მოხსენიებული მოქველ ეპისკოპოსად და ამიტომ ვანის ქვაბების წარწერა შედარებით უფრო ადრეული პერიოდით ანუ დაახლოებით XIV საუკუნის შუახანებით უნდა დათარიღდეს⁸⁹.

მას შემდეგ, რაც A-65-ის მინაწერებისა და ვანის ქვაბების სავედრებელის სახით, დამატებითი მასალა გაგვიჩნდა ლუკა მოქველის ბიოგრაფიული დატალების დასაზუსტებლად, კიდევ ერთხელ გუბრუნდებით გარეჯული კრებულის კოლოფონებს და ყურადღებას საგანგებოდ ვამახვილებთ II და IV მინაწერების იმ ფრაგმენტებზე, სადაც კოლოფონების აგტორი მოქვის მდვდელმთავრობის პარალელურად, „ოძველად“ და „ოძრგელელად“ არის მოხსენიებული: II. „ცოდ-გილი მოქული ოძველი ლუკა გევედრებით“; და IV. „მოქულსა ოძრგელელსა ლუკას ლმერთმან შეუნდგნეს“.

რას გულისხმობს ლუკა მოქველის „ოძველად“ და „ოძრგელელად“ მოხსენიების ფაქტი?

როგორც განსახილავ ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვება აჩვენებს, ორივე ეს ფორმა ორგანულად არის დაკავშირებული ტოპონიმ „ოძრგესთან“, რომელიც, თავის მხრივ, სამცხეში, თანამედროვე აბასთუმნის მიდამოებშია დადას-

⁸⁹ აქევე, ხაზგასმით შევნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ნიკო ბერძენიშვილს ვანის ქვაბების მცირე გუმბათოვანი ეცლების მოედი ეპიგრაფიკული ფონდი და მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო სავედრებელი, ზოგადად, XV-XVI საუკუნეებით პერიოდი დათარიღებული (ბერძენიშვილი 1964: 116, 118-119, 121). წინამდებარე ნაშრომს, გარკვეული კორექტივი შეაქვს ამ დათარიღებაში და აჩვენებს, რომ ვანის ქვაბების მცირე გუმბათოვანი ეკლესიის წარწერების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა განისაზღვროს არა XV საუკუნით, არამედ გაცილებით უფრო ადრეული პერიოდით, კერძოდ კი, XIV საუკუნის შუახანებით.

ტურებული და სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი პუნქტის, ისტორიული ციხე-ქალაქი ოძრხეს სახელწოდებას წარმოადგენს ⁹⁰.

აღნიშნული დაკვირვებიდან გამომდინარე, Ven.4-ის კოლოფონებში დადასტურებული ფორმების – „ოძელისა“ და „ოძრჯელელის“ შინაარსობლივი დატვირთვის ასახველად შეგვიძლია დავუშვათ სამი სავარაუდო პიპოთეზა:

1. „ოძელისა“, „ოძრჯელისა“ იგულისხმება სამცხეში მდებარე ცნობილი ციხე-ქალაქი ოძრხე და ლუკა მოქველის „ოძელობა“, „ოძრჯელელობაც“ უნდა გავიგოთ, როგორც მისი გვარი და იმავდროულად, ნათესაური კუთვნილება ამ ციხე-ქალაქის მფლობელთა ანუ ოძრხელთა ფეოდალური სახლისადმი.

2. „ოძელისა“, „ოძრჯელისა“ გვესმის არა ციხე-ქალაქის, არამედ იქვე, ციხე-ქალაქის განაპირას, მდინარეების – კურცხანასა და ოცხისწყლის შესაყართან მდებარე კ. წ. რუსუდანის მონასტრის მნიშვნელობით და ლუკა მოქველის „ოძელობა“, „ოძრჯელელობასაც“ მოვიაზრებთ მისი, როგორც ამ სავანის წინამდღვრისა თუ მოძღვრის სასულიერო წოდებას.

3. „ოძელისა“, „ოძრჯელისა“ იგულისხმება ციხე-ქალაქი ოძრხე და ლუკა მოქველის „ოძელობა“, „ოძრჯელელობაც“ აღნიშნავს მის სადაურობას, უფრო ზუსტად კი, წარმომავლობას ციხე-ქალაქი ოძრხედან.

განვიხილოთ სამივე პიპოთეზა ცალ-ცალკე. დავიწყოთ მეორე ვერსიით, რომლის თანხმადაც ლუკა მოქველი, სავარაუდოდ, ციხე-ქალაქი ოძრხის განაპირას მდებარე რუსუდანის მონასტრის წინამდღვარი თუ მოძღვარი უნდა იყოს.

ვიდრე უშუალოდ ამ ვერსიის განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებლად გავარკვიოთ, იწოდებოდა თუ არა როდესმე რუსუდანის მონასტერი „ოძრხის“ მონასტრად.

აღნიშნულ საკითხს პირველად ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი შეეხო. მან უურადღება მიაქცია განის ქვაბების მცირე გუმბათოვანი ეკლესიის იმ სავედრებელს, რომელიც ზემოთ გვქონდა მოტანილი და დაასკვნა, რომ ამ წარწერაში მოხსენიებული „ოძრჯელელი დეკანოზი“ რუსუდანის მონასტრის დეკანოზი უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი 2002: 4, 7, 10).

ჩვენ არ ვიზიარებთ დევი ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ განის ქვაბების სავედრებელში „ოძრჯელელად“ მოხსენიებულია არა

⁹⁰ რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ტოპონიმი „ოძრჯე“ საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება, ამიტომ, რაიმე აღრევა, ამ მხრივ, პრაქტიკულად, გამორიცხულია. სხვათა შორის, ეს დასკვნა სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. კერძოდ, თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ Ven.4-ის კოლოფონში შემონახული გვქონია აღნიშნული ტოპონიმის უიშვიათესი

დეკანოზი, არამედ მისი ვაჟი ლუპა: „ქ. ფრიად ცოდვილსა თძრგელელსა, დეკანოზის შვილსა ლუპას შეუნდვენ ღმერთმან...“ (პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.)⁹¹. შესაბამისად, ვანის ქვაბების წარწერაში დადასტურებული სიტყვა „ოძრგელელი“ არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ შეა საუკუნეებში რუსუდანის მონასტერი „ოძრხის“ მონასტრად იწოდებოდა.

სამაგიეროდ, დევი ბერძენიშვილის დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს „ასტროლოგიური ტრაქტატის“ II მინაწერი, სადაც ლუპა მოქველი მოხსენიებულია, როგორც „ოძრის დეკანოზის“ ვაჟი: „ოძრის დეკანოზისა

ფორმა „ოძრე“, რომელიც გარდამავალ ფონეტიკურ ვარიანტს წარიანებს ადრეული პერიოდის „ოძრგესა“ და გვიანდელ „ოცხეს“ მორის: ოძრგეოძეგვოცხე (ჭინჭარაული 1998: 102-113).

⁹¹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულ ორაზონებას თავად სავედრებლის ტექსტი იწვევს, რომელიც ავტორს იმგარად აქვს დაწერილი, რომ სიტყვა „ოძრგელელი“, ერთი შეხედვით, თავისუფლად მიემართება როგორც ლუპას, ისე – მის მამას: „ქ. ვრიადა: ცოდვილსა: ოძრგელელსა: დეკანოზისა შვილსა ლუპას: შე: | ღიმე და: ვინც: ბრძანი მიშვენდა. შებივებს: ღიმან ამინ იქაპნ“ (ბერძენიშვილი 1964: 121). ამ დეტალს პირველად ნიკო ბერძენიშვილმა მიაქცია ფურადება. მან ტექსტში მოყვანილი ფრაზა „დეკანოზისა შვილსა“, როგორც ჩანს, ლუპას გვარად მიიღო და წარწერის ეს ადგილიც შესაბამისი სახით წაიკითხა: „ქ. ფრიად ცოდვილსა თძრგელელსა დეკანოზის შვილსა ლუპას შეუნდვენ ღმერთმან...“ (ბერძენიშვილი 1964: 121). აქ, ერთი შეხედვით, თითქოს შეგვეყდო დაგვეშვა საპირისპირ ვარაუდიც და გვეფიქრა, რომ დიდი მეცნიერი სიტყვა „დეკანოზის“ სოციალური ტერმინის მნიშვნელობით იგებდა, ხოლო ფრაზას – „დეკანოზისა შვილსა ლუპას“, მოიაზრებდა, როგორც ლუპას მამის დეკანოზად მოხსენიების ფაქტს. თუმცა, ასეთი ვარაუდი ნაკლებად სარწმუნო ჩანს. ნიკო ბერძენიშვილს „დეკანოზი“ მართლაც სოციალურ ტერმინად რომ მიეღო, მაშინ ის ამ სიტყვას არავითარ შემთხვევაში არ გააქრთიანებდა მოძღვნო სიტყვა „შვილთან“, რადგან ასეთი შერწყმით ტერმინი „დეკანოზი“ საერთოდ კარგავს საკუთარ სოციალურ ბენებას და კონკრეტული გვარის – „დეკანოზის შვილის“ მდგრებლად იქცევა. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ნიკო ბერძენიშვილი განსახილავ ფრაზაში – „დეკანოზისა შვილსა ლუპას“, მხოლოდ ერთ პიროვნებას – ლუპა დეკანოზის შვილს ხედავდა და „ოძრგელელიც“, სავარაუდოდ, ან ლუპას სასულიერო წოდებად ან მისი სადაურობის მაჩვენებელ სიტყვად მიაჩნდა. ვანის ქვაბების სავედრებელტან დაკავშირებით, ნიკო ბერძენიშვილისაგან განსხვავებული აზრი გამოოქვა დევი ბერძენიშვილმა. მან წარწერაში დადასტურებული „დეკანოზი“ სოციალურ ტერმინად გაიგო და სავედრებლის პირველ წინადაღებაში ორი სხვადასხვა პირი – ვინმე დეკანოზი და მისი ვაჟი – ლუპა გამოყო: „ქ. ფრიად ცოდვილსა თძრგელელსა დეკანოზისა შვილსა ლუპას შეუნდვენ ღმერთმან“. გარდა ამისა, მკვლევარმა მიიჩნია, რომ ლუპას მამა ოძრხის მონასტრის დეკანოზი უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი 2002: 10). სამწუხაროდ, ჰებლიკაციაში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რა არგუმენტს ემყარებოდა ავტორი, როდესაც ოძრხის მონასტრის დეკანოზად მაინცადამაინც ლუპას მამას აცხადებდა. თუმცა კი, საფიქრებელია, რომ ის ამგვარ დასკვნამდე მხოლოდ მას შემდეგ უნდა მისულიყო, რაც სიტყვა „ოძრგელელს“ არა ლუპას, არამედ – მისი მამის წოდებად გაიაზრებდა. ჩვენ, ჩვენის მხრივ, გაცილებით უფრო მართებული გაეჩვენება დევი ბერძენიშვილის დაკავირვებები. ერთოდ, სავსებით ვიზიარებთ მის იმ მოსაზრებას, რომ ფრაზა – „დეკანოზისა შვილსა“ აღნიშნავდა არა ლუპას გვარს, არამედ მის მამის შვილობას. გარდა ამისა, ვეთანხმებით დევი ბერძენიშვილის იმ დასკნასაც, რომ წარწერაში მოისხენიება არა ერთი, არამედ ორი პირი. თუმცა, იმავედროულად, განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს ლუპას მამის „ოძრგელელად“ მიჩნევის თაობაზე. ჩვენი დაკვირვებით, ამგვარ დაშვებას სრულებით უნდა გამორიცხავდეს სავედრებლის ტექსტი. აქ მიცემით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი – „ოძრგელელსა“ შეთანხმებულია ასევე მიცემითში დასმული საზღვრულოან – „ლუპას“-თან და არა სიტყვასთან – „დეკანოზისა“, როგორც, თავის მხრივ, ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული და თანაც, თავის წარმოადგენს მსაზღვრელს მომდევნო სიტყვის, კერძოდ, საზღვრულისათვის – „შვილსა“. ასე, რომ წინადაღების სინტაქსური წყობა სწორედ იმაზე მიგვითოთებს, რომ სიტყვა „ოძრგელელსა“ მიემართება არა „დეკანოზისა“-ს, არამედ – „ლუპას“

შეიღსა ლუკასა შეუწდოს დმერთმან“ ვფიქრობთ, არანაირ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ კოლოფონში დადასტურებული ტერმინი „დეკანოზი“ საეკლესიო პირის წოდებას წარმოადგენს. შესაბამისად, ამ საეკლესიო პირის სამოღვაწეო საგანე „ოძგეც“ უჟველად ციხე-ქალაქ ოძრხის მიდამოებში მოქმედ რაიმე სასულიერო ცენტრს უნდა გულისხმობდეს, რომელიც, თავის მხრივ, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა რუსუდანის მონასტერი.

ამრიგად, ირკვევა, რომ რუსუდანის მონასტერი შუა საუკუნეებში მართლაც იწოდებოდა „ოძგის“ ანუ „ოძრხის“ მონასტრად. ასე, რომ ამ მხრივ, თითქოს კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება მოსაზრება, რომ Ven.4-ის კოლოფონებში მოხსენიებული „ოძგე“ აღნიშნავდა ოძრხის, იგივე რუსუდანის მონასტერს, ხოლო დაუკა მოქველის „ოძგელობა“, „ოძრგელელობა“ გულისხმობდა მის მიერ წინამდღვრისა თუ მოძღვრის სახელოს ფლობას ამ მონასტერში.

მიდებული დასკვნის შემდგა დოგიკურად ჩნდება კითხვა – შეიძლებოდა თუ არა, რომ გარეჯული კრებულის მინაწერების ავტორს ერთდროულად ეტარებინა როგორც მოქველი ეპისკოპოსის მადალი სამდვდელმთავრო ხარისხი, ისე ოძრხის მონასტრის წინამდღვრისა თუ მოძღვრის, ე. ი. საეკლესიო იერარქიაში გაცილებით უფრო დაბლა მდგომი სასულიერო პირის წოდება?

დასმულ კითხავზე პასუხის გაცემის მიზნით, შევნიშნავთ, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორია მრავლად იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ესა თუ ის ეპისკოპოსი, სამდვდელმთავრო ტიტულით მოხსენიების პარალელურად, ამა თუ იმ მონასტრის არქიმანდრიტად, წინამდღვრად ან მოძღვრად იწოდებოდა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ XVI საუკუნის ანჩელი მთავარეპისკოპოსი ქერაბინი, ვინაც მღვდელმთავრობის პარალელურად, ბერთის მონასტრის წინამდღვარი და პარეხთა სავანის მოძღვარიც იყო: „ესე წიგნი მოვაკხენე ძე, მთავარებისკოპოზმან ანჩელმან ქერაბინ და ბერთისა წინამდღვეტრმან [] და პარეხთამან მოძღუტრმან [] თქუმნ, ბერთისა და პარეხთა ღ(მრ)თისმშობელსა...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1959ა: 322). აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ XVI საუკუნის მიწურულის უცნობი ნინოწმიდელი ეპისკოპოსიც, ვინაც, მღვდელმთავრობის პარალელურად, გარეჯის მონასტრების „მაკურთხეველისა და არქიმანდრიტის“ ანუ „გარეჯელის“ ტიტულსაც ატარებდა: „გამოგიდა მაღალი ბრძანებულება, რომ ამუამად ბეჭნიურის, მონაზონთა [შორის] რჩე-

და ცალსახად გულისხმობს, რომ „ოძრგელელად“ იწოდება არა დეკანოზი, ე. ი. ლუკას მამა, არამედ – თავად ლუკა.

ულის, ნინოშვილის ეპისკოპოზის გარეჯელის მიმართ...“ (ფუთურიძე 1955: 43. შდრ.: მელიქსეთ-ბეგი 1949: 153-157) და სხვ.

ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოხმობილი მასალა სავსებით საკმარისია იმისათვის, რათა ლუკა მოქველის ოძრხის მონასტრის წინამდგრად თუ მოძღვრად ყოფნის ფაქტი, საეკლესიო იერარქიის თვალსაზრისით, სავსებით ბუნებრივ მოვლენად მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული პიპოთება საქმაოდ დასაბუთებულად გამოიყერება, მაინც არსებობს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გარკვეულ მჭვევა ბადებს ჩვენს მიერ დაშვებული ამ ვერსიისადმი. მხედველობაში გვაქვს გეოგრაფიული ფაქტორი.

დავიწყოთ იმით, რომ მოქვის საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, „აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში, მდინარე მოქვთან მისი მარჯვენა შენაკადის მდინარე დვაბის შეერთების ადგილას“ (ხორავა 1998: 47). რაც შეეხება ოძრხის, იგივე რუსულანის მონასტერს, ის მდებარეობს მოქვიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით, სამხრეთ საქართველოში, სამცხეში, ციხე-ქალაქ ოძრხის მახლობლად, მდინარეების – კურცხანასა და ოცხისწყლის შესაყართან (ბერძენიშვილი 2002: 4, 7, 10).

მაშასადამე, ირკვევა, რომ მოქვის საეპისკოპოსო კათედრასა და ოძრხის მონასტერს შორის მოქცეულია უზარმაზარი ტერიტორია, სადაც განსახილავ პერიოდში ანუ XIV საუკუნეში, სულ მცირე, ოთხი სხვა საეპისკოპოსო მაინც მოქმედებდა: ბედის, ცაიშის, ჭყონდიდის და ქუთაისისა. ასეთი გეოგრაფიული დაშორების პირობებში კი, მოქვის ეპისკოპოსა და ოძრხის მონასტერს შორის, რაიმე სახის ეპარქიულ-იერარქიულ ურთიერთმიმართებაზე საუბარი, ცხადია, სავსებით არარეალურია.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სხვა მნიშვნელოვანი გარემოებაც. კერძოდ, მოქვის საეპისკოპოსო აფხაზეთის საკათოლიკოსოს შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც 1360-იანი წლებისათვის ქართლის საპატრიარქოსაგან ნახევრად დამოუკიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა. რაც შეეხება ოძრხის მონასტერს, ის აწყურის ეპარქიის ტერიტორიაზე მდებარეობდა, რომელიც, თავის მხრივ, ქართლის საპატრიარქოში შემავალი ერთ-ერთი საეპისკოპოსო იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ლუკა მოქველი ერთსა და იმავე დროს, დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში ანუ აფხაზეთის საკათოლიკოსოში ეპისკოპოსი ყოფილიყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს

ეკლესიაში ანუ ქართლის საპატიოარქოში ერთ-ერთი მონასტრის წინამდგრისა თუ მოძღვრის წოდება ეტარებინა. შესაბამისად, ლუკა მოქველის ოძრხის მონასტრის წინამდგრად თუ მოძღვრად მიჩნევა, ამ მხრივაც, რაიმე მყარ საფუძველსაა მოკლებული.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გადავდივართ მომდევნო სავარაუდო ვერსიაზე და ვსვამთ კითხვას – ხომ არ აღნიშნავდა Ven.4-ის მინაწერებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულები – „ოძკელი“ და „ოძრჭელელი“ ლუკა მოქველის გვარს და იმავდროულად, მის ნათესაურ კავშირს ციხე-ქალაქი ოძრხის მფლობელთა ანუ ოძრხელთა ფეოდალურ სახლთან?

ამგვარ დაშვებაში უცნაური და მიუღებელი, ერთი შეხედვით, არაფერია. კოლოფონების ტექსტში აღნიშნულია მათი დამწერის სახელი (ლუკა), გვარი (ოძრხელი/ოძრხელელი) და სასულიერო წოდება (მოქველი).

მართლაც, ჩვენთვის ცნობილია სხვა მოქველ ეპისკოპოსთა მინაწერები, სადაც ამ მდგდელმთავართა სახელისა და საეპისკოპოსო წოდების გარდა, მოხსენიებულია მათი გვარიც: „ხულსა მოქვექლ მთავარ ებიკოპოსსა [!] ჩხევიძესა ფილიპესა შ(ე)ნდვ(ე)ნეს ღ(ე)რთმან, ა(მი)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1959ა: 315); „უფალო იქნა ქრისტე, ღმერთო, ადიდე ორთავა ცხორებათა მადიდებელი შენი მოქველ მთავარებისკოპოსი ეფთვმი ხაყვარელიძე“ (მეტრეველი ... 1957: 52) და სხვ.

შესაბამისად, თითქოს არაფერი გვიშლის ხელს, დავასკვნათ, რომ გარეჯული კრებულის მინაწერებში დადასტურებული ფორმები „ოძკელი“ და „ოძრჭელელი“ ლუკა მოქველის აღნიშნავდა გვარს.

მეორე მხრივ, ამგვარ დაშვებას, პრაქტიკულად, გამორიცხავს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება – საისტორიო წყაროებისათვის უცნობია ციხე-ქალაქ ოძრხის მფლობელითა ფეოდალური სახლი, რომლის წევრებიც ოძრხელის გვარს ატარებდნენ (ბერძენიშვილი 2002).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ცხადი ხდება, რომ ფორმების: „ოძკელისა“ და „ოძრჭელელის“ ლუკა მოქველის გვარად მიჩნევა მეტისმეტად ჰიპოთეტურ დაშვებას წარმოადგენს და ამ ვერსიის გაზიარება რაიმე დამატებითი არგუმენტაციის გარეშე ყოვლად შეუძლებელია.

ამრიგად, ზემოთ დაშვებული სამი სავარაუდო ვერსიდან მხოლოდ ერთი, რიგით მესამე ჰიპოთეზა გვრჩება, რომლის თანახმადაც ლექსიკური ერთეულები

– „ოძველი“ და „ოძრველელი“ აღნიშნავდა ლუკა მოქველის სადაურობას, უფრო ზუსტად კი, მის წარმომავლობას ციხე-ქალაქი ოძრხედან.

სწორედ ამ, მესამე ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს გარეჯული კრებულის მინაწერებსა და ვანის ქვაბების სავედრებელში დადასტურებული ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ლუკა მოქველი Ven.4-ის II კოლოფონის ტექსტში საკუთარ თავს „ოძველს“ უწოდებდა, ხოლო ამავე ხელნაწერის IV მინაწერსა და ვანის ქვაბების სავედრებელში ანუ თითქმის იდენტურ კონტექსტში, საკუთარ თავს „ოძრველელად“ მოიხსენიებდა. გარეჯული კრებულის II მინაწერი: „ცოდვილი მოქული ოძველი ლუკა გვევდრებით“; Ven.4-ის IV კოლოფონი: „მოქულსა ოძრველელსა ლუკას ღმერთმან შეუძღვეს“; ვანის ქვაბების წარწერა: „ქ ფრიად ცოდვილსა ოძრველელსა, ღეკანოზის შვილსა ლუკას შეუნდვენ ღმერთმან...“.

აღნიშნულ ფაქტს, უფრო ზუსტად კი, ლექსიკურ ერთეულებს „ოძრხელსა“ და „ოძრველელს“ ყურადღება საგანგებოდ მიაქცია დევი ბერძენიშვილმა. მისი დაკვირვებით, ფორმა „ოძრხელი“, „ოცხელი“ წარმომდგარია „ოძრხედან“, მაშინ, როცა ფორმა „ოძრველელი“ ნაწარმოები უნდა იყოს „ოძრვევიდან“ (ბერძენიშვილი 2002: 10).

თუ დევი ბერძენიშვილის დაკვირვება სწორია, რაც მართლაც ასე ჩანს, მაშინ გამოდის, რომ Ven.4-ის კოლოფონებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულები – „ოძველი“ და „ოძრველელი“, როგორც ფორმობლივი, ისე შინაარსობლივი თვალსაზრისით, საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, ფორმა „ოძრველელი“ წარმომდგარია საკმაოდ ვრცელი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის – ოძრხეგის ანუ ოძრხის ხევის სახელწოდებიდან და აღნიშნავს ამა თუ იმ პირის თემობრივ კუთვნილებას ოძრხის ხევისადმი. რაც შეეხება ფორმა „ოძველს“, ის ნაწარმოებია ოძრხის ხევის ერთ-ერთი პუნქტის, ციხე-ქალაქი ოძრხის სახელწოდებიდან და მიუთითებს, რომ ესა თუ ის პირი წარმომავლობით კონკრეტულად ციხე-ქალაქი ოძრხედან იყო.

თუ ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ ირკვევა, რომ ლუკა მოქველი თავდაპირველად ოძრხის ხევში, იგივე, ოძრხეგში, კონკრეტულად კი, ამ საკმაოდ ვრცელი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრში – ციხე-ქალაქ ოძრხეში ცხოვრობდა (შდრ.: ბერძენიშვილი 2002).

შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ ლუკა მოქველი გარეჯული კრებულის IV მინაწერსა და ვანის ქვაბების სავედრებელში აქცენტს აკცენტდა

საკუთარ თემობრივ წამომავლობაზე და თავს „ოძრჯელელს“ ანუ ოძრხის ხევის, იგივე ოძრხევის მაცხოვრებელს უწოდებდა, ხოლო Ven.4-ის II კოლოფონში კიდევ უფრო მეტად აკონკრეტებდა საკუთარ წარმომავლობას და თავს „ოძჯელად“ ანუ ციხე-ქალაქ ოძრხის მკვიდრ მოქალაქედ მოიხსენიებდა.

ჩვენი დაკვირვებით, განსახილავი საკითხის სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს A-65-ის II კოლოფონში დაცული ერთი ცნობაც, რომლის თანახმადაც ლუკა მოქველის მამა „ოძჯის დეკანოზი“ ანუ ციხე-ქალაქ ოძრხის განაპირას მდებარე რუსუდანის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირი იყო (შდრ.: ბერძენიშვილი 2002: 7, 10).

მართლაც, თუკი აღნიშნულ ცნობას გარეჯული კრებულის მინაწერებისა და ვანის ქვაბების სავედრებელის იმ ფრაგმენტებსაც დაცუმატებთ, სადაც ლუკა მოქველი საკუთარ თავს „ოძჯელად“ და „ოძრჯელელად“ მოიხსენიებს, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველი გვექნება იმისათვის, რათა ლუკა მოქველის, მისი მამისა და სავარაუდოდ, მთელი მათი ოჯახის საცხოვრებელ ადგილად ნამდვილად ციხე-ქალაქი ოძრხე მივიჩნიოთ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დასაბუთებულ ახსნას ვუძებნით გარეჯული კრებულის მინაწერებსა და ვანის ქვაბების სავედრებელში ლუკა მოქველის „ოძჯელად“ და „ოძრჯელელად“ მოხსენიების ფაქტს და გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ლუკა მოქვის ეპისკოპოსად ხელდასხმამდე სამხრეთ საქართველოში, სამცხის ერთ-ერთ თემში, ოძრხევში, იგივე ოძრხის ხევში ცხოვრობდა და ციხე-ქალაქ ოძრხის მკვიდრი იყო.

გარდა ამისა, ვანის ქვაბების წარწერიდან და A-65-ის კოლოფონებიდან ცნობილი ხდება ლუკა მოქველის ბიოგრაფიის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. ირკვევა, რომ ამავე ციხე-ქალაქ ოძრხეში ცხოვრობდა ლუკა მოქველის ოჯახიც, რომლის უფროსიც – ლუკა მოქველის მამა, ვისი სახელიც ჩვენთვის, ჯერჯერობით, უცნობია, სასულიერო პირი იყო, იქვე, ციხე-ქალაქ ოძრხის განაპირას მდებარე ოძრხის, იგივე რუსუდანის მონასტერში მოღვაწეობდა და საკმაოდ მაღალ სამღვდელო წოდებას – დეკანოზობას ფლობდა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლუკა მოქველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული საისტორიო მასალის შესწავლის შედეგად, დღის წესრიგში დადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც ამ ეტაპზე ვერ შევძელით და ჯერჯერობით, ლიად დავტოვეთ. კერძოდ, გაურკვეველი დაგვრჩა, თუ რა აზრობრივ დატვირთვას ატარებს A-65-ის

I კოლოფონის დასაწყისში, ტრავარეტული სავედრებელი ტექსტის წინ მითითებული სიტყვა „ილორისა“ (?); ვერ დაგადგინეთ იმ მონასტრისა თუ ეკლესიის რაობა და ადგილმდებარეობა, სადაც ლუკა მოქვედმა მოიხილა და მინაწერები დაურთო „ასტროლოგიურ ტრაქტატს“ და სხვ. გამოვთქვამთ იმედს, რომ ამ და სამომავლოდ წამოჭრილ სხვა კითხვებს შემდგომი სამეცნიერო კვლევა-ძიება გასცემს პასუხს.

§3. არტანუჯელი პილიგრიმის
ბიორბი ლომას-ძის მინაჭერი (XV ს.)⁹²

განსახილავი სავედრებელი მინაწერი შესრულებულია Ven.4-ის 187r-ს შეა
მონაკვეთზე. მისი ზომა დაახლოებით 16,5 X 10,5 სანტიმეტრია. ტექსტი ნაწერია
ჩინებული მხედრულითა და მწიგნობრობაში გაწაფული ხელით, ოთხ სტრი-
ქონად. ქარაგმად ნახმარია საშუალო ზომის მარყუჟი, რომლის მარჯვნივ
მიმართული ბოლო შესამჩნევად არის დაგრძელებული. განკვეთილობის ნიშნე-
ბად გამოყენებულია ყოველი სიტყვის შემდეგ დასმული ორწერტილი. მინაწერის
ბოლოს გამოყვანილია სამი წერტილი და მათ ქვემოთ გავლებული პატარა
განივი ხაზი. კოლოფონის II სტრიქონის ბოლო გრაფემის – ო მარჯვენა კიდე
მოქცეულია სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ. ეს ფრაგმენტი გარკვევით
გავარჩიეთ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს, ხელნაწერის
ორიგინალზე მუშაობისას, ნეონის ნათურის გამჭოლი შუქის დახმარებით.
ტექსტის დასაწყისში დასმულია მხედრულით გადმოცემული ქანწილი. IV
სტრიქონის ბოლო სიტყვაში გრაფემა – ო შეწიაღებულია გრაფემის – გ
მუცელში. მინაწერს თარიღი არ უზის.

ქ: საფლავო: ქ-ტსო: და:

ჯუარო: პატიო

სანო: შეიტყაღე: არტანუჯე

ლი: ლომასძე: ბ-ო:

**ქ. საფლავო ქ(რის)ტ(ე)სო და / ჯუარო პატიო/სანო, შეიწყაღე არტანუჯე/ლი
ლომას-ძე გ(ოორგ)ი.**

კოლოფონს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, თარიღი არ უზის.
სამაგიეროდ, მისი ქრონოლოგიის შესახებ გარკვეულ მინიშნებას გვთავაზობს
Ven.4-ის იმავე 187r-ს ზედა ნახევარზე წარმოდგენილი კიდევ ერთი მხედრული
მინაწერი. ეს უკანასკნელი მოქველ ეპისკოპოსს ლუკა ოძრხელს ეკუთვნის და

⁹² წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკვნების ძირითადი
ნაწილი გამოქვეყნებული გვაქვს 2006 წელს დაბეჭდილ სტატიაში: „არტანუჯელი პილიგრიმის
გიორგი ლომას-ძის სავედრებელი (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 წლის გარეჯული
კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან“ (ჯოჯუა 2006).

1363 წლით არის დათარიღებული (ჯოჯუა 2003გ: 34-36). ამ ორი მინაწერის შესრულების თანამიმდევრობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გიორგი არტანუჯელს საკუთარი საგედრებელი ლუკა ოძრხელის კოლოფონის გათვალისწინებით აქვს დაწერილი. შესაბამისად, მისი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი მტკიცედ შეიძლება განისაზღვროს 1363 წლით.

გიორგი არტანუჯელის საგედრებელის დათარიღებისათვის არანაკლებ საინტერესო მასალას გვაწვდის თავად კოლოფონის პალეოგრაფიული მხარე. ტექსტში საკმაოდ სპეციფიური სახით არის გადმოცემულია მხედრული გრაფემა – ა. აქ მხედველობაში გვაქვს III სტრიქონის ბოლო სიტყვის – არტანუჯელი პირველი და IV სტრიქონის მეორე სიტყვის – ლომასძე მეოთხე გრაფემები. ორივე დასახელებულ შემთხვევაში, გრაფემის – ა ზედა ბოლოდან ამოზრდილია საკმაოდ გრძელი ზიგზაგისებური ვერტიკალური ხაზი. ზუსტად ანალოგიური ტიპის ვერტიკალური ხაზი ახლავს III სტრიქონის რიგით მესამე გრაფემის – ნ ქვედის მარჯვენა კიდესაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია I სტრიქონის რიგით მეშვიდე გრაფემა – გ. ამ უკანასკნელის მარცხნივ და ქვემოთ მიმართული „ხორთუმი“ გაცილებით უფრო ძირს არის დაშვებული ვიდრე ამავე გრაფემის დიდი ზომის თავისა და შედარებით მოკლე ფეხის დამაკავშირებელი კბილი.

აღნიშნული პალეოგრაფიული თავისებურებებისა და მოელი რიგი სხვა მონაცემების მიხედვით, გიორგი არტანუჯელის სავედრებელი არსებით მსგავსებას ამჟღავნებს XV საუკუნის მხედრული დამწერლობის მრავალრიცხოვან ნიმუშებთან. წინამდებარე ნაშრომში ამ რიგის ძეგლებიდან შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ტექსტი: საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) 1430 წლის სიგელი ავთანდილ ზევდგინიძისადმი (Hd-1348) (აბულაძე 1973ა: 284-285, 380); იმავე მეფე ალექსანდრე I-ის 1441 წლის სიგელი სიონის ღმრთისმშობლის ეპლესისადმი (Hd-1348) (აბულაძე 1973ა: 286-287, 380); საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) სიგელი სამცხეთო სოფლებისადმი (Hd-1370) (აბულაძე 1973ა: 288-289, 380) და სხვ.

ამრიგად, თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ გიორგი არტანუჯელის საგედრებელის ქრონოლოგია ზოგადად XV საუკუნით უნდა განისაზღვროს.

კოლოფონის დათარიღების შემდეგ ჩვენს ყურადღებას ახლა უკვე დამწერის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხები იქცევს. ტექსტში სავედრებელის ავტორს თავი მოხსენიებული პყავს, როგორც „არტანუჯელი ლომას-ძე გიორგი“: „ძ. საფლავო ქრისტენთ და ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე არტანუჯელი ლომას-

ძე გიორგი“: აქედან, აბსოლუტურად ნათელია, რომ კოლოფონის დამწერს სახელად გიორგი ჰქვია.

გაცილებით უფრო რთული ასახსნელი ჩანს მისი „არტანუჯელად“ და „ლომას-ძედ“ მოხსენიების მიზეზები. მართლაც, ციტირებულ ტექსტზე დაყრდნობით, თავისუფლად შეიძლება გამოითქვას ორი სავარაუდო მოსაზრება:

1. გიორგის „არტანუჯელობა“ ნიშნავს მის წოდებასა თუ ტიტულს, ხოლო „ლომას-ძეობა“ – ვინმე ლომას შვილობას;
2. სავედრებელის ავტორის „არტანუჯელობა“ მიგვითითებს მის სადაურობაზე, ხოლო „ლომას-ძეობა“ კი – მისსავე გვარუელობაზე.

განვიხილოთ ორივე შესაძლო ვარიანტი. ვინაიდან ტექსტის ნებისმიერი სახით გააზრების შემთხვევაში, კოლოფონის ავტორი a priori დაკავშირებული ჩანს სახელოვან ციხე-ქალაქ არტანუჯთან, დავიწყებთ ამ უკანასკნელის ისტორიის ძირითადი ეტაპების მიმოხილვით.

ციხე-ქალაქი არტანუჯი მდებარეობს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პროვინციის – კლარჯეთის ტერიტორიაზე, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე (ბერძენიშვილი 1997a; ხოშტარია 1996). არტანუჯი V საუკუნის მეორე ნახევრამდე სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. დაახლობით 470-იან წლებში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობიდან უკან დაბრუნებულმა ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა (V ს-ის II ნახ.) გზად არტანუჯზე ჩამოიარა და სოფლის მახლობლად აღმართული უზარმაზარი კლდოვანი კონცხის თხემზე ციხე-სიმაგრის აგება ბრძანა. არტანუჯის ციხის მშენებლობა კლარჯეთის ახლადდადგენილ ერისთავს არტავაზს დაევალა. ქართველი მემატიანის ჯუანშერ ჯუანშერიანის (VIII ს.) ცნობით, არტავაზმა მეფის ბრძანება წარმატებით შეასრულა და ციხე-სიმაგრის მშენებლობა მისი ერისთავობის პერიოდშივე გაასრულა (ჯუანშერი 1955: 178-179; მუსხელიშვილი 2003: 139-143, 163, 190).

დაახლოებით ორსაუკუნენახევარის შემდეგ, 735 წელს არაბმა სარდალმა მერვინ იბნ-მუჰამედმა, სხვაგვარად – მურვან ყრუმ გამანადგურებელი ლაშქრობები მოაწყო საქართველოს სხვადასხვა პროვინციებისა და, მათ შორის, კლარჯეთის ტერიტორიაზე. სუმბატ დავითის-ძის (XI ს.) საისტორიო ოხზულების „ცხორებად და უწყებად ბაგრატონიანთა“-ს უწყებით, არაბებმა ისე სასტიკად ააოხრეს არტანუჯი, რომ აქ ცხოვრება რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საერთოდ შეწყდა (სუმბატ დავითის-ძე 1990: 44-45; ლორთქიფანიძე 1988: 306-307).

იმავე სუმბატის თანახმად, მოგვიანებით, IX საუკუნის დასაწყისში შავშეთკლარჯეთში დამკვიდრებულმა ქართლის ყოფილმა ერისმთავარმა, ბაგრატიონთა ფეოდალური სახლის ცნობილმა წარმომადგენელმა აშოგ I-მა კურაპალატმა († 826 წ.) ახლადდაარსებული ქართველთა სამეფოს დედაქალაქად სწორედ არაბთაგან მოოხრებული არტანუჯი შეარჩია და დიდი ღვაწლიც გასწია მისი განახლება-აღშენებისათვის (თაყაიშვილი 1949: 45; მუსხელიშვილი 1980: 174; ლორთქიფანიძე 1988: 306-308).

კიდევ უფრო მოგვიანებით, IX საუკუნის 80-90-იან წლებში აშოგ კურაპალატის მრავალრიცხვან ჩამომავლებს შორის დაიწყო სისხლისმდგრელი ბრძოლები ფეოდალური სამფლობელოების გამიჯვნისა და გავლენის სფეროების განაწილებისათვის. შედეგად, ერთიანი სამეფოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი, ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამთავრო: ტაოსი – ცენტრით ბანაში (?) და კლარჯეთისა – ცენტრით არტანუჯში (ლორთქიფანიძე 1973: 453-460).

ახალმა პოლიტიკურმა რეალიებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ოფიციალურ ტიტულატურაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა კლარჯი ხელმწიფების ოჯახი, რომლის პირველმა (?) პირებმა, გამომდინარე იქიდან, რომ მათ მთავარ რეზიდენციას ციხე-ქალაქი არტანუჯი წარმოადგენდა, ანთიპატოს-პატრიკიოსის, მამფალის, ერისთავთერისთავისა და სხვათა გარდა, არტანუჯელის საპატიო წოდებაც დაიმკვიდრეს (ლორთქიფანიძე 1973: 453-460; თაყაიშვილი 1949: 42-50, ტაბ. I-II).

არტანუჯელის საპატიო წოდების წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხს საგანგებოდ ეხება XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756 წწ.). მისი თქმით, „სუმბატი, ძება ადარნახება (იგულისხმება კლარჯი ხელმწიფე სუმბატ I მამფალი († 889 წ.) – თ. ჯ.), ძოხვა კეისარმან ანთიპატობა და დაიკყრა ამან არტანუჯი. ამისთვის ეწოდა არტანუჯელი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 697). ჩვენი აზრით, სწავლული ბატონიშვილის დაკვირვება არსებითად სწორი და გასაზიარებელი უნდა იყოს.

დღეისათვის წერილობით წყაროებში დადასტურებულია არტანუჯელის ტიტულის მატარებელი ექვსი (?) კლარჯი ხელმწიფე: 1. სუმბატ I არტანუჯელი, მამფალი და ანთიპატოს-პატრიკიოსი († 889 წ) – შვილიშვილი აშოგ I კურაპალატისა და ვაჟი ადარნასე I-ისა (სუმბატ დავითის-ძე 1990: 47, 49, 51; 136 ტაბ. I-II, 80); 2. ბაგრატ I არტანუჯელი, მამფალი და მაგისტროსი († 909 წ.) – ვაჟი სუმბატ I არტანუჯელისა (სუმბატ დავითის-ძე 1990: 49-51; თაყაიშვილი 1949:

ტაბ. I-II, 83); 3. სუმბატ Ⅱ არტანუჯელი (?), ანთიპატოს-პატრიკიოსი – მამის ძმისწული ბაგრატ I არტანუჯელისა და ვაჟი აშოგ Ⅱ კეპელასი (სუმბატ დავითის-ძე 1990: 47; თაყაიშვილი 1949: ტაბ. I-II, 82-83); 4. სუმბატ Ⅲ არტანუჯელი, ერისთავთერისთავი († 988 წ.) – ძმისწული ბაგრატ I არტანუჯელისა და ვაჟი დავით I მამფალისა (სუმბატ დავითის-ძე 1990: 51-52; თაყაიშვილი 1949: ტაბ. I-II, 84); 5. ბაგრატ II არტანუჯელი († 988 წ.) – ვაჟი სუმბატ Ⅲ არტანუჯელისა (სუმბატ დავითის-ძე 1990: 52-53; თაყაიშვილი 1949: ტაბ. I-II); დაბოლოს, 6. სუმბატ IV არტანუჯელი († 1011 წ.) – ვაჟი ბაგრატ II არტანუჯელისა (სუმბატ დავითის-ძე 1990: 52-53; თაყაიშვილი 1949: ტაბ. I-II).

კლარჯი ხელმწიფების მმართველობა მაინცადამაინც სანგრძლივი არ ყოფილა. დაახლოებით 1008-1010 წლებში გაერთიანებული საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) ტყველ შეიძყრო კლარჯეთის ბაგრატიონთა ორი უპირველესი წარმომადგენელი – სუმბატ IV არტანუჯელი და გურგენ VI კლარჯი. პატიმრობაში მყოფი გვირგვინოსანი ძმები 1011-1012 (?) წლებში ერთიმეორის მიყოლებით აღესრულნენ თმოგვის ციხეში. მათმა მემკვიდრეებმა – ბაგრატ სუმბატის ძემ და დემეტრე გურგენის ძემ ბიზანტიაში გაქცევით უშველეს თავს, საქართველოში დარჩენილი სხვა კლარჯი ბაგრატიონები კი ბაგრატ III-ის მიერ გატარებული რეპრესიული ზომების მსხვერპლი შეიქნენ (სუმბატ დავითის-ძე 1990: 53; ლორთქიფანიძე 1979ბ: 159).

XI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის არტანუჯი მთელი კლარჯეთის მომცველი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს ცენტრად გვევლინება. უცნობი ავტორის საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისას“ (XI ს.) თანახმად, 1028 წელს, როცა შავშმა აზანურებმა საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელებს ლალატით გადასცეს მათდამი დაქვემდებარებული ციხეები, არტანუჯი მტკიცედ გვყრა ერისთავ იოანე აბუსერს (მატიანე ქართლისა 1955: 292-293; ლორთქიფანიძე 1979ბ: 179-180).

ამჟამინდელი მონაცემების მიხედვით, სპეციალური ლიტერატურა არტანუჯის სამად სამი ერისთავის სახელს იცნობს. ამასთან, სამივე მათგანი XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ წარმოგვიდგება: 1. ერისთავი იოანე აბუსერი (იხსენიება 1028 წლის მოვლენებთან დაკავშირებით) (მატიანე ქართლისა 1955: 293; ლორთქიფანიძე 1979ბ: 179-180; ბახტაძე 2003: 265, 271); 2. არტანუჯის ერისთავი აბუსერი (იხსენიება 1045-1047 წლების მოვლენებთან დაკავშირებით) – საგარაუდოდ, ვაჟი იოანე აბუსერისა (მატიანე ქართლისა 1955: 300-301;

შოშიაშვილი 1997ა; ბახტაძე 2003: 265-266, 271); 3. არტანუჯის ერისთავი გრიგოლი (იხსენიება 1047 წლის მოვლენებთან დაკავშირებით) – ვაჟი აბუსერ აბუსერისძისა (მატიანე ქართლისა 1955: 301-302; მეტრეველი 1998: 74, 77, 144, 215-216; შოშიაშვილი 1997ბ; ბახტაძე 2003: 266-267, 271).

1047 წელს უზომოდ გაძლიერებულმა ქართველმა ფეოდალმა ლიპარიტ ბაღვაშმა არყისციხესთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ლაშქარი და სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად ტყველ ჩაიგდო არტანუჯის ერისთავი გრიგოლ აბუსერისძე. ტყველბაში მყოფმა ერისთავმა არტანუჯის ციხე ლიპარიტს გადასცა (მატიანე ქართლისა 1955: 301-302; ბერძენიშვილი 1997ბ; შოშიაშვილი 1997ბ). 1057 წელს ბაგრატ IV-ის ერთგული ფეოდალი სულა კალამახელი მოულოდნელად თავს დაესხა ლიპარიტ ბაღვაშს და ხელთ იგდო იგი. საპატიო ტყვე მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატ IV-მ დამარცხებულ მოწინააღმდეგებს ხმლით მიტაცებული ციხე-ქალაქები, მათ შორის, არტანუჯიც ჩამოართვა (მატიანე ქართლისა 1955: 304-305; ლორთქიფანიძე 1979ბ: 166-167; ბახტაძე 2003: 266).

1057 წლიდან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნის 80-იან წლებამდე არანაირი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება არტანუჯის ადმინისტრაციული სტატუსის შესახებ. შესაბამისად, დაბეჭითებით არც იმის თქმა არ შეგვიძლია, თუ აღნიშნულ პერიოდში კონკრეტულად ვის დაქვემდებარებაშია ეს უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი (შდრ.: ბახტაძე 2003: 268-270).

უფრო გარკვეული სურათი გვაქვს XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის. ქართველი ისტორიკოსის უამთააღმწერლის (XIV ს.) თანახმად, 1280-იან წლებში არტანუჯი და თითქმის მთელი ისტორიული სამხრეთ საქართველო სამცხის მთავარს ბექა I ჯაფელს (1285-1306 წწ.) უჭირავს, რომელიც, საქართველოს სამეფო კარისადმი ხომინალური მორჩილების პირობებში, უშუალოდ ემორჩილება ილხანთა ყაენს (უამთააღმწერლი 1959: 273; ლომინაძე 1979ა: 599-600; გუჩუა 1997ბ). უამთააღმწერლის ცნობით, ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა 1299 წლისთვისაც, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტს ბექა I-ის შვილიშვილი, მეფე დემეტრე II-ის (1272-1289 წწ.) ვაჟი გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318-1346 წწ.) იკავებს (უამთააღმწერლი 1959: 304; ლომინაძე 1979ა: 599-600; გუჩუა 1997ბ).

1308 წელს ბექა I გარდაიცვალა, სამცხის სამთავრო კი მისი ვაჟების – სარგისის, ყვარყვარესა და შალვას ხელში გადავიდა (უამთააღმწერლი 1959: 323;

კაკაბაძე 1912: 5-6). მიუხედავად იმისა, რომ შუათანა მმა ყვარყვარე საქმაოდ აქტიურ როლს ასრულებს იმდროინდელ პოლიტკურ პროცესებში (უამთააღმწერელი 1959: 324; ლომინაძე 1979ბ: 624), სამცხის სამთავროს პირველ პირად მაინც ბექა I-ის უფროსი ვაჟი სარგის II (1308-1334 წწ.) გვევლინება (გუჩია 1985; გუჩია 1997ბ. შდრ.: უამთააღმწერელი 1959: 297, 308, 312-315; ლომინაძე 1979ბ: 629, 645).

უფროსი ძმებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ასპარეზზე პრაქტიკულად არ ჩანს ბექა I-ის უმცროსი ვაჟის შალვას სახელი. სამაგიეროდ, მის მოხსენიებას ვაწყდებით იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ადაპტებში – აქ ვკითხულობთ: „[თუ ეს ხელი ეკვდენბერსა ა (20)] ამახვე დღესა წირვ(ა)დ და აღაპი საუკუნო ბექასა შვილისა შალვასი, შეუნდვენ დმერთმან“ (მეტრეველი 1962: 81, 124).

სავარაუდოდ, სწორედ შალვა და მისი ვაჟი, სახელოვანი პაპის მოსახელე (?) ბექა უნდა იყვნენ მოხსენიებულნი ვანის სახარების (A-1335) (XII-XIII სს.) ერთ გვიანდელ მინაწერშიც. აღნიშნული კოლოფონი, რომელსაც აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებს, გვამცნობს: „†. შემოსწირა წმიდად ესე ოთხთავი პატრონმან ნათიამან, ჩუენ, საბოთარსა და შორათელთა პირველ ხატსა მაცხოვარისასა და წმიდა(ხ)ა გიორგი შორათისასა და წ(მიდა)ხა ნიკოლოზებს ხადაპედ მიხისა მეუღლისა ბექაისა, შალვა არტანუჯ-ჯელისად შვილისათუის და მიხთუის და ჩუენ გაუჩინეთ აღაპი“ (შარაშიძე 1954ბ: 410; თაყაიშვილი 1907: 17, 19. შდრ.: ბახტაძე 2003: 270-271).

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია და ვანის სახარების მინაწერში დადასტურებული შალვა არტანუჯელი ნამდვილად ბექა I-ის ვაჟია, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შალვას, როგორც სამცხის სამთავრო სახლის უმცროს წარმომადგენელს პირად მფლობელობაში მიუდია ციხე-ქალაქი არტანუჯი და შესაბამისად, დაუმკვიდრებია არტანუჯელის ჯერ კიდევ 1010-იან წლებში გამქრალი საპატიო წოდება.

იმავე XIV საუკუნეში არტანუჯელის წოდებას სამცხის სამთავრო სახლის კიდევ ერთი უმცროსი წარმომადგენელი ატარებს. ეს არის შაშია – მმისწული შალვა არტანუჯელისა და მმა ათაბაგ ყვარყვარე I-ისა (1334-1361 წწ.) (კაკაბაძე 1912: 4-7; დოლიძე 1953: 285; შარაშიძე 1961: 21-22, 59; გუჩია 1985; გუჩია 1986). პროფესორ სარგის კაკაბაძის აზრით, შაშია არტანუჯელი XIV საუკუნის II ნახევარის მოღვაწეა (კაკაბაძე 1912: 4-7; მეტრეველი 1962: 93, 157). იგი მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი

საადაპტებული ჩანაწერის ტექსტში: „[თუ ესა იანგარსა ვ (8)]. ამ(ა)ხვე დღ(ე)სა წირვაო და აღ(ა)პი სარგისის შვილისა შაშიახი არტანუჯ(ე)ლისა, შეუნდვენ დმერთმან“ (მეტრეველი 1962: 93, 158).

როგორც ვხედავთ, ციტირებული ტექსტის მიხედვით, XIV საუკუნის მეორე ნახევარში არტანუჯელის წოდება ახლა უკვე სამცხის მოქმედი მთავრის ყვარყვარე I-ის უმცროს ძმას ჰქონია მიღებული (შდრ.: ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 258; ბახტაძე 2003: 270-271).

ამრიგად, ციხე-ქალაქ არტანუჯის XV საუკუნემდელი ისტორიის ძირითადი ეტაპების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არტანუჯელის ტიტული დროის მხოლოდ ორ კონკრეტულ მონაკვეთში იყო მიმოქცევაში. პირველად – X საუკუნის 80-იანი (?) წლებიდან ვიდრე 1011 წლამდე პერიოდში, ხოლო მეორედ – მთელი (?) XIV საუკუნის განმავლობაში.

აქვე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ორივე დასახელებულ პერიოდში არტანუჯელის მაღალი წოდების მატარებელი პირები უშუალოდ ფლობდნენ ციხე-ქალაქ არტანუჯს და მათი ტიტულიც აქვთ იყო წარმომდგარი.

პარალელურად ამისა, დაიკვირვება ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაც. თუ კლარჯეთის სამთავროში (იგულისხმება 980-იანი წწ.-1011 წ.) არტანუჯელის წოდებას, ძირითადად, ბაგრატიონთა სამეფო სახლის უფროსი (?) წარმომადგენლები, იგივე – კლარჯი ხელმწიფები ფლობდნენ, სამცხის სამთავროში (იგულისხმება XIV ს.) იგივე ტიტული ჯაყელთა ფეოდალური ოჯახის უმცროს წარმომადგენლებს, უფრო ზუსტად კი, სამცხის მოქმედი მთავრების უმცროს ძმებს ჰქონდათ დამკვიდრებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა – ხომ არ წარმოადგენს Ven.4-ის ზემოთ განხილული მინაწერის ავტორის – გიორგი ლომას-ძის „არტანუჯელობა“ ზუსტად ანალოგიური რიგის მოვლენას და ხომ არ გვევლინება ეს უკანასკნელი XV საუკუნის სამცხის სამთავრო სახლის ერთერთ უმცროს წარმომადგენლად?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, დეტალურად გავეცანით სამცხის სამთავროს XV საუკუნის ისტორიას. აღმოჩნდა, რომ წერილობით წყაროებში დოკუმენტურად არის დადასტურებული ამ პერიოდში მოღვაწე ჯაყელთა ფეოდალური სახლის თოთხმეტი მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

აქედან, შვიდი პირი ერთიმეორის მიყოლებით ფლობს სამცხის ათაბაგობას. ესენი არიან: 1. ათაბაგი ივანე II (1391-1444 წწ.) – ვაჟი ათაბაგ ბექა II-ისა (ლომსაძე 1980; შარაშიძე 1961: 86-87, 147); 2. ათაბაგი ალბუდა II (1444-1451 წწ.) – უფროსი ვაჟი ივანე II-ისა (ლომინაძე 1997; შარაშიძე 1961: 133, 135); 3. ათაბაგი ყვარყვარე II (1451-1498 წწ.) – უმცროსი ვაჟი ივანე II-ისა (ლომსაძე 1986ბ; შარაშიძე 1954ა: 197-204, 207-209, 215-216, 221, 231, 233-240, 279; შარაშიძე 1961: 15, 18, 61, 72, 74, 78, 81-85, 87-94, 133-136, 147-148); 4. ათაბაგი ქაიხოსრო I (1498-1500 წწ.) – უფროსი ვაჟი ყვარყვარე II-ისა (ლომსაძე 1986ა; შარაშიძე 1954ა: 198-204, 207-208, 210, 215-216, 221, 279; შარაშიძე 1961: 16, 19, 74, 78, 134, 136-137); 5. ათაბაგი მზექაბუკი (1500-1515 წწ.) – რიგით მეორე ვაჟი ყვარყვარე II-ისა (ლომსაძე 1983ბ; შარაშიძე 1954ა: 198-200, 202-204, 208-211, 213, 215-216, 235; შარაშიძე 1961: 16, 19, 72, 74, 94-97, 134, 136-138); 6. ათაბაგი მანუჩარ I (1515-1518 წწ.) – რიგით მეექვსე (?) ვაჟი ყვარყვარე II-ისა (ლომსაძე 1983ა. შდრ.: შარაშიძე 1954ა: 204-205, 208; შარაშიძე 1961: 30, 98-101, 134, 136); 7. ათაბაგი ყვარყვარე III, იგივე – ნაფ-ყვარყვარე (1516-1535 წწ.) – ვაჟი ქაიხოსრო I-ისა (ლომსაძე 1986ბ; 117 72, 74-76, 78, 134, 138).

რაც შეეხება დანარჩენ შვიდ პირს, ისინი აქ დასახელებულ ათაბაგთა ოჯახის წევრები, უფრო კონკრეტულად კი, ყვარყვარე II-ის ვაჟები არიან. ჩამოვთვლით მათ სახელებს: 1. ბაადურ († 1474 წ.). (გუბუა 1997ა; შარაშიძე 1954ა: 198-200, 202-205, 207-208, 210, 215-216, 258; შარაშიძე 1961: 133-136); 2. იანქო († 1505 წ.). (შარაშიძე 1954ა: 204, 208-209; შარაშიძე 1961: 136); 3. ორავჭანდა (გარდ. 1505 წ-ის შემდგ.) (შარაშიძე 1954ა: 204, 208; შარაშიძე 1961: 136); 4. მართალიხონ (გარდ. 1515 წ-მდე) (შარაშიძე 1954ა: 204, 207-208, 215; შარაშიძე 1961: 136); 5. თამთან (დაბ. 1489-1498 წწ-ში) (შარაშიძე 1961: 83-85, 137); 6. საზუერელი (დაბ. 1489-1498 წწ-ში) (შარაშიძე 1961: 83, 85, 137); 7. სალუზაფან (დაბ. 1489-1498 წწ-ში) (შარაშიძე 1961: 83, 85, 137).

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ მოხმობილ ანთროპონიმთა საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალში საერთოდ არ ჩანს სახელი გიორგი. არ დასტურდება არც ანთროპონიმი ლომა, რომელიც, ჩვენი პირველი სამუშაო ჰიპოთეზის თანახმად, გიორგი არტანუჯელის მამის სახელი უნდა იყოს. დასასრულ, ყველაფერ ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ დასახელებული თოთხმეტი პირიდან არც ერთი არ ატარებს არტანუჯელის ტიტულს.

რაზე მიგვანიშნებენ აღნიშნული ფაქტები? პირველ რიგში, ალბათ იმაზე, რომ გიორგი ლომას-ძე არ მიეკუთვნება ჯაყელთა ფეოდალურ საგვარეულოს და არც მისი „არტანუჯელობა“ ნიშნავს სამცხის სამთავროში დადასტურებული მაღალი წოდების ფლობას. მართლაც, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამგვარი დასკვნის გამოტანა ყველაზე უფრო სწორი და ლოგიკური ნაბიჯი ჩანს.

თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ჯაყელთა ფეოდალური სახლის ზემოთ ჩამოთვლილი თოთხმეტი წევრიდან თერთმეტი (!) პირი, ათაბაგების – ივანე II-ის, ალბუდა II-ისა და ყვარყვარე II-ის გამოკლებით, XV საუკუნის მეორე ნახევრისა და XVI საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ცალსახად მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენი ცოდნა XV საუკუნის პირველი ნახევრის სამცხის სამთავრო სახლის შესახებ მეტად მწირი და ფრაგმენტულია. შესაბამისად, ახლახანს მიღებული საბოლოო დასკვნაც, რომ გიორგი ლომას-ძე არ მიეკუთვნება ჯაყელთა ფეოდალურ საგვარეულოს და რომ მისი „არტანუჯელობა“ არ ნიშნავს სამცხის მთავართა საპატიო ტიტულის ფლობას, უაღრესად დიდი სიფრთხილით არის გასაზიარებელი.

ასეა თუ ისე, მთელი ამ ვრცელი მსჯელობიდან გამომდინარე, ჩვენ შედარებით უფრო სარწმუნოდ მივიჩნევთ მეორე სამუშაო პიპოთეზას და გამოვთქვამთ აზრს, რომ Ven.4-ის სავედრებელის ავტორის „არტანუჯელობა“ ნიშნავს მის ციხე-ქალაქ არტანუჯში ცხოვრების ფაქტს, ხოლო „ლომას-ძეობა“ კი – მისსავე საგვარეულო კუთვნილებას.

საერთოდ, ლომას-ძეთა გვარი (შდრ.: სილაგაძე ... 1997: 126) ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. მხედველობაში გვაქვს 1601-1627 წლებით (?) დათარიღებული შეწირულობის წიგნი, სადაც მოხსენიებული არიან ვინმე ხუცესი ლომაძე და მისი ძმა ივანა ლომაძე (ბურჯანაძე 1958: 139; კლდიაშვილი ... 1993: 572). ამ დოკუმენტის თანახმად, ლომას-ძე || ლომაძეთა გვარის ეს წარმომადგენლები გურიაში სახლობენ და სოფელ ბაილეთის მცხოვრებლები არიან (ბურჯანაძე 1958: 139; კლდიაშვილი ... 1993: 572; ბაილეთი 1997). გარდა ამისა, საბუთიდან გარკვევით ჩანს ისიც, რომ ბაილეთელი ლომაძეები, ერთ-ერთი მათგანის მდგდლობის მიუხედავად, სოციალური იერარქიის საკმაოდ დაბალ საფეხურზე დგანან. ისინი, საგარაუდოდ, გლეხები არიან. მართლაც, დოკუმენტი გვაუწყებს, რომ ძმები ლომაძეები გურიის მთავარს მამია II გურიელს (1600-1625 წწ.) ჩეხედენას

ტამრისათვის შეუწირავს და მათთვის შესაბამისი ბეგარაც დაუკისრებია (ბურჯანაძე 1958: 137-140; კლდიაშვილი ... 1993: 572).

დღეისათვის დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, თუმცა კი, გიორგი ლომას-ძის არტანუჯელობიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ბაილეთელი ლომაძეები წარმომავლობით აგრეთვე ისტორიული კლარჯეთიდან, უფრო ზუსტად კი, ციხე-ქალაქ არტანუჯიდან არიან. ისინი, სავარაუდოდ, XVI საუკუნის II ნახევარში, ოსმალთა მიერ არტანუჯისა და მთლიანად კლარჯეთ-შავშეთის დაპყრობის (1553 წ.) შემდეგ ჩანან გურიაში გადმოსახლებულნი (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 500; ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 726-727, 900; ბერძენიშვილი 1997ა).

დავუბრუნდეთ უშუალოდ სავედრებელის ტექსტს. აქ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებული ცნობების შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კოლოფონის შესავალი ნაწილი. ამ ნაწყვეტში გიორგი არტანუჯელი ვედრებით მიმართავს ორ უდიდეს ქრისტიანულ სიწმიდეს – ქრისტეს საფლავს, სადაც სამი დღის მანძილზე დაბრძანებული იყო უფლის ჯვარცმული სხეული და ჯვარს პატიოსანს, რომელზეც მაცხოვარი ეწამა ადამის მოდგმის ცოდვათა გამოსყიდვისათვის: „ქ. საფლავო ქრისტესო და ჯუარო პატიოსანო, შეიწყალე არტანუჯელი ლომას-ძე გიორგი“.

ჩვენი დაკვირვებით, სავედრებელის მაინცდამაინც ამგვარი ფორმულით დაწყება შემთხვევითი მოვლენა სულაც არ არის. პირიქით, ამ ფაქტს გასაგები მიზეზები აქვს. დავიწყოთ იმით, რომ გარეჯული კრებული, რომლის აშიებზეც იწერება გიორგი ლომას-ძის კოლოფონი, ამ დროს უკვე ნამდვილად წმიდა მიწაზეა გადატანილი და იერუსალიმის ერთ-ერთი ქართულ სავანეში ინახება (ჯოჯუა 2003გ: 41-42). შესაბამისად, უეჭველია ისიც, რომ სავედრებელის ავტორი ტექსტის შესრულების უამს აგრეთვე იერუსალიმში იმყოფება. იერუსალიმი კი, თავის მხრივ, სწორედ ის ქალაქია, სადაც მდებარეობს ქრისტეს საფლავი (შდრ.: მენაბდე 1980: 140-145) და ჯვარი პატიოსანი (შდრ.: მენაბდე 1980: 69-139). აქედან, ვფიქრობთ, უკვე სავსებით ნათელი ხდება, თუ რატომ იწყება მაინცდამაინც ასეთი შესავალი ტექსტით Ven.4-ის კოლოფონი. მისი აგტორი მინაწერის შესრულების პერიოდში, როგორც ჩანს, წმიდა მიწაზე მომლოცველობს და გელრებითაც იმავე იერუსალიმის უმთავრეს სიწმიდეებს ეგედრება.

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ გიორგი ლომას-ძე არტანუჯიდან წმიდა მიწაზე ჩასული პილიგრამი ყოფილა. აღნიშნული ფაქტი

საკმაოდ საინტერესო შტრიხს მატებს ციხე-ქალაქ არტანუჯის ქრისტიანული თემისა და იერუსალიმის ქართული კოლონიის საეკლესიო-კულტურული ურთიერთობის ისტორიას.

აქამდე წერილობითი წყაროებიდან ცნობილი იყო არტანუჯში მცხოვრები მხოლოდ ორი პირი, რომელსაც გარკვეული სახის ურთიერთობა პქონდა წმიდა მიწაზე მოქმედ ქართულ სავანეებთან. მხედველობაში გვყავს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებული შალვა არტანუჯელი (XIII-XIV სს.) – უმცროსი ძმა სამცხის მთავრის სარგის II-ისა და შაშია არტანუჯელი (XIV ს-ის II ნახ.) – უმცროსი ძმა ათაბაგ ყვარუვარე II-ისა (იხ.: ზემოთ). ამიერიდან, დასახელებულ პირებს უნდა დაემატოს ციხე-ქალაქ არტანუჯის კიდევ ერთი მკვიდრი, XV საუკუნეში მოღვაწე გიორგი ლომას-ძე, რომელმაც არამხოლოდ მოილოცა იერუსალიმის სიწმიდეები, არამედ ჩინებული მხედრულით დაწერილი სავედრებელიც დაურთო წმიდა მიწის ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაცულ გარეჯული კრებულის აშიებს.

დასასრულ, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ გიორგი ლომას-ძის სავედრებელს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ ციხე-ქალაქ არტანუჯის ისტორიისათვის. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ სამეცნიერო საზოგადოება აქამდე საერთოდ არ იცნობდა ისეთ წერილობით წაყროს, რომელიც რაიმე წარმოდგენას მაინც შეგვიქმნიდა XV საუკუნის არტანუჯის შესახებ. ამ მხრივ, Ven.4-ის კოლოფონი მართლაც მნიშვნელოვანი ძეგლია.

ჯერ ერთი, სავედრებელზე დაყრდნობით, დაბეჭიოთვებით შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნის არტანუჯში კვლავინდებურად სიცოცხლისუნარიანია ქართული ეთნიკური ელემენტი (შდრ.: დოლიძე 1953: 62). ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული სხვადასხვა გვარებიდან დოკუმენტურად დასტურდება ლომას-ძეთა გვარის არსებობა.

მეორე, XV საუკუნის არტანუჯში მცხოვრები ქართველები არამხოლოდ გამართულად ფლობენ ქართულ ენას, არამედ ოსტატურადაც სარგებლობენ საკმაოდ რთული მხედრული დამწერლობით. ამაზე ნათლად მიგვითოთებს გიორგი არტანუჯელის მიერ შესრულებული სავედრებელი.

დაბოლოს, მესამე, XV საუკუნის არტანუჯში ძველებურად ძლიერია ქართული ქრისტიანული თემი. როგორც გიორგი ლომას-ძის მომლოცველობიდან ჩანს, ამ თემის წარმომადგენლები წარმატებით პილიგრიმობენ წმიდა მიწაზე და ცხოველი ურთიერთობა აქვთ იერუსალიმის ქართულ სავანეებთან.

საერთოდ, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ მოტანილ დებულებებში უჩვეულო არაფერია. 1553 წლამდე ციხე-ქალაქი არტანუჯი სამცხე-საათაბაგოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 500; ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 716, 726-727, 900; დოლიძე 1953: 61; ბერძენიშვილი 1997ა) და ამიტომ აქ რაიმე სხვა სურათის არსებობა უბრალოდ წარმოუდგენელია. თუმცა, დღემდე ამ ყველაფერზე საუბარი მხოლოდ ზოგად ისტორიულ ვითარებაზე დაყრდნობით გვიწევდა. ახლა კი, ამგვარ მსჯელობას თავისი მყარი დოკუმენტური საფუძველი უჩნდება და ზემოთ მოხმობილი დებულებებიც გაცილებით უფრო არგუმენტირებულ სახეს იღებს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ შემდეგ ძირითად დასკვნებს:

1. ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცული 1160 წლის გარეჯული კრებულის, იგივე Ven.4-ის 187r-ს ქვედა ნახევარზე შესრულებული ოთხსტრიქონიანი მხედრული მინაწერი, მთელი რიგი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, თარიღდება XV საუკუნით.
2. სავედრებელი დაწერილია ისტორიული კლარჯეთის, უფრო ზუსტად კი, ციხე-ქალაქ არტანუჯის მკვიდრის გიორგი ლომას-ძის მიერ, რომელმაც წმიდა მიწაზე მომლოცველობისას უშუალოდ მოიხილა იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაბრძანებული გარეჯული კრებული.
3. სავედრებელის ტექსტზე დაყრდნობით, დაბეჭიოთებით შეიძლება ითქვას, რომ XV საუკუნის არტანუჯში კვლავინდებურად ძლიერი იყო ქართული ქრისტიანული თემი და მის ცალკეულ წარმომადგენლებსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან.

§4. აფხაზეთის პატოლიკოსის ბართლომეს
მინაჭერი (დაახლ. 1488-1519 წწ.)⁹³

სავედრებელი მინაწერი შესრულებულია გარეჯული კრებულის 156v-ს
ქვედა აშიაზე, ნუსხურით (პირველი გრაფემა – მთავრულით), ორ სტრიქონად.
მისი ზომებია: 9 X 3 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად
გამოყენებულია კლაკნილი ხაზი. მინაწერს თარიღი არ უზის. აღსანიშნავია, რომ
156v-ზე შესრულებული ტექსტის ანაბეჭდი საქმაოდ მკაფიოდ განირჩევა 157r-ს
შესაბამის ადგილას. როგორც ჩანს, მინაწერის ავტორმა გადაშლილი კრებული
კოლოფონის დაწერისთანავე დახურა და შეუმშრალი მელანიც ამ გზით
აღიბეჭდა მომდევნო გვერდზე.

**ს-თხ- კაცხ- ჭ-თ-თ-თ- ჰ-ს-ს-ს-
ყ-თ-თ-თ-თ- ყ-ს- უ-ს- უ-ს-**

**ს(უ)ლხა გობისა ქათალიკოზისა / ბართლომესა შეუნდგნეს
ღ(მერთმან).ხ.**

მინაწერის ტექსტი ყურადღებას, პირველ რიგში, საისტორიო თვალსაზ-
რისით იპყრობს. აქ მოხსენიებულია ვინმე კათოლიკოსი ბართლომე, რომელსაც
ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ვერსად ვხვდებით. მისი
იდენტიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს Ven.4-ის კოლოფონის
სწორ ინტერპრეტაციას, რაც საქმაოდ რთული საქმეა. მინაწერის წაკითხვა ორი
სახით არის შესაძლებელი. გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით
ვუშვებთ ორივე ვარიანტს.

პირველ შემთხვევაში, ფონეტიკური კორექტივი შეგვაქვს ტექსტში. სიტყვის
– გობისა მესამე და მეოთხე გრაფემებს შორის აღვადგენთ უნებლიერ
გამოტოვებულ (?) ორ გრაფემას – ელ და კოლოფონსაც ასე ვკითხულობთ:
**„ს(უ)ლხა გობისა, ქათალიკოზისა ბართლომესა შეუნდგნეს
ღ(მერთმან).ხ.“** ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაციით, ბართლომე კათოლიკოსობის

⁹³ წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკვნების ძირითადი
ნაწილი შეტანილი გვაქვს 2002 წელს დაბეჭდილ სტატიაში: „XII საუკუნის გარეჯული
კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ.
1488-1519 წწ.)“ (ჯოჯუა 2002a).

პარალელურად, ხობელი ეპისკოპოსიც უნდა იყოს. საქართველოში ხობის ერთადერთი ეპარქია ცნობილი. იგი XV საუკუნიდან დასტურდება აფხაზეთის საკათოლიკოსოს შემადგენლობაში⁹⁴. ეპარქია მოქმედებდა ოდიშის ტერიტორიაზე, ხოლო მისი მწყემსთავრის კათედრა ხობის ღმრთისმმობლის მიძინების მონასტერში იყო განთავსებული (სიჭინავა ... 2000: 6-14).

გარეჯული კრებულის კოლოფონის გააზრება სხვაგვარადაც არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, ტექსტს, პრაქტიკულად, უცვლელი სახით ვკითხულობთ: „*b(უ)ლხა კობისა ქათალიკეთისა ბართლომებისა შეუნდგნებელ(მერთმა)ნ*“ და ვიგებთ, რომ ბართლომე ყოფილა არა „ხობელი“ და „კათოლიკოსი“, არამედ – „ხობისა კათოლიკოსი“. სახელი – ხობი//ხოფი//ხოპის მქონე სავანები საქართველოში რამდენიმე ადგილას დასტურდება (ბერიძე 1973: 73; სიჭინავა ... 2000: 3), მაგრამ საკათოლიკოსო საყდართან ორგანულ კავშირს მხოლოდ ერთი მათგანი – ზემოხსენებული ხობის მონასტერი ავლენს⁹⁵. გვიან შუასაუკუნეებში იგი აფხაზეთის კათოლიკოსთა კუთვნილებას წარმოადგენდა (სიჭინავა ... 2000: 8-15).

ამრიგად, ნებისმიერი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, Ven.4-ის კოლოფონში ნახსენები „კობი“ დასავლეთ საქართველოში მდებარე ხობის მონასტერს

⁹⁴ მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს ხობში საეპისკოპოსო კათედრის არსებობის ფაქტს და მიიჩნევს, რომ შეა სუკუნებში აქ მხოლოდ მონასტერი მოქმედებდა (ამ ავტორთაგან, პირველ რიგში, უნდა დაგასახელოთ ისტორიკოსი ავთანდილ თარიღია (სამეცნიერო ... 1999: 368-369), აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს ისტორიის მკვლევარი თამაზ ბერაძე, ვინაც საკუთარი შეხედულება ზეპირი საუბრისას გაგვიზიარა). მკვლევართა მეორე ნაწილს საპირისპირო მოსაზრება აქვს. ისინი ითვალისწინებენ გურალიძეების 1432 წლისა (კაპაბაძე 1924: 60-62) და ოოფურიძეების 1484-1488 წლების (იხ.: ქვემოთ) სასისხლო სიგალებს, სადაც მაწყვერებდი, ქუთათელი, ჰყონდიდები, ცაიშელი, მოქველი, ბედიელი და ღრანდელი ეპისკოპოსების გვერდით, ხობელებიც ისესენიებიან და ფიქრობენ, რომ ხობი XV საუკუნის I ნახევრიდან მაინც საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენდა (სიჭინავა ... 2000: 6-7). ჩვენ საგსებით ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. აღნიშნულ საკითხთან დაბავშირებით, განსხვავებული პოზიცია აქვს ისტორიკოს გიორგი კალანდიას. ის ფიქრობს, რომ ხობში საეპისკოპოსო კათედრა სულაც XIV საუკუნეში უნდა იყოს დაარსებული (კალანდია 2000: 502-505). სამწუხაროდ, მკვლევარი არ უთითებს შესაბამის წყაროებსა და არგუმენტაციას, რის გამოც, ამ ვარაუდის არც გაზიარება და არც უარყოფა, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია. XVI საუკუნიდან ხობის საეპისკოპოსოს შესახებ ცნობები თანდათან მატულობს, მაგ.: 1550 წლის ერთ-ერთ საბუთში ისესენიება „ხოფისა ღ(მრ)თისმმობლის წინამდებვი ებისეკოპოზი“ (კაპაბაძე 1921: 13-14; კლიდიაშვილი ... 1993: 103), ხოლო XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე გაცემულ შეწირულების წიგნში – „მთავარეპისკოპოზი ხოფის ეფთომი ფალავა“ (კაპაბაძე 1921: 84). ცნობილია XVII საუკუნის 30-იან წლებში მოღვაწე ხობელი მიტროპოლიტი გერმანეც (სიხარულიძე 1997). ხობის საეპისკოპოსოს არსებობის ფაქტს ამ და სხვა ქართული წყაროების გარდა, ადასტურებენ XVII საუკუნის უცხოელი ავტორებიც (სიჭინავა ... 2000: 10-11; კალანდია 2000: 499-501).

⁹⁵ საყურადღებოა, რომ Ven.4-ის კოლოფონში ტოპონიმი დღეისათვის ცნობილი სამი ფორმისაგან – ხობი//ხოფი//ხოპი განსხვავებული დაწერილობით არის წარმოდგენილი. აქ პირველ გრაფემად დასმულია არა *b*, არამედ – *ქ*.

აღნიშნავს და მასთან რაიმე მხრივ დაკავშირებული ბართლომეც, უძველად, ადგილობრივი ეკლესიის თავი – აფხაზეთის კათოლიკოსი უნდა იყოს.

ბართლომეს მოდგაწეობის ქრონიკისათვის მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის კოლოფონის პალეოგრაფია. ტექსტში გამოყენებულია ჩვიდმეტი გრაფემა: ა და ს – ექვსგზის; ლ და ო – სამგზის; ძ და ო – ორგზის; ჯ, ხ, ი, ძ, ხ, რ, ქ და ჟ – თითოჯერ. აქედან, პირველი ს ასომთავრულია. ნუსხური გრაფემები მარჯვნივ არის დახრილი. მათი მოხაზულობა მხგავსებას პოულობს XV-XVI საუკუნეების ნიმუშებთან – 1460 წლის ბიბლიასა (A-570) (აბულაძე 1973ა: 234-235, 371) და 1520 წლის ოთხთავთან (H-1721) (აბულაძე 1973ა: 240-241, 372).

გასათვალისწინებელია რამდენიმე დეტალიც: გარეჯული კრებულის მინაწერში გრაფემებს – ლ და ღ ზედა მარცხენა კიდესთან ებმის არა პორიზონტალური ხაზის გამგრძელებელი პატარა წანაზარდი, არამედ დიდი ზომის კუთხე. გრაფემების – ძ და ზ ზედა პორიზონტალური ხაზი დაუკუთხავია და ოდნავ არის დაკლაკნილი. რაც შეეხება გრაფემის – ხ ზედა პორიზონტალურ ხაზს, მინაწერში ის ძალზე მორკალურია და ლამის გრაფემის ქვედა ნაწილს ეხება. გრაფემის – რ ვერტიკალურ ხაზს ზედა ბოლოში ებმის მარცხენივ გაწვდილი პატარა მორჩი. ერთი და იგივე ნიშანი ახასიათებთ გრაფემებს – ქ და ჟ. მათი ქვედა ვერტიკალური ბუნი მარჯვნივ მკვეთრად „ასროლილი“ მცირე წანაზარდით სრულდება. ამ ნიშნებით, გრაფემათა დაწერილობა უფრო 1520 წლის ოთხთავის პალეოგრაფიას უახლოვდება (აბულაძე 1973ა: 240-241, 372).

ამდენად, თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ ნათელია ისიც, რომ გარეჯული კრებულის კოლოფონი შესრულებული იყო XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში. შესაბამისად, ამავე პერიოდის მოდგაწე ჩანს ტექსტში ნახსენები კათოლიკოსი ბართლომეც.

ამ პიპოთეზის შესაბამისად, დაწვრილებით გავეცანით XV-XVI საუკუნეების აფხაზეთის კათოლიკოსთა ქრონიკოგიურ რიგს⁹⁶. XV საუკუნეში ცნობილია მხოლოდ ერთი კათოლიკოსი – იოაკიმე, რომლის მოდგაწეობაც 1470-იანი წლებით თარიღდება (საქართველოს ... 2000ა: 136-137). შემდეგ მოდის

⁹⁶ ამ მიმართულებით კვლევისას თავიდანვე გამოვრიცხეთ აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია. დღეისათვის, ძირითადად, ზუსტად არის დადგენილი XV-XVI საუკუნეების ქართლის კათოლიკოსთა ქრონიკოგიური რიგი (საქართველოს ... 2000ა: 67-103). ამ პერიოდში მოსაყდრე ცამეტ მცხეთელ პატრიარქს შორის ბართლომეს ვერსად ვხედავთ. მეტიც, ქრონიკოგიურ რიგში არ ჩანს ისეთი თავისუფალი მონაკვეთი, სადაც, თუნდაც, ვივარაუდებდით მის კათოლიკოსობას.

ორმოცვლიანი ქრონოლოგიური ლაპუნა⁹⁷. 1519 წლიდან აფხაზეთის საკათოლიკოსო საყდარს მაღაქია I აბაშიძე იკავებს (საქართველოს ... 2000ა: 138-139). მისი ზეობა 1540-იან წლებამდე გრძელდება. ამას მოსდევს კიდევ ერთი, ამჯერად, ათწლიანი ქრონოლოგიური ლაპუნა. XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან ვიდრე XVII საუკუნის დასაწყისამდე აფხაზეთის კათოლიკოსებად ჯერ – ევდემონ ჩხეტიძეს (1557-1578 წლ.) (საქართველოს ... 2000ა: 139-141), ხოლო შემდეგ – ეფთვიმე საყვარელიძეს (1578-1616 წლ.) (საქართველოს ... 2000ა: 142-143) ვხედავთ.

ამრიგად, ბართლომეს კათოლიკოსობა უნდა ვივარაუდოთ ან XV საუკუნის 70-იან წლებამდე, ან – 1470-იანი წლებიდან ვიდრე 1519 წლამდე, ან კიდევ – XVI საუკუნის 40-50-იან წლებში. ჩვენ ვითვალისწინებთ Ven.4-ის მინაწერის პალეოგრაფიას და ვფიქრობთ, რომ ბართლომე აფხაზეთის კათოლიკოსად XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში უნდა ყოფილიყო.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1484-1510 წლ.) ორი საბუთი. პირველი დოკუმენტი ცნობილია, როგორც თოფურიძეთა სასისხლო სიგელი. იგი 1484-1488 წლებში უნდა იყოს შედგენილი⁹⁸. საბუთის ბოლო ნაწილში მოტანილია ალექსანდრე II-ის თხოვნა სასულიერო პირებისადმი:

⁹⁷ უახლეს სამეცნიერო პუბლიკაციებში აღნიშნულია, რომ 1490-1516 წლებში აფხაზეთის კათოლიკოსად იყო სტეფანე. იქნება მითითებულია, რომ მის შესახებ არანაირი დოკუმენტური მასალა არ არსებობს. კათოლიკოსთა ქრონოლოგიურ რიგში იგი საქართველოს ეკლესიის კალენდრებზე დაყრდნობით არის შევანილი, რომლებსაც, თავის მხრივ, რამე მეარი საფუძველი არ გააჩნიათ (საქართველოს ... 2000ა: 6-7, 138). ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ სტეფანეს ვხვდებით პოლიეგქტოს კარბელაშვილის მიერ შედგენილ „აფხაზეთის კათოლიკოზთა სიაშიც“ ვხვდებით (კარბელაშვილი 1900: 206). თუმცა ეს გარემოება სულაც არ აიოდებს ჩვენს მდგრამარეობას. სტეფანეს შესახებ ცნობები არც იქ არის მითითებული. მეტიც, მისი სახელი საერთოდაც კითხვის ნიშით აქვს აღნიშნული პოლიეგქტოს კარბელაშვილს (კარბელაშვილი 1900: 206). ასე, რომ ჯერ-ჯერბით სტეფანეს არსებობის ფაქტიც კი დაუსაბუთებელია და ამიტომ, მისი ზეობის ქრონოლოგიის შესახებ რაიმე სერიოზული მსჯელობა შეუძლებელი გვეჩვენება.

⁹⁸ ვინაიდან ეს სიგელი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მსჯელობისათვის, მცირე ხნით შევჩერდებით მის დათარიღებაზე. საბუთი პირველად გამოქვეწდა 1891 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. მან აშეარა შეცდომად მიიჩნია დოკუმენტის გაცემის თარიღად დასმული – არარსებული ქრონიკონი 968 და მისი დათარიღება ტექსტში ნახსენები ისტორიული პირების იდენტიფიკაციის გზით სცადა. მკლევარმა საბუთის გამცემი მეფე ალექსანდრე საქართველოს მეფე ალექსანდრე I-თან გააიგივა და დოკუმენტის შედგენის დრო მისი ზეობით – 1413(sic.)-1442 წლებით განსაზღვრა (თაყაიშვილი 1891: 1-3). 1897 წელს სიგელი თევზო უორდანიამაც გამოსცა. მან, არსებითად, გაიზიარა ექვთიმე თაყაიშვილის დათარიღება. გარდა ამისა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ ტექსტში სხვა სასულიერო პირების გვერდით, ნახსენებია დავით მცხეთელი, მკლევრის ვარაუდით, 1426-1430 წლებში ქართლის კათოლიკოსად მყოფი დავით ბაგრატიონი, დაავიწროვა თაყაიშვილისეული ქრონოლოგიური ჩარჩო და სიგელი 1428(sic.)-1430 წლებით გადაათარიღა. ამავე პუბლიკაციაში თევზო უორდანიამ გამოთქავა ვარაუდი, რომ დოკუმენტი, შესაძლოა, ნაყალბევი იყო. ამ შემთხვევაში, საბუთი იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის უამს, XV საუკუნის დასასრულს უნდა ყოფილიყო შედგენილი (უორდანია 1897: 233-235). ქართულმა ისტორიოგრაფიამ თევზო უორდანიას მეორე მოსაზრება უფრო მართებულად სცნო და საბუთი ალექსანდრე II-ს მიაკუთვნა (კაპაბაძე 1924: 65-66). უახლეს სამეცნიერო გამოცემებში სიგელი ალექსანდრე II-ის ზეობით – 1484-1510 წლებით არის დათარიღებული (კლიდიაშვილი ... 1991: 219; კლდიაშვილი ... 1993: 316-317). ჩვენ ვიზიარებთ იმ დებულებას, რომ საბუთი ალექსანდრე II-ის

„აწე, ქრისთებს (sic) მიერ კურთხევით პურთხეულნო ქართლისა ქათალიკოზნო და ებისკოპოზნო, თქვენითა ჯვარითა, თქვენითა ომფორითა თქვენცა ახრე დაუმტკიცეთ; ლიხტიძერისა (sic) ქათალიკოზნო და ებისკოპოზნო, თქვენცა ახრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი; სიმონ მაწყვარელო, მანუელ ქუთათელო, დავით ცხეთელო, ულია ჭყოინდელო (sic), ბართლომე ცაიშელ(ო), რომანოზ მოქველო, გრიგორი ბერიძელო, საბა ხობელო, უვდემოს ცხეთელო, თევდორე დრანდელო თქვენითა ჯვარითა თქვენცა ახრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი ესე“ (პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (ქორდანია 1897: 234-235).

თოფურიძეთა სასისხლო სიგელს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მისი დახმარებით ვიგებო, რომ XV საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში მოღვაწეობდა ვინმე ბართლომე, რომელსაც, დაახლოებით 1484-1488 წლებში ცაიშის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა.

ბართლომეს ბიოგრაფიის შემდგომი ეტაპის შესახებ ცნობებს ფალავან-დიშვილთა 1488 წლის სასისხლო (?) სიგელი გვაწვდის. საბუთის ბოლოს ვკითხულობთ:

„ამისნი მოწამენი და არიან და შეა დამხდურნი არიან – პატრონი დადიან-გურიელი გიორგი, ქუთათელ მთავარებისკოპოსი ბართლომე, ჭილაძე ლიპარი, რაჭისა ერისთავი ჩხეტიძე ივანე და მისი ძმა კახბერი და აბესალომ, ჩიუავაძე საზეგრელი და ვამიყ, ციხისთავი ლოლაბერიძე ესტატე, ჩხეტიძე ამილახორი სანასარ, მოღარეთუხეცესი მხეციძე სარგის, სახლის უხუცესი აფხაზელიძე ივანე, ინასარიძე აბესალომ, გურიელნი – ბერიძე, მაჭუტაძე და მახაძე, ლშრმელი (sic) ზაზაი, კუჭეჭიძე სიათშ, ჯაფარიძე შანშე და ქველი, საწოლის მწიგნობარი – არიშიძე სიათშ, გარევანიძე ხელა, ჩხეტიძენი ვახტანგ და აბესალომ, აქაშიძე თავა და აბაში, წერეთელი განონაი, ქავთარაძე როსტევან, მიქელაძე ყელგრძელი, დიდებული ზვიადი, იაშვილი ბერი და სრულად ჩვენი დარბაი-სელნი, იმერელნი დიდნი და ცოტანი, ამისნი მოწამენი, თავადებნი და შეა

მიერ არის გაცემული და მისი გამეფების ანუ 1484 წლის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. რაც შეეხება საბუთის ზედა ქრონლოგიურ ზღვარს, ვფიქრობთ, რომ მისი დაზუსტება შესაძლებელია. ტექსტის თანახმად, დოკუმენტის გაცემის ჟამს ქუთათელ მდვდელმთავრად – მანუელი, ცაიშელად კი – ბართლომე ყოფილა (ქორდანია 1897: 234). იმავე ალექსანდრე II-ის მიერ 1488 წელს გაცემულ ფალავანდიშვილთა სასისხლო (?) სიგელში ქუთაისის მთავარეპისკოპოსად უკვე ბართლომე ისეენიება (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-8731; კლიი-აშვილი ... 1991: 219). როგორც ჩანს, თოფურიძეთა საბუთის შედგენის ჟამს ჯერ კიდევ ცაიშელ ეპისკოპოსად მყოფი ბართლომე საეკლესიო იერარქიაში დაწინაურებულა და 1488 წლისათვის ქუთაისის მთავარეპისკოპოსობაც მიუღია. ამრიგად, თოფურიძეთა სიგელი ფალავანდიშვილთა სიგელის გაცემამდე ანუ 1488 წლამდე ყოფილა შედგენილი და ამიტომ მისი თარიღიც 1484-1488 წლებით უნდა განისაზღვროს.

დამხმარეთი არიან“ (პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-8731; კლდიაშვილი ... 1991: 219-220).

როგორც ირკვევა, ბართლომე ცაიშელი საეკლესიო იერარქიაში სწრაფად დაწინაურებულა. 1488 წლისათვის იგი უკვე ქუთათელი მთავარეპისკოპოსის წოდებას ატარებდა და ლიხთიმერეთის სამეფო კართან დაახლოებულ მღვდელმთავრად ითვლებოდა.

ამის შემდეგ წერილობით წყაროებში ბართლომეს სახელი ქრება და მისი შემდგომი თავგადასავალიც უცნობი იქნებოდა ჩვენთვის, რომ არა Ven.4-ის კოლოფონი. როგორც ჩანს, ქუთათელმა ბართლომემ საეკლესიო იერარქიაში 1488 წლის შემდგომაც განაგრძო წინსვლა და გარკვეული დროის შემდეგ აფხაზეთის კათოლიკოსობაც მიიღო. გარეჯული კრებულის მინაწერი მისი ბიოგრაფიის სწორედ ამ ეტაპს უნდა ასახავდეს⁹⁹.

ბართლომეს კათოლიკოსობის ზუსტი ქრონოლოგია ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, შესაძლებელია ამ პერიოდის მიახლოებით დადგენა. ფალავანდიშვილთა 1488 წლის სიგელში ბართლომე ჯერ კიდევ ქუთათელ მთავარეპისკოპოსად იხსენიება (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-8731; კლდიაშვილი ... 1991: 219-220). მეორე მხრივ, კი ცნობილია, რომ აფხაზეთის საკათოლიკოსო საყდარს 1519 წლიდან უკვე მალაქია I ფლობს (საქართველოს ... 2000ა: 138). აქედან გამომდინარე, ბართლომეს ზეობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად – 1488 წელი, ხოლო ზედა ზღვრად – 1519 წელი უნდა მივიღოთ და მისი კათოლიკოსობაც დაახლოებით 1488-1519 წლებით უნდა განვსაზღვროთ.

ცალკე საუბრის თემაა კათოლიკოსი ბართლომესა და გარეჯული კრებულის ურთიერთმიმართების საკითხი. როგორც ზემოთ ვნახეთ, Ven.4 1363 წლისათვის უკვე იერუსალიმში ინახებოდა და იქაური ქართული კოლონიის საკუთრება იყო. თუ ჩვენთვის საინტერესო კოლოფონი ნამდვილად კათოლიკოსი ილარიონის ავტოგრაფს წარმოადგენს, მაშინ მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ფურცელი ხდება ცნობილი. კერძოდ კი, ვიგგბთ, რომ კათოლიკოს ილარიონს

⁹⁹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თოფურიძეთა სიგელში ლიხთიმერელი ეპისკოპოსების ვრცელ ჩამონათვალს ქუთათელი მღვდელმთავარი იწყებს (ჟორდანია 1897: 234-235). როგორც ჩანს, XV საუკუნის II ნახევრში დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები აფხაზეთის კათოლიკოსების შემდეგ ყველაზე დიდი პატივით ქუთაისის მთავარეპისკოპოსები სარგებლობდნენ. ამიტომაც, ოუკი განსახილავ პერიოდში რომელიმე ლიხთიმერელი ეპისკოპოსის კათოლიკოსად აღსაყდებას ვივარაუდებთ, ასეთად, პირველ რიგში, სწორედ ბართლომე ქუთათელი უნდა ვიგულისხმოთ.

წმიდა მიწაზე უმოგზაურია, ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაცული გარეჯული კრებული მოუხილავს და მის აშიაზე სავედრებელი მინაწერიც შეუსრულებია¹⁰⁰.

Ven.4-ის მინაწერში საისტორიო ოვალსაზრისით კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას. ბართლომე ტექსტში იხსენიება, როგორც „გობისა ქათალიკოზი“, რაც ერთობ უჩვეულო მოვლენაა. ლიხთიმერეთის კალესიის არც ერთი მწევმსმთავარი ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ამგვარად არ იწოდება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ Ven.4-ის კოლოფონის ინტერპრეტირება ორგვარად არის შესაძლებელი, განვიხილეთ ორივე შესაძლო ვარიანტი და დავასკვენით, რომ ტექსტში ნახსენები „გობი“, ნებისმიერი წაკითხვის შემთხვევაში, ოდიშში მდებარე ხობის მონასტერს აღნიშნავს. ახლა კვლავ ვუბრუნდებით ამ საკითხს, ოდონდ, ამჯერად, უკვე ბართლომეს ტიტულის სწორად გააზრებისათვის.

პირველი წაკითხვის შემთხვევაში – „*b(უ)ლსა გობ{ელ}ისა, ქათალ{ი}კოზ{ი}სა ბართლომესა{}* მ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ“, აფხაზეთის კათოლიკოსი ბართლომე ხობელ ეპისკოპოსადაც გვივლინება.

ამგვარი ვარაუდი, ერთი შეხედვით, სავსებით რეალური უნდა ჩანდეს. ქართული ისტორიოგრაფია კარგად იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა აფხაზეთის კათოლიკოსები, იმავდროულად, ერთ ან რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრასაც ფლობდნენ (ბერძენიშვილი 1971ბ: 119-127). ასე, მაგალითად, კათოლიკოსი იოაკიმე (დაახლ. XV საუკუნის 70-იანი წლები) იმავდროულად ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იყო (მეტრეველი 1962: 136-137), ხოლო მალაქია გურიელი (1616-1639 წწ.) – ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი (ბერძენიშვილი 1971ბ: 144-147), ზაქარია ქვარიანი (1657-1660 წწ.) (ბერძენიშვილი 1971ბ: 123-124; საქართველოს ... 2000ა: 150-153) და იოსებ ბაგრატიონი (1769-1776 წწ.) (ბერძენიშვილი 1971ბ: 165-168) კათოლიკოსობის პარალელურად, გენათის ეპისკოპოსობას ფლობდნენ, ხოლო სვიმონ ჩხეტიძე (1660-1666 წწ.) (ბერძენიშვილი 1971ბ: 124-125; საქართველოს ... 2000ა: 153-154) და მაქსიმე აბაშიძე (1776-1795 წწ.) (ბერძენიშვილი 1971ბ: 125-127; საქართველოს ... 2000ა: 168-171) – ქუთაისის ეპიკოპოსოსაბას.

¹⁰⁰ მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ მინაწერი არა ბართლომეს, არამედ ვინმე სხვა პირის მიერ იყოს დაწერილი. ამ შემთხვევაში, ძნელია რაიმე კონკრეტულის თქმა. თუმცა, ბართლომეს სავედრებელის მაინცადამაინც წმიდა მიწაზე დაცულ Ven.4-ის აშიაზე შესრულების ფაქტს უკვე თავისთავად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბართლომეს, მისი წინამორბედი აფხაზეთის კათოლიკოსების მსგავსად (მეტრეველი 1962: 88, 106, 132, 145, 176), იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა.

მეორე მხრივ, ამ ვარაუდს თავისი დამაბრკოლებელი გარემოებაც ახლავს. საეპისკოპოსო საყდარი ყველა ზემოხსენებულ პირს კათოლიკოსობის მიღებამდე ეჭირა. ეპარქოსის ხარისხს ისინი შემდგომშიც ინარჩუნებდნენ და აფხაზეთის კათოლიკოსობის პარალელურად, შესაბამის საეპისკოპოსო წოდებასაც ატარებდნენ¹⁰¹. ამ ტენდენციის გათვალისწინებით, ბართლომე კათოლიკოსად კურთხევამდე ხობელ ეპისკოპოსად უნდა მივიჩნიოთ, მისი ბიოგრაფია კი ასეთი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. მას ჯერ ცაიშელ მღვდელმთავრად ვხედავთ (ჟორდანია 1897: 234), ხოლო შემდეგ – ქუთათელ მთავარეპისკოპოსად (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-8731). მეტიც, თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, სადაც ბართლომე ცაიშელად იწოდება, ხობელი ეპისკოპოსის წოდებას სხვა პირი, ვინმე საბა ატარებს (ჟორდანია 1897: 234)¹⁰².

ასე, რომ ბართლომეს ხობელ ეპისკოპოსად გამოცხადება დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს. ხოლო თუ აქ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამგვარი ინტერპრეტაციისათვის გარეჯული კრებულის კოლოფონში ფონეტიკური ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო, მაშინ ეს ვარაუდი კიდევ უფრო ნაკლებ სარწმუნო ხდება.

ასეთ ვითარებაში გაცილებით უფრო მისაღები გვეჩვენება მინაწერის მეორე წაკითხვა – „ხ(უ)ლსა კობისა ქათალიკოზისა ბართლომესა“ შეუნდვნეს ლ(მერთმა)ნ“, რომლის თანახმადაც ბართლომე არა „ხობელად“ და „კათოლიკოსად“, არამედ – „ხობის კათოლიკოსად“ წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში, არსებითად იცვლება სურათი. გამოდის, რომ „კობისა ქათალიკოზი“ ბართლომეს ერთ-ერთი ტიტული ყოფილა და მისი კათედრისა თუ რეზიდენციის – ხობის სახელწოდებიდან იყო წარმომდგარი.

საერთოდ, კათედრა-რეზიდენციების სახელწოდებიდან მიღებული საკათოლიკოსო ტიტულები ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად არის ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველოს საპატრიარქო კათედრა მცხეთაში მოქმედებდა, რის გამოც ქართლის კათოლიკოსები ხშირად „მცხეთის კათოლიკოსებადაც“ იწო-

¹⁰¹ ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო მალაქია გურიელი, რომელმაც ხონის ეპისკოპოსობა კათოლიკოსად კურთხევის შემდეგ მიიღო (ლომინაძე 1954: 129-130; ბერძენიშვილი 1971ბ: 122-123). თუმცა, ეს ფაქტი განხილული მაგალითების ფონზეც კი, უჩვეულო მოვლენად ჩანს და სავარაუდოდ, მალაქიას სპეციფიური საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეობით არის განპირობებული (საქართველოს ... 2000ა: 144-147).

¹⁰² აქ, რასაკვირველია, არც ის არის გამორიცხული, რომ ბართლომებ ხობის ეპისკოპოსობა, მალაქია გურიელის მსგავსად, კათოლიკოსად ყოფნის უამს მიიღო. თუმცა, ამგვარი ვარაუდის გამოთქმა მაშინ, როცა ბართლომეს მოღვაწეობის შესახებ, პრაქტიკულად, არაფერი ვიცით, ძალზედ პიპოთებურად გვეჩვენება.

დებოდნენ (ლომინაძე 1980: 317-318.). ანალოგიური მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. ლიხთიმერეთის მწყემსმთავრებს კათედრა ბიჭვინთაში პქონდათ და ამიტომ „ბიჭვინთის კათოლიკოსის“ ტიტულსაც ატარებდნენ (ლომინაძე 1977: 31). ჩვენი აზრით, Ven.4-ის მინაწერში დადასტურებული საეკლესიო ტიტულიც – „ხობის კათოლიკოსი“ უმჭველად ამ რიგის მოვლენა იყო.

ასეთი დაშვების შემთხვევაში, ყურადღებას სრულებით სხვა, ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები გარემოება იპყრობს – ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ლიხთიმერეთის არცერთი მწყემსმთავარი „ხობის კათოლიკოსად“ არ იწოდება. ამიტომ, ახსნას საჭიროებს თუ როდის, რატომ და რა პირობებში უნდა მიეღოთ მათ ამგვარი ტიტული.

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის აუცილებელია, ვრცლად მიმოვინაფილოთ XV-XVI საუკუნეების დასავლეთ საქართველოში შექმნილი საეკლესიო ვითარება.

1470-1474 წლებში ლიხთიმერეთის ეკლესიაში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ (1466-1478 წწ.) და დადიან-გურიელმა შამადავლამ აფხაზეთის კათოლიკოსი იოაკიმე იმხანად საქართველოში მყოფ ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიხაილს (1470/1474-1484 წწ.) აკურთხებინეს. ეს ფაქტი სავსებით უგულებელყოფდა ქართულ საეკლესიო ტრადიციას, ვინაიდან არსებული წესით, აფხაზეთის კათოლიკოსი მცხეთის პატრიარქს უნდა ეკურთხებინა (ჯავახიშვილი 1982: 337-341; ბერძენიშვილი 1971ა: 100-106; ბერძენიშვილი 1971ბ: 108).

ბაგრატ VI და დადიან-გურიელი ამით არ დაკმაყოფილდნენ და პატრიარქ მიხაილს უმნიშვნელოვანები საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლი – „მცნებაი სასჯულოიც“ შეადგენინეს. ამიერიდან, აფხაზეთის კათოლიკოსი უფლებრივად გაუთანაბრდა ქართლის კათოლიკოს-პატრიარქს და მცხეთის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებლობა იურიდიულად განიმტკიცა (ჯავახიშვილი 1982: 337-341; ბერძენიშვილი 1971ა: 100-106; ბერძენიშვილი 1971ბ: 108).

აქ, პირველ რიგში, გასარკვევია, თუ ვინ უფრო მეტად იყო დაინტერესებული აფხაზეთის კათოლიკოსთა აღზევება-გაძლიერებით – ბაგრატ VI თუ შამადავლა დადიანი. ქართული ისტორიოგრაფია ამ მოვლენას, უპირატესად, ბაგრატ VI-ის ინიციატივად განიხილავს და მისი პოლიტიკური წინდაუხედავობით ხსნის (ჯავახიშვილი 1982: 338-341, 447-448; ლომინაძე 1979გ:

740-741). ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. ვფიქრობთ, რომ 1470-1474 წლების პერიპეტიები მთლიანად შამადავლას ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

დაგიწყოთ იმით, რომ XV საუკუნის II ნახევარში ქრისტიანობიდან წარმართობაზე მიქცეული აფხაზეთის საერისთავო ოდიშისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა (ხორავა 1996: 57-58). ამიტომ აფხაზების ეკლესიისაგან განდგომა და ქართული სამყაროსაგან გაუცხოება, პირველ რიგში, დადიანების მფლობელობას უქმნიდა საფრთხეს. შამადავლა, როგორც ჩანს, გრძნობდა მოსალოდნელ საშიშროებას და ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას. ბიჭვინთის მოშლილი საკათოლიკოსო საყდრის აღდგენა და აფხაზთა კვლავინდებურად ქრისტიანობაზე მოქცევა ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ყველაზე აფექტური ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. ჩვენს მოსაზრებას „მცნებაი სასჯულოიც“ ადასტურებს. ტექსტში თუ ერთგან აღნიშნულია, რომ „აფხაზეთი ქრისტეანობისაგან ხრულიად მიდრეკილ იყუნებს, ქრისტე მცნებათაგან განშორებულ იყუნებს“ (დოლიძე 1970: 222), მეორეგან პირდაპირ არის ნათქვამი – „ლიხთ-ამერიხა და აფხაზეთისა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეანობის ხჯულისა მამაგრებელიად და დამამტკიცებელიად ვაკურთხეთ“¹⁰ (დოლიძე 1970: 223).

გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც. XV საუკუნის II ნახევრისათვის ოდიშის საერისთავო ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო (ჯავახიშვილი 1982: 327-331; ლომინაძე 1979გ: 740). მიუხედავად ამისა, დადიანების ფეოდალურ სახლს მიღწეული არ აკმაყოფილებდა და საქართველოს სამეფო კარისაგან სრულიად დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას ცდილობდა (ხორავა 1996: 52-53). ასეთ ვითარებაში, ლიხთიმერეთის ეკლესიის გამოყვანა მცხეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დადიანების განკერძოებითი პოლიტიკის დიდი წარმატება უნდა ყოფილიყო. მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველოში იმხანად მოქმედი ოერთმეტი (?) ეპარქიიდან ცხრა – ჭყონდიდის, ხობის (?), ცაიშის, ბედიის, მოქვის, დრანდის (?), ჯუმათის (?), შემოქმედის, ხინოწმიდის (?) საეპისკოპოსები და თვით აფხაზეთის საკათოლიკოსო კათედრაც კი შამადავლასადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე (ჯავახიშვილი 1982: 327-331; ბერძენიშვილი 1971ბ: 113-114; ლომინაძე 1979გ: 740) მოქმედებდა და უპირატესად, მის ქვეშვრდომ მოსახლეობას მწყემსავდა.

რაც შეეხება ბაგრატ VI-ს, მას სამეფო ხელისუფლება სწორედ ლიხთიმერელი დიდებულების მხარდაჭერით ჰქონდა მოპოვებული (ჯავახიშვილი

1982: 301; ბერაძე 1999ა: 148) და ოოგორც ჩანს, მიზანშეწონილად არ თვლიდა შამადავლასთან – დასავლეთ საქართველოს ყველაზე გავლენიან ფეოდალთან (ჯავახიშვილი 1982: 327-331; ბერაძე 1999ა: 148-149) დაპირისპირებას. საწინააღმდეგო შემთხვევაში, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე და სამეფო ტახტზე კანონიერი პრეტენზიის მქონე კონსტანტინე დემეტრეს ძე შამადავლა დადიანგურიელის სახით, მძლავრ მოკავშირეს შეიძენდა. ეს კი, შესაძლოა, გვირგვინის დაკარგვადაც დასჯდომოდა ბაგრატს.

დადიანების სახლის პოლიტიკურ ინტერესებს სრულად თანხვდებოდა აფხაზეთის კათოლიკოსთა ტრადიციული მისწრაფება – გამოსულიყვნენ მცხეთის საპატრიარქო საყდრის დაქვემდებარებიდან, უფლებრივად გათანასწორებოდნენ ქართლის კათოლიკოსებს და თავად ქცეულიყვნენ ლიხთიმერეთის ეკლესიის ერთპიროვნულ მწყემსმთავრებად (ბერძენიშვილი 1971ა: 97, 100, 104). ამ მიზნის განხორციელებას, უქვედია, რომ ყოველმხრივ დაუპირისპირდებოდა საქართველოს სამეფო კარი, ვინაიდან XV საუკუნის დასაწყისიდან მცხეთის საპატრიარქო ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის ერთ-ერთ ძირითად ქვაპუთხედს წარმოადგენდა (ჯავახიშვილი 1982: 283-284; ბერძენიშვილი 1971ა: 104; საქართველოს ... 2000ა: 69, 74-78). ასეთ ვითარებაში, ოდიშის სამთავრო სახლი ერთადერთი ანგარიშგასაწევი ძალა იყო მთელს საქართველოში, ვისაც ყოველმხრივ ხელს აძლევდა აფხაზეთის კათოლიკოსთა გაძლიერება.

ასე, რომ ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის მიერ ლიხთიმერეთის მწყემსმთავრად იოაკიმეს კურთხევა და „მცნებაი სასჯულოის“ შედგენა, ერთი მხრივ, აფხაზეთის კათოლიკოსების, ხოლო, მეორე მხრივ, დადიანთა ფეოდალური სახლის დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო.

წერილობით წყაროებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ 1470-1474 წლების საეკლესიო პერიპეტიებთან ხობის მონასტერი თრგანულად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ლევან II დადიანის 1639-1647 წლების სიგელში¹⁰³ ვკითხულობთ:

¹⁰³ დოკუმენტი 1965 წელს გამოაქვეყნა ისიდორე დოლიძემ. მკვლევარმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საბუთო ლევან II დადიანის მიერ არის გაცემული და ძეგლი მისი ზეობით – 1611-1657 წლებით დაათარიდა (დოლიძე 1965: 208-211). „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ შემდგენლებმა ეს ქრონოლოგიური ჩარჩო მცირედ დაავიწროვეს და სიგელი, ჯერჯერობით დაუდგენელი არგუმენტაციის საფუძველზე, 1628-1657 წლებით გადათარიდეს (კლდიაშვილი ... 1993: 8). ჩვენთვის სავსებით მისაღებია სიგელის გაცემის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. თუმცა, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია, ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის კიდევ უფრო დაკონკრეტება. საბუთში ლევან II-ის გვერდით ისესენიება აფხაზეთის კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, რომელმაც ლიხთიმერეთის მწყემსმთავრის საყდარი 1639 წელს დაიკავა (ლომინაძე 1954: 130-132). შესაბამისად, ლევან II-ის სიგელი 1639 წლის შემდგომ ჩანს შედგენილი და მისი გაცემის დროც 1639-1657 წლებით უნდა განისაზღვროს.

„ესე, ვითარცა დადიან-გურიელისა, სულ-კურთხეულისა სამადავლასაგან გარიგებული სიგელი გნახეთ, ესრეთ ეწერა და გაერიგა: „ძუელითგანი იაღგარი გარეუნილიყო და დაკარგულიყო ხოვისა დმრთისმშობელისაო, მას უამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მიიღება აფხაზნო, და აღვიყვანეთ იოვაკიმ, კაცი ღირსი ნეტარებისა, დავხვით კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა გარუნებე სჯული და კათალიკოზობა, ხოლო ჩუენ, მარჯუნითა ქრისტეს საფლავისათაო და იერუსალემისა და ანტიოქიის პატრიაქისა მიხაილის ნება-დართვითა, გავარიგეთო ჯუარითა და ონფორითაო“ (დოლიძე 1965: 209).

ისმის კითხვა – რატომ ჩართეს XV საუკუნეში განახლებულ ხობის იადგარში იოაკიმეს კათოლიკოსად კურთხევის ამბავი და რა კავშირი არსებობდა იადგარის განახლებასა და იოაკიმეს კურთხევას შორის? სამწუხაროდ, თავად იადგარი დაკარგულია, ლევან II-ის სიგელში ჩართული ფრაგმენტები კი ამ კითხვაზე კატეგორიულ პასუხს ვერ გვაძლევენ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ეს მიმართება მხოლოდ ქრონოლოგიური ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო. ჩვენი აზრით, იოაკიმეს კურთხევასა და იადგარის განახლებას შორის უფრო მიზეზობრივი კავშირი არსებობდა.

საფიქრებელია, რომ შამადავლამ ხობის მონასტერი ახლად კურთხეულ კათოლიკოსს გადასცა. ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს ხობის იადგარის კიდევ ერთი ფრაგმენტი, საიდანაც ვიგებთ, რომ დადიანებისა და სხვა თავადაზნაურების მიერ ხობისათვის მირთმეული ნიშანი ანუ დაკრძალვისათვის დაწესებული გამოსადები კათოლიკოსის კუთვნილებას წარმოადგენდა (დოლიძე 1965: 210). ეს კი, პირდაპირ მიგვითოთებს, რომ შამადავლასაგან იადგარის განახლების ჟამს – 1470-1474 წლებში ხობი უკვე აფხაზეთის კათოლიკოსთა მფლობელობაში იყო¹⁰⁴.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხობის მონასტერის გადაცემა ქმედითი დახმარება იქნებოდა იოაკიმესათვის. როგორც ცნობილია, ლიხთიმერეთის საკათოლიკოსო კათედრა ბიჭვინთაში, ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე მდებარეობდა, რაც, გარკვეულწილად, აძნელებდა აფხაზეთის კათოლიკოსების ახლო ურთიერთობას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებთან და აბრკოლებდა მათ სრულყოფილ საეკლესიო საქმიანობას.

¹⁰⁴ საერთოდ, არ არის გამორიცხული, რომ ხობი XV საუკუნის 70-იან წლებამდეც აფხაზეთის კათოლიკოსთა დაქვემდებარებაში იყო. თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობისათვის ჯერჯერობით არავითარი მასალა არ მოგვეპოვება და ამიტომ, ყოველგვარი ვარაუდის გამოთქმისაგან თავს ვიკავებთ.

მდგომარეობა კიდევ უფრო უნდა დამძიმებულიყო XV საუკუნეში, როცა აფხაზები ანუ იმ ტერიტორიაზე მსხდომი მოსახლეობა, რომელიც უშუალოდ გარს ეკვროდა ბიჭვინთის საყდარს, ქრისტიანობიდან წარმართობაზე იყო მიქცეული (დოლიძე 1970: 222; დოლიძე 1965: 209). ასეთ ვითარებაში, იოაკიმეს „მცნებაი სასჯულოთი“ მიღებული ავტოკეფალური უფლებამოსილების განხორციელებისათვის უსათუოდ დასჭირდებოდა დამხმარე საკათოლიკოსო რეზიდენცია, რომელიც, ბიჭვინთისაგან განსხვავებით, საღმე დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იქნებოდა განთავსებული.

სხვათა შორის, ამ მიზნით მაინცადამაინც ხობის მონასტრის შერჩევა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. იგი დაარსებისთანავე დადიანების კუთვნილ სავანეს წარმოადგენდა (ბერიძე 1973: 77-80; ბერაძე 1999ა: 139, 145; სიჭინავა ... 2000: 5-6) და მისი ქონებრივ-სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირებაც ამ ფეოდალური სახლის პრეროგატივა იყო¹⁰⁵. შამადავლამ, როგორც ჩანს, ისარგებლა საკუთარი უფლებით და იოაკიმეს საკათოლიკოსო რეზიდენციად სწორედ დადიანების კუთვნილი საგვარეულო მონასტერი გადასცა. რაც შეეხება ხობის იადგარს, ის, ჩვენი ვარაუდით, სახელდობრ ამ შეწირულებასთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო განახლებული¹⁰⁶.

საერთოდ, აფხაზეთის კათოლიკოსებისა და ხობის მონასტრის ურთიერთდამოკიდებულება დეტალურად არის აღწერილი ლევან III დადიანის (1662-1681 წწ.) 1675 წლის შეწირულების წიგნში. საბუთის თანახმად, ხობი ერთ-ერთი კველაზე დიდი და პატივდებული საკათოლიკოსო მონასტერი იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. ლიხთიმერეთის მწყემსმთავრებს ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე საეკლესიო დღესასწაულების მსახურება მხოლოდ აქ შეეძლოთ. მათი ოდიშში ყოფნის ჟამს საკათოლიკოსო რეგალიები – ხატი, ჯვარი და ომფორი ხობში ინახებოდა. აქვე მდებარეობდა მათი სასახლე და სასაფლაო (კაგაბაძე 1921: 76-77).

¹⁰⁵ ხობის იადგარი ამ პრეროგატივის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს. იგი განახლებულია არა მეფე ბაგრატ VI-ის ან კათოლიკოს იოაკიმეს მიერ, როგორც ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, არამედ – მაინცადამაინც დადიან-გურიელი შამადავლას მიერ (დოლიძე 1965: 209).

¹⁰⁶ საკათოლიკოსო რეზიდენციის ხობში დამკვიდრება სხვა მხრივაც უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი. ბიჭვინთის ტაძარი ზღვისპირა ზოლში იყო აღმართული (ბიჭვინთის ... 1997), ხობის მონასტერი კი მდინარე ხობისწყლის ბოლო სანაოსნო პუნქტს წარმოადგენდა (ბერაძე 1989: 240; ბერაძე 1999ა: 162), რაც ძალზედ აიოლებდა ლიხთიმერეთის მწყემსმთავართა ინტენსურ მიმოსვლას ამ სავანეთა შორის. მართლაც, საზღვაო გზით ბიჭვინთის საკათედრო ცენტრიდან ხობის რეზიდენციაში მოხვედრა და პირიქით, უმოკლეს დროში იყო შესაძლებელი.

რამდენად შეიძლება ამ სურათის XV საუკუნის II ნახევარზე გავრცელება? ვფიქრობთ, რომ სრულებით თავისუფლად. მართალია, ლევან III-ის შეწირულების წიგნი 1675 წელს არის გაცემული, მაგრამ იგი გაცილებით ადრეული პერიოდის რეალიებს უნდა ასახავდეს. საბუთში პირდაპირ არის ნათქვამი: „ძველადგანცა ხობი ბიჭვინტისა დთის მშობლის შეწირული ყოფილიყო და უამთა ვითარებისაგან გამოხმოდა“-ო (კაკაბაძე 1921: 76).

ამრიგად, ირკვევა, რომ XV-XVII საუკუნეებში ხობის მონასტერი აფხაზეთის კათოლიკოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა. 1470-იანი წლებიდან ვიდრე XVI საუკუნის შუახანებამდე ანუ საბოლოოდ გელათში დამკვიდრებამდე (იხ. ქვემოთ), ლიხტიმერეთის მწყემსმთავრები ბიჭვინთის პარალელურად ხობში მოსაყდრეობდნენ და წოდება – „ხობის კათოლიკოსი“ სწორედ ამ პერიოდში და ამ გზით უნდა ჰქონოდათ მიღებული¹⁰⁷.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი დეტალიც. ხობში მოქმედ საკათოლიკოსო რეზიდენციას არ უნდა ჰქონოდა ისეთი დიდი დატვირთვა, როგორსაც მოგვიანებით გელათის მონასტერი ატარებდა. ამ ფაქტს თავისი ისტორიული წანამდლვრები გააჩნდა. XV საუკუნის ბოლო მესამედსა და XVI საუკუნის I ნახევარში ბიჭვინთის საყდარი აფხაზეთის საერისთავოს შუაგულში მდებარეობდა (ხორავა 1996: 58). მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები, დიდწილად, წარმართობაზე იყვნენ მიქცეული (ხორავა 1996: 55), მათი მმართველი შარვაშიძეები დადიანებს ემორჩილებოდნენ (ხორავა 1996: 57-58) და ამ უკანასკნელთაგან ზურგმომაგრებულ აფხაზეთის კათოლიკოსებსაც, საფიქრებელია, მინიმალურ პირობებს მაინც უქმნიდნენ საკათედრო ცენტრში საქმიანობისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიხტიმერეთის მწყემსმთავრები უპირატესად ბიჭვინთაში მოსაყდრეობდნენ და მუდმივი სამკვიდრებლის სხვაგან გადატანის აუცილებლობა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ასეთ ვითარებაში, ხობის მონასტერს, რასაკვირველია, ნაკლები დატვირთვა ექნებოდა. ამ მხრივ, ტერმინი „პარალელური საკათოლიკოსო კათედრა“ ზედმიწვნით ზუსტად უნდა ასახავდეს ხობის მონასტრის ადგილსა და როლს აღნიშნული პერიოდის დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში.

XV საუკუნის მიწურულს საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. 1491-1492 წლებში ერთიანი საქართველოს ცალკეულ

¹⁰⁷ სხვათა შორის, ამგვარი მოსაზრება უპერ გამოთქმული აქვთ ანზორ სიჭინავასა და გოგიტა ჩიტაიას. ისინი ვარაუდობენ, რომ XV საუკუნის II ნახევრიდან, როცა აფხაზეთი წარმართობაზე მიიქცა და ბიჭვინთის კათედრის ფუნქციებიც მნიშვნელოვნად შეიზღუდა, საკათოლიკოსო ცენტრის როლს, გელათთან ერთად, ხობის მონასტერიც ასრულებდა (სიჭინავა ... 2000: 8-9).

სამეფო-სამთავროებად დაშლა იურიდიულად გაფორმდა (გუჩია 1973: 85). დასავლეთ საქართველო ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადდა. იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1484-1510 წწ.) სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატი ქუთაისში განთავსდა (ლომინაძე 1979გ: 748).

ამ ფაქტმა სავსებით შეცვალა ლიხთიმერეთის ეკლესიის მდგომარეობა. თუ აქამდე ერთიანი საქართველოს მეფები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის კათოლიკოსთა მოღონიერებას, დასავლეთ საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ მათ კარდინალურად შეცვალეს საეკლესიო პოლიტიკა. იმერელ ბაგრატიონებს ხელს ადარ აძლევდა მეზობელ ქართლის სამეფოში მდებარე მცხეთის საპატრიარქოს სამწესოდ ყოფნა და საპირისპიროდ ამისა, აქტიურად იღწვოდნენ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისათვის.

საეკლესიო ორიენტაციის ასეთი მკვეთრი შემობრუნება სავსებით მისაღები იყო აფხაზეთის კათოლიკოსებისათვის. მათ იმერეთის სამეფო კარის სახით, დადიანებზე გაცილებით უფრო ძლიერი მფარველი და მოკავშირე შეიძინეს. ამას ისიც ემატებოდა, რომ შამადავლა დადიან-გურიელის შემდეგ დადიანთა სახლი ერთგვარად შესუსტდა. მისი მემკვიდრეები – ვამევ II (1474-1482 წწ.), ლიპარიტ II (1482-1512 წწ.) და მამია III (1512-1533 წწ.) საშინაო თუ საგარეო სფეროში მთელ რიგ წარუმატებლობებს განიცდიდნენ და ლიხთიმერეთში პოლიტიკურ პირველობას თანდათანობით იმერეთის მეფეებს უთმობდნენ (ბერაძე 1999ა: 153-156).

პოზიციათა გადაადგილებას შესაბამისი მოქმედებაც მოჰყვა და 1519 წელს აფხაზეთის კათოლიკოსად აღსაყდრებული მალაქია აბაშიძე უკვე იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) მომხრედ გამოვიდა დასავლეთ საქართველოს ცენტრალიზაციის საქმეში (ლომინაძე 1966ა: 206; საქართველოს ... 2000ა: 138). ზუსტად ასეთივე ორიენტაცია პქონდა მომდევნო (?) კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძესაც (1557-1578 წწ.) (ლომინაძე 1966ა: 207; საქართველოს ... 2000ა: 139-141).

ასეთ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივად უნდა გაჩენილიყო ბიჭვინთის პარალელური საკათოლიკოსო კათედრის ხობიდან, რომელიც ოდიშის სამთავროში მდებარეობდა და დადიანების საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა, გელათში – ლიხთიმერეთის უდიდეს სამეფო მონასტერში გადატანის აუცილებლობა, რაც 1545-1569 წლებში წარმატებით განხორციელდა კიდეც. ამიერიდან აფხაზეთის კათოლიკოსების მუდმივ რეზიდენციად გელათის მონასტერში მდებარე წმ. გიორგის ეკლესია იქცა (ლომინაძე 1966ა: 186).

ბიჭვინთის პარალელური რეზიდენციის ხობიდან გელათში გადატანას, პოლიტიკური სარჩულის გარდა, სხვა მიზეზიც უნდა ჰქონოდა. ამ მხრივ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ხობელი ეპისკოპოსის (?) ნიკოლოზ წულუკიძის 1569 წლის შეწირულების წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ ნიკოლოზის მდვდელმთავრად (?) კურთხევის უამს ხობში სასულიერო მოღვაწეობა შეწყვეტილი ყოფილა. მონასტერი „თათრებს“ აუთხრებიათ (დოლიძე 1970: 274-275). მართალია, ტექსტში დარბევის თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ამბავი საბუთის გაცემამდე არცთუ დიდი ხნით ადრე – XVI საუკუნის I ნახევარში ან ამავე საუკუნის შუახანებში უნდა მომხდარიყო.

ამ პერიოდის ოდიშის ისტორია მტრის არცერთ სახმელეთო ლაშქრობას არ იცნობს. სამაგიეროდ, დასტურდება მრავალრიცხოვანი საზღვაო თავდასხმები (ბერაძე 1999ა: 147-164). ამ მხრივ, განსაკუთრებით ჯიქები აქტიურობდნენ. XVI საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1560 წლამდე ისინი განუწყვეტლივ მეცნიერებლენენ დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში (ბერაძე 1989: 207-209; ბერაძე 1999ა: 155-163). შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ხობი ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ნიკოლოზ წულუკიძის საბუთი ასეთი დასკვნის საფუძველს არ იძლევა. ტექსტში გარკვევით არის ნათქვამი, რომ მონასტერი „თათრებმა“ დაარბიეს. ასე რომ, ხობის აოხრება უნდა უკავშირდებოდეს არა – ჯიქების, არამედ ოსმალებისა თუ ყირიმელი თათრების საზღვაო თარეშს.

ეს გარემოება საგრძნობლად აიოლებს ჩვენს ამოცანას. 1569 წლამდე ოსმალებმა ერთადერთი საზღვაო ოპერაცია განახორციელეს ოდიშში (ბერაძე 1989: 210-212). 1553 წლის ზაფხულში სულთანმა სულეიმან I-მა (1520-1566 წწ.) დასავლეთ საქართველოსაკენ საბრძოლო კატარდები გამოგზავნა. პირველი ხუთი ხომალდი, სადაც ოსმალების გარდა ყირიმელი თათრებიც (?) იმყოფებოდნენ, რიონის აუზში შევიდა. ლევან I დადიანი (1533-1572 წწ.) საკუთარი საზღვაო ძალებით ფოთის ნავსადგურში დადგა და მტერი ალყაში მოაქცია. სულთანმა დასახმარებლად კიდევ სამი კატარდა გამოგზავნა. ლევან I-მა შეტაქებისაგან თავი შეიკავა და ფოთი დატოვა. ოსმალებმა ქართველთა უკან დახევით ისარგებლეს და 1554 წელს ოდიშის სანაოსნო მდინარეებზე საბაჟო კონტროლი დააწესეს (ბერაძე 1989: 211-212; ბერაძე 1999ა: 158-159).

ვინაიდან ოდიშის მთავარ სანაოსნო მაგისტრალებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ხობისწყალი იყო (ბერაძე 1989: 240; ბერაძე 1999ა: 162), ცხადია, რომ საბაჟო კონტროლი მასზეც გავრცელდებოდა. თურქული კატარდები უსათუოდ

გამოჩნდებოდნენ მდინარის ბოლო სანაოსნო პუნქტის – ხობის მონასტრის მისაღვმებთანაც (ბერაძე 1989: 240; ბერაძე 1999ა: 162; სამეგრელო ... 1999: 369). ჩვენი აზრით, სწორედ ამ მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს „თათრების“ მიერ ხობის დარბევის ფაქტიც. როგორც ჩანს, ოსმალო მეზღვაურები და ყირიმელი ჯარისკაცები მხოლოდ საბაჟო საქმიანობით არ გმაყოფილდებოდნენ და მშვიდობიან მოსახლეობასაც ესხმოდნენ თავს. ხობი, ამ მხრივ, ჩინებული სამიზნე იქნებოდა – იგი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მონასტერი იყო შუა საუკუნეების საქართველოში (თაყაიშვილი 1914: 137-161; ბუკია 1998: 111-113).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხობის მონასტერში სასულიერო ცხოვრების შეწყვეტა 1553-1554 წლებით უნდა დათარიღდეს. ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს აქ მოქმედი საკათოლიკოსო რეზიდენციის მოშლაც.

1557 წელს ლევან I სტამბულში ჩავიდა. დადიანის ელჩობა წარმატებული გამოდგა. ოსმალთა საზღვაო აგრესის საფრთხე კარგა ხნით აღიკვეთა (ბერაძე 1989: 208-210; ბერაძე 1999ა: 160-161). ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ხობის საკათოლიკოსო რეზიდენციის აღდგენისათვისაც. თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

მართალია, 1569 წლისათვის ხობში სასულიერო მოდგაწეობა უკვე განახლებული ყოფილა, მაგრამ ეს მთლიანად ხობელი ეპისკოპოსის (?) ნიკოლოზ წულუკიძის დამსახურება იყო (დოლიძე 1970: 274-275). აფხაზეთის კათოლიკოსები კი, როგორც ჩანს, არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ მონასტრის აღდგენა-განახლების საქმეში.

მეტიც, ლიხომიქერეთის მწყემსმთავრები საერთოდ აღარ ჩანან ხობის მონასტრის სასულიერო ცხოვრებაში. ამ მხრივ, ძალზე მეტყველია ერთი გარემოება. თუ 1470-1474 წლებში ხობში დაკრძალვისათვის დაწესებული გამოსადები – ნიშანი აფხაზეთის კათოლიკოსის საკუთრება იყო (დოლიძე 1965: 210), 1569 წლის საბუთში საპირისპირო სურათს ვხედავთ. ვინმე ზამან ბარძიმისშვილის დაკრძალვისათვის გაცემული ნიშანი უკვე ხობელი ეპისკოპოსის (?) კუთვნილებას წარმოადგენდა (დოლიძე 1970: 274-275).

ამრიგად, საფიქრებელია, რომ 1553-1554 წლებში ოსმალთა მიერ ხობის აოხრების შემდეგ ლიხომიქერეთის მწყემსმთავრებმა საერთოდ მიატოვეს აქ მოქმედი საკათოლიკოსო რეზიდენცია და მონასტერიც უშუალოდ ხობელი ეპისკოპოსების (?) დაქვემდებარებაში გადავიდა.

სამაგიეროდ, იმავე 1550-იან წლებში აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე ახლა უკვე გელათში გამოჩნდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა მონასტრის სასულიერო ცხოვრებაში. მისი ღვაწლით აღდგა და მოიხატა გელათის მონასტრის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიები, გადაინუსხა რიგი მნიშვნელოვანი ხელნაწერებისა. მისივე სახელს უკავშირდება გელათისათვის მრავალრიცხოვანი სიწმიდეების გადაცემა, საეკლესიო ნივთების შეწირვა და სხვ. (საქართველოს ... 2000ა: 139-141).

ჩვენი დაკვირვებით, აფხაზეთის კათოლიკოსთა ხობიდან გაუჩინარება და იმავდროულად გელათში გამოჩენა ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა ეტაპი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ლიხთიმერეთის მწყემსმთავრების გელათში გადასვლა პოლიტიკური კონიუნქტურის გარდა, ხობის საკათოლიკოსო რეზიდენციის მოშლითაც იყო განპირობებული. თუ ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ აფხაზეთის კათოლიკოსთა გელათში დამკვიდრების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი დღეოსათვის მიღებული 1545 წლის ნაცვლად 1553-1554 წლებით უნდა განისაზღვროს.

ამ ქრონოლოგიის დადგენა სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ირკვევა, რომ ბიჭვინთის პარალელური რეზიდენცია ხობში საკმაოდ მცირე ხნის მანძილზე – 1470-1474 წლებიდან 1553-1554 წლებამდე მოქმედებდა. ამ პერიოდში კი, ქართული ისტორიოგრაფია, ბართლომეს გარდა, აფხაზეთის ორადორ კათოლიკოსს – იოაკიმესა და მალაქია I-ს იცნობს და მათ შესახებაც უადრესად მწირ მასალას ფლობს (საქართველოს ... 2000ა: 136-139). როგორც ჩანს, სწორედ ქრონოლოგიური შეზღუდულობითა და ცნობების სიმწირით უნდა აიხსნას ის უცნაური გარემოება, რომ განსახილავ პერიოდში მოღვაწე აფხაზეთის სამი მწყემსმთავარიდან „ხობის კათოლიკოსის“ ტიტულით მხოლოდ ბართლომეს ვხედავთ.

იმავე XVI საუკუნის შუახანებში მნიშვნელოვანი ეთნიკური პროცესები განვითარდა ლიხთიმერეთის ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე. ჯიქებმა აფხაზეთის საერისთავოს გაგრის ვიწროებსა და მდინარე ბზიფს შორის მდებარე ტერიტორია წაართვეს (ხორავა 1996: 57-58, 63) და 1550-იანი წლებისათვის უშუალოდ გაუმეზობლდნენ ბიჭვინთას. საკათოლიკოსო კათედრაზე ინტენსიური სასულიერო მოღვაწეობა, როგორც ჩანს, შეუძლებელი გახდა. ამ ფონზე საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო გელათში მოქმედი რეზიდენციის როლი. ეს ასეც მოხდა და გელათი აფხაზეთის კათოლიკოსთა მუდმივ სამკვიდრებლად გადაიქცა (ლომინაძე 1966ა: 186).

ამ მხრივ, ძალზე მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ 1578 წელს კათოლიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, წინამორბედ მწყემსმთავართაგან განსხვავებით, უკვე გელათში დაიკრძალა (ლომინაძე 1966ა: 181)¹⁰⁸. ბიჭვინთის ტაძარი ბოლომდე აფხაზეთის კათოლიკოსთა კათედრად დარჩა, თუმცა კი, ლიხითიმერეთის მწყემსმთავრები ძალზედ იშვიათად ახერხებდნენ იქ ჩასვლას (ლომინაძე 1966ა: 205). რაც შეეხება ხობის რეზიდენციას, იგი აფხაზეთის კათოლიკოსებს თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე დაკარგული პქონდათ. სავანე უშუალოდ ხობელ ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდა. XVII საუკუნის მეორე მესამედში მდგომარეობა შეიცვალა. 1639-1657 წლებში ლევან II დადიანმა ადადგინა შამადავლა დადიან-გურიელის მიერ 1470-იან წლებში ერთხელ უკვე განახლებული ხობის იადგარის პირობები და მონასტერი კვლავინდებურად აფხაზეთის კათოლიკოსებს გადასცა (დოლიძე 1965: 208-211)¹⁰⁹. ხობმა ისევ დაიბრუნა საკათოლიკოსო რეზიდენციის ფუნქცია, თუმცა კი, თავისი მნიშვნელობით, ის უკვე ვედარასოდეს გაუტოლდა გელათის კათედრას¹¹⁰.

¹⁰⁸ აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანის მიზეზები დეტალურად აქვს შესწავლილი ბაბილინა ლომინაძეს (ლომინაძე 1966ა: 205-211). მისი დაკვირვებები და ძირითადი დასკვნები, არსებითად, მისაღებია, თუმცა, საკითხების მოვლი რიგი ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას. ეს ფაქტი, პირველ რიგში, იმით არის განპირობებული, რომ მკვლევარი არ იცნობდა Ven.4-ის მინაწერს და მსჯელობისას საერთოდ არ გაუთვალისწინებია ხობში საკათოლიკოსო რეზიდენციის არსებობის ფაქტი. ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომი გარკვეულწილად ავხებს ბაბილინა ლომინაძისეულ სქემას და ხელს უწევობს ისტორიული სურათის მაქსიმალურად სრულ რეკონსტრუქციას.

¹⁰⁹ ლევან II-ის ხიგელის თანახმად, ხობში დაკრძალვისათვის დაწესებულ ნიშანს, ისე, როგორც შამადავლა დადიან-გურიელის ჟამს, XVII საუკუნეშიც აფხაზეთის კათოლიკოსები იდებდნენ (დოლიძე 1965: 210). გარდა ამისა, იმავე საბუთიდან ირკვევა, რომ ოდიშელ დიდებულს, ვინმე მელიასა (ამ გვარის წარმომადგენელია ოთარ მელია, რომელსაც 1675 წლისათვის ლევან III-ის კარზე მესტუმრის სახელო ეჭირა (კაკაბაძე 1921: 77)) და ხობის საყდრისშვილებს ქონებრივი დავა მოსვლიათ. საქმე, ერთი მხრივ, ლევან II-სა და ოდიშის დარბაისლებს, ხოლო, მეორე მხრივ, არა ხობის ეპისკოპოსს, ან თუნდაც მონასტერის წინამდვარს, არამედ კათოლიკოს მაქსიმე მაჭუტაძეს განუხილავთ (დოლიძე 1965: 211). როგორც ჩანს, საბუთის გაცემის ჟამს – 1639-1657 წლებში ხობი ლიხითიმერეთის მწყემსმთავრთა მფლობელობაში იყო და ამიტომაც, სასამართლო საქმის წარმოებისას მის მხარეს სწორედ კათოლიკოსი მაქსიმე წარმოადგენდა. ლევან II-ის საბუთის გაცემის შემდეგ აფხაზეთის კათოლიკოსებს ხობის მონასტერი კვლავ დაუკარგავთ. ვამეყ დადიანის (1658-1660/62 წწ.) მიერ 1658 წელს გაცემული სიგელიდან ვიგებთ, რომ ლიხითიმერეთის მწყემსმთავრებს ოდიშში საეკლესიო დღესასწაულის გადასახდელად ერთი რიგიანი ტაძარიც კი არ ჰქონიათ. ამიტომ, დადიანს კათოლიკოს ზაქარია ქვარიანისათვის ხატის, ჯვრისა და ომფორის დასასვენებლად სენაკის საწინამდევრო საყდარი შეუწირავს (კაკაბაძე 1921: 761-762). ჩვენთვის უცნობია, რა ხნის მანძილზე ასრულებდა სენაკი საკათოლიკოსო რეზიდენციის მოვალეობას. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ XVII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ლიხითიმერეთის მწყემსმთავრებს ისიც დაუკარგავთ (კაკაბაძე 1921: 76-77). პრობლემა საბოლოოდ 1675 წელს მოგვარდა და ლევან III დადიანმა კათოლიკოს დავით ნემსაძეს (1673-1696 წწ.) რეზიდენციად კვლავინდებურად ხობის მონასტერი გადასცა (კაკაბაძე 1921: 76-77).

¹¹⁰ სხვათა შორის, ხობის საკათოლიკოსო რეზიდენციას აფხაზეთის კიდევ ერთი უცნობი მწყემსმთავრის მოდვაწეობა უნდა უკავშირდებოდეს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ხობის ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობა, სადაც, ლევან II დადიანის ოჯახისა და ხობელი ნიკოლოზ ხოლოეაშვილის გვერდით, კათოლიკოს ილარიონის გამოსახულებასაც ვხვდებით (ბერიძე 1973: 74, 81-83). ეს უკანასკნელი, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, შევვანილი არ არის აფხაზეთის

ამრიგად, XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) 156v-ზე დაცული ნუსხური მინაწერის შესწავლის შედეგად, დადგინდა შემდეგი:

1. მინაწერში მოხსენიებულია აფხაზეთის აქამდე უცნობი კათოლიკოსი ბართლომე, რომელიც ლიხოთიმერეთის მწყემსმთავრის საყდარს დაახლოებით 1488-1519 წლებში ფლობდა. გაცილებით ადრე, 1484-1488 წლებში, იგი ცაიშელი მღვდელმთავარი იყო, 1488 წლისათვის კი უკვე ქუთაისის მთავარეპისკოპოსობა პქონდა მიღებული. საფიქრებელია, რომ ბართლომემ კათოლიკოსად ყოფნის

კათოლიკოსთა არც ბაბილინა ლომინაბისეულ (ლომინაძე 1954) და არც თამარ ქორიძისეულ (საქართველოს ... 2000ა: 9, 134-172) ქრონოლოგიურ რიგში. მიუხედავად ამისა, საგსტიო ვიზიონებით ვახტანგ ბერიძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ვინჩე კათოლიკოსი იღარიშნი ნამდვილად მოღვაწეობდა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ეპლესიაში (ბერიძე 1973: 82-83). მეტიც, ჩვენ ვითვალისწინებო მკვლევრის მიერ თავმოყრილ დიპლომატიკურ მასალას (ბერიძე 1973: 83) და ვფიქრობთ, რომ იღარიშნის აფხაზეთის საკათოლიკოსო საყდარი 1657 წელს, მაქსიმე მაჭუტაბის გარდაცვალების (ლომინაძე 1954: 132; ბერიძისშვილი 1973: 149) შემდეგ უნდა მიეღო. ახლადაღსაყდრებული მწყემსმთავარი, როგორც ჩანს, საქმაოდ დაახლოებული იყო ოდიშის სამთავრო სახლთან და მისი ორი წარმომადგენლის – ვამეყ ლიპარტიანისა (1658-1660/62 წწ.). და ლიპარტი დადიანის (1657-1658 წწ.) დაპირისინებისას (ჯამბურია 1973: 341-342) ამ უკანასკნელის მხარე ეჭირა. მეტიც, იღარიშნი პირადად მონაწილეობდა 1658 წელს გამართულ ბანძის ომში (კლდიაშვილი ... 1993: 425), სადაც ლიპარტი დადიანი სასტიკად დაამარცხა ვამეყ ლიპარტიანისა და იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) ლაშქარმა (ჯამბურია 1973: 341-342). ამ ვაქტონ დაკავშირებით, ძვირფას ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე III-ის მიერ იმავე 1658 წელს გაცემული სიგელი, რომელიც გვამცნობს, რომ მეფის ერთგულ ეზია იოსელიანს დადიანის მომხრე კათოლიკოსი იღარიშნი ბრძოლის ველზე ტყვედ შეუპყრია (კლდიაშვილი ... 1993: 425). ალექსანდრე III-მ საპატიო ტყვე გამოითხოვა და მის სანაცვლოდ, იოსელიანს ემა-მამული უწყალობა (კლდიაშვილი ... 1993: 425). ისტორიული სურათის სწორედ ამგვარ რეკონსტრუქციას უჭირს მხარს XVII საუკუნის აფხაზეთის კათოლიკოსთა ქრონოლოგიაც. როგორც ცნობილია, მაქსიმე მაჭუტაბე 1657 წელს გარდაიცვალა (ლომინაძე 1954: 132; საქართველოს ... 2000ა: 149), ზაქარია ქვარიანი კი მწყემსმთავრის ხარისხით პირველად 1658 წელს ჩანს (ლომინაძე 1954: 132). ისმის კითხვა – ვის ეჭირა საკათოლიკოსო საყდარი 1657-1658 წლებში? ბაბილინა ლომინაბემ, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მასალა არ გააჩნდა, ზაქარია ქვარიანის კათოლიკოსად კურთხევა ერთი წლით დააძველა და მისი ზეობის ათვლა 1657 წლიდან დაიწყო (ლომინაძე 1954: 132). მოვიანებით მისი მოსაზრება სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს (საქართველოს ... 2000ა: 150-151). ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვს და ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის კათოლიკოსობა მაქსიმე მაჭუტაბის შემდეგ, 1657 წელს იღარიშნი მიიღო. ლიხოთიმერეთის მწყემსმთავრად იგი მხოლოდ ერთი წლის მანძილზე იმყოფებოდა. 1658 წელს, ბანძის ომში დამარცხებისა და ტყვედ ჩაგარდნის შემდეგ, მას კათოლიკოსობა ჩამოართვეს და დასვლეთ საქართველოს მწყემსმთავრის საყდარი გენათის მიტროპოლიტს ზაქარია ქვარიანის გადასცეს. თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა – სად მოსაზღრულებდა იღარიშნი? გელათის კათედრა ამთავითვე უნდა გამოირიცხოს. იღარიშნი ლიპარტი დადიანის აქტიური მხარდამჭერი იყო და იმერეთის მეფის წინააღმდეგ პირადად მონაწილეობდა ბანძის ომში. რჩება ხობის საკათოლიკოსო რეზიდენცია. საფიქრებელია, რომ იღარიშნი სწორედ აქ მოვიანებდა. ხობის ტაბარში შესრულებული მისი ფრესკული გამოსახულებაც ამ მოსაზრების დოკუმენტურ დადასტურებას უნდა წარმოადგენდეს. XVII საუკუნის 70-იან წლებში იღარიშნი ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს. 1677 წელს მან საქუთარი ხელით გადაწერა აბულახსარ ამირეჯიბის შვილის (1515-1535 წწ.) მიერ კაცის მონასტრისათვის მიცემული ემა-მამულის შეწირულების განახლების წიგნები (კლდიაშვილი ... 1993: 425). საყურადღებოა, რომ ამ საბუთებში იღარიშნი კალავინდებურად კათოლიკოსად იწოდება, რაც, რასაკვირველია, აღარ ასახავს რეალურ ვითარებას. ამ პერიოდში ლიხოთიმერეთის მწყემსმთავრად დავით ნემსაძეს (1673-1696 წწ.) ვხედავთ (საქართველოს ... 2000ა: 156). რაც შეეხება იღარიშნს, ის, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა კათოლიკოსის ფიქტიურ ტიტულს.

დროს წმიდა მიწაზე იმოგზაურა და ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაცული Ven.4-ის აშიაზე სავედრებელი კოლოფონიც შეასრულა.

2. 1470-1474 წლებიდან 1553-1554 წლებამდე აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენცია დადიანების საგვარეულო საძვალეში, ხობის მონასტერში მოქმედებდა. დროის ამ მონაკვეთში ლიხთიმერეთის მწყემსმთავრები ბიჭვინთის პარალელურად, ხობში მოსაყდრეობდნენ და „ხობის კათოლიკოსის“ საეკლესიო ტიტულს ატარებდნენ. გარეჯული კრებულის კოლოფონში ნახსენები „კობისა ქათალიკოზი ბართლომე“ ამ მოსაზრების წერილობით დადასტურებას წარმოადგენს. XV საუკუნის მიწურულიდან დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ვიტარება რადიკალურად შეიცვალა და აფხაზეთის კათოლიკოსთა მთავარ მხარდამჭერად დადიანების ფეოდალური სახლის ნაცვლად, იმერეთის სამეფო კარი გამოვიდა. ამას 1553-1554 წლების მოვლენებიც დაერთო. ოსმალო მეზღვაურებმა და ყირიმელმა თათრებმა (?) ხობის მონასტერი დაარბიეს. სავანეში სასულიერო ცხოვრება შეწყდა. ლიხთიმერეთის მწყემსმთავრებმა ხობის მოშლილი რეზიდენცია მიატოვეს და ახალი საკათოლიკოსო კათედრა დასავლეთ საქართველოს უდიდეს სამეფო მონასტერში, გელათში დაიმკვიდრეს.

§5. ბელათელი მონაზონის, ლევან IV დადიანის თანამეცხვდრის, თინათინ-
ყოფილი ნინო გაბრატიონისა და მონაზონ ვებრონია
ხევარიძის სამი მინაწერი (XVIII ს-ის I ნახ.)¹¹¹

თავდაპირველად წარმოვადგენთ განსახილავ სავედრებელ მინაწერებს.

I. შესრულებულია 265r-ს ქვედა აშიაზე. 6,8 X 1 სმ. ორი სტრიქონი.
ნუსხური. რამდენიმე გრაფემა – ასომთავრულითა და მხედრულით. შავი ფერის
მელანი. განკვეთილობის ნიშანი: წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
ტექსტის ბოლოს დასმულია სამი წერტილი. ქარაგმად ნახმარია პატარა განივი
კლაკნილი ხაზი. დღეისათვის ტექსტი გამოცემულია ხუთგზის: პირველად –
გრიგოლ ფერაძის მიერ, 1940 წელს (ფერაძე 1940: 232)¹¹²; მეორედ – ზურაბ
სარჯველაძის მიერ, 1983 წელს (სარჯველაძე 1983: 86)¹¹³; მესამედ – გულნაზ
კიკნაძის მიერ, 1989 წელს, (გიგინეიშვილი ... 1989: 593)¹¹⁴; მეოთხედ – ჩვენს მიერ,
2002 წელს (ჯოჯუა 2002გ: 114)¹¹⁵; დაბოლოს, მეხუთედ – აგრეთვე, ჩვენს მიერ,
2004 წელს, ერთი და იმავე პუბლიკაციის ორ სხვადასხვა ადგილას (ფერაძე
2004: 173, 181)¹¹⁶.

ლ. ჭ. ჭერაძე უფროსი

თბილისი. კაფთა. 6. ჩინა:

ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ბატონიშვილი / თინათინ-ყოფილი <ნ> ნინო.

¹¹¹ წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკვნების ძირითადი
ნაწილი შეტანილი გვაქვს 2008 წელს დაბეჭდილ სტატიაში: „გელათელი მონაზონის – ლევან
IV დადიანის ცოლყოფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფეხბრონია ხევარიძის
სავედრებლები (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის
(Ven.4-ის) აშიებიდან“ (ჯოჯუა 2008: 153-173).

¹¹² უცვლელად მოგვაქვს ტექსტის გრიგოლ ფერაძისეული პუბლიკაცია: „ღ შ. ბატონიშვილი
თინათინ. ყოფილი ნინო“ (ფერაძე 1940: 232).

¹¹³ უცვლელად მოგვაქვს ტექსტის ზურაბ სარჯველაძისეული პუბლიკაცია: „ღმერთო, შეიწყალე
ბატონიშვილი თინათინ. ყოფილი ნინო“ (სარჯველაძე 1983: 86).

¹¹⁴ უცვლელად მოგვაქვს ტექსტის გულნაზ კიკნაძისეული პუბლიკაცია: „ღმერთო, შეიწყალე
ბატონიშვილი თინათინ. ყოფილი ნინო“ (გიგინეიშვილი ... 1989: 593).

¹¹⁵ უცვლელად მოგვაქვს ტექსტის ჩვენეული, 2002 წლის პუბლიკაცია: „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე
ბატონიშვილი თინათინ ყოფილი <ნ>ნინო“ (ჯოჯუა 2002გ: 114).

¹¹⁶ უცვლელად მოგვაქვს ტექსტის ჩვენეული, 2004 წლის პუბლიკაციები: 1. გრიგოლ ფერაძის
მიერ გამოქვეყნებული ტექსტი, სადაც ქარაგმები ჩვენს მიერ არის გახსნილი: „ღ(მერთ)ო
შ(ეიწყალ)ე ბატონიშვილი თინათინ. ყოფილი ნინო“ (ფერაძე 2004: 173); 2. უშუალოდ ჩვენს მიერ
წაკითხული ტექსტი: „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ბატონიშვილი / თინათინ ყოფილი <ნ>ნინო“
(ფერაძე 2004: 181).

II. შესრულებულია 265r-ს ქვედა აშიაზე, ბატონიშვილი თინათინ-ყოფილი ნინოს სავედრებელის ქვემოთ. 5,7 X 2,1 სმ. ოთხი სტრიქონი. ნუსხური. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად ნახმარია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. დღეისათვის ტექსტი გამოცემულია ოთხგზის: პირველად – ზურაბ სარჯველაძის მიერ, 1983 წელს (სარჯველაძე 1983: 86)¹¹⁷; მეორედ – გულნაზ კიქნაძის მიერ, 1989 წელს (გიგინეიშვილი ... 1989: 593)¹¹⁸; მესამედ – ჩვენს მიერ, 2002 წელს (ჯოჯუა 2002გ: 114)¹¹⁹; დაბოლოს, მეოთხედ – აგრეთვე, ჩვენს მიერ, 2004 წელს (ფერაძე 2004: 173, 181)¹²⁰.

„შ უ მ უ ფ უ მ უ მ უ“

შაჩიჩხაჩი უალაშოთ

უმ თ შ ა ს უ მ უ კ უ

ლ უ მ უ მ უ მ უ

ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ფებრიონია, / მონაზონი გურული / {და} ბიძა მიხი
გრიგ(ო)ლ / ხევარიძე.

III. შესრულებულია 305r-ს ქვედა ნახევარზე, ურბნელი ეპისკოპოსის სვიმეონ ჩხეიძის სავედრებელის (1700 წ.) ქვემოთ. 15,6 X 2,3 სმ. ორი სტრიქონი. მხედრული. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან ორწერტილი ალაგ-ალაგ. ქარაგმად ნახმარია პატარა განივი სწორი ხაზი, რომელსაც მარცხენა ბოლო ზევით აქვს აპრეხილი. ტექსტი აქამდე არასოდეს ყოფილა გამოცემული.

ღ-თო შ-ე ფ-დ ცოდვილი მონაზონ ფებრონია გურული ხევარიძის ასული

¹¹⁷ უცვლელად მოგვაქს ტექსტის ზურაბ სარჯველაძისეული პუბლიკაცია: „ღმერთო, შეიწყალე ფებრონია მონაზონი, გურული, ბიძა მიხი გრიგოლ ხევარიძე“ (სარჯველაძე 1983: 86).

¹¹⁸ უცვლელად მოგვაქს ტექსტის გულნაზ კიქნაძისეული პუბლიკაცია: „ღმერთო, შეიწყალე ფებრონია მონაზონი გურული, ბიძა მიხი გრიგოლ ხევარიძე“ (გიგინეიშვილი ... 1989: 593).

¹¹⁹ უცვლელად მოგვაქს ტექსტის ჩვენეული, 2002 წლის პუბლიკაცია: „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ფებრიონია, მონაზონი გურული, ბიძა მიხი გრიგ(ო)ლ ხევარიძე“ (ჯოჯუა 2002გ: 114).

¹²⁰ უცვლელად მოგვაქს ტექსტის ჩვენეული, 2004 წლის პუბლიკაცია: „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ფებრიონია, / მონაზონი გურული, / ბიძა მიხი გრიგ(ო)ლ / ხევარიძე“ (ფერაძე 2004: 181).

**ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ფ(რია)დ ცოდვილი მონაზონის ფეხურონია, გურული,
/ ხევარიძის ასული.**

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი სამი მინაწერიდან არც ერთს არ უზის თარიღი. ამ ნაკლოვანებას ერთგვარად ავსებს III კოლოფონის შესრულების ადგილზე დაკვირვება. ეს უკანასკნელი დაწერილია ურბნელი ეპისკოპოსის სვიმეონ ჩხეიძის 1700 წლის სავედრებელის შემდეგ და მდგდელმონაზონ ბესარიონ ქიოტიშვილის 1813-1814 წლების მინაწერის წინ¹²¹. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, ცალსახად მიგვითოთებს იმაზე, რომ III კოლოფონის ტექსტი, ისე როგორც დანარჩენი ორი მინაწერი, 1700 წლიდან 1813-1814 წლებამდე პერიოდში იყო შესრულებული.

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია და სამივე კოლოფონი ნამდვილად 1700-1813/1814 წლებშია დაწერილი, მაშინ ნათელი ხდება ისიც, რომ კოლოფონების შესრულების დროს მათი დამწერი წმიდა მიწაზე, უფრო ზუსტად კი, იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში იმყოფებოდა. მართლაც, ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ Ven.4, სულ მცირე, 1363 წლიდან მოყოლებული 1845 წლამდე მაინც იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში ინახებოდა და ამიტომ, მის აშიებზე დროის ამ მონაკვეთში დაწერილი უკლებლივ ყველა კოლოფონი, ცხადია, ან ამავე მონასტრში მოღვაწე, ან კიდევ, წმიდა მიწაზე ჩამოსული მომლოცველების მიერ უნდა ყოფილიყო შესრულებული.

გადავიდეთ მინაწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციის საკითხზე. კოლოფონების ტექსტებში დადასტურებული გვაქვს სამი კონკრეტული პირის გვარ-სახელი: 1. ბატონიშვილი თინათინ-ყოფილი ნინო (I კოლოფონი); 2. გურული მონაზონი ფეხურონია ხევარიძე (II და III კოლოფონები); და 3. მონაზონ ფეხურონიას ბიძა გრიგოლ ხევარიძე (II კოლოფონი).

დავიწყოთ I კოლოფონით. როგორც მისი ტექსტი გვაუწყებს, აქ მოხსენიებული თინათინ-ყოფილი ნინო „ბატონიშვილი“ ყოფილა, რაც შეა

¹²¹ სვიმეონ ურბნელის სავედრებელის ტექსტში პირდაპირ არის მითითებული მისი დაწერის თარიღი – ქრონიკით ტაც ანუ 1700 (1312+388) წელი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, II, 305r). ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მდვდელ-მონაზონ ბესარიონ ქიოტიშვილის მინაწერს თარიღი არ უზის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, RT XXV-3, II, 305r), თუმცა მის მიერ Ven.4-ის აშიებზე შესრულებული სხვა, თარიღიანი მინაწერებიდან ჩათლად ჩანს, რომ მამა ბესარიონი თავის მრავალრიცხვან კოლოფონებს 1813-1814 წლებში წერდა (ჯოჯუა 2002გ: 94-95, 103-104, 129, 138-140). შესაბამისად, ამავე 1813-1814 წლებით განისაზღვრება 305r-ზე შესრულებული, ჩვენთვის საინტერესო უთარიღო კოლოფონის ქრონოლოგიაც.

საუკუნეების საქართველოში, სუზერენის, უპირატესად კი, მეფის შვილობას ნიშნავდა (ხანთაძე 1997: 368). ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, I მინაწერის ტექსტში მოხსენიებული თინათინ-ყოფილი ნინო მეფის ასული ყოფილა. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რომელ ქართულ სამეფო სახლს ეკუთვნოდა ნინო ბატონიშვილი – ქართლისას, კახეთისას თუ იმერეთისას, ამის შესახებ მინაწერში არაფერია ნათქვამი.

ნინო ბატონიშვილის სადაურობის დადგენაში დიდ დახმარებას გვიჩვევს XI საუკუნის ეტრატზე ნაწერი ხელნაწერის – წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ (S-353) აშიებზე შესრულებული სამი გვიანდელი სავედრებელი. მოგვაქვს მათი ტექსტები:

„ღმერთო, შეიწყალე ბატონიშვილი <ო> ნინო“.

„ღმერთო, შეიწყალე იმერელი ბატონიშვილი ნინო“.

„უფალო, შეიწყალე მონაზონი ფ(ე)ბრ<რ>(ო)ნია, ა(მე)ნ, ა(მე)ნ“ (კოლოფონებში ტექსტის გამართვა და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1959გ: 411).

როგორც ვხედავთ, წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ სავედრებლებსა და გარეჯული კრებულის მინაწერებში მოხსენიებული არიან ზუსტად ერთი და იგივე პირები – ბატონიშვილი ნინო და მონაზონი ფეხბრონია. ამასთან, წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ მეორე სავედრებელის ტექსტი, გარეჯული კრებულის კოლოფონებისაგან განსხვავებით, ერთ დამატებით ცნობასაც გვაწვდის ნინო ბატონიშვილის შესახებ და ხაზგასმით მიგვითითებს, რომ იგი „იმერელი ბატონიშვილი“ ანუ იმერეთის მეფის ასული ყოფილა (შდრ.: ჯოჯუა 2002გ: 114).

ნინო ბატონიშვილის სადაურობის გარკვევის შემდეგ ჩვენ საგანგებოდ გავეცანით იმერეთის სამეფოს 1700-1813/1814 წლების ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალრიცხვან წერილობით ძეგლებს და გამოვავლინეთ რამდენიმე საინტერესო ცნობა თინათინ-ყოფილი ნინოს შესახებ.

აღნიშნული საისტორო მასალიდან, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ XVII საუკუნით დათარიღებული გელათის გულანის (ქუთ.16) კინკლოსის ერთერთი ქრონიკალური მინაწერი. მინაწერი შესრულებულია ტშბ ქრონიკონის ანუ 1704 წლის გასწვრივ და გვაუწყებს შემდეგს:

„[ა]შ ქორ<ა>ნიკონსა, აპრილის ბ (2), დღესა კვირიაკესა, ბაგრატ მეფისა (იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ IV – თ. ჯ.) ასული, ბატონისშვილი თინათინ მონაზენათ გაუზრთხა. იყო წლისა პვ (26)“ (ტექსტის გამართვა და პუნ-

ქზუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (ჟორდანია 1897: 608. შდრ.: ნიკოლაძე 1953: 82; ჟორდანია 1967: 12).

დაახლოებით გელათის გულანის კინკლოსის მინაწერის მსგავს ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნეში შედგენილი მომცრო ზომის ხელნაწერის (კინკლოსის) – „სრული ქორონიკონის“ (S-252გ) ერთი ქრონიკალური მინაწერიც. ტექსტში, რომელიც შესრულებულია ტაბ ქრონიკონის ანუ 1704 წლის გასწვრივ, ვკითხულობთ:

„აქა ეკურთხა მონაზვნათ ბაგრატ იმერეთის მეფის (იგულისხმება იმერეთის მეფე ბაგრატ IV – თ. ჯ.) ახული თინათინ. იყო წლის ავ (26)“ (ბრეგაძე ... 1959ბ: 259. შდრ.: ჟორდანია 1967: 12, 621; ოდიშელი 1968: 59)¹²².

¹²² 1853 წელს, სვანეთში დიპლომატიური მისით მყოფმა რუსმა სიძველეთმცოდნებ ივანე ბართოლომეიმ ზემო სვანეთის მულახის თემის სოფელ ქამუშის ეკლესიაში მიაკვლია ვერცხლის სურას, რომელზეც წარმოდგენილი იყო ორი მხედრული წარწერის ტექსტი (მოგ ზაურობა ... 1855: 233, ტაბ. III, №1). მოგვაქვს ამ წარწერათა ექვთიმე თაყაიშვილისეული წაითხვა: 1. „ქ. შემოგწირეთ ჩვენ, მეფეთმეფემან, პატრონმან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალმან, პატრონმანს“ თამაქრ, სურა ებე, ხელმწიფობისა ჩვენისა წარწერაშვალთვალია, მაცხოვარს მულაყოთასაც, ქრონიკონის ხამაცხა თრთულისაუმტება (1667 წ.); 2. „ქ. ბატონიშვილის თინათინის“ (წარწერებში ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1937: 258. შდრ.: მოგ ზაურობა ... 1855: 233, ტაბ. III, 31; ბაქრაძე 1864: 102). ივანე ბართოლომეიმ თავის 1855 წელს დაბეჭდილ ნაშრომში – „Поездка въ Вольную Сванетию...“, არამხოლოდ გამოაქვეყნა აღნიშნული ტექსტები, არამედ გამოთქვა კიდევ აზრი, რომ ვერცხლის სურის წარწერებში მოხსენიებული იყვნენ იმერეთის მეფე ბაგრატ IV (1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681 წ.). მისი თანამეცხედრე – დედოფალი თამარი და მათი ასული – თინათინი. იმავდროულად, რუსმა სიძველეთმცოდნებ უწრადდება გაამახვილა იმ საინტერესო ფაქტზე, რომ პირველი წარწერის თანახმად, სურა მულახის ეკლესიისათვის იყო შეწირული, ხოლო მეორე წარწერის მიხედვით, იგივე სურა პირველ წარწერაში მოხსენიებული მეფე-დედოფლის ასულის საკუთრებას წარმოადგენდა. მკვლევარმა ერთგვარი ახსნა მოუძებნა წარწერებში დაცული ცნობების წინააღმდეგობრივ ხასიათს და ივარაუდა, რომ ვერცხლის სურა თავდაპირველად ბატონიშვილი თინათინს ეპუთვნოდა, მულახის ეკლესიისათვის კი ის მოგვიანებით იყო შეწირული (მოგ ზაურობა ... 1855: 233). ვერცხლის სურის წარწერებში დადასტურებული ისტორიული პირების ივანე ბართოლომეისეული იდენტიფიკაცია, პრაქტიკულად, უპრიტიკოდ გაიზიარეს ქართველმა ისტორიკოსებმა – დიმიტრი ბაქრაძემ და ექვთიმე თაყაიშვილმა. ამ უკანასკნელთა აზრითაც, ვერცხლის სურის მეორე წარწერაში მოხსენიებულია ბაგრატ IV-ისა და დედოფალ თამარის ასული – თინათინი (ბაქრაძე 1864: 102; 43, 258). ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია ივანე ბართოლომეის მსჯელობის ის ნაწილი, რომლის თანახმადაც ვერცხლის სურა მისი ქამუშის ეკლესიისათვის შეწირვამდე ბატონიშვილ თინათინის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ პრინციპულად ვერ გავიზიარებთ რუსი სიძველეთმცოდნის იმ მოსაზრებას, რომ მეორე წარწერაში მოხსენიებული ბატონიშვილი თინათინი ბაგრატ IV-ისა და დედოფალ თამარის ასული იყო. მართლაც, პირველი წარწერის ტექსტი ცალსახად გვაუწეუბს, რომ ბაგრატ IV-სა და დედოფალ თამარს ვერცხლის სურა ქამუშის ეკლესიისათვის შეწირვავთ 355-ე ქრონიკონს ანუ 1667 წელს, მათი ასული თინათინი კი, გელათის გულანის კინკლოსისა და „სრული ქორონიკონის“ ქრონიკალური მინაწერების თანახმად, როგორც უპე ვნახეთ ზემოთ, დაბადებული იყო 1678 წელს ანუ ვერცხლის სურის ქამუშის ეკლესიისათვის შეწირვიდან თერთმეტი წლის შემდეგ. შესაბამისად, სრულებით ცხადი ხდება, რომ მეორე წარწერაში მოხსენიებული ბატონიშვილი თინათინი ვერანაირად ვერ იქნება ბაგრატ IV-ისა და დედოფალ თამარის ასული თინათინი. მაშ რომელი თინათინ ბატონიშვილი ისენიება ვერცხლის სურის მეორე წარწერაში? ჩვენი დაკვირვებით, აქ მოხსენიებული უნდა იყოს ბაგრატ IV-ის და, იმერეთის მეფის აღექსანდრე III-ის (1639-1660 წ.). ასული – თინათინი, რომელიც თავდაპირველად ოდიშელი თავადის, ვინმე გოშაძის მეუღლე იყო, 1663 წლიდან კი ოდიშის მთავრის ლევან III დადიანის (1661-1680 წ.) თანამეცხედრე გახდა (ბატონიშვილი

თინათინ-უოფილი ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობის ადრეული პერიოდის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნის სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი. სწავლული ბატონიშვილი 1742-1745 წლებში შედგენილ ფუნდამენტურ ნაშრომში – „ცხოვრება სამეფოსა საქართველოსა“ დაწვრილებით აღგვიწერს XVII საუკუნის 80-90-იანი წლების დასავლეთ საქართველოში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებას და გვაუწყებს, რომ 1684 წელს გამართულ როკითის ომში დამარცხების შემდეგ ოდიშის სამთავროს უზომოდ გაძლიერებულმა დიდმოხელემ გიორგი ლიპარტიანმა ლევან IV დადიანს (1682-1695/1696 წწ.) ცოლად შერთო იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის (1683-1690, 1691-1695 წწ.) ნახევარდა – თინათინი, ასული იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ისა (1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681 წწ.) და მისი თანამეცხედრის, ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰ ნავაზის (1658-1675 წწ.) ძმისწულის, დედოფალ თამარისა (გარდ. 1683 წ.):

„ხოლო გიორგი ლიპარტიანმან იხილა, რამეთუ მოხწყდნენ ძლიერნი იმერეთისანი როკეთის ომსა შინა (იგულისხმებიან ალექსანდრე IV წინააღმდეგ გამოსული იმერელი, რაჭელი და ლეჩეუმელი ფეოდალები – თ. ჯ.), იწყო ლევან დადიანის გამო დალატით ხრა და კლვა წარჩინებულთა ოდიშისათა, ყიდვა უწყალოდ ტყეუთა მაპადიანთა ზედა და გვერა სალიპარიტიანო, და ნებითა მიხითავვ იყო ლევან დადიანად. ამან ლევან მოყვანა ნებითა ლიპარიტიანისათა ცოლად და ალექსანდრე მეფისა თინათინ, ნაშობი თამარ დედოფლისაგან, რათა მოიმტკიცოს ოდიში ძალითა ალექსანდრესითა. ხოლო ლიპარიტიანმან ამისთვის, რათა არღარა მოინგბოს ალექსანდრემ ანუ გურიულმან თავისად ოდიში, არამედ სახელით ოდენ იყო დადიანი ლევან, ვარნა მოქმედი ყოვლისავე იყო ლიპარიტიანი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 849-850; ბერაძე 1999ბ: 218-220; ხორავა 2001: 16).

როგორც ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ სხვა ცნობიდან ირკვევა, ლევან IV დადიანისა და დედოფალ თინათინის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. დაახლოებით 1695/1696 წლებში ოდიშის სამთავროს ფაქტობრივმა გამგებელმა გიორგი ლიპარტიანმა აღარ ისურვა ლევან IV-ის დადიანობა და იგი ოდიშიდან გააძევა. განდევნილმა ლევან IV-მ ჯერ ქართლის სამეფოს შეაფარა თავი, შემდეგ კი სტამბულში ჩავიდა და

ვახუშტი 1973: 837; კლდიაშვილი ... 1993: 9, 312; ჯამბურია 1973: 351). ამრიგად, თუ ჩვენი ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ ირკვევა, რომ ეამუშის ეკლესიის ვერცხლის სურის მეორე, 1667 წლამდე შესრულებულ წარწერაში მოხსენიებულია არა ბაგრატ IV-ის ასული, არამედ მისი და, ალექსანდრე III-ის ასული – ბატონიშვილი თინათინი.

ოსმალეთის სულთანს ოდიშის ტახტზე დაბრუნება სთხოვა, თუმცა მისმა დიპლომატიურმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო და 1696 წლის ახლო-ხანებში სტამბულშივე აღესრულა. ლევან IV-ის გარდაცვალებით დასრულდა დადიანების ძველი დინასტიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ოდიშის მთავრობა ჩიქვანთა ახლადაღზევებული გვარის წარმომადგენელს – გიორგი ლიპარებიანს, იგივე გიორგი IV დადიანს (1701-1709, 1710-1714 წწ.) ჩაუვარდა ხელთ. სამწუხაროდ, ვახუშტი ბაგრატიონი არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდა ამ პროცესებში დადიანების ძველი დინასტიის ბოლო დედოფალი – თინათინ ბაგრატიონი:

„არამედ ვანძლიერდა ლიპარიტიანი გიორგი კლვითა და ტყვება ყიდვითა. არღარ ინება ლევან დადიანი, განაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისა თანა (იგულისხმება იმხანად ქართლში მყოფი იმერეთის მეფე არჩილ II (1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696, 1698 წწ.) – თ. ჯ.). შემდგომად წარვიდა ხელის და მოკუდა მუხ, და დაიბყრა ოდიში ლიპარიტიანმან...“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 856-857; ბერაძე 1999: 220-221; ბერაძე 2000: 31-33).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას ლევან IV დადიანისა და ბატონიშვილი თინათინის ქორწინების შესახებ, პრაქტიკულად, უცვლელი სახით იმეორებს XVIII-XIX საუკუნეების ქართველი ისტორიკოსი ნიკო დადიანი თავის ცნობილ თხზულებაში – „ქართველთ ცხოვრება“ (1823 წ-ის ახლოხან).

ნიკო დადიანის თქმით, 1684 წელს გამართული როკითის ომიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ „ლევონ დადიანმა მიიყვანა მეუღლედ და ალექსანდრე მეფისა თინათინ ნებითა გიორგი ლიპარიტიანისათა, ვინათვან იგი თაობდა ოდიშ-ლეჩხუმისა ზედა და მისითა ნებითა იყო ლევონ დადიანად, სახელით ოდენ, ხოლო საქმით ყოველივე იყო გიორგი ლიპარიტიანისა“ (ნიკო დადიანი 1962: 166).

ნინო ბატონიშვილის ბიოგრაფიის შემდგომი პერიოდის შესახებ ვრცელად არის მოთხოვნილი ცნობილი ქართველი მწიგნობრის გაბრიელ გელოვანის მიერ 1737 წელს რუსულიდან ნათარგმნი „გეოგრაფიისათვის“ დართული ვრცელი ანდერძის ტექსტში. ანდერძის პირველ ნაწილში გაბრიელ გელოვანი დაწვრილებით გადმოგვცემს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ისა (1716-1724 წწ.) და მისი მრავალრიცხვანი ამალის რუსეთში წასვლის პერიპეტიებს (ციტატი მოგვაქვს „გეოგრაფიის“ ერთ-ერთი, 1793 წლის ნუსხიდან (S-1743)):

1724 წლის ივლისში ვახტანგ VI-მ „მხრაფლ დაუტევა ტახტი თვისი; აღდგა და წარმოემართა – მევეთა მიერ რაოდენიმე ურიცხველნი სამღვდელონი

და საერონი ქართველნი, იმერელნი და კახნი ეპიკოპონენი, მღვდელნი, თავადნი, აზნაურნი, მონანი და შიმუნგარნი, დედა-წულითურთ მათით. და მოწია ქვეყანასა რაჭისასა, და აქა უბრძანა მეფემან ერისთავს შოშიტას რათა მთავართა ოქსთასა წარმოუდოს მზევალნი. ესე ამბავი ესმა რა ასულსა მეფისა ბაგრატისასა ბატონის შვილსა ნინოს, იმერეთს, მონახტერსა გელათისასა და მუნიციპან წარმოვიდა მსწრაფლ ფარულად. და ესე მოეხეხნა მეფესა, ძმისწულსა მისსა, ალექსანდრეს იმერეთისასა (იგულისხმება იმერეთის მეფე ალექსანდრე V – თ. ჯ.) და მოწია რომელიმე თავადი ჩხეიძე, რ(ამეთუ) არა ენებათ განტვევება მისი ესეოდებ შორებით. რ(ამეთუ) იხილა მეფეთა ასულმან კაცი ესე მოვლინებული, ფრიად შეწუხნა და ღონისძიება ვერა რა პპოვა. მაშინ იგულისხმა ბატონის შვილმან ნინო და მოვლინებულსა მას თავადსა რომელიმე საბოჭარი უბობა და ძმისწულსა თვისსა ალექსანდრეს არწმუნა ესრეთ, რ(ამეთუ) რომელიმე დაბეჭდილი მაფრაშები დაუგდო, რ(ამეთუ) „ყოველივე ჩემი საუჩჯე ამას შიგან შთამოდებულ არს. მივიდე რა რაჭასაო და გამოვეთხოვთ ძმასა ჩემსაო, მეფისა ქართლისასაო და კვალად მოვიდეთ“. და მათ ესე ვერ გულისხმა-ჟყვებს, რ(ამეთუ) მაფრაშაშიგან იყო ბამბა და მით გატენილ. და ესრეთისა ხელოვნებითა იხსნა თავი თვისი და აწ (?) მობბანდა და ძუცა მაშინ თანა წარმიყვანა, რომელი ვიყავ მიბარებულ მიზეზისათვის ხწავლისათვის თდიშთა მფლობელის ბატონის, დიდის თავადის დადიანის ბეჭანის (იგულისხმება ოდიშის მთავარი ბეჭან დადიანი (1714-1728 წე). – თ. ჯ.) მეუღლის თამარისაგან, რომელი გვიხმდა ჩვენთვის მამიდად. მაშინ მობრძანდა ბატონის შვილი ნინო მეფეთანა რაჭას და ევედრა წარმოყვანასა რუსეთს. მაშინ აღდგა მეფე და განვლო ძღინარე რიონისა და შეუდგა მთასა მაღალსა კაგასისახა...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ენუქიძე ... 1963: 175-176; პაიჭაძე 1973: 421. შდრ.: ოდიშელი 1968: 125).

თინათინ-ყოფილი ნინოს რუსეთში გამგზავრების შესახებ არანაკლებ საინტერესო ცნობას გვაწვდის 1724 წლით დათარიღებული დოკუმენტი – ე. წ. „ვახტანგ VI-ის ამალის 1724 წლის ნუსხა“. ამ ორენვან, ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილ დოკუმენტში წარმოდგენილია ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში ჩასული პირების ნუსხა, რომელსაც, რიგ შემთხვევებში, დართული აქვს სხვადასხვა სახის ცნობები ნუსხაში შეტანილი პირების შესახებ. დოკუმენტში ნინო ბატონიშვილი მოხსენიებულია, როგორც ვახტანგ VI-ის თანამეცხედრის – დედოფალ რუსუდანის (გარდ. 1741 წ.) თანმხლები პირი, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარი ამალა ახლდა:

„ქ. ნუსხა ა (1), საქართველოს მეფის გახტანგ ლევანის შვილისა და ვინც მეფებ დიდი თუ მცირები, დარბაისელნი და მსახურნი ახლავან: ...

ბატონის დედოფალის (იგულისხმება დედოფალი რუსუდანი – თ. ჯ.) ახლავე / შიგნით იმერელ მეფის / ქალი, დადიანის ცოლყოფილი, მონაზონი ნინო – ა (1). /

ამას (იგულისხმება ნინო ბატონიშვილი – თ. ჯ.) ახლავე: მონაზონი – ა (1), / მხლებელი – ა (3), / წინამდღვარი, აზნეურ შვილი / იაკობ – ა (1). /

ამათი (იგულისხმება ბატონიშვილი ნინოს ამალა – თ. ჯ.) მოსამსახურე – 08 (14).

При царицеж (იგულისხმება დედოფალი რუსუდანი – თ. ჯ.): имеретинского царя дшеръ, бывшего Дадиана супруга, монахиня Нина - 1. /

Да принеи (იგულისხმება ბატონიშვილი ნინო – თ. ჯ.): монахиня Макрона - 1, / служительниц женска полу - 3, / да игумен Иаков - 1, / мужеска полу служителей - 14“ (პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (პაიჭაძე 1960: 206).

ნინო ბატონიშვილის რუსეთში ყოფნის შესახებ ცნობები დაცულია 1721 წელს მოსკოვში გადაწერილი ქართული ხელნაწერის – „რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის კანონმდებლობის“ (S-3614) გვიანდელი, დაახლოებით 1742 წლით დათარიღებული ორი კოლოფონის ტაქსტში. კოლოფონების ავტორი, ხელნაწერის შემძენი ვინმე უცნობი პირი გვაუწყებს:

1. „ბატონის შვილი თინათინ მონოზან<ო>{ი} ჩემთან ბძანდებოდ<ე>{ა}“ (ტაქსტის გამართვა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1969: 71).

2. „ქრისტეს აქეთ ჩრდა (1741 წ.), თვეხა ნოემბერს 07 (9) ამ წიგნში ლევე (იგულისხმება ხელნაწერის გადამწერი, ვინმე იოსებ-ყოფილი ლევ პეტროვიჩი – თ. ჯ.) მივეც რუბლი ღ (4).

ქ. ღ (3) კიდევ ნოემბერს 08 (14) მივართვი თავისის კაცის პეტრი.

ქ. ნოემბერს 08 (18) კვირიძეს პეტრი ღ (3) რუბლი ლევე.

ქ. დეკემბერსა ა (1) ორი რუბლი ლევე მივართვი კვირიძეს პეტრი წელსა (?) პეტრის (?) მონახურეში.

ქ. დეკემბერსა 08 (12) ღ (8) რუბლი ლევე დემეტრეს პეტრი მივართვი. ბ (2) თუმანი გათავდა.

ქ. ღ (4) რუბლი ჩემის პეტრი მივართვი იანგარს ბ (3) ამ ნიშნით, რდებ ბატონის შვილი თინათინ მონოზანი ჩემთან ბძანდებოდა.

ქ. იანგარს ია (12) ალხაზას ტელით მიგართვი ლეგს რუბლი ვ (6)“ (ტექსტის გამართვა და ქარაგმის გახსნა ჩვენია – თ. ჯ.) (ბრეგაძე ... 1969: 71)¹²³.

ამრიგად, გელათის გულანის (ქუთ.16) კინკლოსის, „სრული ქორონიკონის“ (S-252გ), გაბრიელ გელოვანის მიერ ნათარგმნი „გეოგრაფიისა“ (S-1743) და „რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის კანონმდებლობის“ (S-3614) კოლოფონებზე დაყრდნობით, აგრეთვე, „ვახტანგ VI-ის ამაღლის 1724 წლის ნუსხის“, ვახტანგი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ და ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ ცნობების გათვალისწინებით, გარეჯული კრებულისა (Ven.4) და წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ (S-353) მინაწერებში მოხსენიებული იმერელი ბატონიშვილის თინათინ-ყოფილი ნინოს ბიოგრაფია შემდეგი სახით შეგვიძლია აღვადგინოთ:

თინათინი დაიბადა 1678 წელს, იმერეთის მეფის ბაგრატ IV ბაგრატიონისა (1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681 წწ.) და მისი თანამეცხედრის, ქართლის მეფის ვახტანგ V შაჟ ნავაზის (1658-1675 წწ.) ძმისწულის, დედოფალ თამარ ბაგრატიონის ოჯახში (გარდ. 1683 წ.). 1684-1695/1696 წლებს შორის პერიოდში, ბაგრატ IV-ის უკანონო ვაჟის – იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის (1683-1690, 1691-1695 წწ.) მმართველობის ქამს, თინათინი ცოლად შეირთო ოდიშის მთავარმა, დადიანების ძეელი დინასტიის ბოლო წარმომადგენელმა ლევან IV დადიანმა (1682-1695/1696 წწ.). თინათინის ოდიშში დედოფლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1695/1696 წლებში ლევან IV-მ მთავრის ტახტი დაკარგა და ოდიშიდან გაძევებული, 1696 წლის ახლოხანებში სტამბულში, დეგნილობაში გარდაიცვალა. 1704 წლის 2 აპრილს, კვირა დღეს, 26 წლის დაქვრივებული თინათინი მონაზგნად აღიკვეცა და სახელად ნინო ეწოდა. როგორც ჩანს, შემონაზვნებული ბატონიშვილი თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე უფრო განათლებულ ადამიანად ითვლებოდა, რის გამოც ოდიშის მთავრის ბეჭან დადიანის (1714-1728 წწ.) მეუღლეს თამარ გელოვანს, მისთვის აღსაზრდელად საკუთარი ძმისწული, შემდგომში ცნობილი მწიგნობარი გაბრიელ გელოვანი მიუბარებია. 1724 წლის ივლისში, როცა ქართლის მეფე ვახტანგ VI (1716-1724 წწ.) თავისი

¹²³ ნინო ბატონიშვილის რუსეთში მოდგაწეობასთან დაკავშირებით, საგმაოდ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ისტორიკოსი ფრიდონ სიხარულიძე. მისი თქმით, „მოსკოვს ნაყოფიერად მოდგაწეობდნენ ქართველი მონაზვნები: ერეკლე I-ის ასული ელისაბედი, იმერეთის მეფის ასული ნინო და სხვ.“ (სიხარულიძე 1990: 18). სამწუხაროდ, მეკლევარი მარტოოდენ ამ ზოგადი ფრაზით შემოიფარგლება და არ აკონკრეტებს თუ სახელდობრ რა „ნაყოფიერ მოდგაწეობას“ ეწოდა ნინო ბატონიშვილი მოსკოვში ყოფნის ქამს. ადნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ კერჯერობით ვერც უარვეუფო და ვერც გავიზიარებთ ფრიდონ სიხარულიძის მოსაზრებას.

მრავალრიცხოვანი ამაღით რუსეთისაკენ დაიძრა და გზად რაჭაში დაბანაკდა, ნინო ბაგრატიონი გელათის მონასტერში იმყოფებოდა. შემონაზვნებულმა ბატონიშვილმა ვახტანგ VI-ის ამბის გაგებისთანავე მალულად დატოვა გელათი და თავის მოწაფესთან, გაბრიელ გელოვანთან ერთად რაჭაში გაემგზავრა. იმერეთის მეფემ, ნინო ბაგრატიონის ნახევარმმის შვილიშვილმა, ალექსანდრე V-მ (1720-1741, 1741-1746, 1749-1752 წწ.) შემონაზვნებულ ბატონიშვილს ვინმე თავადი ჩევიძე დაადევნა და მისი უკან დაბრუნება დავალა. ნინო ბაგრატიონმა ხერხს მიმართა. თავადი ჩევიძე დაასაჩუქრა, ალექსანდრე V-ს კი უკან დაბრუნება აღუთქვა და ვახტანგ VI-სთან გამოთხოვების ნებართვა სთხოვა. გარდა ამისა, მიცემული პირობის გაუტეხელობის ნიშნად თავად ჩევიძეს (?) ბამბით გატენილი მაფრაშები ანუ ტყავისაგან შეკერილი ტომრები დაუტოვა და დაარწმუნა, „ყოველივე ჩემი საუნჯე ამას შიგან შთამოდებულ არსო“. მეფე და თავადი მოტყუვდნენ და შემონაზვნებული ბატონიშვილი რაჭაში გაუშვეს. მათგან თავდაღწეული ნინო ბაგრატიონი ვახტანგ VI-სთან მივიდა და რუსეთში წაყვანა სთხოვა. ქართლის მეფემ შეიწყნარა მისი სათხოვარი და 45 წლის ასაკში მყოფი შემონაზვნებული ბატონიშვილი გაბრიელ გელოვანთან და სხვა მრავალრიცხოვან ქართველობასთან ერთად, რუსეთს გაემგზავრა. რუსეთში ჩასული თინათინ-ყოფილი ნინო ვახტანგ VI-ს თანამეცხედრის – დედოფალ რუსუდანის (გარდ. 1741 წ.) თანმხლებ პირად ითვლებოდა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი პირადი ამაღა ჰყავდა: ვინმე მონაზონი მაკრინე, სამი მხლებელი ქალი, უცნობი მონასტრის წინამდგარი – წარმომავლობით აზნაური იაკობი და თოთხმეტი მოსამსახურე მამაკაცი, სულ – ცხრამეტი ადამიანი. 1742 წლის 3 იანვრისათვის 64 წლის ნინო ბაგრატიონი კვლავინდებურად რუსეთში, სავარუდოდ, ქალაქ მოსკოვის მიდამოებში ცხოვრობდა და ვინმე უცნობ ქართველ ბიბლიოფილთან სტუმრად იმყოფებოდა (შდრ.: მოგზაურობა ... 1855: 233, ტაბ. III, №1; ბაქრაძე 1864: 102-104; თაყაიშვილი 1937: 258-259; ჯოჯუა 2002გ: 114)¹²⁴.

¹²⁴ თინათინ-ყოფილი ნინოს ბიოგრაფია საკმაოდ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი 1996 წელს მოსკოვში დაბეჭდილი საცნობარო-საენციელოპედიო ხასიათის რუსულენოვანი გამოცემის – „Дворянские роды Российской Империи“ III ტომში. აქ ნინო ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები განხილულია იმერელი ბაგრატიონებისადმი მიძღვნილ სტატიაში. თავად სტატია მომზადებულია რუსი მკვლევრის – სტანისლავ დუმინის მიერ, ქართველი სიძღველეთმცოდნების – იოსებ ბიჭიკაშვილისა და იური ჩიქოვანის, აგრეთვე, პეტერ გრებელსკის მიერ მიწოდებულ მასალებზე დაყრდნობით. სტატიაში ვკითხულობთ: „Тинатин (1678-1760), внебрачная dochь Баграта IV, жена кн. Георгия Гуриели, во втором браке (с 1689 г.) за Леваном IV Дадиани (?-1694), правителем Мегрелии (1681-1691)“ (დუმინი ... 1996: 88). როგორც ვხედავთ, სტატია გვაწვდის ოთხ კონკრეტულ ცხობას თინათინ-ყოფილი ნინოს ბიოგრაფიის შესახებ: 1. თინათინი დაიბადა 1678 წელს და გარდაიცვალა 1760 წელს; 2. თინათინი იყო იმერეთის

შემონაზვნებული ბატონიშვილის ძირითადი ბიოგრაფიული დეტალების რეზიუმირების შემდეგ საგანგებოდ უნდა შევეხოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ნინო ბაგრატიონის თანამეცხედრების ლეგან IV დადიანს ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი – რუსეთში მოღვაწე ცნობილი სამხედრო მოხელე, არტილერიის გენერალ-მაიორი, დადიანების სათავადო სახლის რუსეთის შტოს ფუძემდებული – გიორგი დადიანი (გარდ. 1765 წ.) (ბაქრაძე 1864: 104; ტატიშვილი 1959: 220-221, 238; სიხარულიძე 1981: 99; ტუდუში 1991: 138-139; სიხარულიძე 1991: 59, 77, 228-229; დუმინი ... 1998: 49; ბერაძე 2000: 32; ხორავა 2001: 17; მეტრეველი ... 2007: 60) და ქალი – დადიანების ახალი დინასტიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის, ოდიშის მთავრის კაცია I დადიანის (1709-1710 წწ.) თანამეცხედრე – მარიამი (ტუდუში 1991: 138; ბერაძე 2000: 33; ხორავა 2001: 17, 27, 32).

დავიწყოთ გიორგი დადიანით, რომლის ბიოგრაფიის შესახებაც ძვირფას ცნობებს გვაწვდის მისსავე საფლავის ქაზე თერთმეტ (?) სტრიქონად შესრულებული რუსულენოვანი ეპიტაფიის ტექსტი. წარწერა, რომელიც ჩადგმულია მოსკოვის დონის მონასტრის მირქმის ეკლესიის საკურთხევლის სალაროს (?) კედელში, გვაუწყებს:

მეფის ბაგრატ IV-ის უკანონო შვილი; 3. თინათინის პირველი მეუღლე იყო გიორგი გურიელი; 4 თინათინის მეორე მეუღლე იყო ლევან IV დადიანი. სტანისლავ დუმინის მიერ მოწოდებული ცნობებით, საისტორიო წყაროები მთლიანად ადასტურებენ ბოლო ცნობის მართებულობას. ვახუშტი ბაგრატიონის „ცხოვრება სამეფოსა საქართველოსას“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 849) და „ვახტანგ VI-ის ამალის 1724 წლის ნუსხის“ (პაიჭაძე 1960: 206) მითითებით, ნინო ბატონიშვილის მეუღლე მართლაც ლევან IV დადიანი იყო. კარდინალურად განსხვავებული სურათი გვაქვს თინათინ-ყოფილი ნინოსა და გურიის მთავრის გიორგი III გურიელის (1664-1684 წწ.) თანამეცხდრებასთან დაკავშირებით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსი მკვლევრის მიერ დასახელებული ფაქტი არცი ერთი წერილობითი წყაროთი არ დასტურდება. ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული სტანისლავ დუმინის ის ცნობაც, თითქოს ნინო ბატონიშვილი იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის უკანონო შვილი იყო. პირიქით, ვახუშტი ბაგრატიონი თავის „ცხოვრება სამეფოსა საქართველოსაში“ საზღამით აღნიშნავს, რომ თინათინ-ყოფილი ნინო სწორედ რომ ბაგრატ IV-ის კანონიერი მეუღლის – დედოფალ თამარ ბაგრატიონის მიერ იყო შობილი (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 849). დასასრულ, აუცილებლად უნდა შევეხოთ რუსი მკვლევრის ცნობას ნინო ბატონიშვილის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების შესახებაც. ის, რომ თინათინ-ყოფილი ნინო ნამდვილად 1678 წელს არის დაბადებული, არანაირ ეჭვს არ იწვევს. ეს ფაქტი პირდაპირ არის მითოგული გელათის გულანის კინკლოსისა (ჟორდანია 1967: 608) და „სრული ქორონიკონის“ (160, 259). მინაწერებში. რაც შეეხება ნინო ბატონიშვილის გარდაცვალების თარიღს – 1760 წელს, ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რომელ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით არის მიღებული ასეთი კონკრეტული ქრონოლოგიური მონაცემი. სამწუხაროდ, სტანისლავ დუმინის სტატიის ნინო ბატონიშვილისადმი მიძღვნილ ნაკვეთს არ ახლავს ბიბლიოგრაფია, რის გამოც აღნიშნული ცნობის მართებულობის შემოწმებას ვერასგზით ვერ ვახერხებთ. შესაბამისად კი, ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე, არც ვიზიარებთ და არც უარვეულო რუსი მკვლევრის მიერ შემოთავაზებულ თარიღს.

„1765 /году, июня 12 /дня, в 2 часу пополуночи, на память / преподобных отцов наших Онуфрия вели/кого, Петра Афонского, преставмся раб / божий генерал маор, князь Георгий / Леонтьев сын Дадианъ, который / родился от Рождества Христова в 1683, / а представися в 1765 года и пожив / всех лет 82 года ... тело его под сим / ... блаженство“ (პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (ტატიშვილი 1959: 254, სურ. 15).

როგორც ვხედავთ, ეპიტაფიის ტექსტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გიორგი დადიანის მამას სახელად ლეონტი ანუ ლევანი ერქვა. თუ აქვე გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გიორგი დადიანის დაბადების დროისათვის ანუ 1683 წელს დადიანობას ნამდვილად ლევან IV ფლობდა, მაშინ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში მოღვაწე გენერალ-მაიორი გიორგი დადიანი ოდიშის მთავართა ძველი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ლევან IV დადიანის ვაჟი იყო.

მიღებული დასკვნის შემდეგ ჩვენს უურადღებას ახლა უკვე სხვა საინტერესო გარემოება იპყრობს – ზემოთ მოტანილი ეპიტაფიის ცნობით, გიორგი დადიანი დაიბადა 1683 წელს ანუ იმ დროს, როცა ლევან IV დადიანის ერთადერთი კანონიერი თანამეცხედრე, 1678 წელს დაბადებული თინათინ ბაგრატიონი მხოლოდ და მხოლოდ ხუთი წლის იყო. ვფიქრობთ, აქედან ლოგოკურად გამომდინარეობს კიდევ ერთი დასკვნა, რომ გიორგი დადიანი ლევან IV უკანონო ვაჟი იყო და ჩვენთვის საინტერესო თინათინ-უოფილი ნინო ბაგრატიონიც მას არა დედად, არამედ დედინაცვლად ერგებოდა.

ამ ბოლო დებულების მართებულობას მთლიანად ადასტურებს ოდიშში მყოფი რუსი სახელმწიფო მოხელის პეტრე ლიტვინოვის მიერ 1805 წლის 22 მარტს საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ პავლე ციციანოვისათვის (1802-1806 წწ.) გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი. მოხსენებაში პეტრე ლიტვინოვი იუწყება, რომ ოდიშში ყოფნის დროს, ქართველი ისტორიკოსის ნიკო დადიანის (გარდ. 1834 წ.) დახმარებით, თავი მოუყარა ცნობებს ოდიშის სამთავრო ტახტზე დადიანების ახალი დინასტიის დამკვიდრების შესახებ და იქვე დასძენს, რომ ძველი დადიანების უკანასკნელი წარმომადგენლის ვაჟი, რომელიც შემდგომში რუსეთში გადასახლდა, უკანონოდ იყო შობილი:

„Мужское колено дадиановъ, владевшихъ Одисси и бывшихъ подъ покровительствомъ царя Имеретинскаго, пресеклось; осталас одна дочь и сынъ незаконнорожденный, котораго народъ не призналъ за своего повелителя. Сие междунаачалие подало поводъ Лечгумскому владельцу Чиковани, бывшему первымъ сардаломъ царя Имеретинскаго,

затруднить Одиссея, - что онъ счастливо исполнилъ, и дабы подкрепить право завоеванія, жениль сына своего на оставшейся дочери первых дадіановъ, выгнавъ незаконнорожденного брата ея, который проехалъ въ Россію. Съ сего времени Леван Чиковани принялъ на себя титулъ дадіановъ и отказался отъ повиновенія царю. Къ Лечуму, яко собственности своей, присоединилъ Одиссеи, и настоящій дадіанъ есть шестой отъ него произведший“ (ბერე 1868: 504).

მიუხედავად იმისა, რომ პეტრე ლიტვინოვს ერთმანეთში არეული აქვს ლევან I დადიანის (1533-1572 წწ.) მმართველობის უამს ოდიშის სამთავროს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისა (XVI ს-ის 50-იანი წწ.) და დადიანების ძველი დინასტიის ახალი დადიანებით – ჩიქვანებით ჩანაცვლების (XVIII ს-ის დასაწ.) ამბები, მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მართლაც, ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთში დამკვიდრებული გიორგი დადიანი ოდიშის მთავართა ძველი დინასტიის ბოლო წარმომადგენლის ლევან IV-ის უკანონო ვაჟი იყო.

სხვათა შორის, პეტრე ლიტვინოვის ცნობას ზუსტად ჩვენთვის საინტერესო კუთხით ჯერ კიდევ 1991 წელს მიაქცია ყურადღება ისტორიკოსმა აბესალომ ტუღუშმა, რომელმაც, სხვა ქართველი მკვლევრებისაგან განსხვავებით, სავსებით სწორად ივარაუდა, რომ გიორგი დადიანი ლევან IV-ის უკანონო ვაჟი იყო (ტუღუშმი 1991: 138-139. შდრ.: ტატიშვილი 1959: 220-221, 238; სიხარულიძე 1981: 99; სიხარულიძე 1991: 59, 77, 228-229; გუჩუა 1985: 49; ბერძენიშვილი 1964: 32; ბერძენიშვილი 1971ბ: 17).

გიორგი დადიანისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს ვაწყდებით ლევან IV-ის მეორე შვილთან – მარიამთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელის შესახებ უაღრესად მწირი საისტორიო ცნობები მოგვეპოვება. აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს XVI (?) საუკუნით დათარიდებული და დღეისათვის დაკარგული ხელნაწერის – ცაიშის გულანის აშიებზე შესრულებული ორი მინაწერი, რომელთაგან პირველი კოლოფონის ტექსტი გამოქვეყნებულია თედო ქორდანიას მიერ, 1897 წელს, ხოლო მეორე – ექვთიმე თავაიშვილის მიერ, ოდნავ უფრო მოგვიანებით, 1914 წელს. მოგვაქს ორივე მინაწერის ტექსტი:

„... ვიძიე ... გულანი, დამპალი, დიდისა ლევან დადიანისა უკანით უგმარდა გაუკეთებელი. გელგვავ მე, ცაიშელ მიტროპოლიტმან მაქსიმე ციხისთავმან ... სრულნი და უნაკლულონი ... მრავლთა წიგნთაგან გავაკეთებინე დედოფლის მარიამის ბრძანებითა ... და დადიანის კაციასითა გაკეთდა წ(მიდ)ა ესე გულანი“

(ქარაგმის გახსნა, ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (უორდანია 1897: 356. შდრ.: თაყაიშვილი 1914: 192).

„დაიწერა და გაკეთდა წმიდა ებე, შეწევნითა ღ(მრთ)ის(აღ)თა, ხულთა განმანათლებელი გულანი ცაიშის ღ(მრთ)ისმშობლისა, პატრონობასა შინა დადიანის კაციას<ი>{ა}თა და თანამეცხდოსა მათისა, პირმშოხსა, პირმეზუველისა, ღ(მრთ)ისმოყვარისად და ქრისტეს მორწმუნისად, ქალწულთა მხგავსებულისა და ქ(ოველ)თა თ(ან)ა დედათად შეერთებ{უ}ლისად და {ა}სულისად დავითისად, ორდანო{ი}სად ტკბილ{ი}სად, ებან{ი}სად სულიერ{ი}სა და ქნარ{ი}სად და ღ(მრთ)ისა მორჩად აღმოცენებულისად და ყოვლისად საღმრთო-საკაცობოძის სრულიად და უნაკლულოდ აღზრდილ{ი}სად, დიდთად დიდისა, ზემო აღმატებულისა, ელიასებრ სამ ცამდე აღწევნულისა, ოდიშთად, ხუანთად და აფხაზეთთა მფლობელისად, ბატონის დადიანის ძედ მოხათვლულისად და ახლად ოდიშის დადიანის ძედ განმაახლებულისად, დადიანის ასულის, ბატონის დედოფლის მარიამის{ათა}, {რომლისა} ბრძანებითა გაკეთდა წ(მიდა)ო ებე გულანი მათდა სადღეგრძელოდ და წარმართებ{უ}ლად და განსაძლიერებულად და ძეთა მათთა და ასულთა მათთა<ი> აღხაზრდებულად. ღ(მერთმა)ნ დაუმტკიცოს პატრონობად მათი სიგრძესა<ი> ზ(ინ)ა დღეთასა და მრავალმცა არიან ჟამნი და წელნი ცხორებისა მათისანი, ა(მე)ნ“ (ქარაგმის გახსნა, ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 190-191).

ცაიშის გულანის მინაწერებში მოხსენიებული კაცია დადიანისა და მისი თანამეცხედრის – მარიამის ვინაობით იმთავითვე დაინტერესდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც არსებითად სწორად მოახდინა მათი იდენტიფიცირება. მკლევრის თქმით, მეორე მინაწერის ტექსტში „მოხსენიებული დადიანი კაცია არის კაცია ჩიქოანი, რომელიც გახდა წინაპარი ბოლონდელი დადიანებისა მე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამის უკანასკნელი მეუღლე ცნობილი არ არის, ხოლო ამ მინაწერის მიხედვით უნდა იყოს დადიანის ასული მარიამი. ამით კაციას კიდევ მეტი უფლება მოუპოვებია დადიანად გამხდარიყო. ტყუილად არ ამბობს მინაწერი მარიამის შესახებ „ახლად ოდიშის ძედ განმაახლებულისა“ (თაყაიშვილი 1914: 191).

ექვთიმე თაყაიშვილის მოხაზრება კიდევ უფრო დააკონკრეტა აბესალომ ტუღუშმა. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა პეტრე ლიტვინოვის 1805 წლის 22 მარტის მოხსენებით ბარათზე, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ოდიშის სამთავრო ტახტზე პრეტენზის მქონე

ჩიქვანმა საკუთარი ვაჟი დადიანების ძველი დინასტიის ბოლო წარმომადგენლის კანონიერ ასულზე დააქორწინა:

„Мужское колено дадиановъ, владевшихъ Одиси ... пресеклось; осталас одна дочь и сынь незаконнорожденный, котораго народъ не призналь за своего повелителя. Сие междууначалие подало поводъ Лечгумскому владельцу Чиковани, бывшему первымъ сардаломъ царя Имеретинскаго, завладеть Одиси, - что онъ счастливо исполнилъ, и дабы подкрепить право завоеванія, женить сына своего на оставшейся дочери первыхъ дадиановъ, выгнавъ незаконнорожденнаго брата ея, который проехалъ въ Россію“ (ბერუ 1868: 504).

გარდა ამისა, აბესალომ ტუღუშმა ერთმანეთს დაუკავშირა ცაიშის გულანის მეორე მინაწერისა და პეტრე ლიტვინოვის მოხსენებითი ბარათის ცნობები, გაითვალისწინა XVII-XVIII საუკუნეების ოდიშის სამთავროში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესები და სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ ლევან IV დადიანს ჰყავდა კანონიერი ასული – მარიამი, რომელიც ოდიშის სამთავრო ტახტე პრეტენზიის მქონე გიორგი ლიპარტიანმა ცოლად შერთო თავის უფროს ვაჟს – კაციას, შემდგომში – ოდიშის მთავარ კაცია I დადიანს (ტუღუში 1991: 138).

ჩვენ მოლიანად ვიზიარებთ ექვთიმე თაყაიშვილისა და აბესალომ ტუღუშის მოსაზრებებს. მართლაც, ოდიშის მთავართა შორის დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ორი პირი, რომელიც ატარებდა კაციას სახელს (ბერაძე 2000; ხორავა 2001). ესენი არიან – კაცია I (1709-1710 წწ.) და კაცია II (1758-1788 წწ.). აქედან, ქართული ისტორიოგრაფიის მიერ დეტალურად არის დადგენილი კაცია II ბიოგრაფია (ხორავა 2001: 54-55). კერძოდ კი, ცნობილია, რომ მას ჰყავდა სამი მეუღლე – დარეჯან შერვაშიძე (1760-1765 წწ.), ელისაბედ ბაგრატიონი (1765-1788 წწ.) და ანა წულუკიძე (1770-იანი წწ. – 1788 წ.) (ხორავა 2001: 46-48). შესაბამისად, ცაიშის მინაწერებში მოხსენიებული კაცია დადიანი და მისი თანამეცხდრე მარიამი შეუძლებელია გავაიგივოთ კაცია II დადიანთან და მისი სამი მეუღლიდან რომელიმესთან. ვფიქრობთ, აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო მეტი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცაიშის გულანის კოლოფონებში მოხსენიებულია კაცია I დადიანი, რომლის შესახებაც, კაცია II-საგან განსხვავებით, ბევრად უფრო მწირი საისტორიო ცნობები მოგვეპოვება (ხორავა 2001: 32-33).

გარდა ზემოთქმულისა, ცაიშის გულანის მინაწერებში მოხსენიებული კაცია დადიანისა და კაცია I-ის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ ნათლად მეტყველებს სხვა საგულისხმო გარემოებაც. კერძოდ, ცაიშის გულანის კოლოფონების მიხედვით, კაცია დადიანის მეუღლე მარიამი თავადაც დადიანი იყო – „ასული დადიანისა“, ოღონდ, ცხადია, არა კაციას სისხლისმიერი ნათესავი, არამედ რომელიდაც სხვა დინასტიის ჩამომავალი. თანაც, ამასთან, არა ოდიშის მთავართა რომელიმე გვერდითი შტოს რიგითი წარმომადგენელი, არამედ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე – „ძედ ჩასათვლელი“ იმ დადიანისა, რომელიც, თავის მხრივ, მთელი სადადიანოს – „ოდიშის, სვანეთისა და აფხაზეთის“ მფლობელი იყო. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარიამი – დადიანების ერთი, სავარაუდოდ, ძველი დინასტიის მემკვიდრე და „განმაახლებელი“, იმავდროულად, იყო მეუღლე ოდიშის მთავრად აღზევებული კაციასი და დედა დადიანების მეორე, სავარაუდოდ, ახალი დინასტიისა. თუ ცაიშის გულანის მინაწერებში დაცული ცნობების ჩვენეული ინტერპრეტაცია სწორია, მაშინ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ კოლოფონებში მოხსენიებული კაცია დადიანი და მისი თანამეცხედრე მარიამი უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ოდიშის მთავართა ერთი დინასტიის მეორე დინასტიით ჩანაცვლების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პროცესში, რასაც, თავის მხრივ, ადგილი პქონდა სწორედ XVIII საუკუნის დასაწყისში, კაცია I-ისა და მისი მამის – გიორგი ლიპარტიანის, იგივე გიორგი IV დადიანის მმართველობის ჟამს და არა 1758-1788 წლებში, როცა ოდიშს კაცია II განაგებდა (ბერაძე 2000: 32-33; ხორავა 2001: 17-24, 27-29, 32-33, 45-48).

როგორც ვხედავთ, ექვთიმე თაყაიშვილისა და აბესალომ ტუდუშის მიერ გამოთქმული მოსაზრებები სავსებით სწორია და ცაიშის გულანის მინაწერებში მართლაც მოხსენიებული არიან ოდიშის მთავარი კაცია I დადიანი და მისი თანამეცხედრე მარიამ დადიანი, პეტრე ლიტვინოვის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, კანონიერი ასული დადიანების ძველი დინასტიის ბოლო წარმომადგენლის ანუ ლევან IV დადიანისა¹²⁵.

¹²⁵ ცაიშის გულანის მინაწერებში მოხსენიებული კაცია დადიანის კაცია I-თან იდენტიფიცირების შემდეგ თავისუფლად ხერხდება თავად კოლოფონების დათარიღებაც. კერძოდ, მინაწერების ტექსტში კაცია I დადიანად არის მოხსენიებული, ეს უკანასკნელი კი ოდიშის მთავრის გახტების მეტად ხანმოკლე პერიოდში – 1709-1710 წლებში ფლობდა (ხორავა 2001: 32-33). შესაბამისად, არ შევცდებით თუმცი დაგასაჭირო, რომ ცაიშის გულანის ჩვენს მიერ გამოყოფილი ორი კოლოფონი ამავე 1709-1710 წლებშია შესრულებული.

აღნიშნულ დასკვნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის. მართლაც, მასზე დაყრდნობით, საბოლოოდ დგინდება, რომ ლეგან IV დადიანს უკანონო ვაჟის – გიორგის გარდა, კანონიერი ასული – მარიამიც ჰყავდა. ხოლო ვინაიდან ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, ლეგან IV დადიანს მხოლოდ ერთი კანონიერი მეუღლე – თინათინ ბაგრატიონი ჰყავდა (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 849), მაშინ ცხადი ხდება ისიც, რომ მარიამი სწორედ ჩვენთვის საინტერესო თინათინ ბატონიშვილის ასული იყო.

ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ამგვარი დასკვნის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ცაიშის გულანის მეორე მინაწერის ერთი ადგილი, სადაც მარიამი „დავითის ასულად“ და „დმრთის მორჩად“ არის მოხსენიებული:

„დაიწერა და გაკეთდა წმიდა ეხე ... გულანი ცაიშის ღ(მრთ)ისმშობლისა, პატრონობასა შინა დადიანის კაციას<ი>ქავთა და თანამეცხდრისა მათისა ... ქავლისად დავითისად ... და ღ(მრთ)ისა მორჩად აღმოცენებულისად .. ბატონის დედოფლის მარიამისათა“ (ქარაგმის გახსნა, ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 190-191).

რას გულისხმობდა მინაწერის ავტორი, როცა მარიამს უწოდებდა „დავითის ასულსა“ და „დმრთის მორჩად აღმოცენებულს“? ჩვენი აზრით, ამ ფრაზებით ხაზი ჰქონდა გასმული მარიამის წარმომავლობას, უფრო ზუსტად კი, იმ ფაქტს, რომ იგი, გარდა მამით დადიანობისა, დედის ანუ ჩვენთვის საინტერესო თინათინ ბატონიშვილის მხრივ, იყო ჩამომავალი ბაგრატიონთა იმერეთისა (თინათინის მამის ხაზი) და ქართლის (თინათინის დედის ხაზი) სამეფო სახლებისა, რომლებიც საკუთარ წარმომავლობას, ტრადიციულად, ბიბლიურ მეფე დავითს უკავშირებდნენ და თავს მაცხოვრის ნათესავებად მიიჩნევდნენ (ლორთქიფანიძე 1966).

ამრიგად, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუკი დავასკვნით, რომ თინათინ ბაგრატიონს ლეგან IV დადიანთან ქორწინების შედეგად ჰყავდა დვიძლი შვილი – მარიამი, რომელიც შემდგომში ცოლად გაჰყვა გადადიანებული ჩიქვანების ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელს – კაცია I-ს.

როდის უნდა მომხდარიყო კაცია I-ისა და მარიამის ქორწინება? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას მხოლოდ ისტორიკოსი ბეჭან ხორავა გამოთქვამს, რომელიც ამ ფაქტს, რაიმე არგუმენტის გარეშე, 1680-იანი წლების მიწურულით ათარიღებს (ხორავა 2001: 17).

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბეჭან ხორავას მიერ შემოთავაზებულ თარიღს. დავიწყოთ იმით, რომ მარიამი თინათინ ბაგრატიონის ასული იყო. თავად

თინათინ ბატონიშვილი, როგორც უკვე ვაჩვენეთ ზემოთ, დაიბადა 1678 წელს. შესაბამისად, იგი მინიმალურ საქორწინო ასაკს – 12-14 წელს მხოლოდ 1690-იანი წლების დასაწყისში თუ მიაღწევდა. ჩვენი დაკვირვებით, ლევან IV დადიანი სწორედ ამ პერიოდში დაქორწინდა თინათინ ბაგრატიონზე და ამავე 1690-იანი წლების დასაწყისში დაიბადა მათი ასული მარიამიც. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ცხადი ხდება ისიც, რომ მარიამი, თავის მხრივ, მინიმალურ საქორწინო ასაკს – იმავე 12-14 წელს, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ 1700-იანი წლების პირველ ნახევარში თუ მიაღწევდა. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, კაცია I დადიანისა და მარიამის ქორწინებას ყველაზე ძუნწი გამოთვლებითაც კი, ვერასგზით ვერ ექნებოდა ადგილი 1700-იანი წლების პირველ ნახევარზე უფრო ადრეულ პერიოდში.

რაც შეეხება კაცია I-ისა და მარიამის ქორწინების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცაიშის გულანის ზემოთ წარმოდგენილ მეორე მინაწერში სახელების მითითების გარეშე მოხსენიებულნი არიან კაცია I-ისა და მარიამის შვილები – „ძეები და ასულები“:

„დაიწერა და გაკეთდა წმიდა ებე ... სულთა განმანათლებელი გულანი ცაიშის ღ(მრთ)ისმემობლისა, პატრონობასა შინა დადიანის კაციას<ი>ქათა და თანამეცხდორისა მათისა ... ბატონის დედოფლის მარიამის<ათა>, {რომლისა} ბრძანებითა გაკეთდა წ(მიდა)ღ ებე გულანი მათდა სადღეგრძელოდ და წარმართებელად და განსაძლიერებელად და ძეთა მათთა და ასულთა მათთა<ი> აღსაზრდელად. ღ(მერთმა)ნ დაუმტკიცოს პატრონობად მათი სიგრძესა<ი> შინა დღეთასა და მრავალმცა არიან უამნი და წელნი ცხორებისა მათისანი, ა(მე)ნ“ (ქარაგმის გახსნა, ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 190-191).

ვინაიდან ცაიშის გულანის კოლოფონები კაცია I-ის დადიანობის ჟამს ანუ 1709-1710 წლებში ჩანს დაწერილი (იხ.: ზემოთ), მაშინ ნათელი ხდება ისიც, რომ 1709-1710 წლებისათვის ოდიშის მთავარსა და მის თანამეცხდორეს უკვე რამდენიმე შვილი ჰყავდათ¹²⁶. აღნიშნული გარემოება კი, კაცია I-ისა და

¹²⁶ სხვათა შორის, კაცია I-ის შვილების – „ძეებისა და ასულების“ თაობაზე რატომდაც არაფერია ნათქვამი ბეჭან ხორავას წიგნში – „დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია“, სადაც, თავის მხრივ, მაქსიმალური სისრულით არის თავმოყრილი მრავალფეროვანი საისტორიო მასალა, ზოგადად, დადიანების ახალი დინასტიის წარმომადგენლებისა და კონკრეტულად, კაცია I-ის ბიოგრაფიის შესახებ (ხორავა 2001: 32-33).

მარიამის ქორწინების ზედა ქრონილოგიურ ზღვარს მყარად განსაზღვრავს 1700-იანი წლების შუახანებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუცი დავასკვნით, რომ კაცია I-ისა და მარიამის ქორწინებას ადგილი პქონდა არა 1680-იანი წლების ბოლოს, არამედ 1700-იანი წლების პირველ ნახევარში.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა შევეხოთ მარიამის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. ცაიშის გულანის ჩვენთვის საინტერესო მეორე მინაწერის ავტორს მარიამის მისამართით მრავალი საქებარი სიტყვა აქვს ნათქვამი:

„დაიწერა და გაკეთდა წმიდა ესე ... ხულთა განმანათლებელი გულანი ცაიშის ღ(მრთ)ისმშობლისა, პატრონბახა შიხა ... პირმშობსა, პირმეტყველისა, ღ(მრთ)ისმოყვარისად და ქრისტეს მორწმუნისა, ქალწულთა მხგავსებულისა და ყ(ოველ)თა თ(ან)ა დედათავ შეერთებულისად და ჩასულისად დავითისა, ორდანოსისად ტკბილისა, ებანისა ხულიერისა და ქნარისა და ღ(მრთ)ისა მორჩად აღმოცენებულისა და ყოვლისა საღმწო-საკაცობომდის ხრულიად და უნაკლულოდ აღზრდილისა, დიდთავ დიდისა, ზეშო აღმატებულისა, კლიასებრ ხამ ცამდე აღწევნულისა, ოდიშთავ, ხუანთავ და აფხაზეთია მფლობელისა, ბატონის დადიანის ძედ მოხათვლელისა და ახლად ოდიშის დადიანის ძედ განმაახლებელისა, დადიანის ასულის, ბატონის დედოფლის მარიამისათა, რომლისა ბრძანებითა გაკეთდა წმიდას ესე გულანი...“ (ქარაგ-მის გახსნა, ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია – თ. ჯ.) (თაყაიშვილი 1914: 190-191).

სამართლიანობისათვის უნდა ადინიშნოს, რომ მინაწერის ავტორის მხრიდან მარიამის შეფასება ცოტა გაზვიადებული ჩანს, მაგრამ ამის გათვალისწინებითაც კი, ეს უკანასკნელი მაინც დიდად ზნეკეთილ, სათხო და წიგნიერ ადამიანად წარმოგვიდგება. მინაწერიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მარიამი ჩინებულად განსწავლული, შესანიშნავი საერო და სასულიერო განათლების მქონე – „ყოვლისა საღმრთო-საკაცობომდის სრულიად და უნაკლულოდ აღზრდილი“ პირი იყო. საფიქრებელია, რომ მარიამის აღზრდა-განათლებაში განსაკუთრებულ როლს, პირველ ყოვლისა, მისი დედა – თინათინ ბაგრატიონი თამაშობდა, რომლის განსწავლულობაც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, მთელს დასავლეთ საქართველოში იყო ცნობილი.

ამრიგად, უოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო თინათინ-ყოფილი ნინო ბაგრატიონის ზემოთ დადგენილ ბიოგრაფიაში დამატებით შეგვაქვს რამდენიმე ახალი დეტალი:

– ლევან IV დადიანისა და თინათინ ბაგრატიონის ქორწინებას ადგილი პქონდა არა 1684-1695/1696 წლებს შორის პერიოდში, როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოთ, არამედ დაახლოებით 1690-იანი წლების დასაწყისში, როცა თინათინი საკმაოდ მცირებლოვანი – 12-14 წლისა იყო.

– თინათინ ბაგრატიონს ლევან IV-სთან ქორწინების შედეგად ჰყავდა ერთადერთი ლვიძლი შვილი – მარიამი, რომელიც, სავარაუდოდ, დაიბადა 1690-იანი წლების დასაწყისში. მარიამი, რომელსაც, დედის ხელშეწყობით, ჩინებული საერო და სასულიერო განათლება პქონდა მიღებული, თანამედროვეთა შორის კარგად აღზრდილ, ზნეპეტილ და განსწავლულ ქალად ითვლებოდა.

– 1700-იანი წლების პირველ ნახევარში საკმაოდ მცირებლოვანი – 12-14 წლის მარიამი ცოლად გაჲყვა ოდიშის მთავრის, პირველი გადადიანებული ჩიქვანის – გიორგი IV-ის (1701-1709, 1710-1714 წწ.) უფროს ვაჟს კაციას, შემდგომში, აგრეთვე, ოდიშის მთავარს – კაცია I დადიანს (1709-1710 წწ.). 1709-1710 წლებისათვის კაცია I-სა და მარიამს რამდენიმე ქალ-ვაჟი ჰყავდათ.

– თინათინ ბაგრატიონს, გარდა მარიამისა, ჰყავდა გერიც, ლევან IV-ის უკანონო ვაჟი, შემდგომში რუსეთში მოღვაწე ცნობილი სამხედრო მოხელე, არტილერიის გენერალ-მაიორი, დადიანების რუსეთის შტოს ფუძემდებელი – გიორგი დადიანი (გარდ. 1765 წ.).

ნინო ბაგრატიონის ზემოთ წარმოდგენილი ბიოგრაფიიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იყენებს კიდევ ერთი გარემოება – 1723 წელს, როცა რუსეთისაკენ მიმავალი ვახტანგ VI რაჭაში დაბანაკდა, შემონაზვნებული ბატონიშვილი გელათის მონასტერში იმყოფებოდა. ეს ფაქტი პირდაპირ აქვს აღნიშნული ნინო ბაგრატიონის მოწაფე, იმხანად, აგრეთვე, გელათში მყოფ, აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილესა და თვითმხილველს გაბრიელ გელოვანს. მისი თქმით, ვახტანგ VI-ის რაჭაში შეჩერების „ამბავი უსმა ... ასულსა მეფისა ბაგრატისასა ბატონის უზილსა ნინოს, იმერეთს, მონასტერსა გელათისასა“ (ენუქიძე ... 1963: 175).

რატომ და რა მიზნით იმყოფებოდა ნინო ბაგრატიონი 1724 წელს გელათის მონასტერში? ვფიქრობთ, ამ კითხვას ერთადერთი სარწმუნო პასუხი აქვს –

როგორც ჩანს, შემონაზვნებული ბატონიშვილი 1724 წელს გელათში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა.

თუ ჩვენი პასუხი სწორია, მაშინ ისმის მომდევნო კითხვა – რა დროიდან მოღვაწეობდა თინათინ-ყოფილი ნინო გელათის მონასტერში? სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით, კატეგორიულად ვერაფერს ვიტყვით, თუმცა კი გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ნინო ბატონიშვილი 1704 წელს სწორედ გელათის მონასტერში შემონაზვნდა და ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1724 წლამდე აქვე, გელათში მოღვაწეობდა.

რატომ დაემკვიდრა თინათინ-ყოფილი ნინო მაინცადამაინც გელათის მონასტერში და არა დასავლეთ საქართველოს რომელიმე სხვა სავანეში? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, ნინო ბატონიშვილმა კანონიერად ისარგებლა თავისი საგვარეულო პრივილეგიით და სამოღვაწეო ადგილად სწორედ ამის გათვალისწინებით შეარჩია გელათი – იმერელ ბაგრატიონთა საძვალე და მათი უპირველესი საგვარეულო მონასტერი (ლომინაძე 1955: 21-26, 30-35, 38-53).

დავუშვათ, რომ ჩვენი მსჯელობა სწორია და შემონაზვნებული ბატონიშვილი 1704-1724 წლებში მართლაც გელათის მონასტერში იყო დამკვიდრებული. ამ შემთხვევაში, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ თინათინ-ყოფილი ნინო მთელი ოცი წლის განმავლობაში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა გელათში, რომელიც XII საუკუნიდან მოყოლებული მამათა მონასტერს წარმოადგენდა (ლომინაძე 1955: 67-77). ჩვენ აქ ყურადღება საგანგებოდ გავამახვილეთ გელათში მოქმედ მამათა მონასტერზე, ვინაიდან საეკლესიო კანონიკის, უფრო ზუსტად კი, ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების (787 წ.) მე-20 კანონის თანახმად, ენკრატისის ანუ მონაზონი ქალის ყოფნა სასტიკად არის აკრძალული მამათა მონასტერში:

„ნუ იქვევიან ერთხა მონასტერსა შინა მონაზონი (იგულისხმებიან მონაზონი კაცები – თ. ჯ.) და ენკრატისნი (იგულისხმებიან მონაზონი ქალები – თ. ჯ.), რამეთუ მრუშებარ შემოვალს შორის ერთბამად ქცევასა. ნუმცა აქეს კადნიერებად მონაზონსა ენკრატისნსა მიმართ, გინა ენკრატისნსა მონაზონსა მიმართ თჯავანი უბნობად. ნუმცა დაუმკუდრების მონაზონი სადაცოსა მონასტერსა შინა, ნუცა ჭამნ მონაზონისა თანა ენკრატისი თჯავან და ოდეს საჭიროობად ცხორებისავ სამამოხა კერძისაგან კანონისაგბრ მიიღებდეს, გარეგნით ბჭისა მიიღებდინ დედათდიაკონი სადედოხსა მონასტრისავ დედაბერისა ვისმე ენკრატისნსა მიურ. ხოლო უკუთუ დაემთხოს და ენებოს

მონაზონსა თჯისისა კისიმე ხილვად მუწერი კოფასასა, ეზრახებ მას მცირითა და მოკლითა სიტყვითა და მეგებულად განეშორებ მისგან“ (გაბიძაშვილი ... 1975: 429)¹²⁷.

ამრიგად, თუ განსახილავ საკითხს მივუდგებით მხოლოდ ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონის პოზიციიდან, მაშინ ცალსახად უნდა დავასკვნათ, რომ ნინო ბატონიშვილი დროის არცერთ მონაკვეთში არ მოღვაწეობდა გელათის მონასტერში. მაგრამ არის კი ამგვარი დასკვნა მართებული? ვფიქრობთ, რომ არა. როგორც ისტორიულ რეალიებზე დაკვირვება გვიჩვენებს, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონის მოთხოვნები ყოველთვის არ იყო დაცული.

მაგალითისათვის მოვიყვანთ იმავე გაბრიელ გელოვანის ცნობას, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ 1724 წელს, ვახტანგ VI-ის რაჭაში მისვლის ამბის გაგებისას, თინათინ-ყოფილი ნინო გელათის მონასტერში იმყოფებოდა: „ეს ამბავი ესმა ... ახულსა მეფისა ბაგრატისასა ბატონისშვილსა ნინოს, იმერეთს, მონასტერსა გელათისასა“. ამ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ხანი იმყოფებოდა ნინო ბატონიშვილი გელათში – ოცი წლის მანძილზე (1704-1724 წწ.), როგორც ჩვენ ვივარაუდეთ ზემოთ, თუ შედარებით უფრო მოკლე დროის განმავლობაში. აქ მთავარი ის არის, რომ თინათინ-ყოფილი ნინო 1724 წელს ნამდვილად იმყოფებოდა გელათის მამათა მონასტერში და ამით ავტომატურად არღვევდა ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონს.

ის ფაქტი, რომ ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ყოველთვის არ იყო დაცული, ნათლად ჩანს XVIII საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მწიგნობარი ქალის – მარიამ-ყოფილი მაკრინე ბაგრატიონის ბიოგრაფიიდანაც, რომელიც, სხვათა შორის, გასაოცარი სიზუსტით იმეორებს თინათინ-ყოფილი ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მარიამ ბაგრატიონი დაიბადა 1697/1698 წლებში, ქართლისა (1688-1703

¹²⁷ ფილოლოგოს მიხეილ ქავთარიას აზრით, მამათა და დედათა ერთ მონასტერში მოღვაწეობა აკრძალულია ნიკეის VII საეკლესიო კრების არა მე-20, არამედ მე-18 კანონით (ქავთარია 1977: 211). ჩვენ ვერ გავიზიარებთ მეცნიერის ამ მოსაზრებას, ვინაიდან მის მიერ ნახსენები მე-18 კანონი შეეხება არა მონაზონ ქალებს, არამედ საერო წესით მცხოვრებ დედაგაცებს (გაბიძაშვილი ... 1975: 428).

წწ.) და კახეთის (1703-1709 წწ.) მეფის ერეპლე I ნაზარალი-ხანისა და მისი თანამეცხედრის ანა ჩოლოყაშვილის (გარდ. 1716 წ.) ოჯახში. 1714 წლამდე პერიოდში, ერეპლე I-ის ვაჟის – კახეთის მეფე დავით II იმამ-ყული ხანის (1709-1722 წწ.) მმართველობის უამს, სულ დიდი, 17 წლის მარიამი ცოლად შეირთო კახეთის სამეფოს სახლთუხუცესმა ედიშერ ჩოლოყაშვილმა. მარიამის ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა. დაახლოებით 1714-1716 წლებში ედიშერ ჩოლოყაშვილი ლეპებთან ბრძოლაში დაიღუპა. 1716 წლისათვის დაქვრივებული მარიამი მონაზვნად აღიკვეცა და სახელად მაკრინე ეწოდა. შემონაზვნებულმა ბატონიშვილმა კანონიერად ისარგებლა საგვარეულო პრივილეგიით და საკუთარი ძმის – მეფე დავით II-ის ნებართვით, სამოღვაწეოდ დაემკვიდრა ალავერდში – კახელი ბაგრატიონების საძვალესა და მათ უპირველეს საგვარეულო მონასტერში, უფრო ზუსტად კი, ალავერდის წმ. გიორგის საეპისკოპოსო ტაძრის წმ. ნიკოლოზის ეპიდერში¹²⁸. მარიამ-ყოფილმა მაკრინემ, რომელიც თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო მწიგნობრად ითვლებოდა, მთელი დარჩენილი სიცოცხლე ალავერდში გაატარა და XVIII საუკუნის შუახანებში, გარდაცვალების შემდეგ აქვე დაიკრძალა (კეკელიძე 1957: 232-236; ქავთარია 1977: 202-212).

როგორც ვხედავთ, 1716 წლიდან ვიდრე XVIII საუკუნის შუახანებამდე პერიოდში ანუ მეოთხედ საუკუნეზე მეტი წელის განმავლობაში კახეთის მეფის შემონაზვნებული ასული – მარიამ-ყოფილი მაკრინე სასულიერო მოღვაწეობას ეწოდა ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის ტერიტორიაზე, სადაც იმავდროულად მოქმედებდა მამათა მონასტერი და ამით, იმერელი ბატონიშვილის თინათინ-ყოფილი ნინოს მსგავსად, ავტომატურად არღვევდა ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონს.

ამრიგად, თუ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია და გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში მართლაც ირღვეოდა ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონის მოთხოვნები, მაშინ სავსებით სარწმუნო ხდება ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც გელათის მონასტერში შემონაზვნებული ნინო ბაგრატიონი 1704-1724 წლებში აქვე, გელათში მოღვაწეობდა.

¹²⁸ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ალავერდის მონასტრის არსებობასთან დაკავშირებით, ორი საპირისპირო აზრი არსებობს. მიხეილ ქავთარია მიიჩნევს, რომ „ალავერდში, წმ. გიორგის სახ. კათედრალთან არავითარი მონასტერი არ არსებობდა, არც დედათა და არც მამათა“ (ქავთარია 1977: 211). მისგან განსხვავებული აზრი აქვთ ლევან ასათიანს (ასათიანი 1936: 41), კორნელი კეკელიძეს (კეკელიძე 1957: 236), ლევან მენაბდეს (მენაბდე 1962: 344) და სხვ. პირადად ჩვენ მეორე მოსაზრებას ვუჭირო მხარს.

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ თინათინ-ყოფილი ნინო გელათის მონასტერში ყოფნისას მარტოოდენ საეკლესიო მსახურებით არ იყო დაკავებული. როგორც გაბრიელ გელოვანის ანდერძიდან ირკვევა, შემონაზვნებულ ბატონიშვილს გელათში საკუთარი მოწაფეები პყავდა და თუ იმავე გაბრიელ გელოვანის მაგალითით ვიმსჯელებთ, ჩინებულადაც უძღვებოდა მათი აღზრდა-განათლების საქმეს.

დაგუბრუნდეთ გარეჯულ კრებულს და განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო II და III მინაწერებში მოხსენიებული დანარჩენი ორი ისტორიული პირის – ფებრონია და გრიგოლ ხევარიძეების ვინაობასთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც აღნიშნული კოლოფონებიდან ირკვევა, ფებრონია ხევარიძეთა გვარს ეკუთვნოდა და იყო და წარმომავლობით დასავლეთ საქართველოდან, უფრო ზუსტად კი, გურიიდან იყო.

ფებრონიას გვარისა და სადაურობის გარდა, კოლოფონებიდან ვიგებთ, რომ მათი დაწერის დროისათვის იგი უკვე შემონაზვნებული იყო. ფებრონიას მონაზონობის ფაქტი, Ven.4-ის მინაწერების გარდა, დადასტურებული გვაქვს წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერითაც, სადაც იგი აგრეთვე მონაზონად არის მოხსენიებული. რაც შეეხება ფებრონიას ასაკს, საერო სახელს, შემონაზვნების თარიღსა და სხვა ბიოგრაფიულ მონაცემებს, ეს დეტალები, თინათინ-ყოფილი ნინოსაგან განსხვავებით, ჩვენთვის ცნობილი არ არის.

გარეჯული კრებულის II კოლოფონში ფებრონია ხევარიძის გვერდით მოხსენიებულია მისი ბიძა – გრიგოლ ხევარიძე. ვინაიდან გრიგოლიცა და ფებრონიაც ერთსა და იმავე გვარს – ხევარიძეს ატარებდნენ, საფიქრებულია, რომ ისინი ერთიმეორის ბიძა-ძმისწული იყვნენ.

ცალკე აღნიშვნის დირსია თავად გვარი – ხევარიძე, რომელსაც ვერც ჩვენთვის ცნობილ საისტორიო წყაროებში და ვერც თანამედროვე საქართველოში ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარეჯული კრებულის II და III მინაწერების სახით ხელთ გვაქვს ის ორად ორი წერილობითი ძეგლი, სადაც დოკუმენტურად არის დადასტურებული XVIII საუკუნის I ნახევრის გურიაში გავრცელებული და დღეისათვის მთლიანად გამქრალი ისტორიული გვარის – ხევარიძის არსებობის ფაქტი.

Ven.4-ის ჩვენთვის საინტერესო კოლოფონებში მოხსენიებული ისტორიული პირების ვინაობასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა დაგუბრუნდეთ ამ მინაწერების დათარიღების საკითხს. როგორც ზემოთ გაჩვენეთ, თინათინ ბატონიშვილი ნინოს სახელით შემონაზღნდა 1704

წლის 2 აპრილს. ვინაიდან გარეჯული კრებულის მინაწერებში იგი უკვე თინათინ-ყოფილი ნინოს სახელით არის მოხსენიებული, ცხადია, რომ ეს კოლოფონები მისი შემონაზღნების ანუ 1704 წლის შემდეგ არის დაწერილი. ნინო ბაგრატიონის შემონაზღნების თარიღის გარდა, ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ ისიც, რომ 1742 წლისათვის 64 წლის ასაკში მყოფი შემონაზღნებული ბატონიშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სავარაუდოდ, მოხსენიებული მიდამოებში ცხოვრობდა. თუ აქვე გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ Ven.4-ის კოლოფონებში ნინო ბაგრატიონი ცოცხლად არის მოხსენიებული, მაშინ მინაწერების შესრულების ზედა ქრონლოგიურ ზღვრად დაახლოებით 1740-იანი წლები უნდა ავიდოთ.

ამრიგად, ნინო ბაგრატიონის ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, საგრძნობლად ვავიწროვებთ ჩვენი კვლევის პირველ ეტაპზე დადგენილ ვრცელ ქრონლოგიურ მონაკვეთს – 1700-1813/1814 წლებს და გარეჯული კრებულის ჩვენთვის საინტერესო კოლოფონებს 1704-1740-იანი წლებით, უფრო ზოგადად კი, XVIII საუკუნის I ნახევრით ვათარიდებთ.

რა დამოკიდებულება არსებობდა თინათინ-ყოფილ ნინოსა და მონაზონ ფებრონიას შორის? სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო ამ კითხვაზე რაიმე კატეგორიული პასუხის გაცემა, ჯერჯერობით არ შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ორი მონაზონი ქალის სახელი გარეჯული კრებულისა და წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ სავედრებლებში ერთიმეორის გვერდით არის წარმოდგენილი და გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ თინათინ-ყოფილი ნინო და მონაზონი თანამოსაგრები იყვნენ. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რა ფორმა ჰქონდა მათ თანამოსაგრებას – მოძღვრობა-მოწაფეობის თუ უბრალოდ, ერთ სავანეში მოღვაწეობისა, ამ ეტაპზე არც ამის შესახებ შეგვიძლია რაიმეს გადაჭრით თქმა.

სად და როდის მოსაგრუბდნენ ერთად ნინო ბატონიშვილი და ფებრონია ხევარიძე? ჯერჯერობით ვერც ამ კითხვაზე გავცემთ რაიმე დამაჯერებელ პასუხს. მართლაც, ნინო ბაგრატიონსა და მონაზონ ფებრონიას ერთად მოდგაწეობა თანაბარი წარმატებით შეეძლოთ როგორც საქართველოში ანუ 1724 წლამდე პერიოდში, ისე რუსეთში ანუ 1724 წლის შემდგომ ქრონლოგიურ მონაკვეთში.

მიღებული დასკვნების შემდეგ შემდეგ ბუნებრივად იბადება მომდევნო კითხვა – კონკრეტულად ვის მიერ არის დაწერილი Ven.4-ის კოლოფონები – ნინო ბაგრატიონის, ფებრონია მონაზონის თუ გრიგოლ ხევარიძის მიერ?

დასახელებული სამი პირიდან ამთავითვე უნდა გამოირიცხოს გრიგოლ ხევარიძე. ჯერ ერთი, ამ უკანასკნელის სახელი მხოლოდ ერთ კოლოფონში, ისიც გაქვრით, ფეხმარინია მონაზონის სავედრებელის ბოლო ნაწილშია მოხსენიებული. გარდა ამისა, გრიგოლ ხევარიძე საერთოდ არ იხსენიება წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებისათვის“ დართულ სამ სავედრებელში. არადა, ამ სავედრებლებსა და Ven.4-ის კოლოფონებზე ზედაპირული დაკვირვებაც კი ნათლად უჩვენებს, რომ ისინი ერთი და იმავე პირის მიერ არის დაწერილი.

მინაწერების სავარაუდო ავტორებიდან გრიგოლ ხევარიძის გარდა, აუცილებლად უნდა გამოირიცხოს ნინო ბაგრატიონიც. მართლაც, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ შემონაზვნებულ ბატონიშვილს თავად დაეწერა კოლოფონები და ამ ტექსტებში საკუთარი ოჯახის წევრებისა და ნათესავების – იმერეთის, ქართლისა და ოდიშის სამეფო თუ სამთავრო სახლების გვირგვინოსანი წარმომადგენლების ნაცვლად, ვინმე გრიგოლ ხევარიძისათვის შევედრებოდა უფალს.

თუ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა სწორია, მაშინ ირკვევა, რომ გარეჯული კრებულის ჩვენთვის საინტერესო კოლოფონები გურული მონაზონის ფეხმარინია ხევარიძის მიერ წმიდა მიწაზე ყოფნის ჟამს, იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში იყო დაწერილი. სხვათა შორის, ამგვარი დასკვნის გაზიარების შემთხვევაში, აბსოლუტურად გასაგები ხდება, თუ რატომ იხსენიება ფეხმარინია ხევარიძის ხელით დაწერილ სავედრებლებში არა იმერეთის, ქართლისა და ოდიშის სამეფო თუ სამთავრო ოჯახების წევრთა სახელები, არამედ მაინცადამაინც მისი ბიძის – გრიგოლ ხევარიძის სახელი (შდრ.: ჯოჯუა 2002გ: 114, 141).

აქვე უსათუოდ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს – მონაზონი ფეხმარინია მარტო იმყოფებოდა წმიდა მიწაზე თუ მას ნინო ბატონიშვილიც ახლდა თან? სამწუხაროდ, ვერც ამ კითხვაზე გავცემო რაიმე გარკვეულ პასუხს. არადა, ქართული ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი ფენის წარმომადგენლის – ქართლის მეფის შვილიშვილის, ოდიშის მთავრის ცოლყოფილისა და იმერეთის მეფის შემონაზვნებული ასულის იერუსალიმში მომლოცველობის ფაქტი საკმაოდ საინტერესო შტრიხი იქნებოდა საქართველოსა და წმიდა მიწის ურთიერთობების XVIII საუკუნის ისტორიისათვის.

ნინო ბატონიშვილისაგან განსხვავებით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წმიდა მიწაზე ნამდვილად იმყოფებოდა გურული მონაზონი ფეხმარინია ხევარიძე. ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, რომ გარეჯული კრებულის კოლოფონები

დაწერილია XVIII საუკუნის I ნახევარში. შესაბამისად, ამავე XVIII საუკუნის I ნახევრით უნდა განისაზღვროს მინაწერების ავტორის – ფებრონია მონაზონის წმიდა მიწაზე ყოფნის ქრონოლოგიაც.

იმ ფაქტს, რომ ფებრონია ხევარიძე ნამდვილად იმყოფებოდა წმიდა მიწაზე, ერთგვარად ადასტურებს ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ცაგარელის მიერ 1883 წელს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავში მიკვლეული XII-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერის – ათანასე ალექსანდრიელის „ფსალმუნთა განმარტების“ (?) აშიაზე შესრულებული მინაწერი, რომლის ტექსტშიც, მკვლევრის თქმით, მოხსენიებული ყოფილა გურული მონაზონი ფებრონია (ცაგარელი 1888: 189).

ფებრონია ხევარიძის წმიდა მიწაზე ყოფნის ფაქტს უნდა ადასტურებდეს 1040 წელს გადაწერილი და იმთავითვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეწირული ქართული ხელნაწერის – გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებულის ერთი გვიანდელი მხედრული მინაწერიც. თავად ხელნაწერი 1820 წლამდე იერუსალიმის ჯვრის მინასტერში ინახებოდა, ამჟამად კი პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული (P-3). მართალია, ჩვენთვის საინტერესო მინაწერის ტექსტი მის გამომცემელს, ხელნაწერის აკადემიური აღწერილობის ავტორს – თამარ ბრეგაძეს შეცდომებით აქვს ამოკითხული, მაგრამ, მაინც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კოლოფონში ნამდვილად ფებრონია ხევარიძეა მოხსენიებული:

„დმერთო, შემიწყალე მონაზონი თებრონია ზეკარიძის (დ) ქალი, გურული, ამინ“ (ბრეგაძე 1988: 77).

რა მიზნით იმყოფებოდა ფებრონია მონაზონი იერუსალიმში – წმიდა მიწის მოსალოცად თუ რომელიმე აქაურ სავანეში დასამკვიდრებლად? რასაკვირველია, კატეგორიული ვერ ვიქნებით, მაგრამ საფიქრებელია, რომ ფებრონია ხევარიძე წმიდა მიწაზე იერუსალიმის ერთ-ერთ დედათა მონასტერში დასამკვიდრებლად იყო ჩასული. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ქართლის მთავარეპისკოპოსის ტიმოთე გაბაშვილის (1753-1764 წწ.) თხზულებაში – „მიმოსლვა“ (1757-1759 წწ.) დაცული ერთი ცნობა, სადაც ასახულია იერუსალიმის მირქმის (?) ქართველ დედათა მონასტერში 1757-1758 წლებისათვის არსებული ვითარება: „ქ. ესე მონასტერი დედათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს იღუმენისა ქართველი, ხარიბინი სახელიდ, ასევე ანჩაფიშვილისა. ორი მონაზონი კახნი

არიან, სხვა რუსეთში, იმერელი და გურული. იყოფებიან ხულიერად და კეთილად წმიდასა მას ადგილსა“ (ტიმოთე გაბაშვილი 1956: 0194, 81). ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ ტიმოთე გაბაშვილის მიერ ნახსენებ გურულ მოწესები სწორედ გარეჯული კრებულისა და წმ. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ სავედრებლებიდან ცნობილი გურული მონაზონი ფეხრონია ხევარიძე იგულისხმებოდეს (შდრ.: ჯოჯუა 2002გ: 141).

**თავი III. გარეჯულ პრებულები (Ven.4) შეტანილი
თხზულებები, როგორც საისტორიო წყარო**

§1. დოგმატიკურ-არღემიკური ტრაქტატი

„წვალებისა წინამძღვართა შეჩენებად“¹²⁹

1. თხზულების ზოგადი დახასიათება.

გარეჯულ კრებულში თავმოყრილი თორმეტი ტექსტიდან, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რიგით მერვე თხზულება, სახელწოდებით: „წვალებისა წინამძღვართა შეჩენებად“ (249v-254v). ამავე თხზულების დასახელება მცირედ განსხვავებული სახით იკითხება გარეჯული კრებულის „ზანდუკში“, რომელიც მოგვიანებით ჩანს შედგენილი: „შეჩენებად მწვალებელთავ“ (3r).

თხზულების სათაურიდან გამომდინარე, მისი ტექსტი თითქოს წმინდად დოგმატიკური ხასიათისა უნდა იყოს, თუმცა ეს, ერთი შეხედვით. სინამდვილეში, თხზულებაში, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, დოგმატიკური მსჯელობის გარდა, ჭარბად არის წარმოდგენილი პოლემიკის ელემენტებიც, რის გამოც, ტრაქტატი, ტიპოლოგიურად, არა დოგმატიკურ, არამედ – დოგმატიკურ-პოლე-მიკურ თხზულებათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.

„წვალებისა წინამძღვართა შეჩენებად“ სტრუქტურული თვალსაზრისით, ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. საგულისხმოა, რომ Ven.4-ის გადამწერს ნიკო-ლოზ ნიკრაის თითოეული ამ ნაწილის დასაწყისი საგანგებოდ გაუფორმებია მდიდრულად ორნამენტირებული თითო მთავრული საზედაო ასოთი. მას ჯერ სინგურით მოუხაზავს ამ საზედაო ასოების კონტურები, ხოლო შემდეგ მქრქალი აგურისფერი, წითელი, ცისფერი და ყვითელი საღებავებით შეუფერადებია ისინი.

ტრაქტატის პირველ ნაწილში თავს იყრის ექვსი ე. წ. „ანათემა“, სადაც დაწყევლილი და შეზენებულია მწვალებლური სწავლებების – არიანობის, ევნომიანელობის, ნესტორიანობის, სევერიანობის, მონოფიზიტობისა და მანიქევე-ლობის ექვსი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი: ალექსანდრიელი მღვდელი

¹²⁹ წინამდებარე პარაგრაფში განხილული საკითხებისა და მიღებული დასკნების ძირითადი ნაწილი შეჯამებული გვაქს 2003 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: „XII საუკუნის გარეჯულ კრებულში (Ven.4-ში) დაცული ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის შესახებ („წვალებისა წინამძღვართა შეჩენებად“)“ (ჯოჯუა 2003გ: 54-112).

არიოზი (III-IV სს.), ქიზიყიელი ეპისკოპოსი ევნომიოსი (IV ს.), კონსტანტინოპოლელი პატრიარქი ნესტორი (IV-V სს.), ანტიოქიელი პატრიარქი სევეროსი (V-VI სს.), კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტი ევტიქი (V ს.) და მანიქეიზმის ფუძემდებელი მანი (III ს.).

„ანათემები“ მცირე ზომისაა. თითოეულ მათგანში მითითებულია ერთი რომელიმე ერესიარქის სახელი, მისი მწვალებლური სწავლების ძირითადი არსი, იმ წმიდა მამათა ვინაობა ან საეკლესიო კრებათა დასახელება, რომლებმაც ამხილეს ერეტიკოსი და ამ უკანასკნელის დაკრულვა-შეჩვენება. მაგალითოსათვის მოვიყვანთ ორი „ანათემის“ ტექსტს:

„ცოფმან ნიხტორ, უღმრთომან და სავხემან სიმყრალითა, ენავ თუ გეხლუვანი აღლება გმობად ყოვლადწმიდისა და კურთხეულისა ქალწულისა მარიამ ღმრთისმშობელისა და დიდისა კურილებს მიერ შეიჩუნა...“

კვტქი, საძაგელი და გვდომი კალებიათად და უცხოვ ღმრთისაგან და განდგომილი, ქალკიდონისა კრებამან ჯმამაღლად შეაჩუნა წყეული და შეჩუნებული, რამეთუ შეკრულდა ბუნებათა ქრისტეს ღმრთისათა უსჯულოებითა“ (249v-250r).

აღსანიშნავია ისიც, რომ მეექვსე „ანათემის“ ბოლოს მოყვანილია კიდევ ერთი მოკლე წყევლა, სადაც, ზოგადად, ყველა ერესიარქისა და მწვალებლის საერთო შეჩვენებაა წარმოდგენილი: „წყეულ იყავნ და შეჩუნებულ მგმობარი პირი მიხი (მეექვსე მწვალებლის ანუ მანის – თ. ჯ.) და სული და ყოველთა მწვალებელთა და მიმდგომთა მიხთავ მიხთანა, ამენ იყავნ“ (250v).

თხზულების მეორე ნაწილის დასაწყისში მოთავსებულია დოგმატიკური ხასიათის მსჯელობა, მიმართული მაცხოვრის ერთბუნებიანობის მამტკიცებელთა წინააღმდეგ. მსჯელობის დასასრულს აღნიშნულია, რომ უფლის ორბუნებიანობას, პირველ ყოვლისა, თავად სახარებაში აღწერილი ამბები წარმოაჩენენ: „თუ საქმენი ასწავებენ ჯეროვნად განმრჩეველთა, კითარმედ საღმრთონი იგი ძალი მისნი ქადაგებენ, რამეთუ ჭეშმარიტად ღმერთი არს და ვნებანი მისნი წამებენ, კითარმედ ჭეშმარიტად კაცი არს და კორცნი მისნი ასულისაგან კაცისა არიან“ (250v-251r).

ამ, ერთგვარ შესავალ ტექსტს მოსდევს სახარებიდან გამოკრებილი ისეთი ოცდათოთხმეტი ამბის ჩამონათვალი, სადაც ერთდღროულად ჩანს მაცხოვრის როგორც ღმრთაებრივი, ისე – კაცებრივი ბუნება. საგულისხმოა ისიც, რომ თხზულების ამ ნაწილში უკვე მკაფიოდ ჩნდება ანტიმონოფიზიტური პოლემიკის ნიშნები. ტექსტში ყოველი სახარებისგული ამბავი ორი, შეწყვილებული კითხვით არის

წარმოდგენილი, რომლებიც კონკრეტულად ამ ამბავში ასახულ ფაქტებს ემუარება და, ერთი მხრივ, უფლის დმრთაებრივი, მეორე მხრივ, მისი კაცებრივი ბუნების წარმოჩენას ისახავს მიზნად. მაგალითისათვის მოვიყვანო ერთ ფრაგმენტს:

„უკუცთუ არა ჭორც იყო, ბაგასა შინა ვინ მიიწვინებოდა? უკუცთუ არა ღმერთი იყო, ანგელოზნი ვისდა დიდებად გარდამოკდება?“

უკუცთუ არა ჭორც იყო, სახუკელითა ვინ შეიხულდა? და უკუცთუ არა ღმერთი იყო, მწყემსნი ვის წინაშე თაყუანისმცემელობდება?

უკუცთუ არა ჭორც იყო, იოხებ ვის წინადახცეთა? და უკუცთუ არა ღმერთი იყო, ვარსკულავი ვისსა წინა რბილდა პატივად?

უკუცთუ არა ჭორც იყო, მარიამ ვის სძესა აწოებდა? და უკუცთუ არა ღმერთი იყო, მოგუნი ვისსა ძღუნის მრთუმელობდება?“ (251v).

თხზულების ეს ვრცელი და, ჩვენი დაკვირვებით, გამორჩეული სილამაზის მქონე ნაწილი დიოფიზიტური სწავლების სადიდებელი ტექსტით სრულდება:

„არამედ ჭეშმარიტ არს, რომელსა აღვიარებთ, ვითარმედ ძე ღმრთისავ ძე კაცის იქმნა, ასულისაგან კაცისა, ჭორცითა, რომელ მისვან შეიძონენა და უკავებ არს ქრისტე, მხოლოდ შობილი ძე და სიტყუად ღმრთისავ, რომლისავ არს დიდება, სუვერად და სიმტკიცა, აწ და უკუნითი უკუნისადმდე, ამებ“ (254v).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ Ven.4-ში წარმოდგენილი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის ტექსტი, გარეჯული კრებულის გარდა, ჩვენთვის ცნობილ არცერთ სხვა ხელნაწერში არ არის შეტანილი. თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ ცხადი ხდება, რომ „წვალებისა წინამდუართა შეჩერებად“ ჩვენამდე მხოლოდ ერთი ნუსხით არის მოღწეული და ეს ერთადერთი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობისათვის ქსოდენ მნიშვნელოვანი ნუსხაც, თავის მხრივ, სწორედ გარეჯულ კრებულშია შემონახული¹³⁰.

2. „წვალებისა წინამდუართა შეჩერებად“, როგორც საისტორიო წყარო.

Ven.4-ში დაცული დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატი ჩვენთვის, პირველ რიგში, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არის საყურადღებო.

¹³⁰ მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ განხილულ საკითხთან დაკავშირებით, 2003 წელს კონსულტაციისათვის მიემართეთ ძველი ქართული დოგმატიკური ლიტერატურის მკვლევარს, ფილოლოგოს ნანა ჩიკვატიას. მკვლევარმა თითქმის მთლიანად დაადასტურა ჩვენი წინასწარი ვარაუდი. მისი თქმით, Ven.4-ში წარმოდგენილი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატი მართლაც არ გვხვდება სხვა ქართულ ხელნაწერებში და მისი ტექსტიც სრულებით უცნობია ქართველი ფილოლოგოსებისათვის.

მხედველობაში გვაქვს გარეჯის სამონასტრო ცხოვრებასთან დაკავშირებული ქართულ-სომხური კონფესიური ურთიერთობების ერთი კონკრეტული პრობლემა, რომელიც 1985 წელს პარუირ მურადიანმა წამოჭრა.

მკვლევარმა მონოგრაფიაში „Армянская Эпиграфика Грузии“ თავი მოუყარა გარეჯის ქვაბოვან სავანეებში გამოვლენილ XIII-XIX საუკუნეების სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებს და მათზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ გარეჯში მოსალოცად მისულ სომები პილიგრიმებს თან ახლდნენ მონოფიზიტი მღვდლები, რომლებიც გარეჯის ეკლესია-მონასტრებში საკუთარი მრევლისათვის ლიტურგიას ადასრულებდნენ, ადგილობრივი ქალკედონიტი მოწესები კი, თავის მხრივ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ სომები პილიგრიმთა კონფესიურ კუთვნილებას და გარკვეული გადასახადის საფასურად, მასპინძლობასაც კი უწევდნენ მათ (მურადიანი 1985: 192).

პარუირ მურადიანის მოსაზრებათა ერთი ნაწილი უთუოდ მისაღებია ჩვენთვის: მომლოცველსა თუ უბრალოდ, მგზავრს, რომელი სწავლების მიმღევარიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ნებისმიერი მონასტერი, კაცომოყვარეობის პრინციპიდან გამომდინარე, მიიღებდა და უმასპინძლებდა კიდეც. ცხადია, ასე იქნებოდა გარეჯშიც. მართლაც, სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი 1274 წლის ერთი სომხური ნაკაწრი წარწერა გარეჯის უდაბნოს მონასტრიდან, რომელიც გვაუწყებს, რომ გარეჯელ მამებს ვინმე დმანელი მონოფიზიტი პილიგრიმი მშვიდობით უსტუმრებიათ. ამისათვის, წარწერის ავტორი მადლობას სწირავს მრავალმთის ქალკედონიტ მოწესებს, თუმცა კი, იქვე აღნიშნავს, რომ მისი კეთილი გარეჯელი მასპინძლები სარწმუნოებით მაინც „არასრულნი“ იყვნენ: „არასრული სარწმუნოებით და კეთილი სახელით დავთივცხებულნი წმიდანი ძღვდელნი გარეჯისანი წელსა 723 (=1274 წ.), მონა... დმანელმა მივაღწიეთ სახლსა ამას“ (მელიქსეთ-ბეგი 1940: 170; შდრ.: მურადიანი 1985: 188-189).

სრულებით სხვა საკითხია სომები მონოფიზიტი მღვდლების მიერ გარეჯის დიოფიზიტური სამონასტრო ძმობის კუთვნილ ეკლესია-სამლოცველოებში ლიტურგიული ღმრთისმსახურების შესრულების ფაქტი, რაც შეა საუკუნეების საეკლესიო ტრადიციის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა: მართლმადიდებლური კანონიკა მონოფიზიტურ დოქტრინას ერებიკულ სწავლებად მიიჩნევდა და ქალკედონიტ მორწმუნებს მონოფიზიტ მწვალებლებთან ყოველგვარ ლიტურგიულ კავშირს უკრძალავდა (გაბიძაშვილი ... 1975: 168-169, 173, 190, 198, 384-385, 392, 402-404 და სხვ.; გიუნაშვილი 1972: 18, 22-23, 33-34, 46-49, 63-68, 74-77 და სხვ.).

სწორედ ამ, ნებისმიერი ეროვნების დიოციზიტისათვის საგალდებულო, კანონიკური ნორმებით იყო რეგლამენტირებული საქართველოს ისტორიიდან ცნობილი უამრავი ფაქტი, რომელთა შორის, განსაკუთრებით მეტყველია XIII საუკუნის დასაწყისში მეფე თამარის (1184-1207/10 წწ.) კარზე მომხდარი ერთი ინციდენტი, როდესაც საქართველოს ეპლესიის საჭეთმპყრობელმა, ქართლის კათოლიკოსმა იოანე VIII-მ (1205/6-1210 წწ.) არასგზით არ აზიარა ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო მოხელე, მონოფიზიტი ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი: „ნეფხით არავინ მართლმადიდებელთაგანი იკადრებს მღდელმოქმედებასა სეფისკუერს თქუენ, შედგზის წყეულთა სომებთა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედოანი 1959: 82).

ჩვენი დაკვირვებით, მონოფიზიტობისადმი კათოლიკოს იოანე VIII-საგან განსხვავებული დამოკიდებულება არც გარეჯელ მოწესებს უნდა ჰქონდათ. ამ მხრივ, ყოველგვარ ეჭვს გამორიცხავს 1160 წელს გარეჯში გადაწერილი კრებული (Ven.4) და მასში შეტანილი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატი „წვალებისა წინამდუართა შეჩერებაზ“ სადაც, სხვა ერესიარქების გვერდით, დაწყევლილი და შეჩერებული არიან მონოფიზიტურ სწავლებათა ფუძემდებლებიც – კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტი ევტიქე და ანტიოქიელი პატრიარქი სევეროსი.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ Ven.4 არასაღმრთისმსახურო ტიპის ხელნაწერს წარმოადგენდა და ძირითადად სამონასტრო სენაკებსა თუ სამარტომყოფელოებში მოღვაწე ბერმონაზვნებისათვის საკითხავად იყო განკუთვნილი (იხ. ზემოთ). ეს გარემოება კი, თავის მხრივ, უფლებას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ Ven.4-ში წარმოდგენილი დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატითა და სხვა მსგავსი საეკლესიო საკითხავებით აღზრდილ გარეჯელ მოწესებს, ისე, როგორც ნებისმიერ სხვა დიოციზიტ ქრისტიანებს, მონოფიზიტების სულის მომაკვდინებელ სწავლებად – ერესად მიაჩნდათ და წარმოუდგენელია, მონოფიზიტი მღვდლებისთვის ლიტურგიის შესასრულებლად რაიმე მოტივით დაეთმოთ გარეჯის მრავალმთის ეპლესია-სამლოცველოები.

3. თხზულების ტექნიკური აღწერილობა და მისი ტექსტი.

Ven.4-ში წარმოდგენილი დოგმატიკური-პოლემიკური ტრაქტატი, ისე როგორც მთელი გარეჯული კრებული, დაწერილია ნიკოლოზ ნიკრაის ხელით, ორ სვეტად, ნუსხურით. ტექსტი ალაგ-ალაგ ჩართულია მთავრულით შესრულებული საზედაო ასოები, რომელთა დახასიათებაც მოტანილი გვექნება ქვე-

მოთ, ტრაქტატის ტექსტისათვის დართულ შენიშვნებში. ნუსხური გრაფემების ზომებია: 0,5X0,5 სმ.; 0,5X0,3 სმ.; 0,5X0,6 სმ.; 0,7X0,5 სმ. და ა. შ.

თხზულება, ძირითადად, დაწერილია ყავისფერი მელნით. თუმცა, მისი ცალკეული ადგილები, ტექსტის დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფის მიზნით, შესრულებულია სინგურით. კერძოდ, სინგურით არის ნაწერი ტრაქტატის სათაური და ტექსტში გამოყენებული პუნქტუაციის ნიშნების ცალკეული დეტალები.

თხზულების დასაწყისში, 249v-ს მარცხენა სვეტის ზედა ნაწილში გამოყვანილია ულამაზესი თავსართი, რომელიც, Ven.4-ის სხვა თავსართებთან ერთად, შეა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული გაფორმების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად გვევლინება. თავსართი წარმოადგენს მართკუთხედს, რომლის შიდა არეც მთლიანად ფერადოვან მცენარეულ ორნამენტს უჭირავს. მცენარეული მოტივებით არის შემკული მართკუთხედის მარცხენა, მარჯვენა და ზედა კიდეებიც. მართკუთხედის ზედა კიდის შუა წერტილიდან ამოზრდილია, სავარაუდოდ, აყვავილებული ჯვარი, რომლის ზედა ნაწილიც მოგვიანო ხანის სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ არის მოქცეული.

დღეისათვის თხზულებაში რამდენიმე ადგილას გადასულია მელანი, ალაგალაგ კი ქაღალდის ფურცლები ჭიის მიერაა დახრული, რის გამოც მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული ცალკეული გრაფემები და მთელი სიტყვებიც კი. ამ და სხვა დაზიანებათა გამო დაკარგული ადგილები ადგანილი გვაქს გრაფემათა შემორჩენილი ფრაგმენტებისა და თხზულების შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით.

ჩვენ ზემოთ, Ven.4-ის კოდიკოლოგიაზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ 1570 წელს გარეჯული კრებული საფუძვლიანად განაახლა ურბნელმა ეპისკოპოსმა ვლასე საპაკასძემ. ხელნაწერის აღდგენა-გაცხოველების შედეგად, Ven.4-ში წარმოდგენილი ზოგიერთი ტექსტისა და, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო დოგმატიკურ-პოლემიკური ტრაქტატის ცალკეული ფრაგმენტები ხელნაწერის აშიებზე დაწებებული სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ აღმოჩნდა. აღნიშნული გარემოება, ცხადია, გაითვალისწინა ვლასე ურბნელმა და დაკლებული სიტყვები თუ გრაფემები საკუთარი ხელით, შავი ფერის მელნით აღადგინა სარესტავრაციო ქაღალდის ყველა შესაბამის ადგილას.

ვნის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ჩვენ გადავწევიტეთ, ერთიმეორისათვის შეგვედარებინა სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ მოქცეული ანუ თავდაპირველად დაწერილი და სარესტავრაციო ქაღალდზე შესრულებული

ანუ მოგვიანებით ადდგენილი ტექსტები. ამ მიზნით, შესადარებლად შევარჩიეთ „წვალებისა წინამდლუართა შეჩუენებად“ და მისი რამდენიმე რესტავრირებული ფურცელი დეტალურად დაგათვალიერეთ სინათლის გამჭოლ შუქჩე. შედარებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ვლასე ურბნელის მიერ განახლებული ფრაგმენტები მთლად ზუსტად არ მისდევდა და არ იმეორებდა ნიკოლოზ ნიკრაის მიერ დაწერილ ტექსტებს.

სამწუხაროდ, დროის უკმარისობის გამო ჩვენ ვერ შევძელით, სათითაოდ ამოგვეკითხა სარესტავრაციო ქაღალდის ქვეშ მოქცეული ფრაგმენტები. ამიტომაც წინამდებარე ნაშრომში უბრალოდ ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ ტრაქტატის ტექსტში გამოვლენილი ორი სხვადასხვა ქრონოლოგიურ შრე და ვლასე ურბნელის მიერ ადდგენილი ფრაგმენტები, ნიკოლოზ ნიკრაის მიერ დაწერილი ტექსტისაგან გამოსაყოფად, დამუქების გარეშე და თანაც, მარჯვნივ გადახრილი სახით წარმოვადგინეთ.

ცალკე საუბრის თემაა ნიკოლოზ ნიკრაის მიერ ტრაქტატის ტექსტში გამოყენებული პუნქტუაციის ნიშნები. როგორც ამ ნიშნებზე დაკვირვება აჩვენებს, ტექსტში ისინი გარკვეული წესის დაცვით არის გამოყენებული. სულ ტრაქტატში გამოიყოფა ორმოცამდე სახის სხვადასხვა პუნქტუაციის ნიშანი, რომლებიც რვა ძირითად ჯგუფად იყოფა და იშვიათი გამონაკლისების გარდა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ეს ჯგუფებია:

- I. ამჟამინდელი მძიმის მნიშვნელობით ნახმარი პუნქტუაციის ნიშნები.
- მძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.
 - მძიმე, შესრულებული სინგურით.
 - მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორივე მძიმე – ყავისფერი მელნით.
 - მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.
 - მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორივე მძიმე – სინგურით.
 - მძიმე, მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე და მათგან მარჯვნივ შესრულებული მესამე, აგრეთვე, ზევით აბრუნებული მძიმე. პირველი და მესამე მძიმეები – ყავისფერი მელნით, მეორე მძიმე – სინგურით.

ზ) მძიმე, მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე და მათგან მარჯვნივ შესრულებული მესამე მძიმე. პირველი და მეორე მძიმეები – ყავისფერი მელნით, მესამე მძიმე – სინგურით.

თ) წერტილმძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.

ი) წერტილმძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. წერტილმძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.

კ) წერტილმძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. წერტილმძიმის წერტილი – ყავისფერი მელნით, წერტილმძიმის მძიმე და ზედა მძიმე – სინგურით.

II. ამჟამინდელი წერტილის მნიშვნელობით ნახმარი პუნქტუაციის ნიშნები.

ა) მძიმე, შესრულებული სინგურით.

ბ) ორწერტილი და ხაზი. ორივე ნიშანი – ყავისფერი მელნით.

გ) ორწერტილი და მძიმე. ორივე ნიშანი – ყავისფერი მელნით.

დ) ორწერტილი, მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. კვედა ნიშანი – ყავისფერი მელნით.

ე) ორწერტილი, მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორწერტილი და ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სიგურით.

ვ) წერტილმძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.

ზ) წერტილმძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი, ზევით აბრუნებული მძიმე. წერტილმძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.

III. ამჟამინდელი ძახილის ნიშნის მნიშვნელობით ნახმარი პუნქტუაციის ნიშნები.

ა) ორწერტილი, მძიმე და ამ უკანასკნელის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორწერტილი და ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.

ბ) წერტილმძიმე, რომლის წერტილსაც შემოვლებული აქვს რკალი, მძიმე და ამ უკანასკნელის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. წერტილმძიმე და ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, წერტილმძიმის წერტილისათვის შემოვლებული რკალი და ზედა მძიმე – სინგურით.

IV. ამჟამინდელი კითხვის ნიშნის მნიშვნელობით ნახმარი პუნქტაციის ნიშნები.

- ა) ორწერტილი, რომლის ზედა წერტილსაც შემოვლებული აქვს რკალი და მძიმე. ორწერტილი – ყავისფერი მელნით, ზედა წერტილისათვის შემოვლებული რკალი – სინგურით.
- ბ) ორწერტილი, რომლის ზედა წერტილსაც შემოვლებული აქვს რკალი, მძიმე და ამ უკანასკნელის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორწერტილი და ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, ორწერტილის ზედა წერტილისათვის შემოვლებული რკალი და ზედა მძიმე – სინგურით.
- გ) ორწერტილი, მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორწერტილი და ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.
- დ) მძიმე, ორწერტილი, რომლის ზედა წერტილსაც შემოვლებული აქვს რკალი და მძიმე. მძიმე, ორწერტილი და მეორე მძიმე – ყავისფერი მელნით, ორწერტილის ზედა წერტილისათვის შემოვლებული რკალი – სინგურით.
- ე) მძიმე, მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე, ორწერტილი, რომლის ზედა წერტილსაც შემოვლებული აქვს რკალი და კიდევ ერთი მძიმე. ქვედა მძიმე, ორწერტილი და მესამე მძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე და ორწერტილის ზედა წერტილისათვის შემოვლებული რკალი – სინგურით.
- ვ) წერტილი, კიდევ ერთი წერტილი, ორწერტილი, ორწერტილის ქვედა წერტილის მარჯვნივ დასმული წერტილი, მძიმე და პატარა ჰორიზონტალური ხაზი. პირველი წერტილი, ორწერტილის ქვედა წერტილი, მძიმე და პატარა ჰორიზონტალური ხაზი – ყავისფერი მელნით, მეორე წერტილი, ორწერტილის ზედა წერტილი, ორწერტილის ქვედა წერტილის მარჯვნივ დასმული წერტილი და მძიმე – სინგურით.

V. ამჟამინდელი ორწერტილის მნიშვნელობით ნახმარი პუნქტუაციის ნიშნები:

- ა) მძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.
- ბ) მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ქვედა მძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.

VI. სპეციალური ნიშანი, რომლის დახმარებითაც აღინიშნება ტრაქტატში წარმოდგენილი ორნაწილიანი კითხვების თითოეული ნაწილის დასაწყისი.

- ა) სიტყვის პირველი რამდენიმე გრაფემის ქვემოთ სინგურით გავლებული ორკბილიანი ან სამკბილიანი განივი ხაზი.

VII. სპეციალური ნიშნები, რომლის დახმარებითაც აღინიშნება ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება, ან დაისვას, ან არ დაისვას მძიმე.

- ა) მძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.
- ბ) ორი მძიმე, ორივე – ყავისფერი მელნით.
- გ) მძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი კიდევ ერთი, ზევით აბრუნებული მძიმე. ორივე მძიმე – ყავისფერი მელნით.
- დ) წერტილმძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.
- ე) წერტილმძიმე, რომლის ზედა წერტილსაც შემოვლებული აქვს რკალი. წერტილმძიმე – ყავისფერი მელნით, წერტილმძიმის წერტილისათვის შემოვლუბული რკალი – სინგურით.
- ვ) წერტილმძიმე და მის ზემოთ გამოყვანილი, ზევით აბრუნებული მძიმე. წერტილმძიმე – ყავისფერი მელნით, ზედა მძიმე – სინგურით.

VIII. სპეციალური ნიშნები, რომლის დახმარებითაც ტექსტიდან გამოიყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (?) სიტყვები (მაგ.: „მე ღმრთისა“, „მხოლოდშობილი ქე“, „სიტყუად ღმრთისა“ და ა. შ.).

- ა) სიტყვის ზემოთ დასმული ზევით აბრუნებული მძიმე, შესრულებული ყავისფერი მელნით.
- ბ) სიტყვის ზემოთ დასმული ორი ზევით აბრუნებული მძიმე. პირველი მძიმე – ყავისფერი მელნით, მეორე მძიმე – სინგურით.
- გ) სიტყვის ქვემოთ დასმული მძიმე, შესრულებული სინგურით.

დასასრულ, მოგვყავს ტრაქტატის ტექსტი, რომელიც აქამდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს, ჩვენს მიერ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებულის – „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“ VII ტომში (ჯოჯუა 2003: 65-99).

წვალებისა¹³¹ წინამძღვართა შეჩუქრებ(ა)ა |

არიოზ¹³², უცხო ქმნელი | ლ(მრთ)ისაგ(ა)ნ, მწვალებელთა წინამძღვარი, სიტყუამ(ა)ნ მხლოდ შობილმ(ა)ნ, | რ(ომ)ლ(ი)სა იგი დაკნინებად ბორგდა

¹³¹ სიტყვის პირველი გრაფემა – წ დიდი ზომის (3,3 X 14,8 სმ.), მდიდრულად ორნამენტირებულ, მთავრულ საზედაო ასოს წარმოადგენს. მისი კონტურები ტექსტში ჩართული რამდენიმე სხვა საზედაო ასოს მსგავსად, ჯერ სინგურით მოუხაზავთ, შემდეგ კი – მქრქალი აგურისფერი, წითელი და ცისფერი სადებავებით შეუფერადებიათ. გრაფემა შესრულებულია 249v-ს მარცხენა აშიაზე, თხზულების დასაწყისში გამოყვანილი თავსართისა და ტექსტის მარცხენა სვეტის პირველი ექვსი სტრიქონის გასწვრივ. ამავე სიტყვის მომდევნო რვა გრაფემა – კალებისა, ისე, როგორც ტრაქტატის მთელი ტექსტი, ნუსხურით არის ნაწერი.

¹³² სიტყვის პირველი გრაფემა – ა მთავრულ საზედაო ასოს წარმოადგენს. იგი დიდი ზომისაა (2,7 X 4,1 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია 249v-ს მარცხენა აშიაზე, წინა

ბოროტი, გ(ა)ნკუეთა | და შეაჩუენა და | ს(უ)ლი მისი ბილწი || ც(ე)ცხლითა
დასაჯა. |

ევნომიოს¹³³ მგმობარი, ვითარცა ზიარი [მი]სი და ბოროტად | მწ<ა>ვა-
ლებელი¹³⁴, | დიდმ(ა)ნ გ(რი)გ(ო)ლი, თავ|მ(ა)ნ ღ(მრთ)ისმეტყუელებისამ(ა)ნ და
დ(იდებ(უ)ლმ(ა)ნ¹³⁵ | დიდმ(ა)ნ ბასილი შეაჩუენეს უსჯულ|ოვ და დაწყეული, |
სამგზის სანატრელთა.

ცოფმ(ა)ნ¹³⁶ | ნისტორ, უღ(მრ)ოო|მ(ა)ნ და სავსემ(ა)ნ სიმყრალითა, ენად |
თვსი გესლუგანი 249v||250r ადლესა გმობად | ყ(ოვლა)დწ(მიდ)ისა და ქ(ურთ)ხ(ეუ)-
ლისა | ქ(ალ)წ(უ)ლისა მ(ა)რ(ია)მ ღ(მრ)ოისმშობელისა და დიდისა პკრილეს
მ(იე)რ შეიიჩუენა.

სეგე|როს¹³⁷ დაწყეული, | მგმობარი და საძაგელი და მტერი ეპლესიათად,
რ(ომე)ლი | იგი შეპრევდა ბ(უ)ნ(ე)ბა|თა ქ(რისტ)ესთა, ფლაბიანე ღ(მერ)თშე-
მოსი|ლმ(ა)ნ შეაჩუენა, | გ(ა)ნკუეთა და დაწყევა იგი. წყეულ | იყავნ და
შეჩუენებულ.

ევტპქი¹³⁸, | საძაგელი¹³⁹ და მკდომი | ეკლესიათად და უცხოვ ღ(მრთ)ის(ა)-
გ(ა)ნ და გ(ა)ნდგ|ომილი, ქალკიდონისა | კრებამ(ა)ნ ჭმამაღლა|დ შეაჩუენა წყეუ-

შენიშვნაში დახასიათებულ საზედაო ასოს – წ და ტექსტის მარცხენა სვეტის IV-V სტრი-
ქონებს შორის. ამავე სიტყვის მომდევნო სამი ნუსხური გრაფემა – რომ სვეტიდან მარცხნივ
არის გასული და მთლიანად მთავრული საზედაო ასოს – ა მარჯვნივ გახსნილ ქვედა
რკალშია მოქცეული.

¹³³ სიტყვის პირველი გრაფემა – ე მთავრულ საზედაო ასოს წარმოადგენს. იგი საშუალო
ზომისაა (2,2 X 2,0 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია 249v-ს მარჯვნია სვეტის
მარცხნივ, II-III სტრიქონების გასწვრივ.

¹³⁴ სიტყვის ბოლო ცხრა გრაფემის – <ა>ვლებელი ადგილას თავდაპირველად რადაც სხვა ტექსტი
უნდა ყოფილიყო შესრულებული, რომელიც Ven.4-ის გადამწერს, ნიკოლოზ ნიკრაის თავადვე
ამოუფხებავს და მის ნაცვლად, საკუთარი ხელით გამოუყვანია ზემოსენიებული ცხრა გრაფემა.

¹³⁵ სიტყვის თანმხელებ ქარაგმის ნიშანსა და ბოლო ორ გრაფემაზე – მ(ა)ნ, სავარაუდოდ,
დამდნარი სანთლის წვეთები უნდა იყოს დაღვენთილი.

¹³⁶ სიტყვის პირველი გრაფემა – ც მთავრულ საზედაო ასოს წარმოადგენს. იგი საშუალო
ზომისაა (2,9 X 1,6 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია ტექსტშივე, 249v-ს
მარჯვნია სვეტის XIII სტრიქონში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე სტრიქონის პირველი სამი
გრაფემის – ლთა შემდეგ დასმული მეორე მძიმე საზედაო ასოს – ც ქვედა რკალშია
მოქცეული.

¹³⁷ სიტყვის პირველი გრაფემა – ხ მთავრული საზედაო ასოს წარმოადგენს. იგი საშუალო
ზომისაა (1,4 X 1,3 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია ტექსტშივე, 250r-ს
მარჯვნია სვეტის VI სტრიქონში.

¹³⁸ სიტყვის პირველი გრაფემა – ე მთავრულ საზედაო ასოს წარმოადგენს. იგი საშუალო
ზომისაა (1,6 X 1,0 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია ტექსტშივე, 250r-ს
მარჯვნია სვეტის I სტრიქონში.

¹³⁹ სიტყვის მეექვსე გრაფემა – ე ჩამატებულია მოგვიანებით, ნიკოლოზ ნიკრაისავე ხელით.
შესრულებულია სტრიქონის ზედა ხაზში. ახლავს რამდენიმე წერტილი, რომლებიც
მიუთითებენ იმ ადგილზე, სადაც ნაგულისხმევი იყო გრაფემის ადდგენა. აღსანიშნავია ისიც,
რომ ჩამატებული გრაფემა უფრო მცირე ზომისაა და თანაც, ძირითადი ტექსტისაგან

ლი | და შეჩუენებული, რ(ამეთუ) | შეპრევდა ბ(უ)ნ(ე)ბ(ა)თა ქ(რისტე)ს | ლ(მრთ)ი-
სათა უსჯულოებითა.

და¹⁴⁰ მენენტოს | დაწყეული, ჭურჭელი უპეთურისად, | ქ(რისტე)ს, მჯხნ-
ლისა ჩ(უ)ნისა, | ჭ(ეშმარი)ტსა მ(ა)ს გ(ა)ნგ(ე)ბულებასა | ს(ა)ღ(მრ)თოსა, საოც-
რად | ჰგმობდა ბილწი იგი 250r||250v და პორფირი¹⁴¹ დიდისა მ(იე)რ შეიჩუენა. |
წყეულ იყავნ და | შეჩუენებულ მგმობარი პირი მისი | და ს(უ)ლი და ყ(ოველ)თა
მწვალებელთა და მიმდგომთა მისთ(ა)დ მისითანა, ა(მე)ნ იყ(ა)ვნ. |

რ(ომე)ლი¹⁴² გ(ა)ნჟყოფდეს გუამთა მისთა, გ(ა)ნიკუეთოს იგი სულე-
გისაგ(ა)ნ¹⁴³ მისისა და | რ(ომე)ლი შეპრევდეს | ბუნებათა მისთა, | წარწყმედილ
არს | ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)დ მისი. რ(ომე)ლი || უგარჟყოფდეს, | გ(ითარმე)დ არა ჭ(ეშმა-
რიტა)დ ლ(მერთ)ი შვა | მ(ა)რ(ია)მ, ნუმცა უხილავს დ(იდე)ბ(ა)დ ლ(მრ)თეებისა
მისისად და | რ(ომე)ლი უგარჟყოფდეს, გ(ითარმე)დ არა ჭ(ეშმარიტა)დ შეიმოსნა
ჭ(ო)რცნი, დაძე{უე}თებულ არს იგი | ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)ნისაგ(ა)ნ და მ(ა)ცხუგარებისა
ჭ(ო)რცითა მ(იე)რ მისთა მოცემულისა.

თვთ¹⁴⁴ | საქმენი ასწავებენ ჯეროვნად | გ(ა)ნმრჩეველთა, გ(ითარმე)დ |
ს(ა)ღ(მრ)თონი იგი ძალნი 250v||251r მისნი ქადაგებენ, | რ(ამეთუ) ჭ(ეშმარიტა)|დ

განსხვავებული, წვრილწვერიანი კალმით არის ნაწერი. რაც შეეხება ჩამატებული გრაფემის
ძელნის ფერს, ის ძირითადი ტექსტის იდენტურია.

¹⁴⁰ სიტყვის ორივე გრაფემა მთავრულ სახედაო ასოებს წარმოადგენს. პირველი გრაფემა – დ
საშუალო ზომისაა (1,1 X 1,3 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია ტექსტშივე, 250r-
ს მარჯვნა სვეტის XI სტრიქონში. მეორე გრაფემა – ა შედარებით მცირე ზომისაა (0,5 X 0,5
სმ.) და პირველისაგან განსხვავებით, ძირითადი ტექსტის ყავისფერი მელნით არის
გამოყვანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უკანასკნელი შეწიაღებულია პირველი მთავრული
გრაფემის – დ ქვედა რადგან.

¹⁴¹ სიტყვის წინ თავდაპირველად ერთი (?) უცნობი გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი,
რომელიც, ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის
მიერ, რაღაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფის
ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტად შეუსრულებია და 250v-ზე
ქადაღდის ზედაპირი ისე თხელ ფერად ამოკვეთავს, რომ 250r-ს შესაბამისი ადგილი,
პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა.

¹⁴² სიტყვის პირველი გრაფემა – რ მდიდრულად ორნამენტირებულ, მთავრული სახედაო ასოს
წარმოადგენს. იგი დიდი ზომისაა (6,4 X 14,9 სმ.). მისი კონტურები ჯერ სინგურით მოუხაზავთ,
ხოლო შემდეგ კი წითელი და ყვითელი საღებავებით შეუფერადებიათ. გრაფემა
შესრულებულია 250v-ს მარცხენა აშიაზე, მარცხენა სვეტის VI-XVII სტრიქონების გასწვრივ.

¹⁴³ სიტყვის ბოლო ორი გრაფემა – გ(ა)ნ ჩამატებულია მოგვიანებით, ნიკოლოზ ნიკრაისავა
ხელით. შესრულებულია სტრიქონის ზედა ხაზში. ახლაც რამდენიმე წერტილი, რომლებიც
მიუთითებენ იმ ადგილზე, სადაც ნაგულისხმევი იყო გრაფემის აღდგენა. აღსანიშნავია ისიც,
რომ ჩამატებული გრაფემები უფრო მცირე ზომისაა და გაპრული ხელით, თანაც, ძირითადი
ტექსტისაგან განსხვავებული, წვრილწვერიანი კალმით არის ნაწერი. რაც შეეხება ჩამატებული
გრაფემების მელნის ფერს, ის ძირითადი ტექსტის იდენტურია.

¹⁴⁴ სიტყვის პირველი გრაფემა – თ მთავრულ საზედაო ასოს წარმოადგენს. იგი საშუალო
ზომისაა (1,4 X 1,6 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია ტექსტშივე, 250v-ს
მარჯვნა სვეტის XIII სტრიქონში.

დ(მერთ)ი არს | და ვნებანი მისნი წამებენ, გ(ითარმე)დ ჭ(ეშმარიტა)დ პ(ა)ციი
არს | და ქ(ო)რცნი მისნი ასულის(ა)გ(ა)ნ პ(ა)ცისა არიან. |

და უკუცთუ არა | ს(რულია)დ შეიერთა პ(ა)ცებად | ღ(მრ)თუებამ(ა)ნ,
უძლურთა გ(ო)ნ(ე)ბ(ი)თა მიეჭადოს ს(ა)სჯ(ე)ლი სახიერების(ა)გ(ა)ნ მ(ა)მისა
ჩ(უ)ნისა ი(ე)ს ქ(რისტ)ესისა. |

ოპუცთუ¹⁴⁵ არა ჭ|ორცი იყო, რახსა|თუს პ(ა)რ(ია)მ შ(ორი)ს შემოყვანებულ
იქმნა? || და უპ(უტ)ოუ არა დ(მერთ)ი იყო, | გ(ა)ბ(რიე)ლ ვის ხადოდა: „უფალ“?

უპ(უტ)ოუ არა | ჭ(ო)რც იყო, ბაგასა შ(ინ)ა | ვინ მიიწვინებოდა? | უპ(უტ)ოუ
არა დ(მერთ)ი იყო, | ანგ(ე)ლ(ო)ზნი ვისდა დ(იდე)ბ(ა)დ | გარდამოკდეს? |

უპ(უტ)ოუ არა ჭორც¹⁴⁶ იყო, სახუველითა ვინ შეიხუეოდა? | და უპ(უტ)ოუ
არა დ(მერთ)ი იყო, | მწყემსნი ვის წ(ინაშ)ე თაყუანისმცემელობდეს? |

უპ(უტ)ოუ არა ჭ(ო)რც იყო, | იოსებ ვის წინადასცჲთა? და უპ(უტ)ოუ [არა]
251r||251v დ(მერთ)ი იყო, ვარსკულავი¹⁴⁷ ვისსა წინა | რბიოდა პატივად¹⁴⁸? |

უპ(უტ)ოუ არა ჭ(ო)რც | იყო, მ(ა)რ(ია)მ ვის სძესა¹⁴⁹ აწოებდა? | და
უპ(უტ)ოუ არა დ(მერთ)ი | იყო, მოგუნი ვისსა | ძლუნის მრთუმელობდეს?

უპ(უტ)ოუ | არა ჭ(ო)რც იყო, სუმიონ წიაღთა თუს|თა ვის იტურთვიდა? | და
უპ(უტ)ოუ არა დ(მერთ)ი | იყო, ვისსა მ(იმა)რთ | იტყოდა: „გ(ა)ნმიტვე | მე
მშვდობით“?

¹⁴⁵ სიტყვის დასაწყისი 1570 წლის სარესტავრაციო ქადალდის ქვეშ არის მოქცეული. ამ ადგილას, იმავე 1570 წელს, კალიგრაფ-რესტავრატორ ვლასე ურბნელს შავი ფერის მელნიონ ხუთი ნუსხური გრაფემა – ოუკუტ აქეს ადდგენილი. ამათგან, პირველი ორი – მთავრულ საზედაო ასოებს წარმოადგენს: ო საშუალო ზომისაა (3,0 X 2,7სმ.) და 251r-ს მარცხენა აშიაზე, მარცხენა სვეტის XIII-XV სტრიქონების გასწვრივ არის შესრულებული; მეორე გრაფემა – პუფრო მცირე ზომისაა (0,8 X 1,5 სმ.) და პირველი მთავრული გარფემის – ო ქვედა რკალშია შეწიაღებული. მომდევნო სამი გრაფემა – კუტ ნუსხურით არის გადმოცემული.

¹⁴⁶ სიტყვის წინ თავდაპირველი ტრიუმფური გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომლებიც, ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, რაღაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფს ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტიზად შეუსრულებია და 251r-ზე ქადალდის ზედაპირი ისე თხელ ფენად ამოუკვეთავს, რომ 251v-ს შესაბამისი ადგილი, პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა.

¹⁴⁷ სიტყვის ბოლო გრაფემა – ი მოგვიანებით, ნიკოლოზ ნიკრაისავე ხელით არის ჩამატებული. შესრულებულია სტრიქონის ზედა ხაზში. ახლავს რამდენიმე წერტილი, რომლებიც მიუთითებენ იმ ადგილზე, სადაც ნაგულისხმევი იყო გრაფემის ადდგენა.

¹⁴⁸ სიტყვის პირველი გრაფემა – პ მოგვიანებით, ნიკოლოზ ნიკრაისავე ხელით არის ჩამატებული. შესრულებულია სტრიქონის შეა ხაზში, წინა სიტყვის – რბიოდა შემდეგ გამოყვანილ ორ მძიმეს შორის.

¹⁴⁹ სიტყვის წინ თავდაპირველი ტრიუმფური გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომლებიც, ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, რაღაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფს ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტიზად შეუსრულებია და 251v-ზე ქადალდის ზედაპირი ისე თხელ ფენად ამოუკვეთავს, რომ 251r-ს შესაბამისი ადგილი, პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა.

უკუცხოუ არა ჭ(ო)რც | იყო, იოსებ ვინ წარიყვანა და ივლტოდა ეგპტედ? და | უკ(უც)თუ არა ლ(მერთ)ი იყო, ვის ზ(ედ)ა აღესრულოს: „ეგპტით | უწოდო ძესა ჩემსა“?

უკ(უც)თუ არა ჭ(ო)რც იყო, ი(ოვა)ნე | ვის¹⁵⁰ ნათელსცა? და უკ(უც)თუ არა | ლ(მერთ)ი იყო, მ(ა)მ(ა)დ ზ(ე)ცით ვის|თვს იტყოდა: „ესე არს ძე ჩ(ემ)ი საყუარელი“?

უკ(უც)თუ არა | ჭ(ო)რც იყო, ვინ იმა251v//252rრხვიდა და შიოდა | უდაბნოს? და უკ(უც)თუ არა ლ(მერთ)ი იყო, | ანგ(ე)ლ(ო)ზნი ვისსა მოვიდეს და ჰმსახურებდეს?

უკ(უც)თუ არა ჭ(ო)რც იყო, | ვინ მიიწოდა ქორწილსა კანას გალილეადსსა? და უკუცხოუ არა ლ(მერთ)ი იყო, ვინ წყალი ლპნოდ გარდააქცია? |

უკ(უც)თუ არა ჭ(ო)რც იყო, პურნი ვისხთა ჭელთა მიეცე/მოდეს? უკ(უც)თუ ა||რა ლ(მერთ)ი იყო, ვინ გ(ა)ნაძლნა მცირითა პურითა | ათასეულნი ერნი უდაბნოსა ზ(ედ)ა?

უკუცხოუ არა ჭ(ო)რც¹⁵¹ იყო¹⁵², | ნაგსა შ(ინ)ა ვინ მძინარე იყო? და უკ(უც)თუ | არა ლ(მერთ)ი იყო, ქართა და ზღუასა ვინ | შეპრისხვიდა?

უკუცხოუ არა კ(ა)ცი¹⁵³ [იყო], ჭ(ო)რც¹⁵⁴, | სიმონ ფარისეველი | ვის თ(ან)ა ისერებდა? | და უკ{უც}თუ არა ლ(მერთ)ი იყო, | ცოდვილისა დედაკ(ა)ცისა | ცოდვათა ვინ მიუტეობდა?

¹⁵⁰ სიტყვის პირველ ორ გრაფემას – ეს შორის თავდაპირველად ერთი უცნობი გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომელიც, ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, რაღაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფს ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტზე შეუსრულებია და 251v-ზე ქადალდის ზედაპირი ისე თხელ ფენად ამოუკვეთავს, რომ 251r-ს შესაბამისი ადგილი, პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა.

¹⁵¹ სიტყვის წინ თავდაპირველად სამი (?) უცნობი გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომლებიც, ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, რაღაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფს ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტზე შეუსრულებია და 252r-ზე ქადალდის ზედაპირი ისე თხელ ფენად ამოუკვეთავს, რომ 252v-ს შესაბამისი ადგილი, პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა.

¹⁵² სიტყვა მთლიანად მოგვიანებით არის ჩამატებული, ნიკოლოზ ნიკრაისავე ხელით. შესრულებულია სტრიქონის შუა ხაზში, 252r-ს მარჯვენა სვეტის V სტრიქონში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამატებული სიტყვის გრაფემები უფრო მცირე ზომისაა და გაკრული ხელით, თანაც, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული, წვრილწვერიანი კალმით არის ნაწერი. რაც შეეხება ჩამატებული სიტყვის მენტის ფერს, ის ძირითადი ტექსტის იდენტურია.

¹⁵³ ამ სიტყვის ადგილას თავდაპირველად სამი (?) უცნობი გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომლებიც ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, რაღაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფს ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტზე შეუსრულებია და 252r-ზე ქადალდის ზედაპირი ისე თხელ ფენად ამოუკვეთავს, რომ 252v-ს შესაბამისი ადგილი, პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა. მოგვიანებით (?), ზუსტად ამ ადგილას ვინმე უცნობ პირს (არა ვლასე ურბნელს!) დია შავი ფერის მელით სამი ნუსხეური გრაფემა – კ(ა)ცი დაუწერია, ოდონდ, იმგვარად, რომ ახლად დაწერილი სიტყვისათვის ქარაგმის ნიშნად, თავდაპირველი,

უკ(უტ)თუ არა 252r||252v ჭორც იყო, მგზავრობითა მაშურალი ჯურდმულსა | ზ(ედ)ა ვინ ითხოვდა | წყალსა? და უკ(უტ)თუ არა ღ(მერთ)ი იყო, ცხოველსა | წყალსა სამარიტელსა ვინ მისცემდა | და ამხილებდა?

უკ(უტ)თუ არა ჭ(ო)რც | იყო, პ(ა)ცისა სამოსელსა ვინ შეიმოსდა? და უკ(უტ)თუ არა ღ(მერთ)ი იყო, ვისისა | სამოსლისაგ(ა)ნ გამოვიდოდეს ძალნი? //

უკ(უტ)თუ არა ჭ(ო)რც | იყო, ვ(ითა)რ პნერწყუა | ქ(უე)ყ(ა)ნასა? და უკ(უტ)თუ | არა ღ(მერთ)ი იყო, თიკისაგ(ა)ნ ვ(ითა)რ ყო მ(ა)ნ აღხილვად თ(უა)ლთად?

უკ(უტ)თუ არა ჭ(ო)რც | იყო, საფლავსა ზ(ედ)ა | ლაზარესსა ვინ ტიროდა? და უკ(უტ)თუ | არა ღ(მერთ)ი იყო, ოთხისა დდისა მკუდარი | ვისითა ბრძ(ა)ნებითა | გამოვიდოდა?

უკ(უტ)თუ არა ჭ(ო)რც | იყო, კიცუსა ზ(ედ)ა ვინ | მჯდომარე იყო? 252v||253r და უკ(უტ)თუ არა ღ(მერთ)ი | იყო, ერნი დიდ(ე)ბით | ვისსა მიგებებად | ვ(ა)ნვიდოდეს?

უკ(უტ)თუ არა ჭ(ო)რც იყო, პ(უ)რი(ა)თა ვინ შეიპყრეს? უკ(უტ)თუ არა ღ(მერთ)ი იყო, ვინ უბრიანა მიწასა და პირ|სა ზ(ედ)ა დასცნა იგ(ი)ნი? |

უკ(უტ)თუ არა ჭ(ო)რც | იყო, წ(ინაშ)ე სამსჯავრ|ოსა ვინ წარდგ|ომილ იყო? და უკ(უტ)თუ არა ღ(მერთ)ი {ი} იყო, ვინ ჩუენებით | აშინებდა ცოლსა პილატესსა?

უკ(უტ)თუ | არა ჭ(ო)რც იყო, ყურიმლისცემათა ვინ თავს | იდებდა? უკ(უტ)თუ არა | ღ(მერთ)ი იყო, პ(ე)ტრეს მ(იე)რ მოკუეთილსა მ(ა)ს ყურსა | ვინ გ(ა)ნამრთელებდა¹⁵⁵ | და ადგილსაგე თვსსა | კ(უალა)დ აგებდა?

უკ(უტ)თუ | არა ჭ(ო)რც იყო, ვისმ(ა)ნ | პირმ(ა)ნ შეიწყნარნა | ნერწყუვანი? და უკ(უტ)თუ არა ღ(მერთ)ი იყო, ს(უ)ლი წ(მიდა)დ პირებსა მოციქ(უ)ლთასა ვინ შთაპბერა?

ნიკოლოზ ნიკრაისეული ტექსტიდან შემორჩენილი კლაკნილი ხაზი დაუტოვებია. ტრაქტატის ეს, მოგვიანებით შესრულებული ფრაგმენტი წინამდებარე ნაშრომში, ვლასე ურბნელის ხელით დაწერილი მრავალრიცხვანი ადგილების მსგავსად, აგრეთვე, დამუქების გარეშე და მარჯვნივ გადახრილი სახით გვაქვს გამოყოფილი.

¹⁵⁴ სიტყვა მთლიანად მოგვიანებით არის ჩამატებული, ნიკოლოზ ნიკრაისავე ხელით. შესრულებულია 252r-ს მარჯვენა სვეტის XI სტრიქონში. აღსანიშნავია, ისიც, რომ ჩამატებული გრაფე-მები უფრო მცირე ზომისაა და გაკრული ხელით, თანაც, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული, წვრილწვერიანი კალმით არის ნაწერი. რაც შეეხება ჩამატებული გრაფემების შელნის ფერს, ის ძირითადი ტექსტის იდენტურია.

¹⁵⁵ სიტყვის ბოლოს თავდაპირველად ორწერტილი ყოფილა დასმული, რომელიც, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მარჯვნივ გადატეკილი ვერტიკალური ხაზით გაუკრთიანებია და ამ გზით, ერთი დიდი ზომის მძიმე მიუღია.

უპ(უმ)თუ არა ჭ(ო)რც იყო, | ვის გ(ა)ნსძუარცეს სამ[ო]253r||253vსელი და გ(ა)ნიყვეს¹⁵⁶ | მწედართა? და | უპ(უმ)თუ | არა ღ(მერთი)ი იყო, | ვისსა ჯ(უა)რცუმასა | დაბნელდა მზე?

უპუმთუ არა ჭ(ო)რც იყო, ჯ(უარს)ა ზ(ედ)ა ვინ | დამოკიდებულ იყო? | და¹⁵⁷ უპ(უმ)თუ არა¹⁵⁸ ღ(მერთი)ი იყო, ვინ¹⁵⁹ შეარყია ქ(უე)ყ(ა)ნ(ა)დ საფუძველით(უ)რთ?

უპ(უმ)თუ არა ჭ(ო)რც იყო, ვისნი ჭელნი | შეემსჭუალნეს და | ფერჭნი სამსჭულითა? და უპ(უმ)თუ | არა ღ(მერთი)ი იყო, ტაძრისა კრეტსაბმელი | ვ(ითა)რ გ(ა)ნიპებოდა და¹⁶⁰ | კლდენი დაიზულეოდეს?

უპ(უმ)თუ არა | ჭ(ო)რც იყო, ვისი გუერდი გ(ა)ნაპო ლახუარმ(ა)ნ და გარდამოჭდა სისხლი და | წყალი? და უპუმთუ არა ღ(მერთი)ი იყო, | ვისისა ჯმისა სმენითა შეძრწუნდა | ჯ(ო)ჯ(ო)ხ(ე)თი?

უპ(უმ)თუ | არა ჭ(ო)რც¹⁶¹ იყო, | ვისსა¹⁶² პირსა მიუპყრეს მმარი და ნავღელი? და უპუმ253v||254rთუ არა ღ(მერთი)ი იყო, | უკენებულნი მკუდარნი ვისითა ბრძანებითა გამოვიდოდეს?

¹⁵⁶ სიტყვის ბოლოს თავდაპირველად ორწერტილი და მმიმე უნდა ყოფილიყო გამოყვანილი. ოდნავ მოგვიანებით, ნიკოლოზ ნიკრაის, პუნქტუაციის ნიშანში ერთგვარი ცვლილება შეუტანია, ორწერტილის წერტილები მარჯვნივ გადღევილი ვერტიკალური ხაზით გაუერთიანებია და ამ გზით, ერთი დიდი ზომის მმიმე მიუდია.

¹⁵⁷ სიტყვის ორივე გრაფემა მთავრულ საზედაო ასოებს წარმოადგენს. პირველი გრაფემა – დ დიდი ზომისაა (5,4 X 10,9 სმ.) მისი კონტურები ჯერ წერტილწერიანი კალმითა და ყავისფერი მელნით არის მოხაზული, შემდგომ კი – სინგურით შეფერადებული. შესრულებულია 253v-ს მარცხენა აშიაზე, მარცხენა სვეტის III-XI სტრიქონების გასწვრივ. მეორე გრაფემა – ა, აგრეთვე, დიდი ზომისაა (3,6 X 4,2 სმ.) და მთლიანად ყავისფერი მელნით არის შესრულებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უკანასკნელი შეწიადებულია პირველი მთავრული გრაფემის – დ ქვედა რკალში.

¹⁵⁸ სიტყვის პირველი ორი გრაფემა – არ და მის წინ შესრულებული სიტყვა – უპ(უმ)თუ სვეტიდან მარცხენი არის გასული და 253v-ს მარცხენა აშიაზე გამოყვანილი მთავრული საზედაო ასოს – დ ქვედა რკალშია ჩაწერილი. ამასთან, სიტყვის – უპ(უმ)თუ პირველი სამი გრაფემა იმავდროულად მოქცეულია მეორე მთავრული საზედაო ასოს – ა მარჯვნივ გახსნილ მუცელში, რომელიც, თავის მხრივ, აგრეთვე, მთავრული გრაფემის – დ ქვედა რკალშია შესრულებული.

¹⁵⁹ ამავე სიტყვის მეორე გრაფემა – ი მოგვიანებით არის ჩამატებული, ნიკოლოზ ნიკრაისავე ხელით. შესრულებულია სტრიქონის ქვედა ხაზში. ახლავს რამდენიმე წერტილი, რომლებიც მიუთითებენ იმ ადგილზე, სადაც ნაგულისხმევი იყო გრაფემის აღდგენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამატებული გრაფემა უფრო მცირე ზომისაა და გაძრული ხელით, თანაც, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული, წვრილწერიანი კალმით არის ნაწერი.

¹⁶⁰ სიტყვის წინ თავდაპირველად დასმული იყო ორწერტილი, რომლის ზედა წერტილიდანაც თავად ნიკოლოზ ნიკრაის მარცხენი გადღევილი, ვერტიკალური ხაზი „აუსროლია“ და ამ გზით, ზევით აბრუნებული მმიმე მიუდია. რაც შეეხება ორწერტილის ქვედა წერტილს, მასზე კალიგრაფს სიტყვის პირველი ნუსხური გრაფემის – დ ქვედა რკალი გადაუტარებია.

¹⁶¹ სიტყვის წინ თავდაპირველად ორი (?) უცნობი გრაფემა უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რომლებიც, ფურცლის მომცრო, ოთხეუთხა ფრაგმენტთან ერთად, თავად ნიკოლოზ ნიკრაის მიერ, რადაც ბასრი იარაღით ჩანს ამოკვეთილი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კალიგრაფს ეს საკმაოდ რთული ტექნიკური ოპერაცია მეტად ფაქტზად შეუსრულებია და 253v-ზე ქაღალდის

უპ(უტ)თუ არა ქ(ო)რც იყო, ვინ | კშობდა: „ლ(მერთ)ო, ლ(მერთ)ო | ჩ(ე)მო, რ(ა)დსათჲს და|მიტევე“? და უპ{უტ}თუ | არა ლ(მერთ)ი იყო, “მ(ა)მ(ა)ო, | შუნდვე ამათ“, – | ვინ აღმოთქუა? |

უპ(უტ)თუ არა ქ(ო)რც იყო, ჯ(უარს)ა ზ(ედ)ა, აგაზაკთა თ(ან)ა, ვინ | დამოკიდებულ იყო? | და უპ(უტ)თუ არა ლ(მერთ)ი || იყო, ავაზაკსა ჯ(უარს)ა ზ(ედ)ა | ვ(ითა)რ ეტყოდა: „დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა შ(ინ)ა“?

უპ(უტ)თუ არა | ქ(ო)რც იყო, ი(ო)ს(ე)ბ და ნიკლდემოს ვინ შეზუძრნეს და დაპფლეს? | და უპ(უტ)თუ არა ლ(მერთ)ი | იყო, ვინ არს, რ(ომე)ლი | აღდგა მესამესა დღესა?

უპ(უტ)თუ არა ქ(ო)რც¹⁶³ | იყო, მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთა ქორსა | ზ(ედ)ა ვინ იხილეს და გ(ა)ნიხილეს? და უპ{უტ}თუ არა ლ(მერთ)ი იყო, ვ(ითა)რ კართა ქშულთა შევიდა?

უპუტთუ არა 254r//254v ქ(ო)რც იყო, ვისთა | სამსჭუალთა წყლულებანი გამოიძინა თომა? და | უპ(უტ)თუ არა ლ(მერთ)ი იყო, | ვინ თქუა სიტყ(უ)ად ესე, | ვ(ითარმე)დ: „მიხილე მე და გრწამს, ნეტ(ა)რ იყვნენ, | რ(ომელ)თა არა უხილავ და ვპრწმენე“?

უპ(უტ)თუ არა ქ(ო)რცი | იყო, ტბასა ზ(ედ)ა ტიბერიისასა ვინ ჭამა? | და უპ(უტ)თუ არა ლ(მერთ)ი | იყო, ვისითა ბრძანებითა აღიგხნეს | ბადენი?

უპ(უტ)თუ ა||რა ქ(ო)რც იყო, ანგ(ე)ლ(ო)ზ|თა და მ(ო)ც(ი)ქ(უ)ლთა ვისი | იხილეს ამ(ა)ღლებ(ა)დ? | და უპ(უტ)თუ არა ლ(მერთ)ი | იყო, ცამ(ა)ნ და ქ(უე)ყ(ა)ნამ(ა)ნ ვის თ(ა)ყ(უა)ნის სცეს? |

უპ(უტ)თუ არა ქ(ო)რცი | იყო, ნაწ{ი}ლ საღმე | იყო ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)დ ჩ(უე)ნი? |

ა(რამე)დ¹⁶⁴ ჭ(ეშმარი)ტ (ა)რს, რ(ომე)ლსა აღვიარებთ, ვ(ითარმე)დ ძე ლ(მრთისა)დ ძე ქ(ა)ცის | იქმნა, ასულის(ა)გ(ა)ნ ქ(ა)ცისა, | ქ(ო)რცითა, რ(ომე)ლ მისგ(ა)ნ შეიმოსნა და ესე არს ქ(რისტ)ე, მხ|ოლ{ო}დშობილი ძე და სიტყ(უ)ად ლ(მრთისა)დ, რ(ომ)ლის(ა)დ არს | დ(იდე)ბ(ა)დ, ს(უ)ფ(ე)ვ(ა)დ და სიმტკიცე, | აწ და უპ(უნით)ი უპ(უნისადმდ)ე, ა(მე)ნ.

¹⁶³ ზედაპირი ისეთ თხელ ფენად ამოუკვეთავს, რომ 253r-ს შესაბამისი ადგილი, პრაქტიკულად, დაუზიანებელი დარჩენილა.

¹⁶² სიტყვის პირველი გრაფემა – კ გამოსულია 253v-ს მარჯვენა სვეტის მარცხენა კიდიდან.

¹⁶³ ამ სიტყვასა და მის წინ შესრულებულ სიტყვას – არა შორის თავდაპირველად გრაფემა – ო ყოფილა გამოყვანილი. იგი ოდნავ მოგვიანებით იმავე ნიკოლოზ ნიკრაის მიერ არის გადახაზული.

¹⁶⁴ სიტყვის ორივე გრაფემა – ა(რამე)დ მთაგრულ საზედაო ასოებს წარმოადგენს. პირველი გრაფემა – ა საშუალო ზომისაა (2,3 X 3,4 სმ.) და სინგურით არის ნაწერი. შესრულებულია 254v-ს მარჯვენა სვეტის მარცხენივ, IX-XI სტრიქონებს გასწვრივ. მეორე გრაფემა – დ შედარებით მცირე ზომისაა (0,9 X 0,9 სმ.) და მთლიანად ყავისფერი მელნით არის გამოყვანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უკანასკნელი შეწიაღებულია პირველი მთაგრული გრაფემის – ა ქვედა რკალში. გრაფემებს შორის, სტრიქონის ზედა ხაზში, აგრეთვე, ყავისფერი მელნით არის დასმული საკმაოდ დიდი ზომის ქარაგმის ნიშანი.

დ ა ს პ პ ნ ა

წინამდებარე ნაშრომში ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არის შესწავლილი ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციაში მე-4 ნომრით დაცული კრებული, უფრო ზუსტად კი, ამ კრებულში შეტანილი ერთ-ერთი თხზულება და ხელნაწერის აშიებზე შესრულებული ოცამდე ანდერძ-მინაწერის ტექსტი.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, პირობითად, ორ ჯგუფად იყოფა. აქედან, დასკვნების პირველი ჯგუფი გარეჯული კრებულისა და მისი ანდერძ-მინაწერების არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგებს მოიცავს. აქ Ven.4-ის ხელნებულ თხზულებასა და კოლოფონებზე დაყრდნობით, ახლებურად არის წარმოჩენილი გარეჯის ქვაბოვანი სავანეების, იერუსალიმის ქართული კოლონიისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი; გამოთქმულია რამდენიმე ახალი მოსაზრება უშუალოდ ხელნაწერთან და მის ისტორიისთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დასკვნების მეორე ჯგუფში თავმოყრილია გარეჯული კრებულის ხელნებული თხზულებისა და ხელნაწერის ანდერძ-მინაწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შედეგად მოპოვებული ისტორიული ფაქტები.

თავდაპირველად წარმოვადგენთ მიღებული ძირითადი დასკვნების ჩამონათვალს, ხოლო შემდგომ ოდნავ უფრო ვრცლად შევეხებით მათ.

I. ანდერძ-მინაწერების არქეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები:

I.1. კვლევის შედეგად ახლებურად იქნა გადაჭრილი Ven.4-ის, როგორც ხელნაწერი კრებულის, ტიპოლოგიური იდენტიფიკაციის პრობლემა;

I.2. გამოვლინდა გარეჯული კრებულის გადამწერის მიერ გადანუსხული კიდვე ერთი ხელნაწერი;

I.3. დაზუსტდა Ven.4-ის წმიდა მიწაზე მოხვედრისა და მისი იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან გატანის ქრონოლოგია;

I.4. გაირკვა მღვდელმონაზონ ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ გარეჯულ კრებულზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ხასიათი.

II. ხელნაწერის ანდერბ-მინაწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ძირითადი შედეგები:

- II.1. დაზუსტდა საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი;
- II.2. გაირკვა გარეჯელი მოწესების დამოკიდებულება მონოფიზიტი სომეხი მომლოცველებისადმი;
- II.3. დადგინდა მოქვის უცნობი ეპისკოპოსის ლუკა ოძრხელის ბიოგრაფია;
- II.4. გამოვლინდა მოქვის უცნობი მთავარეპისკოპოსის ამბრიას სახელი;
- II.5. დადგინდა იერუსალიმის აღდგომის ტაძრის მოძღვრის იოსებ ხუნტუსის ბიოგრაფია;
- II.6. გაირკვა უცნობი არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის მომლოცველობის ფაქტი წმიდა მიწაზე;
- II.7. დადგინდა აფხაზეთის დასავლეთ საქართველოს უცნობი კათოლიკოსის ბართლომეს ბიოგრაფია;
- II.8. დადგინდა თბილელი მთავარეპისკოპოსის ბარნაბა ფავლენის შვილის ბიოგრაფია;
- II.9. დადგინდა ურბნელი მთავარეპისკოპოსის ვლასე სააკასძის ბიოგრაფია;
- II.10. ადდგენილ იქნა აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან ხობის მონასტერში გადატანის პროცესი;
- II.11. დაზუსტდა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის ილარიონის ზეობის ქრონოლოგია;
- II.12. დადგინდა იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ასულისა და ოდიშის მთავრის ლევან IV-ის თანამეცხედრის, გელათელი მონაზონის თინათინ-ყოფილი ნინო ბაგრატიონის ბიოგრაფია;
- II.13. გაირკვა გურული მონაზონის ფებრონია ხევარიძის წმიდა მიწაზე მომლოცველობის ფაქტი;
- II.14. დადგინდა წმიდა მიწასა და ათონის მთაზე მოღვაწე მღვდელმონაზონის ბესარიონ-ყოფილი ბენედიქტე ქიოტიშვილის ბიოგრაფია.

ახლა უფრო ვრცლად განვიხილოთ აღნიშნული დასკვნები. დავიწყოთ პირველი ჯგუფის რამდენიმე ძირითადი დასკვნით, რომლებიც, როგორც ითქვა, საშუალებას გვაძლევს, ახლებურად წარმოვაჩინოთ უშუალოდ გარეჯულ კრებულთან და მის ისტორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

1940 წელს გრიგოლ ფერაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ Ven.4 წარმოადგენდა მრავალთავის ტიპის კრებულს. მოგვიანებით, აღნიშნული მოსაზრება უკრიტიკოდ გაიზიარეს ვახტანგ იმნაიშვილმა და დარეჯან კლდიაშვილმა. წინამდებარე ნაშრომში გრიგოლ ფერაძის მოსაზრების საპირისპიროდ, დასაბუთებული გვაქვს, რომ გარეჯული კრებული წარმოადგენს არა ლიტურგიკული დანიშნულების მქონე მრავალთავს, სადაც ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური საკითხავები კალენდრული წესის დაცვით არის დალაგებული, არამედ არალიტურგიკული ხასიათის კრებულს, რომელიც შედგება ყოველგვარი კალენდრული წესის გარეშე დალაგებული ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, აპოკრიფული, ებზეგეტიკური, დოგმატიკურ-პოლემიკური, ბიბლიურ-ჰიმნოგრაფიული და ისტორიულ-ქრონიკოგრაფიული თხზულებებისაგან. აღნიშნულ დასკვნას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხელნაწერი კრებულებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, რომლებიც Ven.4-ს აქამდე მრავალთავის ტიპის ხელნაწერად მიიჩნევდნენ და კრებულების სრულებით სხვა ჯგუფში განიხილავდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე მიღებული იყო მოსაზრება, რომ Ven.-ის გადამწერს, მხატვარ-კალიგრაფ ნიკოლოზ ნიკრაის გადანუსხული ჰქონდა მხოლოდ ერთი ხელნაწერი. წინამდებარე ნაშრომში დადგენილი გვაქვს, რომ ნიკოლოზ ნიკრაის გარეჯული კრებულის გარდა, გადაწერილი ჰქონდა მეორე ხელნაწერიც – თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. იოანე სინელის „კლემაქსი“, იგივე H-1669. ამრიგად, Ven.4-ისა და H-1669-ის სახით, ხელთ გვაქვს გარეჯის სამონასტრო სკრიპტორიუმიდან გამოსული არა ერთი, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ ორი უძველესი ხელნაწერი წიგნი, რომელთა შედგენილობასა თუ ცალკეულ ტექსტებზე დაკვირვებას შეუძლია, საკმაოდ ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნას ისეთი ბუნდოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა XII საუკუნის გარეჯელი მამების სამონასტრო ყოფა და ადგილობრივ მონასტრებში მიმდინარე სამწიგნობრე პროცესები.

1940 წელს გრიგოლ ფერაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ გარეჯული კრებული 1570 წლისათვის უკვე გადატანილი იყო წმიდა მიწაზე. მისივე დაკვირვებით, ხელნაწერი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ინახებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, საიდანაც ის 1864-1883 წლებში გაიტანეს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ დაზუსტებული გვაქვს გრიგოლ ფერაძის აღნიშნული მოსაზრებები. კერძოდ კი, დადგენილი გვაქვს, რომ Ven.4 წმიდა მიწაზე გადატანილი იყო არა 1570 წელს, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სულ

მცირე, 1363 წლამდე მაინც. გარდა ამისა, გარკვეული გვაქვს ისიც, რომ გარეჯული კრებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან გატანილი იყო არა 1864-1883 წლებში, არამედ 1845-1883 წლებში. აღნიშნულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ Ven.4-ის, არამედ ზოგადად საქართველოსა და წმიდა მიწის ურთიერთობების ისტორიისათვისაც. მართლაც, ამ დასკვნებიდან ნათლად ჩანს, რომ გარეჯული კრებულის აშიებზე 1363-1845/1883 წლებში შესრულებული უკლებლივ ყველა კოლოფონის დამწერი პირადად იმყოფებოდა წმიდა მიწაზე.

1940 წელს გრიგოლ ფერაძემ გამოთქვა ზოგადი ხასიათის მოსაზრება, რომ 1864 წელს Ven.4 საფუძვლიანად განაახლა მღვდელმონაზონმა ბესარიონ ქიოტიშვილმა. აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, წინამდებარე ნაშრომში დადგენილი გვაქვს, რომ მღვდელმონაზონმა ბესარიონ ქიოტიშვილმა გარეჯული კრებული განაახლა არა 1864 წელს, არამედ გაცილებით უფრო ადრე, 1813-1814 წლებში. გარდა ამისა, გრიგოლ ფერაძისაგან განსხვავებით, შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებული გვაქვს ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ძირითად ეტაპებიც: დანესტიანებული ხელნაწერის დაშლა; ფურცლების გაშრობა-გამზეურება; ჭიისაგან დახრულ-დაჩვრეტილი ფურცლის კიდეების სარესტავრაციო ქადალდით გამაგრება; ფურცლების გადათვლა; დაბოლოს, ხელნაწერის აკინძვა. აღნიშნულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბესარიონ ქიოტიშვილის მიერ არამხოლოდ Ven.4-ზე, არამედ წმიდა მიწის სხვა ქართულ ხელნაწერებზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ხასიათის დასადგენად, რომლის შესახებაც აქამდე, პრაქტიკულად, არაფერი იყო ცნობილი.

გადავიდეთ ჩვენს მიერ მიღებული დასკვნების მეორე ჯგუფზე, სადაც Ven.4-ის ერთ-ერთ თხზულებასა და მის ანდერძ-მინაწერებზე დაყრდნობით, როგორც უკვე მივუთითებდით, წარმოდგენილია მთელი რიგი ახალი მოსაზრებები წმიდა მიწის ქართული კოლონისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მოვიტანთ რამდენიმე ძირითად დასკვნას.

1913 წელს ივანე ჯავახიშვილმა XII-XIV საუკუნეების ხუთ წერილობით ძეგლზე დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრებას ადგილი ჰქონდა 1156 წელს. მოგვიანებით ქართულმა ისტორიოგრაფიამ სრულად გაიზიარა ეს მოსაზრება. წინამდებარე ნაშრომში ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოყენებულ ხუთი წერილობით წყაროს გარდა, დამატებით მოვიხეთ XII საუკუნის ორი სხვა ძეგლი, მათ შორის, გარეჯული კრებულის ანდერძი და ამ შვიდი წერილობითი წყაროს კრიტიკული ანალიზის

საფუძველზე, დაგადგინეთ, რომ გიორგი III საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა არა 1156 წელს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ – 1157 წელს. მიღებულ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ გიორგი III-ის, არამედ მისი მამის, დემეტრე I-ისა და მმის, დავით V-ის მეფობის ქრონოლოგიასთან დაკავშირებული მთელი რიგი ბუნდოვანი საკითხების გარკვევისათვის.

წინამდებარე ნაშრომში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს XIV-XIX საუკუნეებში საქართველოსა და წმიდა მიწაზე მოღვაწე ისტორიული პირების ბიოგრაფიული პორტრეტების რეკონსტრუქციას. აღნიშნული ბიოგრაფიული პორტრეტები, ძირითადად, დამყარებულია გარეჯული კრებულის მინაწერებზე, თუმცა ცალკეული დეტალების დადგენისა და დაზუსტების მიზნით, დამატებით გამოყენებულია სხვა მრავალფეროვანი საისტორიო მასალაც: ისტორიული დოკუმენტები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები და სხვ.

ისტორიულ პირთა ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული ბიოგრაფიული პორტრეტები საშუალებას გვაძლევს, სამეცნიერო საზოგადოებას წარმოვუდგინოთ აქამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ისტორიული პირები: მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი (XIV ს.); იერუსალიმის ადდგომის ტაძრის მოძღვარი იოსებ ხუნტუსძე (XV ს.); უცნობი არტანუჯელი პილიგრიმი გიორგი ლომას-ძე (XV ს.); აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (XV-XVI სს.); თბილელი მთავარეპისკოპოსი ბარნაბა ფავლენისშვილი (XVI ს.); ურბნელი მთავარეპისკოპოსი ვლასე სააკასძე (XVI ს.); იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ასული და ოდიშის მთავრის ლევან IV დადიანის თანამეცხედრე, გელათელი მონაზონი თინათინ-ყოფილი ნინო (XVII-XVIII სს.); იერუსალიმსა და ათონის მთაზე მოღვაწე მღვდელმონაზონი ბესარიონ-ყოფილი ბენედიქტე ქიოტიშვილი (XVIII-XIX სს.) და სხვ.

აქ ჩამოთვლილი თითოეული პირის ბიოგრაფია საშუალებას იძლევა, არამხოლოდ თვალი გავადევნოთ ამა თუ იმ პირის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეულ ეტაპებს, არამედ კონკრეტული ბიოგრაფიული პორტრეტის დახმარებით, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ შესაბამის ქრონოლოგიურ მონაკვეთსა თუ გეოგრაფიულ სივრცეში მიმდინარე სხვადასხვა ისტორიულ პროცესებზეც. მაგალითისათვის ავიღოთ აფხაზეთის კათოლიკოსი ბართლომე.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ისტორიული მასალის შესწავლა აჩვენებს, რომ ბართლომე მოღვაწეობდა XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნის I მეტეოდში. ჩვენს მიერ მოძიებული XV საუკუნის ისტორიული

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბართლომე დაახლოებით 1484-1488 წლებში ცაიშის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა, 1488 წლისათვის კი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იერარქიაში კიდევ უფრო მაღალ თანამდებობას, ქუთაისის მთავარეპისკოპოსობას ფლობდა. ამის შემდეგ ბართლომეს სახელი მხოლოდ გარეჯული კრებულის მინაწერში გვხვდება, საიდანაც ვიგებთ, რომ მან საეკლესიო იერარქიაში აღმასვლა განაგრძო და დაახლოებით 1488-1519 წლებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობლის, აფხაზეთის კათოლიკოსის საყდარიც დაიკავა. დაახლოებით ამავე 1488-1519 წლებში კათოლიკოსმა ბართლომემ წმიდა მიწაზე იმოგზაურა და იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ სავანეში დაცული Ven.4-ის აშიაზე საკუთარი ხელით შეასრულა სავედრებელი მინაწერის ტექსტი.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული ბიოგრაფიული პორტრეტი მართლაც საინტერესოდ წარმოგვიდგენს XV-XVI საუკუნეების ერთ-ერთი ქართველი სასულიერო იერარქის ცხოვრება-მოდვაწეობის ძირითად ეტაპებს. ხოლო თუ აქვე იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია აქამდე საერთოდ არ იცნობდა არც ბართლომეს კათოლიკოსობის ფაქტს და არც მისი წმიდა მიწაზე მომლოცველობის ამბავს, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კათოლიკოსი ბართლომესა და გარეჯული კრებულის სხვა კოლოფონების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით შესწავლას არამხოლოდ იერუსალიმის ქართული კოლონიის, არამედ ზოგადად, საქართველოს ისტორიისათვის.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ჩვენს მიერ რეკონსტრუირებულ ისტორიულ პირთა პორტრეტებს და მოკლედ აღვნიშნავთ, რომ თითოეული ამ რეკონსტრუქციის ფარგლებში სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ მთელ რიგ ახალ დასკვნებსა და მოსაზრებებს XIV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ისეთ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ციხე-ქალაქი ოძრხის მოსახლეობის მომლოცველობა ვანის ქვაბების მონასტერში (1); ოძრხეში აღზრდილი სასულიერო პირის, ლუკა ოძრხელის მიერ საეპისკოპოსო კათედრის დაკავება მოქვში (2); ლუკა მოქველის პილიგრიმული მოგზაურობა წმიდა მიწაზე და აქ დაცული ქართული ხელნაწერების მოხილვა (3); მოქვის კიდევ ერთი უცნობი ეპისკოპოსის ამბრიას მინაწერი მოქვის ოთხთავის აშიებიდან (4); იერუსალიმის ადდგომის ტაძრის მოძღვრის იოსებ ხუნტუსძის ოჯახის წევრთა ვინაობა და მისი სამწიგნობრე საქმიანობა (5); „არტანუჯელის“

საპატიო ტიტულის მნიშვნელობა X-XI საუკუნეებსა და XIV საუკუნეში (6); ციხე-ქალაქ არტანუჯის ქართული ქრისტიანული თემი და აქ მოსახლე ცალკეული გვარები (7); არტანუჯში მცხოვრები გიორგი ლომას-ძის მომლოცველობა წმიდა მიწაზე და აქაური ქართული ხელნაწერების გაცნობა (8); ლიხტიმერთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მათი გავლენა დასავლეთ საქართველოს ეპლესიაზე (9); აფხაზეთის საკათოლიკოსო რეზიდენციის გადატანის პროცესი ბიჭვინთის კათედრიდან ჯერ ხობის, ხოლო შემდეგ გელათის მონასტერში (10); აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსის ილარიონის მოღვაწეობა (11); იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ასულის თინათინ ბაგრატიონის ოდიშის მთავარ ლევან IV დადიანზე ქორწინების თარიღი (12) და მათი ოჯახის წევრთა ვინაობა (13); ლევან IV დადიანის გარდაცვალება და თინათინ ბაგრატიონის ნინოს სახელით შემონაზვნება გელათის მონასტერში (14); თინათინ-ყოფილი ნინო ბაგრატიონის გაპარვა რაჭაში მყოფ ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან და მასთან ერთად, რუსეთს გამგზავრება (15); თინათინ-ყოფილი ნინოს თანამოსაგრის, გურული მონაზონის ფეხრონია ხევარიძის მომლოცველობა წმიდა მიწაზე (16) და სხვ.

მოპოვებული ფაქტები მნიშვნელოვანი დეტალებით ავსებს საქართველოს ისტორიის ნარატივს. ვინაიდან სწორედ ამგვარი დეტალები ანიჭებს წარსულის რეპრეზენტაციას განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობას. გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენს მიერ წინამდებარე ნაშრომში მიღებული როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის დასკვნები საინტერესო და ანგგარიშგასაწევი იქნება სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

დამოღვებული ლიტერატურა

- აბდალაძე 1979:** აბდალაძე ალ. სომხური წეროები. წგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი: გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.
- აბრამიშვილი 1972:** აბრამიშვილი გ. დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში. თბილისი: გამოცემლობა „ხელოვნება“, 1972.
- აბულაძე 1973ა:** აბულაძე ი. ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული აღმოჩენები. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1973.
- აბულაძე 1973ბ:** აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მახალები). თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1973.
- ასათიანი 1936:** ასათიანი ლ. ძველი საქართველოს პოეზი ქალები. გამოკვლევა და ტექსტები. თბილისი: ცეკვაშირის სტამბა, 1936.
- ასათიანი 2003:** ასათიანი ქ. „ნისიმებ ცხოვრების“ XII საუკუნის უცნობი ქართული ნუსხის შესახებ (წინახწარი ცხობები). კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. XX. თბილისი: [გამოცემლობა მითითებული არ არის], 2003.
- ახალაძე 1998:** ახალაძე ლ. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში. IX-XVII საუკუნეები. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი: [ხელნაწერის უფლებით], 1998.
- ახალი ქართლის ცხოვრება 1959:** ახალი ქართლის ცხოვრება. მეხამე ტექსტი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი: გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- ბადრიძე 1973:** ბადრიძე შ. საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1973.
- ბაილეთი 1997:** ბაილეთი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.
- ბასილი ეზოსმოძღვარი 1959:** ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფე-მეფისა თამარის. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

ბატონიშვილი ვახუშტი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეცნიერო საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხიშვილის მიერ. თბილისი: გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ბაქრაძე 1864: Бакрадзе Д. Сванетія. Сб. Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества. Книга VI. Тифлісъ: Типографія Главнаго Управления Наместника Кавказского и Военно-походной главнаго штаба Кавказской Армии, 1864.

ბაქრაძე ... 1961: ბაქრაძე ა., ბრეგაძე თ., მეტრეველი ელ., შანიძე მ. (რედაქტორები). ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, კოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

ბახტაძე 2003: ბახტაძე მ. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2003.

ბერაძე 1999ა: ბერაძე თ. ოდიშის საერთაკო. წგნ.: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხეროვთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). თბილისი-ზუგდიდი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 1999.

ბერაძე 1999ბ: ბერაძე თ. ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში. XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის დამდეგამდევ. წგნ.: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხეროვთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). თბილისი-ზუგდიდი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 1999.

ბერაძე 2000: ბერაძე თ. ოდიშის მთავართა ქრონიკოგიური სია. ჟურნ.: ანალები. №2. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2000.

ბერაძე 1989: Берадзе Т. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси: Издательство „Мецниереба“, 1989.

ბერიძე 1943: ბერიძე ვ. წინარები-გომისჯვარი-ხასხორი. ჟურნ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტომი IV. №6. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1943.

ბერიძე 1967: ბერიძე ვ. ძველი ქართველი ოსტატები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967.

- ბერიძე 1973:** ბერიძე ვ. ხობის ტაძრის ისტორიისათვის. ქრებ.: მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.
- ბერჯე 1868:** Берже А. (редактор). *Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею*. Архивъ Главнаго Управления Наместника Кавказскаго. Томъ II. Тифлисъ: Типографія Главнаго Управления Наместника Кавказскаго, 1868.
- ბერძენიშვილი 1964:** ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I. ისტორიული გეოგრაფია. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.
- ბერძენიშვილი 1971ა:** ბერძენიშვილი ნ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესების მიმდინარეობა. აფხაზეთის კათალიკოს XIII-XV საუკუნეებში. წგნ.: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
- ბერძენიშვილი 1971ბ:** ბერძენიშვილი ნ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესების მიმდინარეობა XIV-XVIII საუკუნეებში. წგნ.: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
- ბერძენიშვილი 1973:** ბერძენიშვილი ნ. საქართველო XI-XVIII საუკუნეებში. წგნ.: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.
- ბერძენიშვილი 1997ა:** ბერძენიშვილი დ. არტანუჯი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.
- ბერძენიშვილი 1997ბ:** ბერძენიშვილი დ. არყისციხე. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.
- ბერძენიშვილი 2002:** ბერძენიშვილი დ. ოძრხევი (სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან). ჟურნ.: ACADEMIA. ტომი 3. [გამოცემის ადგილი და გამომცემლობა მითითებული არ არის]. 2002.
- ბიჭვინთის ... 1997:** ბიჭვინთის ტაძარი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.
- ბრეგაძე 1988:** ბრეგაძე თ. (რედაქტორი). გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

ბრეგაძე ... 1959ა: ბრეგაძე თ., ენუქიძე თ., კასრაძე ნ., მეტრეველი ელ., ქუთათელაძე ლ., შარაშიძე ქრ. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა. ტომი II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.

ბრეგაძე ... 1959ბ: ბრეგაძე თ., ენუქიძე თ., კასრაძე ნ., ქუთათელაძე ლ., შარაშიძე ქრ. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.

ბრეგაძე ... 1969: ბრეგაძე თ., ენუქიძე თ., კიკნაძე ლ., შანიძე მ., ჭანკიევი ც. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტომი V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

ბრეგაძე ... 1973: ბრეგაძე თ., ქავთარია მ., ქუთათელაძე ლ. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I₁. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ბრეგაძე ... 1976: ბრეგაძე თ., კახაბრიშვილი ც., მგალობლიშვილი თ., ქავთარია მ., ქუთათელაძე ლ., ჯლამაია ც. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I₂. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

ბრეგაძე ... 1980: ბრეგაძე თ., ქავთარია მ., ქუთათელაძე ლ. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I₃. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

ბრეგაძე ... 1985: ბრეგაძე თ., ქავთარია მ., ქუთათელაძე ლ. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I₄. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985.

ბრეგაძე ... 2004: ბრეგაძე თ., კახაბრიშვილი ც., მეტრეველი ელ., ქავთარია მ., ჭანკიევი ც. (რედაქტორები). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი II₂. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 2004.

ბუქია 1998: ბუქია მ. ხობის მონასტრის მატიანე. კრებ.: საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „წმიდა ნინო“, 1998.

- ბუნიათოვი 1966:** Буниятов З. *Грузия и Ширван в первой половине XII века.* კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.
- ბურჯანაძე 1958:** ბურჯანაძე შ. (რედაქტორი). *ისტორიული დოკუმენტების იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.).* წიგნი I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.
- გაბისონია 2006:** გაბისონია პ. ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: [ხელნაწერის უფლებით], 2006.
- გაბიძაშვილი 2009ა:** გაბიძაშვილი ქ. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 1. პაგიოგრაფია. თბილისი: [გამომცემლობა მითო-თებული არ არის], 2009.
- გაბიძაშვილი 2009ბ:** გაბიძაშვილი ქ. ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები. ბიბლიოგრაფია. 2. პომილებიკა. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2009.
- გაბიძაშვილი ... 1975:** გაბიძაშვილი ე., გიუნაშვილი ე., დოლაქიძე მ., ნინუა გ. (რედაქტორები). დიდი სჯულისკანონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.
- გიგინეიშვილი ... 1979:** გიგინეიშვილი ბ., გიუნაშვილი ელ. (რედაქტორები). შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.
- გიგინეიშვილი ... 1989:** გიგინეიშვილი ბ., გოგუაძე ნ., კიკნაძე გ., ქურციკიძე ც., ცინდელიანი უ. (რედაქტორები). ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. წგნ.: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი. ნაკვეთი 1. შესაქმისავ, გამოსლვათავ. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს: ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკიძემ. გამოკვლევა ბ. გიგინეიშვილისა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.
- გიუნაშვილი 1972:** გიუნაშვილი ე. (რედაქტორი). მცირე სჯულისკანონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972.
- გიუნაშვილი ... 1995:** გიუნაშვილი ე., სონდულაშვილი მ. (რედაქტორები). ბიბლიის მეცნური. წმიდა წიგნების შინაარსის ზოგადი მიმოხილვა და ზოგიერთი მითითება საღვთო სიტყვის კვლევისადმი ინტერესის გასაღვივებლად. შედგენილია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წიგნი განკუთვნილია დათის ყანის მუშაკთათვის. შედგენილია ბ. გეცეს 1939 წლის გამოცემის საფუძ-

კელზე, ქართული ბიბლიის თავისებურებათა გათვალისწინებით. თბილისი: გამომცემლობა „BIBLIOTHECA CHRISTIANA“, 1995.

გრიგოლი ნოსელი 2004: წმიდა გრიგოლი ნოსელი. საღმრთისმეტყველო, ეპ ზე-ტიკური და პანეგირიკული თხულებები. ძველი ქართული თარგმანები გამოსაცემად მოამზადეს: თ. დოლიძემ, ნ. ეფრემიძემ, მ. კობიაშვილმა, ექ. კოჭლამაზაშვილმა, გ. მეგრელაურმა, კ. ოდაძემ, ა. დამბაშიძემ, მ. შამუგიამ, ექ. კოჭლამაზაშვილის საერთო რედაქციით. წგნ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005 წლისათვის. „ნათლისმცემლის“ წელიწლი. თბილისი: გამომცემლობა „ნათლისმცემლი“, 2004.

გუჩია 1973: გუჩია ვ. საქართველოს პოლიტიკური კითარება XV-XVI საუკუნეების ძირის მიჯნაზე. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

გუჩია 1985: გუჩია ვ. სარგის II ჯაყელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 9. თბილისი: საქართველოს სსრ გამსახურმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1985.

გუჩია 1986: გუჩია ვ. ევარეკარე I ჯაყელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 10. თბილისი: საქართველოს სსრ გამსახურმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1986.

გუჩია 1997ა: გუჩია ვ. ბაადურ ჯაყელი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.

გუჩია 1997ბ: გუჩია ვ. ბექა I ჯაყელი. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.

დავლიანიძე 2000: დავლიანიძე ლ. კირაკოს განძაკელის ერთი ცნობის შეჯებისათვის. კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა. IX. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამოცემლობა „მემატიანე“, 2000.

დოლიძე 1953: დოლიძე ი. ძველი ქართული სამართალი. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953.

დოლიძე 1965: დოლიძე ი. (რედაქტორი). ქართული სამართლის ძეგლები. ტომი II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX საუკუნეები). თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1965.

- დოლიძე 1970:** დოლიძე ი. (რედაქტორი). *ქართული სამართლის ძეგლები*. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970.
- დოჩანაშვილი 1985:** დოჩანაშვილი ელ. (რედაქტორი). *ძველი ხელნაწერი (ეკლესიანები, სიპრძები სოფომობისა, ქაბა ქაბათა სოფომობისა, წინასწარმეტები – ეხაია, იერემია, ბარუები, ეზეკიელი)*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985.
- დუმინი ... 1996:** Думин С., Гребельского П. (редакторы). *Дворянские роды Российской Империи. პაქტაძე 1864: III. Князья*. Москва: Ликоминвест, 1996.
- დუმინი ... 1998:** Думин Ст., Князь Чиковани Ю. *Князья Царства Грузинского*. Кн. Дворянские роды Российской Империи. Том IV. Под редакции С. Думина и П. Гребельского. Москва: Ликоминвест, 1998.
- ემინი 1861:** Эминъ Н. (редактор). *Всеобщая История Вардана Великаго*. Москва: Типография Лазаревского Института Восточных Языков, 1861.
- ემინი 1896:** *Изследованія и статьи Н. О. Эмина, по армянской мифології, археології, исторії и исторії літератури (за 1858-1884 гг.)*. Съ приложеніемъ переводовъ изъ армянскихъ историковъ. Москва: Типографія Варвары Гатцукъ, 1896.
- ენუქიძე ... 1963:** ენუქიძე თ., მეტრეველი ე., ქავთარია მ., ქუთათელაძე ლ., შანიძე გ., შარაშიძე ქ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ს) კოლეჯი. ტომი III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
- ენუქიძე ... 1984:** ენუქიძე თ., სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედაქტორები). *ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.)*. წგნ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.
- გარდან არეველცი 2002:** გარდან არეველცი. *მხოლეობის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნები ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ*. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“. 2002.
- გახუშტი 1885:** გახუშტი. *საქართველოს ისტორია. განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი I. ტფილის: ა. კალანდაძის სტამბა, 1885.*
- თარხნიშვილი 1994:** თარხნიშვილი მ. *ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცვებებში*. წგნ.: ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და

გამოკვლევები. I. თარხნიშვილი გ. წერილები. თბილისი: გამომცემლობა „კანდელი“, 1994.

თაყაიშვილი 1891: თაყაიშვილი ექ. ნიმუშები სამეცნიელოს სიველ-გუჯრებისა. I სიველი თოფურიძეთა. გაზ.: „ივერია.“ №213. ტფილისი: სტამბა გ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1891.

თაყაიშვილი 1898: Такайшвили Ев. *Заметки о десухе рукописях апокрифического характера*. Сборникъ материаловъ для описанія местностей и племёнъ Кавказа. Выпускъ двадцать четвёртый. Тифлисъ: Типографія Канцеляріи Главноначальству- ющаго Гражданскою Частію на Кавказе и К. Козловскаго, 1898.

თაყაიშვილი 1907: თაყაიშვილი ექ. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშ- ვნანი. წიგნი პირველი. ტფილისი: ელექტრონის სტამბა წიგნების გამომ- ცემელ ქართველთ ამხანაგობისა, 1907.

თაყაიშვილი 1913: თაყაიშვილი ექ. საისტორიო მასალანი. კრებ.: ძველი საქარ- თველო. ტომი II. განყოფილება მესამე. ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი სპი- რიდონ ლოსაბერიძისა, 1913.

თაყაიშვილი 1914: თაყაიშვილი ექ. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეცნიე- ლოში. წარ.: თაყაიშვილი ექ. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშ- ვნანი. წიგნი მეორე. ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბა, 1914.

თაყაიშვილი 1937: თაყაიშვილი ექ. არქეოლოგიური ექსპლიცია ლენინგრად-სვანეთში 1910 წელს. პარიზი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1937.

თაყაიშვილი 1949: თაყაიშვილი ექ. (რედაქტორი). სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა მესამე. კრებ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 27. თბილისი: საქარ- თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949.

თაყაიშვილი 1991: თაყაიშვილი ექ. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქარ- თული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. წარ.: დაბრუნება. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

კლდიაშვილი 1986: კლდიაშვილი დ. (რედაქტორი). თიხლისა და ხახულის ხელ- ნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქარ- თველოს ისტორიისათვის). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.

თოდრია ... 1988: თოდრია თ., თორდია ა., ფუტბარაძე გ. გარე კახეთის იხტო- რიული გეოგრაფიის ხაջითხები (გარეჯის ქვეყანა). კრებ.: გარეჯი. კახეთის

არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

თოდუა 1979: თოდუა მ. (რედაქტორი). *ქართულ-სპარსული ეტიუდები*. III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979.

თორთლაძე 2000: თორთლაძე ნ. სამუხლ ანუცის ქრონიკის ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა. IX. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2000.

თოფურია 1975: თოფურია პ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები *XI-XII საუკუნეებში*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

კარბელაშვილი 1900: კარბელაშვილი პ. (რედაქტორი). იერარქია საქართველოს ეკლესია. კათალიკოსი და მღვდელთ-მთავარი. თფილისი: გ. შარაძის და ამხანაგობის სტამბა, 1900.

იმნაიშვილი 2001: იმნაიშვილი ვ. ხინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ხელნაწერების იხტორია). თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 2001.

იმნაიშვილი 2004: იმნაიშვილი ვ. უძველესი ქართული ხელნაწერები ავხტოაში. ხანგური ლექციონარი, ფხალმუხი, ხვიძეობ ხილობის ცხოვრება, იოვანე ოქროპირისა და იაკობ მოციქულის კამისწირვები... თბილისი: საგამომცემლო ფირმა „ტრიადას“ სტამბა, 2004.

იმნაიშვილი 2008: იმნაიშვილი ვ. უძველესი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთაცავებში. კრებ.: შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიანტთა შრომები. I ტომი. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2008.

იპოლიტ 1901: Иполит. *Толкование Песни песней*. Грузинский текстъ по рукописи X века, переводъ съ армянского (съ одной палеографическою таблицею). Изследовалъ, перевель и издалъ Н. Марръ. Сб. Тексты и разисканія по армяно-грузинской филологии. Книга третья. Санктпетербургъ: Типографія В. Ф. Киршбаума, 1901.

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: იხტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი უკელა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი: გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

კაგაბაძე 1912: კაგაბაძე ს. ხაულმდებელთა ბუქას და აღბურას ვინაობა. ტფილისი: სტამბა „შრომა“, 1912.

- კაპაბაძე 1913:** კაპაბაძე ს. ომოგველთა გვარის იხტორიისათვის. ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, 1913.
- კაპაბაძე 1921:** კაპაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს ხაეჯლებით საბუთები. წიგნი I. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1921.
- კაპაბაძე 1924:** კაპაბაძე ს. სახისხლო სიგელების შესახებ (ახლად მოპოებულ სახისხლო სიგელებთან დაკავშირებით). კრებ.: საისტორიო მოამბე. წიგნი II. ტფილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1924.
- კაპაბაძე ... 1949:** კაპაბაძე ს., გაგოშიძე პ. (რედაქტორები). ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. I. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა, 1949.
- კალანდია 2000:** კალანდია გ. ეპისკოპოსობა და ოდიშის ხაეპისკოპოსობი. კრებ.: ქართული დიპლომატია. წელი დაუკავშირდებოდა. 7. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
- კალანდია 2002:** კალანდია გ. მოქვის ხაეპისკოპოსობის იხტორია. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომების კრებული, მიძღვნილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხეოვნისადმი. თბილისი: 2002.
- კალინოვსკი 1885:** Калиновский А. *Где правда? История Афонского монастыря.* Санктпетербургъ: 1885.
- კეკელიძე 1918:** კეკელიძე პ. (რედაქტორი). კიმენი. ტომი I. იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეეთა ტექსტები. ტფილისი: საქართველოს რკინიგზის სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფია, 1918.
- კეკელიძე 1941:** კეკელიძე პ. ქართული ლიტერატურის იხტორია. ძველი მწერლობა. ტომი პირველი. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.
- კეკელიძე 1957:** კეკელიძე პ. მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. წგნ.: კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957.
- კეკელიძე 1960:** Кекелидзе К. Эпизод из начальной истории Египетского монашества. წგნ. კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

- კმპელიძე 1980:** კეკულიძე პ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი პირველი. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1980.
- კვაჭანტირაძე 1989:** კვაჭანტირაძე ე. ქრონილოგიის საკითხები გარდან არეველ-ცის „მხოლოდ ისტორიაში“. ქურნ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. №2. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1989.
- კიკნაძე 1965:** კიკნაძე გ. გიორგი მთაწმიდლის ერთი თარგმანის კიმუნი და ლექსიკა. კრებ.: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, X-XII საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1965.
- კლდიაშვილი 1986:** კლდიაშვილი დ. (რედაქტორი). თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების ხამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის). თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1986.
- კლდიაშვილი 2008:** კლდიაშვილი დ. ქართული სამონახტო ხულთა მატიანები. წიგნი I. სინახ წმ. ეკატერინების მონახტოს ქართველთა ეკლესიის ხულთა მატიანები. გამოცემლობა „ნეკერი“: თბილისი, 2008.
- კლდიაშვილი ... 1991:** კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ., ცაგარეიშვილი ელ., ჯანდიერი გ. (რედაქტორები). პირთა ანთირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. I. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1991.
- კლდიაშვილი ... 1993:** კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ. (რედაქტორები). პირთა ანთირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. II. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1993.
- კლდიაშვილი ... 1999:** კლდიაშვილი დ., სხირტლაძე ზ. (რედაქტორები). გარეჯის ფიცრაფიულ ძეგლები. ტომი I. ნაკვეთი I. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონახტერი (XI-XVIII სს.). თბილისი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არადანი“, 1999.
- ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე 1955:** ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი: გამოცემლობა „სახელგამი“, 1955.
- ლომინაძე 1954:** ლომინაძე ბ. მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეების ქრონილოგიისათვის. კრებ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.“ ნაკვეთი 31. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, 1954.

ლომინაძე 1955: ლომინაძე ბ. გელათი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955.

ლომინაძე 1966ა: ლომინაძე ბ. ბიჭვინტის სენიორიის ისტორიიდან XV-XVII საუკუნეებში. წგნ.: ლომინაძე ბ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

ლომინაძე 1966ბ: ლომინაძე ბ. გარეჯის სენიორია. წგნ.: ლომინაძე ბ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები. I. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1966.

ლომინაძე 1977: ლომინაძე ბ. აფხაზეთის საკათალიკოსო. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 2. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1977.

ლომინაძე 1979ა: ლომინაძე ბ. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.). წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ლომინაძე 1979ბ: ლომინაძე ბ. საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე. წგნ.: საქართველოს ისტორიის ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ლომინაძე 1979გ: ლომინაძე ბ. საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ლომინაძე 1980: ლომინაძე ბ. კათალიკოსი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 5. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1980.

ლომინაძე 1997: ლომინაძე ბ. აღბუღა II ჯაფული. წგნ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.

ლომსაძე 1980: ლომსაძე შ. ივანე II ჯაფული. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 5. თბილისი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლო-

ბათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1980.

ლომსაძე 1983ა: ლომსაძე შ. მანუჩარ I ჯაყელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 6. თბილისი: საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1983.

ლომსაძე 1983ბ: ლომსაძე შ. მზეჭაბუა ჯაყელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 6. თბილისი: საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1983.

ლომსაძე 1986ა: ლომსაძე შ. ქაიხოსრო I ჯაყელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 10. თბილისი: საქართველოს სსრ გამახსომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1986.

ლომსაძე 1986ბ: ლომსაძე შოთა. ყვარყვარე II ჯაყელი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 10. თბილისი: საქართველოს სსრ გამსახუმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1986.

ლორთქიფანიძე 1966: ლორთქიფანიძე მ. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1966.

ლორთქიფანიძე 1973: ლორთქიფანიძე მ. ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“). წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი II. საქართველო IV-X საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ლორთქიფანიძე 1979ა: ლორთქიფანიძე მ. საქართველოს ხაგარეო და შინაპოლიტიკური კითარება XII საუკუნის მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ლორთქიფანიძე 1979ბ: ლორთქიფანიძე მ. საქართველოს შინაპოლიტიკური და ხაგარეო კითარება X საუკუნის 80-იანი წლებიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI-XV საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

- ლორთქიფანიძე 1988:** Лордкипаниძе М. *Картвельское царство (Тао-Кларджети)*. Кн. Очерки истории Грузии. Том II. Грузия в IV-X веках. Тбилиси: Издательство „Мецниереба“, 1988.
- მაისურაძე 1985:** მაისურაძე გ. სტეფანოს ორბელიანი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 9. თბილისი: საქართველოს სსრ გამსახუმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1985.
- მაისურაძე ... 1999:** მაისურაძე გ., მამულაშვილი გ., დამბაშიძე ა., ჩხერიძე გ. ათონის მრავალთავი. თბილისი: ს/ს „პირველი სტამბა“, 1999.
- მარი 1955:** მარი ნ. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955.
- მახალჯი ... 1909:** *Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, снаряженными на Высочайше дарованныя средства*. Выпуск XII. Москва: Товарищество тип. А. Н. Мамонтова, 1909.
- მატიანე ქართლისა 1955:** მატიანე ქართლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაჟხიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.
- მაცაბერიძე ... 1984:** მაცაბერიძე ვ., რუხაძე ჯ. ოჩოკობი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. VIII. თბილისი: საქართველოს სსრ გამსახუმის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1984.
- მელიქსეთ-ბეგი 1940:** მელიქსეთ-ბეგი ლ. გარეხჯის „მრავალმთის“ სომხური კიოგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა – ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. V-VI. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1940.
- მელიქსეთ-ბეგი 1949:** მელიქსეთ-ბეგი ლ. საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები (კატალოგი). I. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა. 1949.
- მენაბდე 1962:** მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტომი I. ნაკვეთი პირველი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962.
- მენაბდე 1980:** მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.
- მეტრეველი 1950:** მეტრეველი ელ. (რედაქტორი). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო

და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტომი IV. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.

მეტრეველი ... 1957: მეტრეველი ელ., შარაშიძე ქრ. (რედაქტორები). საქართველოს ხახლმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია. ტომი I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.

მეტრეველი 1962: მეტრეველი ელ. ბახალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.

მეტრეველი 1973: მეტრეველი რ. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

მეტრეველი 1978: მეტრეველი რ. გოორვი III. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 3. თბილისი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით გაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, 1978.

მეტრეველი 1998: მეტრეველი ელ. ათონის ქართველთა მონასტრის სააღავენივი. თბილისი: გამომცემლობა „სკოლა“, 1998.

მეტრეველი ... 2007: მეტრეველი რ., ჯადუგიშვილი ნ. „მკვიდრი უმკვიდრო შევიქებ“. საარქივო მასალები გახტანგ VI-ის მემკვიდრეთა ურთიერთობის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007.

მეფარიშვილი 1949: მეფარიშვილი ლ. (რედაქტორი). ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H). ტომი V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949.

მოგზაურობა ... 1855: Поездка въ Вольную Сванетию Полковника Бартоломея, въ 1853 году. Сб. Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества. III. Тифлисъ: Типографія Канцелярії Наместника Кавказского, 1855.

მურადიანი 1985: Мурадян П. Армянская Эпиграфика Грузии. Картли и Кахети. Ереван: Издательство АН Армянской ССР, 1985.

მუსხელიშვილი 1980: მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

მუსხელიშვილი 2003: მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2003.

ნიკო დადიანი 1962: ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.

ნიკოლაძე 1953: ნიკოლაძე ევ. (რედაქტორი). ხელნაწერთა აღწერილობა. ტომი I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.

ნიკრაი ... 1984: ნიკრაი. წგნ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 7. თბილისი: საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1984.

ნიკრაი ... 2007: ნიკრაი. წგნ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მ. მამაცაშვილი, ა. დამბაშიძე. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 2007.

ოდიშელი 1968: ოდიშელი ჯ. (რედაქტორი). მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

პაიჭაძე 1960: პაიჭაძე გ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნის I მეოთხედი). თბილისი: გამომცემლობა „საქმთავრაპოლიგრაფიი“, 1960.

პაიჭაძე 1973: პაიჭაძე გ. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII საუკუნის 20-იან წლებში. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

უამთააღმწერელი 1959: უამთააღმწერელი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

უორდანია 1892: უორდანია თ. (რედაქტორი). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. I. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა, 1892.

უორდანია 1897: უორდანია თ. (რედაქტორი). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი მეორე (1213 წლიდამ 1700 წლამდე). ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1897.

ეორდანია 1902: Жорданія Ф. (редактор). *Описаніе рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кахетинскаго Духовенства.* Книга II. Тифлісь: Типографія „Гутенбергъ“, 1902.

ეორდანია 1903: Жорданія Ф. (редактор). *Описаніе рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кахетинскаго Духовенства.* Книга I. Тифлісь: Типографія „Гутенбергъ“, 1903.

ეორდანია 1967: ეორდანია თ. (რედაქტორი). *ქრონიკები და სხვა ძახალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გ. ეორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967.

საითიძე 2003: საითიძე გ. წმ. მღვდელმოწამე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა). ჟურნ.: არტანუჯი. 11. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2003.

სამეგრელო ... 1999: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხეროვნებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). თბილისი-ზუგდიდი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 1999.

სარჯგელაძე 1983: სარჯგელაძე ზ. ვენაში დაცული „ქებავ ქებათავის“ ტექსტისათვის. კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. X. ეძღვნება ილია აბულაძის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983.

საქართველოს ... 2000ა: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2000.

საქართველოს ... 2000ბ: საქართველოს მეცნიერები. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2000.

სილაგაძე ... 1997: სილაგაძე ავ., თოთაძე ა. გვარ-ხახელები საქართველოში. თბილისი: სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 1997.

სილოგავა 1989: სილოგავა ვ. (რედაქტორი). კორიდერის საბუთები (X-XIII სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.

სიჭინავა ... 2000: სიჭინავა ა., ჩიტაია გ. (რედაქტორი). ხობის კოვლადწმინდა დვორის მიძინების მონახული. ხობი-თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 2000.

- სიხარულიძე 1981:** სიხარულიძე ფ. მოსკოვში ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ისტორიისათვის. ჟურნ.: საბჭოთა ხელოვნება. №12. თბილისი: საქართველოს კკ ცკ-ს გამომცემლობა, 1981.
- სიხარულიძე 1990:** სიხარულიძე ფ. მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1990.
- სიხარულიძე 1991:** სიხარულიძე ფ. მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.
- სიხარულიძე 1997:** სიხარულიძე ფ. გერმანე. წერ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.
- სოლომონი 1987:** ქვემოთ მითითებული არ არის. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.
- სოხაშვილი 1968:** სოხაშვილი გ. სამთავისის ტაძარი (ძეგლის ისტორია ეპიგრაფიკული მახალის შექმნა). ჟურნ.: მაცნე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. №3 (42). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.
- სტეფნაძე 1990:** სტეფნაძე ჯ. დემიტრე პირველი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990.
- სტეფნაძე 1999:** სტეფნაძე ჯ. მეცნიერებების გირგვინი III. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1999.
- სუმბატ დავითის-ძე 1990:** სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაუროვ გ. არახამიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990.
- სხირტლაძე 1994:** სხირტლაძე ზ. ივერიის დმრთისმმობლის ხატის მოჭედილობა. თბილისი: „ლიტას“ სტამბა, 1994.
- სხირტლაძე 1998:** სხირტლაძე ზ. იოანე თოვაძი – სინაზე მოღვაწე ქართველი მხატვარი. ჟურნ.: ლიტერატურა და ხელოვნება. №3. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1998.
- ტატიშვილი 1959:** ტატიშვილი ვლ. ქართველები მოსკოვში. თბილისი: გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.
- ტიმოთე გაბაშვილი 1956:** ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაუროვ ელ. მეტრულება. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, 1956.

- ტუღუში 1991:** ტუღუში ა. ჩიქვანთა გამთავრების ისტორიიდან სამეცნიერო შეკვეთი. ქურნ.: რიწა. 1. სოხუმი: აფხაზეთის ქურნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1991.
- ფერაძე 1940:** Peradze Gr. *Über die georgischen Handschriften in Österreich*. In: Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. XLVII. Band. 3. und 4. Heft. Wien. Ahnenerbe-Stiftung Verlag. 1940.
- ფერაძე 1995:** ფერაძე გრ. უცხოულ პილიგრიმთა ცნობები პალებრინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ. თბილისი: გამომცემლობა „კანდელი“, 1995.
- ფერაძე 2001:** ფერაძე გრ. ქებათა ქება. წგნ.: წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ (ფერაძე). „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები. თბილისი: 2001.
- ფერაძე 2004:** ფერაძე გრ. ქართული ხელნაწერების შესახებ ავსტრიაში. წერილი გერმანულიდან თარგმნა ც. კილაძემ. თარგმანის რედაქტორი – პროფესორი დ. თუმანიშვილი. გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ო. ჯოჯუამ. ალმ.: მწიგნობარი. '04. თბილისი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფავორიტი“, 2004.
- ფუთურიძე 1955:** ფუთურიძე ვლ. (რედაქტორი). ქართულ-სარსული ისტორიული საბუთები. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, 1955.
- ქადაგიძე 1985:** ქადაგიძე მ. ქრონილოგის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში. ქურნ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. №4. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985.
- ქაგთარია 1977:** ქაგთარია მ. ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან. XVII-XVIII საუკუნეები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.
- ქაგთარია 2003:** ქაგთარია მ. დავით გარეჯის სამონასტრო-ლიტერატურული სემინარი. კრებ.: ნათელი ქრისტესი – საქართველო. წიგნი I. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2003.
- ქართული ... 1967:** ქართული გაზეთების ანალიზიური ბიბლიოგრაფია. ტომი V. ნაკვეთი I (გაზ. „ივერია“. 1897-1900 წწ.). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967.

ქაჯაიძ 1975: ქაჯაიძ ლ. ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოსული ახალი მასალა. კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

ქაჯაიძ 1981: ქაჯაიძ ლ. ხანძები პაგიოგრაფიული კრებული. კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. IX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

ქაჯაიძ 2001: ქაჯაიძ ლ. წმ. კიპრიანესა და ოუსტინას წამების ხანძები რედაქცია. კრებ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. XIX. ეძღვნება ილია აბულაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 2001.

ქაჯაიძ 2006: ქაჯაიძ ლ. წმ. ქრისტინას წამების ხანძები ტექსტი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ქურნალი. ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებათ-მცოდნეობა, ფილოსოფია, თეოლოგია, კრეაციონიზმი, ეთნოგრაფია, ეკონო-მიკა, სამართლი. №3. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.

ქუთათელაძე 1889: ქუთათელაძე ა. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი (ჯვარის მონახულები და მიხი მდგომარეობა 1845-დღე). გაზ.: ივერია. №70. ტფილისი: სტამბა ე. მესხისა, 1889; №72. ტფილისი: სტამბა ე. მესხისა, 1889; №73. ტფილისი: სტამბა ე. მესხისა, 1889.

ქუთათელაძე 1955: ქუთათელაძე ლ. (რედაქტორი). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საქალაქო მუზეუ- მის ხელნაწერები (A კოლექცია). ტომი V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955.

ქურციკიძე 2003: ქურციკიძე ც. ქართული ბიბლია. კრებ.: ნათელი ქრისტესი – საქართველო. წიგნი I. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი- სის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

ყაუხეჩიშვილი 1955: ყაუხეჩიშვილი ს. (რედაქტორი). ქართლის ცხოვრება. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.

ყაუხეჩიშვილი 1959: ყაუხეჩიშვილი ს. (რედაქტორი). ქართლის ცხოვრება. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“. 1959.

შარაშიძე 1948: შარაშიძე ქრ. (რედაქტორი). ხელნაწერთა აღწერილობა. საქარ- თველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H). ტომი III. თბილისი: საქართველოს სსრ მეც- ნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948.

შარაშიძე 1954ა: შარაშიძე ქრ. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). გამოკვლევა და ტექსტები. კრებ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 30. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954.

შარაშიძე 1954ბ: შარაშიძე ქრ. (რედაქტორი). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). ტომი IV. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954.

შარაშიძე 1961: შარაშიძე ქრ. (რედაქტორი). სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

შარაშიძე 1982: შარაშიძე ქრ. (რედაქტორი). სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982.

შოშიაშვილი 1997ა: შოშიაშვილი ნ. აბუსერიძე აბუსერ. წენ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.

შოშიაშვილი 1997ბ: შოშიაშვილი ნ. აბუსერიძე გრიგოლ. წენ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.

ცაგარელიშვილი 1978: ცაგარელიშვილი ელ. (რედაქტორი). ხელფანტის თრადიციანის „ცხოვრება თრადიციანთა“-ს დაკლი ქართული თარგმანები. თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“, 1978.

ცაგარელი 1886: ცაგარელი ალ. *Сведенія о памятникахъ грузинской письменности.* Выпускъ первый. Санктпетербургъ: Типографія императорской академіи наукъ, 1886.

ცაგარელი 1888: ცაგარელი ალ. *Памятники грузинской древности въ Святой Земле и на Синае.* Православный Палестинский Сборникъ. Томъ IV. Выпускъ первый. Санктпетербургъ: Типографія В. Киршбаума, 1888.

ცაგარელი 1894: ცაგარელი ალ. *Сведенія о памятникахъ грузинской письменности.* Томъ I. Выпускъ третій. Санктпетербургъ: Типографія императорской академіи наукъ, 1894.

ცხვილოელი 1900: ცხვილოელი პ. ტბეთის ტაძრის ხახვა, ტყავზედ დაწერილი 1162 წ. გაზ.: „ივერია“. №229. ტყილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1900.

წაქაძე 1983: წაქაძე ნ. „ნისიმეს ცხოვრების“ სირიული, არაბული და ქართული ვერსიები (გამოკვლევა, ტექსტები, თარგმანები). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983.

- ჭინჭარაული 1998:** ჭინჭარაული ალ. ტომონიძე ოძრჯებ ეტიმოლოგიისათვის. ჟურნ.: საქართველო. 1. თბილისი: გამომცემლობა „ირმისა“, 1998.
- ხანთაძე 1997:** ხანთაძე შ. ბატონიშვილი. წერ.: საქართველო. ენციკლოპედია. 1. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1997.
- ხახანაშვილი 1901:** ხახანოვ ალ. *Очерки по истории грузинской словесности*. Выпускъ 3-й. Литература XIII-XVIII вв. Москва: Издание Императорского Общества при Московском Университете, 1901.
- ხორავა 1996:** ხორავა ბ. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. თბილისი: გამომცემლობა „კერა XXI“, 1996.
- ხორავა 1998:** ხორავა ბ. მოქმედ ეპიკოპოსთა ქრონილოგიური რიგი. კრებ.: საისტორიო ძიებანი. წელიწდებული. I. თბილისი, [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1998.
- ხორავა 2001:** ხორავა ბ. დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2001.
- ხოშტარია 1996:** ხოშტარია დ. ქალაქი არტანუჯი და მისი სიძეებები. ჟურნ.: არტანუჯი. ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. 5. თბილისი: [გამომცემლობა მითითებული არ არის], 1996.
- ჯავახიშვილი 1913:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I და II. ტფილისი: ელექტრომბეჭდავი „შრომა“, 1913.
- ჯავახიშვილი 1947:** ჯავახიშვილი ივ. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწეროლობა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1947.
- ჯავახიშვილი 1948:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეორე. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1948.
- ჯავახიშვილი 1982:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მესამე. ნაწილი მეორე (XV ს.). წერ.: ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.
- ჯამბურია 1973:** ჯამბურია გ. საქართველოს პოლიტიკური კითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში. წერ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ჯანაშვილი 1908: Джанашвили М. *Описание рукописей церковного музея Духовенства Грузинской Епархии.* Книга III. Тифлисъ: Типография Товарищества „Шрома“, 1908.

ჯაფარიძე 1995: ჯაფარიძე გ. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მეცნიერების თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1995.

ჯოჯუა 2001: ჯოჯუა თ. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღხაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით. კრებ.: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისა. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისადმი (მოხსენებების მოკლე შინაარსი). თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2001.

ჯოჯუა 2002ა: ჯოჯუა თ. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და ავხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.). ჟურნ.: საქართველოს სიმველენი. 1. თბილისი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი, 2002.

ჯოჯუა 2002ბ: ჯოჯუა თ. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღხაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით. კრებ.: ოჩხარი. ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2002.

ჯოჯუა 2002გ: ჯოჯუა თ. წმიდა მღვდელმოწამე გრიგორ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი. კრებ.: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. V. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2001 წლის 24-27 სექტემბერს ჩატარებული ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2002.

ჯოჯუა 2003ა: ჯოჯუა თ. XII საუკუნის გარეჯული კალიგრაფი ნიკოლოზ ნიკრაი და მის ძეებ გადაწერილი ორი ხელნაწერი (Ven.4 და H-1669). ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომები. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2003 წელი. 10-12 ოქტომბერი. თბილისი: გამომცემლობა „პროგრამა ლოგოსი“, 2003.

ჯოჯუა 2003ბ: ჯოჯუა თ. XII საუკუნის გარეჯულ კრებულში (Ven.4-ზე) დაცული ერთი დოგმატიურ-პოლემიკური ტრაქტატის შეხედ („წვალებისა წინაძლებულთა შეჩუქუნებად“). კრება: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. VII. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2003 წლის 24-25 ივნისს ჩატარებული აკადემიკოს ექ. თაყაიშვილისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისი კონფერენციის მასალები. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2003.

ჯოჯუა 2003გ: ჯოჯუა თ. მოქაის უცნობი ეპიკოპოსი ლუკა ოძრებელი (1360-იანი წწ.) და მიხი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან. კრება: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. VI. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2002 წლის 24-26 სექტემბერს ჩატარებული მ. ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა კონფერენციის მასალები. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2003.

ჯოჯუა 2004: ჯოჯუა თ. რამდენიმე ახალი ცნობა მოქველი ეპიკოპოსის ლუკა ოძრებელის (1360-იანი წწ.) ბიოგრაფიისათვის. ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2004 წელი. 8-10 ოქტომბერი. თბილისი: გამომცემლობა „პროგრამა ლოგოსი“, 2004.

ჯოჯუა 2005: ჯოჯუა თ. გინდე გიორგი მონაზონის მიერ გადაწერილი X-XI საუკუნეების ოთხთავი კენის ხაციონალური ბიბლიოთეკიდან (Ven.1). კრება: საქართველოს შეა საუკუნეების ისტორიის საკითხები. VIII. ეძღვნება აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის დაბადების 110 წლისთავს. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005.

ჯოჯუა 2006: ჯოჯუა თ. არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის საგედრებელი (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 წლის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან. კრება: ქართული წყაროთმცოდნეობა. XI. ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს მ. ბერძნიშვილს და ლ. დავლიანიძეს.

თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, 2006.

ჯოჯუა 2008: ჯოჯუა თ. გელათელი მონაზონის – ლუგან IV დადიანის ცოლუფილის ნინო ბაგრატიონისა და მონაზონ ფებრონია ხევარიძის სავედრებლები (XVIII ს-ის I ნახ.) იერუსალიმში გადატანილი ერთი გარეჯული ხელნაწერის (Ven.4-ის) აშიებიდან. კრება: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. VIII. ემდვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008.

ჯუანშერი 1955: ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგახლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1955.